

8(05)  
280

ଅ ମ ଜ ଦ ଶ କ

ତୃପ୍ତି ପାଇଁ ପରିଚ୍ଛନ୍ଦିତ

ପ୍ରକାଶିତ ଦିନ ୧୯୫୩ଙ୍କ

No IX

୬୦୯୬୦୯୦୬୦, ୧୮୯୯

AB- P-6306  
10409

ଓଡ଼ିଆ

ପ୍ରକାଶିତ ଦିନ ୧୯୫୩ଙ୍କ

1899

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Октября 1899 г.

გ ი ნ ე ს რ ს ი

83.

I—ზარსულიდან.—სპოლაში.—ნაწილი მეორე.—V, VI, VII, VIII, IX, X და XI.—მოთხრობა ს. მგაფლადლი- შვილისა (გაგრძელება). . . . .	1
II—* *.—ლექსი, ვ. რეხსძის . . . . .	51.
III—გასიცემული ლოგი.—კიარასი . . . . .	52.
XIV—დამოხმაული.—ნაწილი მეორე.—I, II, III და IV.— რომანი ბოლგართა ცხოვრებიდან, ივ. კაზაფისა, თარ- გმანი. . . . .	59
V—ეტიუდი.—შით არაგვისშარელისა. . . . .	90
VI—პრაზანა.—ნაწილი მეორე.—III, IV, V, VI და VII.— რომანი იტალიის ცხოვრებიდან, ე. კონიჩისა, თარ- გმანი ნაცალია რ. გიგაურისა (გაგრძელება). . . . .	94
XV—რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას, ანუ ადამიანის მოქმედებას?—I, II, III, IV და V.—ა. კირსანოვისა, თარგმანი. ლ. ჭ. —სა . . . . .	1
XVIII—ჩარლზ პარნელი.—ეგ. ტარლესი.—I, II და III.— თარგმანი . . . . .	26

**IX—შინაური მიმოხილვა.** სოფლის გაჭირვებული მდგომა-  
რეობა.—ხშირი მოუსავლობა.—დუხობორებისა და გერმანელ  
ახალშენელთა მაგალითი.—სახელმწიფოს მოვალეობანი.—მი-  
ნისტრის ა. ს. ერმოლოვის მობრძანება.—უმამულობა.—მამუ-  
ლი გამოიტიტა.—მკვიდრის გამრავლება.—წვრილი მრეწველო-  
ბა.—ტყეების გაჩეხა-განადგურება.—ზარჯის სიდიდე და მისი  
შემცირების საჭიროება.—დავალიანება სოფლისა. — სწავლა-  
განათლების ნაკლებულობა სოფლად.—რა უშველის სო-  
ფელსა?

# წ ა რ ს უ ლ ი დ ა ნ

## ს ა ღ ლ ა ჟ ი

(შაქრო გეგელაშვილის ნაამბობი)

ნაფილი მეორე

ლ\*)

უგინებიდა და თხის-ტგინა

სასწავლებლის ჩვეულებრივად მდორე მიმდინარეობა დაარ-  
ღვია ერთმა არა-ჩვეულებრივმა მოვლენამ: სამატრაბაზოს სასწავ-  
ლებელში დანიშნეს მეოთხე კლასის მასწავლებლად ერთი მღვდე-  
ლი, ახალგაზდა კაცი, რომელიც ისე ლაპარაკობდა რუსულს,  
რომ ნამდვილს რუსში ვერ გამოარჩევდა ადამიანი; ღვთის წინაშე,  
ქართულიც კარგად იცოდა; ამის დანიშვნამ ცოტა ახალი სიო  
მოპერა ჩვენს დახავსებულს სასწავლებელსა. ეს ამბავი მოხდა  
1863 წელში. ამას დაემთავრებინა სწავლა სტავროპოლის სა-  
სულიერო სემინარიაში, მღვდლად ეკურთხებინათ და მასწავ-  
ლებლად გამოემწესებინათ ჩვენს სასწავლებელში. უნდა მო-  
გახსენოთ, რომ ცოტა რამ ქვეყნიერობისა მის ხელში გავი-  
გეთ, მაგრამ ამას შემდეგში მოგახსენებოთ და რაც ამ მესუთე  
თავის შინაარს შეადგენს, იმაზე გადავალთ. ამ მასწავლებელმა-  
მღვდელმა ქალაქის სასულიერო სასწავლებლიდან გადმოიყვა-  
ნა ჩვენთან თვისი ძმა, რომელსაც ბავშვებში ჯერ დაარქვეს:

\*) იხ. „მოამბე“ № VIII—99 წ.

რქში, უკხო მამალო“, მერე სიადვილისათვის — „ყვინჩილა“ დაარქვეს და ეს სახელი შერჩა იმ დრომდე, ვინემ სასწავლებელში იყო.

ყვინჩილა მეორე კლასიდან მეორე კლასშივე გადმოიყვანეს; იგი უკვე მოწიფული ჭაბუკი იყო: ულვაში შეგინგვლიყო, ყბებზე და ნიკაპზე ოდნავ შებიბინებიყო წვერი ისე, როგორც ახალ-გამოზაფხულზე ცხოველ-მყოფელის მზის სხივებისა-გან შეფირუზფერადება ხოლმე მდელო; ლოყის ძირს, ერთის გოჯის სიშორეზე ცხვრრიდან ჰქონდა ხალი, რომელზედაც ეს-ხა გიშერივით ბალანი, ლამაზად და სუფთად ჩაგრეხილი; ქა-ჩორი ძირში ჰქონდა გაკრეჭილი, თმა გვერდზე შეერჩინა და-ლაქს, ამიტომ კიკინები ჩამოეშვა ურიასავით, წინ კი სიმინდის ქაჩორივით დაენარჩუნებინა ქალაჭის კინტოსავით; ფეხთ ეცვა მრეში ტყავის ყარაბაღული წალები, კვინტიანი, მაღალი და წერილი ქუსლებით, რომლებზედაც კბილებიანი ნალები ეკრა; წალებს ყელებზე წინ კაკლის ფოთოლსავით ხასხასა მწვანე ფუნჯები ეკიდა, რომელიც ყვინჩილას წვივებს ისე ეთამაშე-ბოდნენ და ეკონებოდნენ, როგორც ლამაზის ქალის დაბრა-წულს დაწვებს „წყეული“ კავები; განიერი, შავი დიბეტის შარვალი წალების ყელებში ჰქონდა მუდამ ჩატანებული და აბ-რეშუმის წვივსაკრავებით კოხტად ჩახლართულ-მოქერილი კვი-რისთავ ქვემოდან; ახალუხი მოკლე, კინტოური, აპრუწულის ნა-ოჭით, ზემოდან ეცვა მოკლე ყავის ფერი ლეკური ჩოხა, ისიც კინტოურად წელში ჩანაოჭებული და აპრუწული; გულზე აფა-რებული ჰქონდა წითელი ყანაოზის დოშლული, რომელსაც გარ-შემო შავი და წვრილი ჩაფარიში ევლო, ჩაფარიშ შიგ ყვითელი ოქრო-მკედი ჰქონდა ჩაწნული; ყელზე მუდამ ეხვია ბოშად მო-ხვეული ქალალია; თავის სარქმელად ჰქონდა ლურჯი ყირიმის ბატკის ჩატეხილი ქუდი; თან ყვინჩილა ლამაზის სახის ბიჭი იყო, მაღალი, ხმელი და მარდი, როგორც ვეფხვი; მხტომელი, როგორც ქურციკი.

ყვინჩილამ არა თუ ამ უცნაურის გარეგანის სანახაობით მიიქ-ცია მთელის სასწავლებლის შეგირდობის ყურადღება, არამედ

თავის სიმარტით და კრიფითა. ვინ რას მოიფიქრებდა, თუ ამ კო-  
ჭრად ჩაცმულმა კინტო-შეგირდმა უცნაური კრივი იცოდა. ჯერ  
კიდევ სასწავლვებელში თავი არ შამოეყო, ჯერ არც კი ვინმე  
იცნობდა, რომ ყვინჩილამ ერთს კვირა დღეს სამატრაბაზეთში,  
— ასე დავუძახებთ იმ ქალაქს, სადაც ის სასწავლებელი იყო,—  
შესანიშნავის მოკრივის სახელი შეიძინა თავის ტოლ-ბიჭებში.  
მთელი ქალაქი სამატრაბაზეთი მისს ვაჟკაცობაზე ლაპარაკო-  
ბდა.

— იმის ღმერთეს ჭირიმე, იმი! კაცო, რა მუშტები აქვა  
და! მისი გარტყმული არც ერთი არ დამდგარა ფეხზე; მაგას, რა  
საჭიროა, ამ ჩვენს ქალაქში თავისი ტოლი ბიჭე ვერ დაარტ-  
ყამს.

— ცერიდონას შეხვედრია წინა პირველად; დიდი ფიცი  
იფიცა, რომ ამოდენა ხნის მოკრივე ვარ, სული ლამის კრივში  
ამომივიდესო და მაგისთანა სილა, როგორც ის შეგირდი იცე-  
მება და იმისთანა მუშტი ჯერ არვისგან მომხვედრიაო; დარჩიაანთ  
დავითას სილა და კოკორიას მუშტი ხომ გინახავთ, იმათ არ  
ჩამოუვარდება ამ ერთის წლის შიგნითო. სილა რომ მტკიცა,  
დავრეტიანდი, წასაქცევიდ გავქანდი, მაგრამ უკანიდან მოწო-  
ლილმა ხალხმა წამომაყენა ფეხზე, ცოტა რომ მოვცნობილდი;  
გავექანე იმ შეგირდისაკენ.... ყველანი შემოეფორიაქნა... გავქან-  
დი და რომ წიხლი უნდა ჩამეკრა მუცელში და ცხვირ-პირში  
მუშტი ჩამომეკრა.... მინდოდა ერთი ჯვარის მამის ლავაშივით  
გამეპტყელებინა.... ამ დროს ეშმაკივით გამიხტა განზე, ისეთი  
შწარედ ამომიქნია ქვემოდან მუშტი კოჭში, რომ, თავი არ მო-  
მიკვდებაო, თითქო ლურსშანი დამირკესო, ფეხი ვეღარ დავადგი  
და ასკინ კილა გავედი კრიფიდანაო. დავიხედე და ვეებერთელა  
დამბურცებიყოვთ....

— მაგან ქალაქური კრივი იცის, უვილოსან, ჩვენ მაგისი  
ყაიდა არ ვიცით, ჯერ ერთი გავიგოთ და იმოდენა სისხლს  
ვადენთ ცხვირსა და კბილებში, რომ სად თავი ჰქონდეს და  
სად ფეხები, არ იცოდეს....

— მერე ისიც აქაურის კრივის ყაიდასაც გაიგებს და აბა წინ დაუდექით, თუ ბიჭები ხართ.

ასე სჯიდნენ ყვინჩილას ვაუკაცობაზ ერთს კვირა სალამოზე სამატრაბაზოს საკრებულო საყდრის გვერდზე ჩამომსხდარი მაცქერალნი იმ დღეს ყვინჩილას კრივისა.

ყვინჩილა მართლა მამლა-ყინწავით იბერებოდა, ჩლიქებზე დადიოდა და იმისგან ამხანაგებს გვერდები ალარ უვარგოდათ: ვინც გააბრაზებდა, ისეთს შემოჰკრავდა გვერდებში, რომ თითქოს ლურსმანი დაურკესო. ქიშმიშა მასწავლებელმა, როგორც უკვე იცის მკითხველმა, თუმცა ერთხელ გაროზგა, მაგრამ საკრივედ მისი ხელები ძალიან მოეწონა, მერე რაკი მის ნაქებს ოროსპოლლისაც მოერია და რაკი მასწავლებლის ძმაც იყო, ყვინჩილაზე აზრი შესცვალა, მუდამ კვირის იმასა და ოროსპოლლის ერთად აკრივებდა ხოლმე. როდესაც ყვინჩილამ საკრივო ასპარეზზედაც სახელი მოიხვევა, მაშინ ხომ პატარა შევირდების საჭვე. სულ უკულმა წავიდა: ხმას ვერავინ გასცემდა, მოტრიალდებოდა, დაუფხაკუნებდა იატაკზე ფეხებს, ქუსლზე შემოტრიალდებოდა და ეა იმას, ვინც მაშინ მის მუშტს წინ დაუდგებოდა: კიტრსავით გააგორებდა იატაკზე; პატარა ამხანაგები ხშირად დაუძახებდნენ კლასში გაკვეთილის დროს:

— „ყვინჩილ“! — და ჩაჰყოფდნენ რვეულებში თავებსა.

ყვინჩილა მიავლ-მოავლებდა თვალს იმ მხარეს, საიდანაც გაისმოდა ძახილი, თვალებს გადუბრიალებდა და დამუჭულს ხელს აჩვენებდა, ამ დროს მეორე მხრიდან წასძახებდნენ: „ყვინჩილ!“ კიდევ შეექნებოდა კბილების კრჭიალი და მუშტის ჩვენება.

იმ მშვენიერ გარეგან სილამაზესთან, სიმარდე-ბიჩაუქესთან, ყვინჩილა საშინელი ზარმაცი იყო, მაგრამ, მგონი, უფრო უგუნური. როდესაც გაკვეთილზე წამოაყენებდა ხოლმე მასწავლებელი, ეს მშველივით ბიჭი, ეს სასწავლებლის ვეფხვი, მოიკუნტებოდა წელში, სახე მოელრუბლებოდა და დაელრიჯებოდა ისე საშიშრად, რომ ადამიანს ეგონებოდა, ქვეყნის ხარჯს ამას სთხოვენო. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ყვინჩილა უკაცრა-

ვად გახლდათ გაკვეთილზე. გაჩერდებოდა შეშინებული ცხვარივით, მუჯლუგუნებს სცემდა ამხანაგებსა, ან მუხლს წაჟკრავდა, მასწავლეთო. ყვინჩილა, თხის-ტყვინა, პატარა და ეშმაკი თხუნელა და სხვა ათიოდე ზარმაცი ამხანაგებით ერთ გრძელს პარტაზე ისხლნენ, თავში უჯდათ ბეჯითი მოწაფე; პარტის თავზე კედელზე სქელი ქაღალდი იყო გაკრული, რომელზედაც ეწერა რუსულად: „Парта лѣнивыхъ учениковъ“ (საჯდომი ზარმაცთა მოწაფეთა); ბეჯითს შეგირდს ებარნენ ესენი, მას უნდა აეხსნა და ესწავლებინა გაკვეთილები; ბეჯითს შეგირდს გვერდში უჯდა ყვინჩილა, როგორც უპირველესი ზარმაცი, მას გვერდში მიჰკვრიყო თხუნელა და მერე სხვანი. ერთხელ, სალამოთი, ესე იგი, სადილის უკან, ისტორიის გაკვეთილი იყო; გაკვეთილად ჰქონდათ შეცოდება ადამ და ევასი. წამოაყენა ქიშმიშამ ყვინჩილა.

— აბა ერთი მითხარი, როგორ შესცოდეს ადამმა და ევამ.

ყვინჩილამ აატოკა ხელ-ფეხი; თხუნელა მიუჯდა და სწავლება დაუწყო.

— ჰო, თქვი რაღა, შე ყურუმსაღო! მაგისთანა ადვილი ისტორიაც არ იცი, სულ სად გაკრივო, ესეც უნდა იცოდე და... საღა ცხოვრობდნენ ჩვენი მამა-მთავარნი.

— ისინი, შენი ჭირიმე, ცხოვრობდნენ ბაღში.

— რას მიქარავ? შენი ჭირიმეს რომ მეუბნები, შე მხეცაძე, რა შენი ამხანაგი ვარ... ბაღში? რაო, მამის შენის ბაღში ცხოვრობდნენ?

— არა ბატონო; ისინი ცხოვრობდნენ...

— ბატონიანთ ბაღში,—წასძახა თხუნელამ, ყვინჩილამაც ჩაძახილი ამოიძახა. ქიშმიშა გაწიწმატდა, ეცა ყვინჩილას და კიკინები სულ ააწიწენა.—ეის ბატონიანთ ბაღში, შე მხეცო, შენა! ბატონიანთ ბაღში კი არა, სამოთხეში ცხოვრობდნენ. სამო-თ-ხე-შიი!!...—გაუგძელა მასწავლებელმა სიტყვა, რომ ყვინჩილას თავში ალბეჭდიყო იგი.

— ჩვენნი მამა-მთავარნი ცხოვრობდნენ სამოთხეში,—და-აწყო ყვინჩილამ,—თან კისერს სჭიმავდა და ნერწყვს ჰყლაპავ-

და ისეთ ნაირის თვალების ტრიალით, თითქო იგონებს. იმისანა დიდი აზრს, რომლითაც ქვეყნის გაკვირვება უნდაო.

— რა ერქვათ ჩვენ შამა-მთავრებსა, რომლებიც სამოთხეში ცხოვრობდნენ?

— იმათ ერქვათ... იმათ ერქვათ...

— ერთს ერქვა სეროფა,—წასძახა თხუნელამ.

— ერთს ერქვა სეროფა,—წამოიძახა თამამად ყვინჩილამ.

— მეორესა? — ჰკითხა მწარის ლიმილით ქიშმიშამ.

— მეორეს ერქვა შუშანა,—წასძახა ისევ თხუნელამ.

— მეორეს ერქვა შუშანა,—სთქვა კვალად თავგამოდებით ყვინჩილამ.

— ჰაი შე წუწკის შვილო, შენა!... დეუურნო, როზგი!.. ჰაი, შე გამოტვინებულო, მაგოდენა ვირმა აქნობამდე არ იცი, ჩვენის მამა-მთავრების სახელები?

— ვიცი, ბატონო, ვიცი, როგორ არ ვიცი.... აი, თხუნელამ შემაცდინა, ენაზე მაღვა, ამან წამომძახა და მეც გავიმეორე; ოღონდ დღეს ნუ გაშროზგავ და ხვალ სულ წყალი-ვით დავისწავლი....

— თხუნელა, შენც გამობრძანდი, ერთი მაგარ მაგარი მოგიკეუნო, რომ კვლავ აღარ ასწავლო. საიდან გამოიგონა ეს სეროფა და შუშანა.

— მაგის სახლის პატრონი გახლავთ,—უპასუხეს ლიული-ჟით შეგირდებმა.

— აი, მეფურნე სეროფა, აის კუზიანი და მისი დალმეჭილი ცოლი!... ჰაი, შე არამზადავ, შენა!... უწინ ეგ წააქციეთ, უწინ ეგ წააქციეთ და კარგა ლამაზად გაცოცხეთ.

დღე მუდამ იროზეგებოდა საწყალი ყვინჩილა, მაგრამ მის თავში არა შედიოდა-რა. ან რა უნდა შესულიყო მის გამობერტყილ თავში, როცა მისის ამსებისათვის თვით მასწავლებელი არ ზრუნავდა; მისი თავი ცარიელი საბძელი იყო; ქარს რაც შეპქონდა, იგივე გამოპქონდა: მასწავლებელი ფჩხილით დაუნიშნავდა რუსულს წიგნში, — აქედან აქნო-

ბამდე დაისწავლეთო; — მათ რუსული არ იცოდნენ და რას დაისწავლიდნენ; ვისაც მაგარი მეხსიერება ჰქონდა კლასში, — სულ ორი-საში მოიპოვებოდა ამგვარის მეხსიერებისა, — ისინი თუ გაიზეპირებდნენ თუთიყუშივით, თორემ დანარჩენი კლასი მუდიმ დღე იროზებოდა.

ყვინჩილაზე ნაკლები არ იყო თხის-ტვინა; ესეც ძალიან სახელიანი იყო შეგირდებში. თხის-ტვინა მდიდარი გლეხის შეილი იყო, მის მამა-ძმებს ვაჭრობა ჰქონდათ ერთს დუქან-ბაზრიანს სოფელში; ყოველ დღესასწაულში ისეთს ძლინებს მოართმევდა კლასის მასწავლებელს და სასწავლებლის უფროსებს, რომ ყველა დაბრმავებული ჰყვანდა, ყველა მოგებული, ასე რომ თუმცა იგი ყვინჩილაზე უარესი იყო ზარმაცობით, მაგრამ კლასიდან კლასში მაინც გადაჭყავდათ. თხის-ტვინას მამა რომ დატვირთულს ხურჯინებს ამოალაგებდა, ამოაწყობდა ცალკეულკე ინდოურს, ყვერულებს, თეთრად გაცევლეტილს გოჭებს, უმტვერო ქალალდივით თეთრს, კვერცხისაგან მოწითლებულს ნაზუქებს, ადამიანს ნდომისაგან ნერწყვი მოუვიღოდა პირში.

— სად არჩევს ხოლმე ეს ჩვენი გლახა (სახელი თხის-ტვინას მამისა) ამისთანა ნამცხვარსაო; ერთი შეხე, სისუქნისაგან კურტუმები აღარ უჩანსო, — ეტყოდნენ ხოლმე გლახას მასწავლებელნი, როდესაც იგი ძლიერს მიართმევდა ხოლმე. — ასე კარგს ნაზუქს, ასე გემრიელს და ფხვიერს როგორ ამზადებ, ჰა გლახა?...

— მაგასა, შენი ჭირიმე, სხვა ნაირი მომზადება უნდა; ნაზუქსა და ნაზუქს შუა დიდი სახლვარი გახლავს; მარტო ჩემმა დედაკაცმა იცის; ბატონიანთას გახლავს ნამსახური, ი დიდ კნიაზთანა და იქ ისწავლა; ამ ნაზუქის ფქვილსა და ცომს წყალს სულ არ მიაკარებს; ზელავს რძითა, ერბოს, უნდა მოგახსენოთ, ძან ცოტას უშვება, ლიბრავს პურსაო; მერე რძითა და ერბოთი რო შეაზავებს, მაშინ კა ლამაზს, ახლად შედედებულს მაწონს გასთვეფავს, დოდ აქცევს და მერე იმას

დაასხამს, აი აშიტომ გახლავს ასე თეთრი, ი მაწონი თეთრს ფქვილს, თურმე ნუ იტყვით,—ერთი-ორად უმატებს სითეთ-რეს,—ეტყოდა ხოლმე თხის-ტვინას მამა ამ მშვენიერი ძლვნე-ბით გატაცებულთ მასწავლებლებს; როგორც ვთქვით, მონალი-რებული ჰყავდა თხის-ტვინას მასწავლებლები, არხეინად იჯდა კლასში და გადადიოდა ერთიდან მეორეში.

თხის-ტვინა იმ უამაღ, რომელსაც ჩეენი ამბავი შეეხება, სწორედ ყვინჩილას ხნისა იქნებოდა, თუ არ მეტი, ესე ჩვიდ-მეტ-თვრამვტის წლისა, და იჯდა ჯერეთ მეორე კლასში. ეს მისი ბრალი არ იყო: თითქმის ჭაბუკობის დროს მიაბარეს სკო-ლაში. იგი იყო მაღალი, წერწეტა ტანისა, სახით ლამაზი, მო-ხდენილის თვალ-წარბით; ტანზე მუდამ თეთრი ახალუხი ეცვა, რომელზედაც ერტყა ირმის ტყავის ქამარი, მოკირწყლული წვრილ-წვრილი ვერცხლის ბალთებით; ზემოდან ატარებდა ქა-რთულ ჩოხას, უფრო ფერად-ფერადის სახისას; განიერი ჟარ-ვალი ჩატანილი ჰქონდა მაღალ ყელიან აპოიკის წალებში. აპო-იკის წალა მარტო მას ეცვა მთელს სასწავლებელში. თხის-ტვი-ნასაც წვერ-ულვაში შეგინგლული ჰქონდა: მას ეს არ მოსწო-ნდა, სურდა, რომ თავი პატარად სჩვენებიყო, ან პატარად ეჩ-ვენებინა თავის პატარა ამხანაგებისათვის; ეყიდნა ჩეიფი და ნორჩის ბალანს იგლეჯდა; რაკი თვით კარგად ვერ ხედავდა, ამ-ხანაგები აგლეჯდნენ; სახე ისე ჰქონდა ალაპლაპებული, და-ჟირუვებული, როგორც იმ ქალებს, რომლებიც ძველად აბრე-შუმის ძაფით გამოიქნიდნენ ხოლმე სახეებს. ამხანაგები დაინა-ხავდნენ ხოლმე თხის ტვინას სახეზე ბუწს თუ არა, მაშინვე მის ცვიცლებოდნენ ამოსაგლეჯად! წინა-პირუველად საზარლად იღმანჲებოდა ხოლმე ტკიცილებისაგან, მაგრამ ბოლოს ისე შე-ეჩვია, რომ აინუნშიაც აღარ მოჰქონდა.

თუ ყვინჩილა გათქმული იყო მუშტის კრივში, თხის-ტვი-ნა მაგიერში განთქმული იყო ჭიდაობაში; იმ დროში ეს ორი ვარჯიშობა იყო ძლიერ გავრცელებელი, დიდი და პატარა ამ ვარჯიშობაში იყო და სატრფიალოდ მიაჩნდათ. მთელს სას-

წავლებელში თხის-ტვინას მუხლს ვერავინ აკვრევინებდა დედა-მიწაზე; ასე გასინჯე, გარედანაც კი შემოჰყავდათ ხანდის-ხან სასწავლებლის ეზოში მოჭიდავე თხის-ტვინას კბილის ბიჭები, მაგრამ თვალის დახამხამებამდე ბურთივით გაისროდა ჰა-ერში ბეჭებ შემოგდებულს მოჭიდავეს და ზღართანს მოადე-ნინებდა მიწაზე. თავის ამხანაგებში და მთელს სასწავლებელ-ში ყვინჩილას მარტო თხის-ტვინასი ერიდებოდა. თუმცა სი-ლასაც და მუშტსაც ხმარობდა თხის-ტვინას წინააღმდეგ, მაგრამ რაკი ხელს საღმე წავლებდა ყვინჩილას, დაუტრიალდებოდა და ყირამალა დაარჭობდა ხოლმე იატაჭე; ბევრჯერ აუწით-ლა ყვინჩილამ თხის-ტვინას ლოვები სილებით, გვერდები და-ულურჯა მუშტებით, მაგრამ თხის-ტვინამაც ბევრჯელ შუბლ-სა და ცხეირზე ტყავი გადააცალა ყვინჩილას ყირამალა დარ-ჭობით ჭიდაობის დროს.

ერთხელ ჩვეულებრივად დაიგვიანა სადილის უკან მასწავ-ლებელმა ქიშმიშამ; შეგირდებმა გასართობად ყოველივე სიეშ-მაკე ჩაიდინეს: ბუზებს დიდ-დიდი და გძელ-გძელი ბამბის. კუ-დები გამოაბეს, გამოალეს პირველი კლასის კარებები და გაუშ-ვეს; აქ ბავშვები აქოთდნენ; მასწავლებელს ყეყჩას შუბლზე მისჯდომიყო და როცა ბუზმა ბამბის კუდით ულიტინა, წა-მოვარდა ფეხზე, ბუზი ბზუილით გარედ გაფრინდა და მიაფარ-თაშებდა თავის გძელ კუდსა.

— ჰაი, თქვე ძალლის შვილებო, თქვენა! ეს რა ამბა-ვია? — როდესაც გაიგო, რომ მეორელების ეშმაკობა. იყო, შეალო კარი და შესძახა: — ტიშე, ეი, თქვე აბუეტებო! თუ შე-მოველ!...

მეორელებმა სული გაკმინდეს, მაგრამ ისევ მიჰყვეს ხელი ეშმაკობასა და ჯერ ხელი-ხელი პრასუნა ითამაშეს, მერე ჯუ-ჯუ-მახეობა; ბოლოს თხუნელა გაძვრა, დაფაზე ცარცით ნა-წერი წაშალა, ამოგუნგლა მჩვრები და ვისაც არა მგონია სა-ხეზე ჩამოუსვა, მოთხუპნა ყველანი; თხის-ტვინამ ხუმრობით თხუნელა ყვინჩილას მიაჯახა.

— შენ ეი, გლეხის ბიჭო! ემანდ შენთვის ეგდე, თორებ ისე ამოგინაყავ მაგ ცხვირსა, რომ ზურნის ბოლოს დაემგვანოს.

— მამა გიცხონდა, ჯერ შუბლის ტყავი არ ამიძერია, აი, შენთვისა; ისე დაგარჭობ ემა იატაკზე, როგორც ბიზა... შენ კი შენმა მზემა ბლალოჩინის შვილი ხარ, აი... ერთი ტილიანი მღვდლის შვილი კი ხარ... — უთხრა აგდებით თხის-ტვინამ.

— ძიძგი-ძიძგი მამალა, შენ იცი და მაგანა! აზიზლანებდნენ ამხანაგები და უსევდნენ ერთი-ერთმანერთზე.

— რაც უნდა იყოს, შენზე კაი კაცის შვილი. მაინცა ვარ...

— რას ამბობ, თხის-ტვინავ, ემაგას თავი დაანებე, თორება ძმა უჩიტელი ჰყავს და ისე გაგიხლის მაგ თხის-ტვინა თავსა, რომ სულ ბუზები გეხვევლნენ, — წასძახა თხუნელამ.

— აქაო და კრივი ვიციო, ყველას აბუჩად გვიჭრს, — ჩაე-ერია ლაპარაკში გულ-დამწვარი ოროსპოლლი, — რომელსაც ყვინჩილას ჯავრი სჭირდა.

— გინდათ ლოთიანად, ყველანი გამოდით მუშტში, — გადაიწია ახალუხი მაჯებში, ყვინჩილამ და დაანახეა კუხიანი მუშტი: — ამ ანჩატურს ხედავთ?... ჰა, მოდი ერთი უსუნე, რალა! — და მუშტი ცხვირში მიუტანა თხის-ტვინას.

— აბა, ბიჭებო, დავკრათ ამ არამზადასა, — დასჭივლეს პატარა ამხანაგებმა და გამოცვინდნენ პარტებიდან, მაგრამ ყვინჩილამ ბუზებივით მოიგერა.

— ეჭ შენი რჯულიც დაიქცეს, ხომ ვერ შემჭამ, — გადიძრო დიმიკიტონის ჩოხა ოროსპოლლიმ და ეტაკა ყვინჩილას; ყვინჩილამ ისეთი სილა გაუჭახუნა საბრალო ოროსპოლლის, რომ ოთახშა ბანი მისცა: მაგრამ მაინც ძალლის ლეკვივით არ ჩამოეხსნა; თხის-ტვინამ რაკი ნახა, რომ ყვინჩილა ალარა ხუმრობსო, ჩაერია გასაშველებლად.

— იქით, იქით, თორებ ამ ფილთა-ქეას ჰხედავ? — უწევენა ყვინჩილამ მუშტზე და განზე გაუდგა თხის-ტვინას დასაკვრე-

ლად, იცოდა-რა, რომ იგი მას თუ ხელში ჩაუვარდა, მაშინვე ბეჭებ აიკიდებს და შუბლის ტყავს. გადააცლის.

— ახლო მოდი, თუ დედის. შენის შვილი ხარ,— დაუძახა თხის-ტვინამ.

— შენ მოდი, შენ! — იმეორებდა თავის მხრივ ყვინჩილა.

რამდენიც ხელი წაატანა თხის-ტვინამ, იმდენი ყვინჩილა გაუსხლტდებოდა ხელიდან. და ამოუსვამდა გვერდში მუშტა. თხის-ტვინამ იმდენი ატარა, რომ დაფასთან მიჰკუნჭა, წავლო მაჯაში ხელი, შემოუპროწიალდა, ლონივრად შემოიქნია, შემოიგდო ბეჭებ და ზღართანი მოადინა ჩვენს ყვინჩილას იატაკზე. მაგრამ ის რეზინის ბურთივით შეხტა მაღლა; წამოვარდა, თხის-ტვინამ კვალად ჩაიგდო ხელში და რომ გადააგდო, ზედ მუხლი დაადევნა და ალარ აუშვა; ყვინჩილა ქვემოდან ცხვირში სცემდა, თხის-ტვინა ზემოდან; გამოვიდა მთელი კლასის შეგირდები და ზედა-ხორა გააკეთეს, შეიქნა ერთი გნიასი, ყვირილი, მტკრისაგან კლასში თვალთა წინ აღარა ჩანდა-რა. ამ უცნაურმა ყვირილმა ყეყეჩა მასწავლებელიც მოთმინებიდან გამოიყვანა; აილო ხელში უშველებელი კონა როჩებისა; მიადგა ზედა-ხორასა, დაუწყო ცემა, ბავშვები აიშალნენ ელდანაცემი, როდესაც შეხედეს მრისხანე სახეს მასწავლებლისას; მასწავლებელმა უშეუვლა და უშეუვლა თხის-ტვინას და ყვინჩილას როჩები; თხის-ტვინას ძრიელ ემწვავა, ეგონა შეგირდი ვინმე მცემსო, ცხვირ-სისხლიანი წამოვარდა, უცებ ეცა მასწავლებელს ყეყეჩას, დაუპროწიალდა და იატაკზე ლოქოსავით გაშხლართა; როცა წამოდგა, მტკვერ-ბუქში გაარჩია, რომ შეგირდის მაგიერ მასწავლებელი გამხდარა მსხვერპლი მისი უცნაურის და დაუცალის ქამანდისა.

— ვაიმე დედავ? — შეპყვირა თხის-ტვინამ და მასწავლებლის წინ მუხლებზე დაეცა.

მთელი კლასი ქვად იქცა; ყველამ განაბა სული, მხოლოდ კლასში გულიდან ამონაკვნესი ქშენის ხმა-ლა ისმოდა.

ა 1

## თ ბ თ ბ ი რ ი

— რომანოზ ვასილიჩ, ერთი მიამბე დაწვრილებით, როგორ იყო საქმე — იმ წყეულმა შეგირდმა აღუაშვილმა რომ წაგაქცია, (გვარი თხის-ტვინასი), — უთხრა სასწავლებლის ზედამხედველმა ელიზბარაშვილმა პირველის კლასის მასწავლებელს რომანოზ ვასილიჩ გვრიტაძეს, ყეყეჩად წოდებულს.

— რაღა როგორ იყო, ი ოჯახდაქცეულმა ივანემ დაიგვიანა, სადღაული უოფილიყო სადილად... შეგირდები ატყდნენ... ამ დალოცვილმა მღვდელმა ქალაქიდან რომ თან მოიყვანა ი კინტო ძმაი, იმას გადაჰკიდებიან მთელი შეგირდები; თურმე, ნუ იტყვით, ყველას სჩაგრაეს და სულ ცხვირ-პირს ანაყავს; ვერავინ გამკლავებას გია აღუაშვილის მეტი... ჭრო ატყდა ერთი საშინელი გნიასი, შევვარდი, დაეუშინე როზგი; რომ გაიფანტნენ, დამეტაკა ი აღუაშვილი, დამიპროწიალდა და როგორც სალა, ისე გამასრიალა იატაკზე... აი, შეხე, ე ცხვირი იმისაგან მაქვს გადატყავებული....

— მამა-ჩემი არ წამიტყდება, სულ მთელს კლასს დავხოცავ, როზგს ქვეშ ამოვართმევ სულსა!! — იყვირა ზედამხედველმა. — მერე, ინსპექტორმა რა ღონისძიება მიიღო?...

— მიიღო!?!... ეგ, ბატონო, ქორ-მეძებრების წრუშუნს უნდება, დღე-მუდამ ნადირობს და შეგირდები ფეხებზე ჰკიდია... ღვთის წინიშე, შეშმორდა კო, ბევრი აგინა, დაშხეპლა ყველანი, მაგრამ მეორე წამს ისევ მორთეს ღრიალი, ხუმრობა და ლაზლანდარობა.

— არა, ე ივანე პარმენიჩი ძალიან იგვიანებს, სულ ერთიან დაირყენენ მაგისი შეგირდები... რევიზორი რომ მოგვივიდეს ვინმე, სულერთიან გაგვყრიან... ბიჭო, თედო, ივანეს — ქიშმიშას ნათლობის სახელია — და სხვებს დაუძახე?

— დიალ, ბატონო! ინსფეხტური სანადიროდ გხლებიათ, ჯავახიანთ ყმაწვილები გხლებიან და თავისი ახალი ქორი სა-ნავარდოდ წაუყვანია....

— აბა რა ექნა, მოდი და ამისთანა კაცთან საქმე გააკეთე... ისე კი იბლანძება მამა-ცხონებული, რომ ასე პეონია, აქ მე ვარ და სტამბოლში სულთანიო... მოხსენება გავგზანე ინ-სპექტორზე, რომ მოაცილონ ამ სასწავლებელს; ან მე უნდა ვიყო, ან ეგა...

— თუ მაგ ფხიკიანისაგან დაგვიხსნი, უნდა მოგახსენო, ირაკლი როსტომიჩ, რომ ამ სასწავლებელში დაუვიწყარი იქმნები... აგერა მოდის ივანე და მამა პროკლე.

მამა პროკლეს უკვე ცოტათი იცნობენ მკითხველები ამ მოთხრობის წინა თავიდან; მეტს სახელს პურჭყიას ეძახდნენ, რადგანაც ლაპარაკის დროს წამდაწამ აპურჭყებდა.

— მამაო, რა გვიყო ამ შენმა ძმამა, თუ მაგისთანა კინტო და აბეზარი იყო, რაზე მოათრევდი თანა... ჯერ ერთი ესა, შეგირდები ამოგვიხოუა ცემით, ახლა იყო და ამ კაცს,—მიიშეირა. ხელი ყეყეჩაზე,—შეურაცხყოფა მიაყენა... ეს, ივანე, შენი ბრალიც კია: შე დალოცვეილო, საცა ხელს დაგიჭნევენ, იქ დაერჭობი და მინამ კარგა არ გამოიბრუშები, არ მოიგონებ, რომ სასწავლებელში წასავლელი ხარ... დაიწყო ირაკლი როსტომიჩმა წყრომის კილოთი.

— აქ მარტო ჩემი ძმა არ არის დამნაშავე...

— მაცა, მამაო პროკლე, მე კაი პასუხი მაქვს...

— არა, ივანე, ჯერ მე მალაპარაკე...

— ენაზე მაღვია, მერე გულიდან გადამივარდება და...

— დააცა, კაცო, მღვდელი კაცია,—ჩაერია ყეყეჩა,—ამისი უპრიანია ლაპარაკი... თითზე კბილი მოუჭი და ალარ დაგავიწყდება...

— აი მეხი კი ჩამოგათხლიშე მა ყეყეჩა თავზე, შენც კაცს ჭიუას ასწავლი, აბა რად მოგვივა კაი დრო...

— ჰო, იმას ვამბობდი. ჩემი ძმა არ არის დამნაშავე, ჩემს ძმას არ მიუყენებია ამისთვის შეურაცხყოფა... ვიღაც მუტრუკი გლეხის ბიჭი თურმეა, იმას წაუქცევია და ახლა ბრაზს ჩემს ძმაზე ჰეთქავთ... მე ჩემს ძმას არ ვამართლებ, მე იმას უკვე გადავახდევინე საკანონო, მაგრამ ი ვიღაც გლეხუჭა წამოგონეამთ ყველა შეგირდებისათვის თავსა, სულ იმისი ბრალია... იმაზე ჩმას არ იღებთ... ან კი რათ ამოიღებთ, რა! მოგაკლდებათ ნაზუქები და მსუქან-ხსუქანი ინდოურები..,

— აი დაიწყო ავყიამ გადაკვრით... შენა, შეილოსა, იმი-ომ გეწვის გული, რაკი შენთან არ მოაქვს ძლვნები... აი შვი-ლოსა, შენთან რო გაღმოვა კლასში, მაშინ შენ მოგიტანს, — უთხრა ყველრებით ყეყეჩამ.

— ისიც შეარცხვინა ღმერთმა და იმისი ძლვენიცა.

— პირს უკან წაიღებ აი, შენმა სიცოცხლემ, — უთხრა პროკლეს ივანემა, — რას მასწავლი, შვილოსა, ჩემს შეჭედილს ხატს მე ვერ ვიცნობ!... ახლა მე მათქმევინეთ-მეოქი...

— თელო, ერთი, შედი ისისი კვიროსიჩთან, თუ არ მოსულა, ბიჭი გააგზავნინე, იმას ვუცდით...

— არა, რაღა მე ტომ დაკიწყობ ხოლმე, მაშინ მოგინდებათ სხვა ლაპარაკი, ერთი მეც ვთქვა და!...

— კარგი თქვი, თქვი, ივანე!

— ჩვენ სასწავლებელში ისეთი ამბავია, რომ ძალლი პა-ტრონს ვერა ცნობილობს და პატრონი ძალლსა; შენ და შენი ინსპექტორი ერთმანერთის სისხლისა სვამთ და აღარავის ყურს აღარ უგდებთ. ჩვენი სასწავლებლის ეზო სწორედ აი ნიკას ფოშტის სტანციასა ჰგავს: სავსეა ბატებით, ქათმებით, გოჭებით, ხბოებით, ერთი ტროიკები და იამჩიკები არა გვყავს, თორ-ჩემ სწორედ ნიკოს სტანციაა; იქაც ასე ირევიან ორფეხი თუ თოხფეხი საქონელი, კაცი ფეხს ვერ აუქცევს... ყველა-ყველა, ბატონო, მაგრამ ე ვირი რაღა უბედურებაა, რომ გააჩნეთ; ამ ოხერში ლამის წყალმა წაგვიღოს და ე ვირი რა საჭიროა, თუ არა და შეგირდებსაც კარგად მოვატანინებ წყალს... სადილის უკან

ამ ოხერს სასწავლებელში ხომ სწავლება არ შეიძლება... სწორე გითხრა,—თუნდა აღრეც მოვიდე, რა უნდა გავაკეთო... გადიწვეს თუ არა მზე, მოჰყვებიან, ბატონო, მამლები ყივილს, გოჭები ჭყვიტინს, ხბორები ბლავილსა და ყურთა სმენა აღარ არის... ეგ ოხერი ვირი ხომ ჩემს ფანჯარასთან მიუჩევეთათ შეგირდებას, მოვა, ბატონო, გადმოჰყოფს თავსა და მოლი და შენ შეგირდები შეიკავე... იმ დღეს—ეს კი დილით იყო—მოსულაფანჯარასთან, მე ჩემთვის არხეინად დავსეირნობდი კლასში, შეგირდები სწერდნენ, ერთი ისეთი შეჰყუროყინა, თქვენ ნუ მომიკვდებით, რომ თითქო ცამ ქუხილი დაიწყოვო, ოთახმა სულზანზარი მოიღო; მოიღრიცა, ბატონო, პირი, ზედა ტუჩის ლაში აიფხლიკა, დაკრიჭა კბილები და სულ თავი მოიკლა ყროყინით; შეგირდებმა გაჰყარეს ხელიდან კალმები, წამოცვინდნენ და სად იყო სიცილი... ღვთის წინაშე, მეც ვეღარ დავამაგრე თავი და შეგირდებს გავასწარ სიცილში... რა არის, ღმერთმანი, ქვეყანა ჩვენ დაგვცინის!...

ივანე კიდევ ბევრ რამეს იტყოდა, მაგრამ ისიხის მოსვლამ შეაწყვეტინა ლაპარაკი. რა სულიერი იყო ეს ისიხი?

ისიხიმ სემინარიის სტუდენტად გაათავა თურმე კურსი და პირდაპირ დანიშნეს ამ სასწავლებელში ინსპექტორად, ზედამხედვლის თანაშემწეს ძველად ინსპექტორს ეძახდნენ. ისიხი კვიროსის ძე ბელტაძე შორაპნის მაზრის აზნაური იყო; სამატრაბოზოს სასწავლებელში ამის მეტი აზნაური არავინ იყო; ცოლად თაეადიშვილის ქალი ჭყავდა; ამ ორის გარემოებით ისე მოჰყონდა თავი, რომ მამალს ბუზს თავზე არ ისვამდა: ცხოვრობდა, როგორც ნამდვილი აზნაური: სტუმარი ბევრი, მუდამ ქეიფი, ქორ-მედებრების დევნა, წრუშუნი და სხვა ამგვარები გამოულეველი იყო. ისიხი ერთობ გაუჩორქნავის ტანისა იყო: თვითონ მაღალი, ამასთან სქელი და ღიპიანი, როგორც შუა ბაზრის ბაზაზი ანუ ავლაბრის სირაჯი; უცნაური ცხვირი ჰქონდა: მაღალი, კუზიანი და ბოლოში ისე დაკაული, რომ ცხვირის წვერი დაბჯენილი ჰქონდა ზედა-ტუჩზე და ჩაფლული ხშირს.

და გაბარდლლულს ულვაშებში; პირს იპარსავდა სუფთად; ლაბაბი და ლოყები ისე გაპუტკუნებული ჰქონდა, რომ როცა დადიოდა, სულ თამთამი გაუდიოდათ, თრთოდნენ, ხტოდნენ კაი მოლეკურესავით, წარბები ისე ხშირი და გაბმული, რომ მაშინ, მგონი, ქუბელი დოლლაურის კალაც არ იყო ისე გაბმულ-გაბარდული; ზოგიერთი ბეჭვები წარბებისა ყირას იყვნენ შემდგარი, ისარივით გამოშვერილნი, თითქო ობობა ჩასჯდომია და თვისი ბორჯლლიანი ფეხები გამოუშვერიაო; დადიოდა ზლაზენით, როგორც კურტან აკიდებული რაჭველი; ლაპარაკობდა ლეჭვით და ისეთის ფშვენით, რომ გვერდზე მჯდომი ვერას გაიგებდა; მისი ფშვენა-ხენეშა ისეთს ქარს ააყენებდა ხოლმე, რომ ქონის სანთელს უკან გასწევდნენ, არ გააქროს ისიხისა-გან აყენებულმა ქარმაო. როცა გაჯავრდებოდა შეგირდებზე, ჰქუხდა მისი ხმა მეხივით; როგორც აფრიკის ტყეში მშიერი ლომი ღრიალებს და შიშის ზარსა და კანკალს მოჰვერის ხოლმე მხეცებს, ისე მისი აღრიალება ჭკუას დაუბნევდა ხოლმე ბავშვებს, საბრალო ბალლებს სული ქუსლებში გა-ეპარებოდათ ხოლმე და აღარ იცოდნენ, სად ისხდნენ. როცა შეგირდები კლასებში დაბინავდებოდნენ, იგი მაშინ გამოიყვან-და ქორს, მიმინოს, ტაისვამდა ხელზე და სასწავლებლის დიდ ეზოში ანავარდებდა; მაშინ მისი ხმა რაღაც ღორის ტრუხუნს უფრო წააგავდა, ვინემ აღამიანისას. მინახავს ეს მშვენიერი ცხოველი ბუნჩიში ცხვირ-წაყოფილი; თუ მერე ბუნჩის ახლოს წუმპეც აქვს, რომ ბუნჩიდან წუმპეში ჩაჰყოს ხოლმე თავისი ფაფუკი დრუნჩი და წუმპიდან ბუნჩიში; ტრუხუნებს, ხრუტუნებს, გორაობს, სიამოვნებს; სწორედ ასეთი იყო ისიხიც მა-შინ, როდესაც შას მიმინო უჯდა ხელზე და ეზოში ანავარ-დებდა შინაურ ორ-ფეხა ცხოველებზე: ტრუხუნებდა, ღრუტუნებდა, ბოხის ხმით ხითხითებდა. ვინც შეჩვეული იყო მისს ხმას, მაშინვე მიხვდებოდა, რომ ისიხი სიამოვნობს; ეინც არ იცო-და, სწორედ ეგონებოდა, რომ სასწავლებლის ეზოში ორი-სა-მი წლის დიდი ტახი სიმინდის ფქვილით, ან ნახადით, გასუქე-

ბული და გამოყეყილი გლია ბუნჩიში და სიამოვნების ნიშნად ღრუტუნ-ტრუხუნებსო.

— მამა-ჩემი კვიროსი არ წამიშედება, რომ ე ჩემს მიმინოს ერთ ქალაქში არ გავცვლი, — დაიწყო ქშენით და ნესტოებს ამ დროს ისე აღებდა და ჰკუნჭავდა, თითქო ბუზიკას უკრავენო.

— რა დროს მიმინო და მწევრებია... აქ შეგირდებმა ქვეყანა ლამის აიკლონ, თავზე წამოგეასხდნენ და შენ მიმინოს ქებაში ხარ.

— ჴო და ისე დავწერ, შენ ნუ მოუკვლე ჩემს თავს, რომ ერთმანერთს ველარა სკრობდნენ.

— ეხლა ჩემი აზრი ეს არის, — დაიწყო ზედამხედველმა, — თედო, მანამ შენ წადი მეორე კლასის შეგირდები — აღუაშვილი, თვალაძე, ნოზაძე და ყიამყრალაძე აქ მოიყვანე, გიბარებენ-თქო; ესენი არიან თურმე ამკლები მთელი კლასისა.

ვინ იყვნენ ესენი? თხის-ტვინა, ყვინჩილა, ოროსპოლლი და თხუნელა. „მოკლე თედო“ წაჩანჩალდა; ზედამხედველმა განაგრძო:

— იმას მოგახსენებდით, ჩემი აზრი ის არის, რომ ავდგეთ და გამოერისხოთ.

— გამორისხვა როგორ შეიძლება, — შეჰყვირა ყველამ...

— მაშ?

— მაშ და მაშ! კარგად დავლახოთ, რომ თავის დღეში არ დაავიშედეთ, რომ როცა მოაგონდეთ, სულ ტანში ქრიალებულმა აიტანოს.

— ეე, ბავშვის ბუნება არა გცოლნიათ: რამდენიც დღე გაივლის, იმდენი იმათ მეხსიერებიდან ამოიშლება მოგონება სიმწვავისა. ბავშვი რომ ხელს დაიწვავს, ან გაიჭრის, ან დედაგვერდებს აუწვავს და ღრიალს მორთავს, ვიტყვით ხოლო: არა უშავს-რა, იტიროს, გაიზრდება და დაავიშედებაო, ამისი არ იყოს, მაგათაც მალე დაავიშედებათ.. ისეთი რამ უნდა მოვიგონოთ, რომ სამუდამოდ მათს გულის დალაზ დააჩნდეს...

P-6306

კარგი, რახან გამორიცხვა გეძნელებათ, მაში ითათბირეთ, რა ვუყოთ.

— იმ ორს მოჭიდავეებს ოთხმოც-ოთხმოცი როზგი დავარტყათ ტიტველაზე, ორსაც — ორმოც-ორმოცი, — საქვა ისიხმა.

— ჯერ, მანამ დავროზგავდეთ, სამარცხვინო ქუდები დავხუროთ, რუსები რომ იტყვიან — „პივორჩაშაპკა“, — დაიწყო მამა პროკლებ. — ქუდები იქნება წოწოლა შაქრის თავივით. ზედ ეწერება: „სამარცხვინო ქუდი“ და მერე გვარი შეგირდისა; შემოვატაროთ ყველა კლასები ამ ქუდებით; შემდეგ მოელი შეგირდები შევყაროთ დიდ ზალაში, შევიყვანოთ მოხივენი, წავუკითხოთ ჩევნი განაჩენი.

— რას ფიქრობ, რა კანონი დავადოთ?

— აი რა: ეგენი მეორე კლასელები არიან; მეორეში, იეანე, რამდენი შეგირდია?

— ორმოც და ხუთი.

— ორმოც და ხუთი შეგირდმა ყველამ თავის ხელით დაჰკრას როზგი და უთხრას: „ფუი, შენს კაცობასა, გცხვენოდეს!“ სხვა კლასებმა კი მარტო უყურონ ამ სასჯელსა.

მოთათბირენი გაჩუმდნენ, კიდეც მოსწონდათ მამა პროკლეს აზრი, კიდეც არა; ორ-წყალს შეა იყვნენ!

— გახდილზე დაპრანან, თუ ჩაცმულზე? — იკითხა ისიხმა.

— შენ ხომ კიდეც დაგიწყვინია... ეხლა ეყოფათ, რომ ჩაცმულზე დავკრათ.

— ეე, მოვიდა სომეხი და მოიტანა სხვა მეხიო! შენ ცემის წინააღმდეგი ხარ, ეს რომ გაიგონ ჩევნში უფროსებმა, ღმერთმანი, ციმბირში გადაგვასახლებენ, — დაიწყო ყეყეჩამ.

— მაგისთვინ კი არ გადაგვასახლებენ და როზგის ქვეშ რომ ბავშვს სული ამოუვიდეს, იმისთვის კი გადაგასახლებენ და გადასახლებამდის ვირის აბანოში ჩაგსმენ.

— რა ხირა - ხირა ლაპარაკი იცის, ამას ხომ კაცი არ აეზრახება.

— მაში თქვენ არ იცით; რომ რუსეთში კიდევაც მოისპოროზგი!?! არ იცით? თუ სცემენ კიდეც იმიტომ, რომ ეს ჩვეუ-

ლება ძნელი ამოსაგდებია, უცბად ვერ მოისპობა: ჩვენი მოვალეობაა, რომ ნელ-ნელა ამოვაგდოთ ამ ჩვეულების ძირი.

— აი დიდება შენთვის, ღმერთო, საიდან გამოიგონა ეს ამ პროკლემა-ე! — გაიოცა ყეყეჩამ და ყველასაც გაოცება დაეტუო სახეზე.

— ეჭ, რა ბრძანებაა, ხელმწიფის კანონს ვინ დაარღვევს, რა ჭკუაში მოსატანია, — ამოიღრუტუნა ისიხმა.

— ოვით ხელმწიფევე არღვევს და ახალს ადგენს დროს მინავგარად, — უთხრა პროკლემ მტკიცის ხმითა. — მე სულ ერთი წელიწადია, რაც სასწავლებლიდან ჩამოველ, რუსეთიდან; იქ უურნალ-გაზეთები იბრძვის, ქვეყანას აქცევენ, — როზგი ნუ იქმნებაო.

— ჰეჰე! ბა, ბა, ბაპ!! ე რა ამბავი ყოფილა და! — გაიოცა ყველამ.

— მაშ ახლა რა ვქნათ? — სთქვა ზედამხედველმა.

— რა ვქნათ და, როგორც მე ვთქვი, ისე: კარგად დავტყიპოთ ტიტველ ხორცზე და ის იქმნება... ახლა ქუდები მაკერვინეთ და კლას-კლას მატარებინეთ, — ამოით შეინა ისიხმა, — პატრონები კიდევაც დაგვემაღრიელებიან.

— რას ამბობ, კაცო, სულ გენდურებიან, ჩემმა მზემ, პატრონები: იმიტომ არა სწავლობინ, რომ არა სცემთო, შიში არა აქვთო, — დაიწყო ყეყეჩამ.

— მართალია, — დაურთო ქიშმიშამ.

— სწორედ, სწორედ, — დაპკრეს კვერი ზედიმხედველმა და ინსპექტორმა.

— ჯანაბაძისაც გზა გაქვთ, რაც გინდათ, ის ჰეჰენით, — სთქვა წყენით პროკლემ და ქუდს ხელი დაავლო წასასვლელად.

— ბატონო, შენი ჭირიმე, ის შეგირდები გაპარულან, — მოუტანა ამბავი თეღომ და თან დალალულობისგან ოფლი იწურავდა, — სწორედ გაპარულან.

— გაპარულან?! — შეჰყვირეს ყველამ.

— წალით და ახლა ირიკავეთ, — სთქვა პროკლემ და ნიშნის მოგებით გამოვიდა ოთახიდან.

## გაფაჩაღებული შეგირდები

ენკენისთვის მიწურულებია; ჰაერში სიგრილე დატრიალდა; შზის სხივებს წაერთვა თვისი მწევი ძალა; აქამდის რომ ჩრდილში იბრუნებდა სულსა სიცხისაგან დახრუკული მინდვრის მუშა, ახლა სიამოვნებით უშვერს მზეს ზურგს, რომ სითბომ შეატანოს ბეჭებში და სიამოვნების ურუანტელი გაუტაროს მთელს სხეულში; ვენახში ყურძენი დამკრახულა, ლუის წითელ-ყვითლად და იტყუებს ბაეშვებს საჭმელად, ფრინვლებს საკენკად და ძალლებს სასვლეპად. სოფელ არაშენდის ბოლოში, ვენახებსა და ჰატარა ჭალის შუა, საქარავნო გზის მახლობლად, ესეორ-სამ აღაბზე, მშეენიერი კამკამი წყარო გამოჩხრიალებდა ბეჭობიდან, რომელიც შემოსილი იყო კუნლის, კვრინჩხის და ზედ-გადაფარებულ შექსოვილ ასკილის ბარდებით; გამვლელ-გამომვლელი არ ასცდებოდა ამ წყაროს, შარა გზიდან ამ წყაროსაკენ ცალ-ბილიკი მისდევდა, გადიოდა შორს, ვენახების თავზე, და მერე უერთდებოდა შარა-გზას. დილა ადრიან ერთი ვენახიდან გადმოვიდნენ რამოდენიმე ახალიგაზრდა ბიჭები, მოვიდნენ ამ წყაროსან, ხარბად დაეწაფნენ, მოიბანეს პირი და იქვე მშეენიერს შემოდგომის ახლად ამობიბინებულს კორდზე დაიწყეს გორაობა.

— ნპე, ისე გამოვიყეყე იმ ბუდეშურითა, რომ ხვალაც აღარა მინდა-რა,—სთქვა ერთმა მათგანმა.

— ყველაფერი ბევრი იყო, ღმერთმა ააშენოს მაგ ვენახის ჰატრონი.

— ვოპი, ი რჯულ ძალლის შეილს რა ნაირ მოუშლაგნია და მიუნგრ-მოუნგრევია აქაურობა; ვაი, დედას დაველიე, რომ ვერ შეგხვდი, ერთი კარგი გამესახრნე, მაგრამ რას მოვუმატებელა,—ჩიოდა ვენახის ჰატრონი, იგინებოდა უშვერის

ლექსითა და თან ლობეზე ჰკიდებდა ფეხისაგან მოგლეჯილს და მობურდოებულს კიტრისა და ნესვის ძირებსა. კაცმა წლის მოსავალი უკლებლივ როგორ არ უნდა შეიტანოს თავის ოხერს ოჯახში; პირუტყვი რა გავამტყუნო, რომ აღამიანი უარესსა შერება... ვოჰი, ვოჰი, დახე, რა უქნიათ ამ ბუღუშურებისათვის და! სულ ერთიან არ ჩამოუჭამიათ! — და ისეთ-ისეთი შეიგინა, რომ ყურებში თითს დაიცობდა კაცი, რომ არ გაეგონა.

— არიქა, ბიჭებო, თავს ვუშველოთ, თორემ სოფელს თავს დაგვახვევს ე ვენახის პატრონი, — სთქვა ერთმა წყაროს-თან წამოწოლილთაგანმა და წამოჯდა.

— სუ, გაკმინდე ჩმა, არა შეამჩნევინო-რა, თორემ ისეთ წიხლს დაგაზელ, რომ ნაჭყაპურტები გამოგედინოს, — უთხრა ამხანაგმა და თვალები გადაუბრიალა კბილების კრაჭუნით და მუშტის მოღერებით.

— აქ მოეიდეს, ვიღაც არის, გაბედოს რამე და ისე გავაწნავ ე წყაროს პირს, რომ იმისი ბეჭები ზედ დაიბეჭდოს.

— ე რომელი ლაპარაკობ ემანდა, ჰა? — გადმოჰყო თავი ლობიდან ვენახის პატრონმა და გადმოჰყოპარაკა წყაროსთან, მყოფთა.

— რომელი გინდა? — შეეპასუხნენ.

— რომელი თქვენა და თქვენ თავსა, უთუოდ თქვენ თუ იყავით ვენახში, რომ ასე ამოგიგდიათ და მიგიშლიგ-მოგიშლეგნდათ. არა, თქვენში ღმერთი არ არის?

— ეე, პირჯვარი დაიწერე, არა მოგეფეოოს-რა. რას ამბობჩ კაცო, ჰქუაზე მოდი და! რაო, გზად აღარავის გაატარებ?

— აქ გზას რა უნდა, აი შარა-გზა ზემოდ არის.

— წყლის დალევასა და დასვენებას გვაშლი.

ვენახის პატრონი გლეხი გადმოვიდა წყაროსთან, აათვალიერ-ჩათვალიერა და ნახა, რომ ფეხები, შარვლები მოტურ-ტლური აქვთ ნამიანის ბალახით, ტალახით, ძურწა ბალახის თავთავები აკრავთ ზედა.

— თქვენ ეი! თავი არ მამიკვდება, მიზღვით ე ზარალი, თორემ მთელს სოფელს თავზე დაგახვევთ. თქვენ, როგორც გატყობთ, ბაზრის ბიჭები ხართ,— და გლეხმა დაუტურტურა იფინს სახრე.

სახრის მოღერება იყო და ორი შეღერებული ბიჭი მა-შინვე ელდასავით გაჩნდნენ გლეხის წინ და დაუჭირეს სახრე; შეექნათ კინ კლაობა, მიწევ-მოწევა; ერთმა მათგანმა უშვა სახრეს ხელი და ისეთი შემოჰკრა გლეხს ცხვირში, რომ თვალიდან ნაპერ-წკლები წამოუვიდა; ცხვირმა წვა დაუწყო და ცრემლმა და მწვავე ნაპერწკალმა გაურბინა ცხვირის სახსრებში; ეს არ აქმარეს, ეცა მეორე ჩოხის საყელოში, დაუპრწიალდა, მოიგდო და ფეხები ზედ წყაროს გეჯაზე დაარტყმევინა; გლეხმა ახლა კი გააბა ყვი-რილი და შველას თხოულობდა. ბიჭებმა იკადრეს ვაქცევა და ერთწამზე ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწაშ უყო პირი, გლეხმა ეე-ლარა გაიგორა; გაბუცებული აღგა, წავიდა სოფელში და გა-ოცებით უამბობდა სოფელს ამ უცნაურსა და მოულოდნელს შემთხვევეს.

ეს წყაროზე მყოფნი იყვნენ ჩვენგან უკვე ცნობილნი — ყვინჩილა და თხის-ტვინა თავის ამხანაგებით; ამხანაგებში ერივ-ნენ თხუნელა, ოროსპოლლი და ორიც პატარაები; დაატყვეს-რა, რომ მათ კეთილი არ მოელით სასწავლებელში იმ საქციე-ლის გამო, რომელიც იმათ მოუწდათ სადილთ უკან კლასში, როდესაც თხის-ტვინამ შეცდომით გაშხლართა პირველი კლა-სის მასწავლებელი, დასკვნეს, გაპარულიყვნენ; როზეს ქვეშ სიკვდილს გაპარვა არჩიეს. საზოგადოდ ძევლის ღრმაში, როდე-საც ულმერთოდ როზგაედნენ შეგირდებსა და პირუტყვულად ექ-ცეოდნენ, გაპარვა მოდასავით იყო. ოროლი-სამსამი კვირა, ზო-გი თვეობითაც, გადავარდნილი იყო და პატრონებმა არ იცო-დნენ, სად იყენენ მათი შვილები. ყვინჩილაშ და თხის-ტვინაშ ყაჩაღების სახელები დაირქვეს; ყვინჩილას დამბახა ერჭო წელ-ში და წელზე უშველებელი ხანჯალი ეკიდა; საცვეთებში ბე-ბუთი ჰქონდა, თხის-ტვინას მარტო ხანჯალი ეკრა, დანარჩე-ნები ისე სალტად იყვნენ; პატარეებს გზავნიდნენ სოფელში

პურის სათხოვნელად; ესენი თავს აბრალებდნენ: — შეგირდები ვართ, სოფელში მივდივართ და პური შემოგვკალდაო, ზოგჯა მოიგონა, რომ მამა გამხდომია ავად, სანახავად წამოვედი და ცოტა პური შაჭამეთო; გულ-უხვ სოფლელებს გამოჰქონდათ ვეებერთელა თონის პურები და აძლევდნენ ვითომ-და გაჭირ-ვებულებს.

— ამაღამ უნდა სერში მივიდეთ, — სოქვა ყვინჩილამ, — იქ კარგი ვენახებია; გადავძვრეთ სადმე და ყურძნით ვივახ-შმოთ.

— არა, ბიჭო, სერაში ნუ წავალო, თორებ იქ გვიცნობენ და მაშინვე დაგვიჭერენ, — უთხრა ერთმა; იქ ნათლია-ჩემი სცხოვრობს, ის შაქროს მამაი, და თუ შეიტყო, მაშინვე დაგვიჭერენ და რაც სკოლაში დაგვაკლდა, იქ შეგვისრულებენ.

— არა, ამაღამ თავი მაინც იქ უნდა შევაფაროთ, ტყუილია ლაპარაკი... აბა მოგვყევით.

პატარა შეგირდები, ესე თორმეტ-ცამეტი წლისა, გაჲყვნენ თავიანთ ბელადებსა. ყვინჩილა და თხის-ტვინა სწორედ ყაჩალებსა ჰგრანდნენ, მათი ხელობაც დაიწყეს და ვისაც შეხვდებოდნენ გზაში, სალამის მაგივრად აურ-ზაურს დაუწყებდნენ ხოლმე; კარგა მანძილი გამოიარეს წყაროდან. გამოვიდნენ დიდს ტრიალს მინდორზე, შემოდგომის გუთანი გაბმული იყო ყველგან და ხნავდნენ. პატარა ყაჩალებმა დაისვენეს ერთს ოლეს ქვეშ, რომელიც სოფლის გზის პირას იყო.. ოლეს გარშემო გაკორდებული ადგილი იყო, ეტყობოდა არე-მარეს, რომ აქ წყალი უნდა მდგარიყო, ნოტიო იყო იქაობაზე, იქა-აქ ლელი იდგა და ხარ-კამეჩების ნაწოლი. ცოტა ხანს მილულეს თვალი, რომ გამოეღვიძათ, სამხრობა მოტანებული იყო, გუთნის ხარი გამოეშვათ და ლლის მეხრეებს გუთნეული წყალზე მიუდიოდათ. ყაჩალებს მოშივდათ; სოფელი შორს იყო, პატარები გაურჩდნენ; არ წავიდნენ პურის სათხოვნელად. ამ დროს მათს ბედზე გამოჩნდა ხურჯინ აკიდებული კაცი, მას ხელში ეჭირა

დიდი ქოთანი; რომელსაც პირზე სარქველად პური ჰქონდა ჩაჭედილი, რომ შეჭამადი არ დაჭცეულიყო.

— ბიჭო, თხის-ტკინ! აბა მარჯვეთ იყავით; ამ კაცს უსა-  
თუოდ გუთნის ჯერი მოაქვს, ადექით, ღმერთმა სადილი გა-  
მოვიგზავნა.

მართლა გამოდგა, რომ გუთნის სამხარი მოჰქონდა. სოფ-  
ლიდან ბიჭა, იკი შეღერებული და მხარ-ბეჭიანი თექვსმეტ-  
ჩვილმეტის წლის გლეხი იყო, მარჯვედ მოდიოდა, ჩეარის ნა-  
ბიჯით, ზურგზე ნამცხვარი ეკიდა, ერთს ხურჯინის თვალში  
ვაზის ფოთლით დაკობილი სალეინე ედგა, მარჯვენა ხელში-  
დიდი გუთნის საჯერი ქოთანი ეკავა და ილლიაში სახრე ჰქონ-  
და ამოჩლიავებული; დაუპირდაპირდა თუ არა ოლესთან მსხდარ  
მგზავრებს, თავაზიანად უთხრა:

— გამარჯობათ, ძმობილებო!

— გაგიმარჯოს! საით მიეშურები, ნათლია შვილო! — უთხრა  
ყვინჩილამ და გადაუჭრა გზა; თხის-ტკინამ ხურჯინს ჩხრეკა და-  
უწყო; პატარა ყაჩალებიც მისცვივდნენ და მთლად გარს შემო-  
ეცვივნენ გლეხის ბიჭს.

— რას შვრებით, კაცო!... თუ გშიანთ, აი წამოდით გუ-  
თანთან და რაც ღმერთს მოუკია, ყველაშ ერთადა ვჭამოთ,  
სტუმარი ღვთისაა.

— ჩამოიხადე ე ხურჯინი, თორემ შიგ კბილებში მოგჭრი  
თავსა, — შემოუტია ყვინჩილამ და იძრო ხანჯალი.

გლეხის ბიჭი გულადი გამოდგა, მზეზე შეპრიალებულის  
ხანჯლისა არ შეეშინდა, ხურჯინი დასდო ფრთხილად მიწაზე  
და გაასწორა, რომ შიგ მდგარი სალეინე არ დაჭცეულიყო,  
ქოთანიც გვერდზე მიდგა, თვითონ განზე გადგა და მოიმარჯეა  
მოქნილი ითნის სახრე; პატარა ბიჭები მიესივნენ, თითო სახრე  
უჭირა ყველას გაზებში და ხელების სმით შემოეფანტნენ პა-  
ტარები.

— შენ იცი, ვინა ვართ? — შესჭყივლა ყვინჩილამ; — მე ფი-  
ლო ვარ და ეს გიგუა.

— კიდეც გეტუობათ ვაჟ-კაცობაზე... თქვენისთანა ფილუ-ანი და გიგუასი სულაც არ მეშინიან... სათითაოდ მოდიო, თუ კაი ყაჩალები ხართ და გაჩვენებო სეირს.

ყვინჩილა და თხის-ტვინა წამოუხტნენ და აქეთ-იქიდან მო-უარეს, ბიჭმა სახრით იგერა, რამდენიც კი შეეძლო, მაგრამ ბოლოს იძლია; წაართვეს სამხარი და მიუსხდნენ ოლის ქვეშ სუფრას. ბიჭმა შორიდან ბელტების და გოროხების სროლა-ლაუწყო, რომ სხვაფრივ ვეღარას გახდა.

— იპ, იპ! რა ერბო-კვერცხიანი ლობიოა!!... ბიჭო, რო-მელი პატარძლის გაკეთებულია? — დაეკითხა ყვინჩილა... — ხმა ამოიღე და!... ეს ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი დახვედრა და შე-ნი მასპინძლობა!... — ყვინჩილამ მოიყუდა საღვინე, როცელშიაც მოძმარებული ლეინო აღმოჩნდა, დაიღრიჯა და საჩქაროდ მო-ისნა პირიდან.

— შენი სახელი, ბიჭო? — ჰკითხა თხის-ტვინაშ.

— რად გინდათ სახელი?... ახ, ნეტავი ერთი თქვენი ჯავ-რი არ შემაჭამა და!....

— ნუ ჯავრობ!... მოდი ერთი დავმოყვრდეთ, ძამიავ, — უთ-ხრა ყვინჩილამ. — და არა გყავს?... რა თავს აქნევ კოდალისა-ვით, მამა გიცხონდა, ლერ-ბიჭად დამიწუნებ აი!... ასეთს ოქ-როს ქოჩრიან ბიჭს მივაგებებ წლის თავზე, რომ თამამი ბატ-კანივით ხტოდეს.

სამხარმა რომ დაუგვიანა იმ გუთანს, რომელთანაც ამ და-ტუვევებულს ბიჭს მიჰქონდა ჯერი, ღამის მეხრეები სახრეებით წამოვიდნენ სოფლისაკენ; ბიჭმა შენიშნა ეს და მისმა გულმა სიხარულით ფუნდრუკი შეჰქმნა; გუთნის დედასაც გული არ დაუდგა გუთანთან, გულმა გაუგო, რომ რაღაც უბედურობა იყო ბიჭის თავს გზაზე, ან სოფელში, თორემ ამდენ ხანს, რა-ტომ არ მოდისო; აიღო ჩეკი და ისიც ნელ-ნელა გამოემართა სოფლისაკენ. მინამ ის მოვიდოდა, სამს ახალგაზდა გლეხს და ყაჩალებს ბრძოლა შეექმნათ. ორთავ მხრივ ყაჩალად იყვნენ; ჯერ ხელდახელი ბრძოლა ჰქონდათ; ყვინჩილამ თავისი მუშტი ვერ გამოიყენა; რამდენიც დაპირა შემოკერა, იმდენი ისეთი სახ-

რე გადაჰკრეს, რომ სულ ცერცვივით ახტუნავეს; ისევ თხის-ტვინამ უფრო ივარგა; ვისაც კი ხელი მოჰკიდა, წაუქცეველი არ გაუშვა, თუმცა კი იმასაც ორჯელ ძალზე აკერევინა მუხ-ლი ერთმა ღამის მეხრემ, პატარა ყაჩალები კი მარტო ფაფხუ-რობდნენ და ლობიოთი კუჭ-ამოყორილებს აღარ ახსოვდათ დიდი იმხანაგები. მუშტით რომ ვერა გააწყო-რა ყვინჩილამ, დამბახას და სხვა იარაღს მიჰმართა ხელი.

— გაბრუნდი, თორემ გესვრით,—იყვირა ყვინჩილამ და რო-გორც დაუმიზნა სასროლად, ამ დროს უკანიდან გუთნის-დე-დამ დაჰკრა კისერსა და კეფას შუა მძლავრად ჩეკი და ყვინჩილა ყირას გადატარა. თხის-ტვინა სახტად დარჩა, ამოილო თავისი უანგიანი ხანჯალი და ზედ მოსეულს მტერს იგერებდა; პატარა ყაჩალები შიშის ზარმა აიტანა. ყვინჩილა მალე წამოხტა, სისხ-ლი თქრიალით გადმოსდიოდა, იკრა ბებუთს ხელთ და იშვევ-და კიდევ საბრძოლად.

ყაჩალები დამარცხდნენ; ყვინჩილა და თხის-ტვინა დაჭე-რას გადარჩნენ გაქცევით; პატარა ყაჩალები კი გაბაწრეს და სულ ყურების წევით წაიყვანეს გუთნისაკენ. გამოკითხვის შეშ-დეგ პატარეები მეზობელი მღვდლის შვილები აღმოჩნდნენ; გუთნის დედამ პატრონებს ჩააბარა ისინი. ყვინჩილა და თხის-ტვი-ნაც დამორჩილდნენ ბედს, იყიალეს, იყიალეს მშიერ-მწყურვა-ლებმა და ბოლოს თავ-დახრილნი მიადგნენ სასწავლებლის კარს, საღაც, რასაკვირველია, მათვის პირზე არავის უკოცნია.

### viii

#### ბურნუთის კადოფი

მესამე კლასს ორი მასწავლებელი ჰყავდა და მეოთხესაც იგრეთვე ორი, მეორიდან ყვინჩილამ მესამე კლასში ველარ უწია: იგი გაპარვისა და ავაზაკობისთვის სრულიად გამორიცხეს და ძმამ გაგზავნა მონასტერში მედავითნეობის შესასწავლად. და-ნარჩენს „ყაჩალებს“ როზგი დაჰკრეს. თუმცა მეორიდან მესა-

მეში გადაიყვანეს, მაგრამ მასწავლებლებს დავალებული ჰქონდათ სასტიკი ყურადღება მიეპყროთ მათთვის და პირველსავე შემთხვევაში გამოეპანლურებინათ, მაგრამ დრო-ეამბა გუნება შეუცვალა. მასწავლებლებს; მსუქან-მსუქანმა ძლვნებმა თვმლები აუბეს ყველას და დაივიწყეს ყვინჩილას ამხანავებისაგან ჩანა-დენი საქციელი.

შესამე კლასის მასწავლებლებს ერთს შეგირდები ეძახდნენ ბურნუთის ქოლოფსა, მეორეს პორასა. ამათში ბურნუთის კოლოფი მეტად შესანიშნავი იყო ყევლასფრით, ბორას კი იმ დროს აგრე რიგად არა ჰქონდა სახელი განთქმული. იგი მშვი-დობიანი კაცი იყო, თავისთვის მიყუდროებული ცხოვრობდა და არვის საქმეში არ ერეოდა.

ბურნუთის კოლოფის ნათლობის სახელი გახლდათ ბართლომე; იგი კარგის და ძველად განთქმულის გვარის ჩამოშავალი იყო; წინაპარი მისი რალაც დანაშაულობისათვის გამოეძევებინათ დასავლეთ საქართველოდან და თავი შეეფარებინა ქართლისათვის; თუმცა თავადობა დაპკარგა, მაგრამ ძველი გვარი კი შეირჩინა. ბართლომე იმ ეამად, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, მღვდელი გახლდათ, ბართლომე იგივე ბურნუთის კოლოფი, იყო დაბალის ტანისა, ჯმუხი; მსხვილ-ძვლიანის აგებულობისა; შავი თმა-წვერი უმშვენებდა თეთრს, სპეტაკს და ეშხით სავსე სახის გამომეტყველებას; ამ სახის ეშხს აორკეცებდა მისი მუდამ მოციმუიმე ფვალები, მოლიმარი ტუჩები და მრგვალი და ფართო შუბლი, რომელზედაც თითქო მადლი ლეთისა იყო გადონსული, ისე ოტაცებდა და ჰეიბლავდა ადამიანს; მამა ბართლომეს მრევლი ჰყავდა თვით სამატრაბაზოში და სასწავლებელშიც გაკვეთილები ჰქონდა; იმ დროს შესაფერად რუსულს მშვენივრად და მკაფიოდ ლაპარაკობდა; საზოგადოდ ბაასი და გარდაცემა საუცხოვო ჰქონდა; მისი წირვა-ლოცვი-სათვის ყველა გაგიუებული იყო; ანდერძს და სახარებას ხომ მისთანად ვერავინ წაიკითხავდა; როდესაც კი მამა ბართლომე ანდერძს უკითხავდა მიცვალებულს, ეკკლესია ამსებიო აიმსე-ბოდა ხოლმე მისის ანდერძის მოსასმენად; კითხულობდა მალ-

ლა, გარკვევით და ისეთის კილოს მიმოქცევით, თითქო დიდი და გამოჩენილი არტისტი სცენიდან დიდებულს ლექს ამბობს ან დიდებულის შექსპირის ტრაგიულს მონოლოგს გეუბნებაო; უნდა ძრიელ მაგარი გულის ადამიანი ყოფილიყოს, რომ მამა ბართლომეს ანდერძის კითხვას იგი არ შეეჩიოს, გულში არ ჩასწლომოდეს და სატირლად გული არ აეტოკებინოს; ძნელად დაუმაგრდებოდა მის მშვენიერს კითხვას, მის მშვენიერს და საუცხოვო გალობასა თვით ურწმუნოც კი; პხედავთ მლოცველს; ბართლომესაგან გულაჩუყებულს და ამჩილებელს, ჩამოსდიოდა უხმოდ ღაწვებზე ცრემლი ისე, თითქო თვითონაც არ ჰგავს ამ ცრემლს, ისე იყო გატაცებული დიდებულის კითხვითა. დიდ-ხუთშაბათს საღამოთი, როდესაც თორმეტი თავი სახარების კითხვაა ხოლმე, მთელი ქალაქის ხალხი განურჩევლად ხალხოსნობისა და სარწმუნოებისა მიღიოდა საკრებულო ტაძარში, სადაც იმ ღამეს უსათუოდ მამა ბართლომე კითხულობდა სახარებასა. დიდი ტაძარი და მისი ფართო ეზო ისე გაიცხებოდა ხოლმე მსმენელებითა, რომ ნემსის კუნწიც კი ვერ ჩატეოდა; მთელი ეს ამოდენა ხალხი სმენად იყო გადაქცეული, მღუმარებას არღვევდა მხოლოდ ყრუ ქვითინი სახარების მსმენელთა და ძახილი: „დაილოცოს, ღმერთო, შენი სახელი!“ მამა ბართლომე უფრო ძლიერი იყო მაშინ, როდესაც იგი ღალადით, გალობისა და შიგ ჩართულის ნაღვლიანის კილოთი წაიკითხავდა შემდეგს გულ-საკლავს ადგილებს სახარებისასა: „ხოლო იყო ვინმე ბარაბა მეშფოთეთა თანა კრული, რომელთა შფოთსა შინა კაცი ეკლა; და ღალად-ჰყო ერმან მან გამოთხოვად მისა, ვითარცა იგი მიჰმადლოს მათ მარადის. ხოლო ჰილატე მიუგო და ჰრექვა მათ: ვნებავსა, რათა მიგიტეო თქვენ მეუფე ურიათა?.... ხოლო მღვდელმთავართა მათ აღჰსძრეს ერი იგი, რათა ბარაბა მიუტევოს მათ; ხოლო ჰილატე მერმეცა მიუგო და ჰრექვა მათ: და რა უკვე გნებავს ყოფად, რომელსაც ეს იტყით მეუფედ ურიათად? ხოლო მათ კვალად ღალად-ჰყვეს და ჰრექვეს: ჯვარს აცვ ეგე“. ანუ: „და ვითარცა იყო ემი მეექვსე, ბნელი იყო ყოველსა ქვეყანასა, ვიდრე მეცხრედ

უამამდე; და მეცხრესა უამსა ხმა ჰყო იქსო ხმითა დიდითა და ჰსოფეა: ელოი, ელოი! ლამა საბაქთანი? რომელ არს თარგმანებით: ღმერთო, ღმერთო ჩემთ! რისათვის დამიტევო მე? და რომელთამე წინაშე მდგომელთა ესმა და იტყოდეს: აპა ილიასა ჰხადის, და მიჰრბიოდა ერთი და ალავსო ღრუბელი ძმრითა, და დაადგა ლელწამსა და ასვმიდა, და იტყოდა: უტევეთ, ვიხილოთ, უკეთუ მოვიდეს ილია გარდამოხსნად მაგისა. ხოლო იქსო ხმა ჰყო ხმითა დიდითა და განუტევა სული“. ამ დროს მთელს ტაძარში და მის გარშემო ეზოში გაისმოდა ერთიანი ქვითინი და წყევლა-კრულვა მაცხოვრის მტანჯველთა მიმართ.

სასწავლებელში მამა ბართლომე შეგირდებს ძლიერ უყვარდათ იმიტომ, რომ როზგი აგრე რიგად არა ხმარობდა; როცა კი იხმარდა, მაშინაც ისე გაროზგავდა, რომ შეგირდი თითქო მადლიერი რჩებოდა: დაუწყებდა ცემის დროს ოხუნჯობას, დაცინვას და ამასობაში გამოაპარებდა დროს. მამა ბართლომეს ცემის იარალი იყო მისი ვერცხლის დიდი ბურნუთის კოლოფი; კოლოფი განუყრელად ეჭირა ხელში, იყრიდა მუდამ ცხვირში სუნოვანს ბურნუთსა და ცქეიტად და მარდად დადიოდა ბავშვების სასდომების წინ; შეეშლებოდა თუ არა შეგირდს, მაშინვე ბურნუთის კოლოფს ჩაუთავაზებდა თავში ისე მაგრად, რომ სულ წვით გაუვლიდა შეგირდს მთელს ტანში.

— რას ტირი, შე ყურუმსაღო! — ეტყოდა იგი შეგირდს; — ჩემს კოლოფს გვერდი შეეჭყლიტა და შენს თავს კი არა დაშავებია-რა; მაგ ფინთ თავში მოკრუხებულს ცხოველებს გიხო-ცავ და მაღრიელიც არ უნდა იყო?

მამა ბართლომე ასწავლიდა რუსულს და ქართულს ლრა-მატიკას; რუსულის სახელმძღვანელოდ იყო დაუვიწყარი გრე-ჩის გრამატიკა, ქართულისა — პლატონ იოსელიანისა. რასაკვირველია, მამა ბართლომეც ძველის წესის „აქედან აქნობამდი-სინ“-ის მიმდევარი პედაგოგი გახლდათ. ბურნუთის კოლოფის გარდა როზგის მაგიერობას უწევდა მამა ბართლომეს ეგრედ წო-დებული „შაქროს ქამარი“. შაქროს, ჩვენგან ცნობილს ისიდო-რე გეგელაშვილის შვილს, უცნაური პრტყელი ქამარი ერტყა.

როდესაც შეგირდმა გაკვეთილი არ იცოდა, ბართლომე მაშინ-  
ვე დაიძახებდა:

— შაქროს ქამარი!.... გამოიშეირე ხელი!....

ერთხელ რუსულის გრამატიკის გაკვეთილი არ იცოდნენ; გაკვეთილად ჰქონდათ ბრუნვები სახელი არსებითისა და ზედ-შესრული სახელისა ერთად; განსაკუთრებით გაჭირვებას შეა-დგენდა მდედრობითის სქესის სიტყვების ბრუნვები; შეგირდებ-მა გააბრიყვეს შაქრო და ქამარი არ მოატანინეს იმ დღესა. როგორც ვთქვით, თუმცა შეგირდებს არ როზგავდა მამა ბარ-თლობე, მაგრამ ბურნუთის კოლოფს ისევ როზგი ერჩივნათ ზოგიერთებს, რადგან როზგს-ისე შეჩვეულნი იყვნენ, რომ ვერც კი ჰერძნობდნენ. ბართლომეს შემოდებული ჰქონდა: ვისაც უფროსი შეგირდი, „სტარშოიდ“ წოდებული, აშ-ს (ეშლება) დაუწერდა, ყველანი ფეხზე უნდა მდგარიყვნენ, მასწავლებელმა იცოდა, ვინ არ იყო მომზადებული და მაშინათვე ბურნუთის კო-ლოფით ჩამოუვლიდა, ან „შაქროს ქამრით“ დაშოლტავდა. ზე-მოდ დასახელებულის გაკვეთილის დროს ყველანი ფეხზე იდგ-ნენ ორი „სტარშოის“ მეტი, რომელნიც მუდამ გადარჩენილნი იყვნენ მასწავლებლის განრისხებასა და მარტო ორნი ბაიუშე-ბივით ისხდნენ.

— ბიჭებო, დღეს შუადღისას, სწორედ ბურნუთის კო-ლოფის გაკვეთილის დროს, აი მარშლის სახლის წინ ხიზა-ბავრელსა სჭიდებენ ზუკა ზაალიშვილსა,\*)—წამოიყვირა თხუნე-ლამ.

— არა, ზუკას კი არა, ჩიტოსა სჭიდებენ თურმე, — გაუს-წორა მეორემ.

— ასეა, თუ ისე, დღეს ჩვენ თავი უნდა დავისსნათ ამ გა-კვეთილისაგან. ბურნუთის კოლოფს სულის ცხონებასავით უყ-ვარს ჭიდაობა; ხალხი დაიწყებს თუ არა დენას ამ ჩვენი ფან-ჯრების წინ, მე დავიძახებ: არიქა, ხიზაბავრელი მოპყავთ-მეთ-

\* ) ზუკაც მძლავრი მოჭიდავე იყო შემდეგ ხიზიბავრელისა და ჩი-ტო კალატოზიშვილისა.

ქი, თქვენ ყველამ იხუვლეთ და ფანჯარას ეცით; ბურნუთის კოლოფი თქვენზე წინ ეცემა ფანჯრებსა.... ბიჭი, ეი, თხის-ტეინაე! მოდი ერთი შენ დაეჭიდე იმ ხიზაბავრელსა!...

— მამა უცხონდა მაგასა, ერთ ლუკმად არ გაუხდება, ისე გაისვრის, როგორც პანტასა.

— ერთი მეც მაგოღნობისას მიყურე, თუ ხიზაბავრელი არ ვიყო .. რა, დედის მუცლიდან არც მაგას დაჰყოლია ჭიდაობა... — სთქვა ამაყად თხის-ტეინამ.

— ძალიან თავი გამოიდე, შენმა მჩემა.... არ გახსოვს ი ოლესთან რომ კანჭები აგიშვა გლეხის ბიჭა...

— მერე რა წაილო?! ვერ დავაგვევინე იქაობა.

— წალი იქითა! — მიეხახუნა თხუნელა და პანლური დაუპირა. თხის-ტეინა მოუტრიალდა, წავლო ხელი და შიგ პარტებში. თაედაყირა გადააგდო თხუნელა. შეგირდებმა შეჰქნეს ლიულიში, ყვირილი და ვაშას ძახილი:

— ყოჩალ, ჩვენო ხიზაბავრელო, ყოჩალ!...

სწორედ ამ ყეირილის დროს შემოვიდა მამა ბართლომე გაკვეთილზე და თხის-ტეინას და თხუნელას მოასწრო გიუბაზე. შეგირდები დაწყნარდნენ; ლოცვის წაკითხვის შემდეგ, მოიხედა „ბურნუთის კოლოფი“ შეგირდებისაკენ და მხოლოდ ორი დაინახა მჯდომარედ.

— აა, მომილოცნია! გაკვეთილი არ იკით და კიდევაც გიუბათ, ყვირით? ისეთი მრვერი დაგიყენებიათ, რომ კაცი კაცს ვეღარ არჩევს... შაქროს ქამარი! — იყო ხმა ბურნუთის კოლოფისა.

შაქრო მდუმარებდა.

— შაქროს ქამარი-მეთქი! და ასეთი ჩაუთავაზა შაქროს კოლოფი, რომ სულ ზრიალით და წვით გაუარა თავში სიმწვავემ და რამდენჯერმე მოიფხანა ნატკენი აფგილი. შაქრო გაშეშდა; შეიქმნა მსხვერპლი მთელის კლასისა. მაშ როზგი!... დაწექ, დაწექ!... სტარშოი, დაჰყარი მაგას ოცდა-ხუთი როზგი, რომ კვლავ აღარ დაივიწყოს ქამრის მოტანა... აბა ერთი თქვენ

გაკვეთილი რატომ არ იცით? — მიუბრუნდა თხის-ტვინას და თხუნელას.... — რა გაქვთ დღესა?....

— დობრი პასტირის (კეთილი მწყემსი) დაბრუნებაი, სინეე მორესი და დობრაია ნიანიასი, — მიუვო სტარშოიმ.

— აბა, ჰო, დააბრუნეთ ერთად. — მაგრამ შეგირდები სწორედ ქვად იქცნენ, ხმა ვერავინ ამოილო.... — ქართულად რალა გაქვთ?

— უდვლილებანი, — უთხრეს სტარშოებმა.

— აბა, დააუდვლილეთ სიტყვა გაჟო. — კლასში მდუმარება ჩამოვარდა; ბავშეებმა ერთმანერთს ხელი წაჰკრეს, ჩუმად ჩაეკითხნენ, თუ რა უნდა ექმნათ.... — რომელი სიტყვის ნაწილია გიჟი?.... ჰა, კრინტი, ხმა, არ გავიგონო სწავლება, თაორემ ამ ბურნუთის კოლოფით თაეს გავუხერეტ.

— გიჟი გახლაეს ზმნა, — დაიწყო თხუნელამ.

— ჰა, რა არის? — შეუტია მასწავლებელმა და უთავაზა კოლოფი; — ვრნ იტყვის?

კლასში მდუმარება ჩამოვარდა.

— ჰაი, თქვე უგუნურებო, თქვენა! — ზედ-შესრული სახელია და შემწეობით ზმნასთან უნდა დაუდვლილდეს — აი ასე: მე გიჟი ვარ და სხვანი. აბა ჰო, შენ ეი, პოხროს რომ გევხარ, აბა ჰა, დააუდვლილე.

— სახელობითი — მე გიჟი ვარ, — დაიწყო პოხრომ.

— ჰაი, ყოჩალ, ყოჩალ! სახელობითიო!?. . . ყოჩალ!... რად დაგიყენებიათ ეს ფეხზე, ასე კარგად რომ იცის, — მიუბრუნდა და მწარის ლიმილით უთხრა „სტარშოის“.

— ნათესაობითი, შენ გიჟი ხარ, — სთქვა უგუნურმა პოხრომ მასწავლებლის დაცინვით წაქეზებულმა და მიაშტერდა თვალებში.

— გიჟიცა ხარ და რეტიანიცა; არა, შე ძალლის წიწილო! ზმნას ბრუნვები აქვს? ჰაა? — გაუწ-გამოუწია თმა და ისე ლონივრად ჩარტყა კოლოფი, რომ ბურნუთი გადმოიპნა; პოხროს ლაპა-ლუპით გადმოსცვინდა ცრემლები.... — აბა, ისე შემომხედვე, რომ არ გაიცინო, — უთხრა მამა ბართლომემ პოხროს; — პოხროს

უნებლიერ სიცილი შესკდა; მე როდი მეცინება, ე ბურნუთი რომ დამიპნიე, უნდა შენი კისრიდან ამოვილო. — მთელმა კლას-მა ფხუკუნი მოაყოლა. — ჰა, ჩუმალ, აბა ახლა შენ, — მიუბრუნდა პოხროს გვერდზე მჯდომს. ყველა ცახცახმა აიტანა, ყველას თმის გლეჯა და ბურნუთის კოლოფი მოელოდა. ამ დროს თხუნელამ შეამჩნია ქუჩაზე ხალხი, მოისმა საჭიდაო ზურნის ხმა.

— ხიზაბარელი მიჰყავთ, ბატონო, ხიზაბარელი საჭიდაოდა.

ხიზაბარელის ხსენებაზე მთელი კლასი შეშფოთდა; ბურნუთის კოლოფმა წაავლო ხელი ქუდს, შემოიკეცა ანაფორის კალთები, იშეირა ხელი და ფეხი და გადაეშვა ქუჩაში, უკან, როგორც კრუხს წიწილები, ისე გადაჰყვნენ შეგირდები. ერთ-ბაშად მთელი სასწავლებელი დაიცალა და საჭიდაო ასპარეზზე გავიდნენ საცქერად.

## IX

— გამაგრდი, ივანე, გამაგრდი, ერთი ხიზაბარულად უნდა გადმოგაგდო ზურგიდანა, — შემოუტია ხუმრობით მამა ბართომემ სასწავლებლის გრძელ დერეფანში ივანეს და ხელი სტაცა; დერეფანი გაჭედილი იყო შეგირდებითა.

— თუ კაი ფალავანი ხარ, აი აღუაშვილს დაეჭიდე და გამოგაჩნდება, ყეყეჩა ხომ გაშხლარტა.

— ეგ არის მოჭიდავე? ე თავი კი ცარიელი ჰქონია-და!... ხუმრობა გაშვებით და, ე ხიზაბარელი სწორედ დევ-გაუია, სწორედ! კინალამ წელში არ გასწყვიტა ის იმოდენა კაცი!

— მარა უკანიდან ფეხებზე დაეკიდნენ და! რომ არ დაეყვირნა ზუკას, გამიშვით, წელში გამწყვიტაო, ყველას გადაჰყრიდა... ადრევ ეკალესის გალავანში პანჩუხა მეზურნე რომ დავჭიდეთ... ძალიან ბიჭი იყა და ჯერ ი პანჩუხასათვის გვერდი არავის ეკვრევინებინა... რომ გავიდა, აბუჩად დაიჭირა ჩვენ-

მა პანჩუხამა; მოღი რაღაო? დაუყვირა პანჩუხამ; მაგ მამა ოხერ-  
მა დავითა ხიზაბარელმა დავვლო ხელი მიწას და ისე ამობდღვნა,  
როგორც ვეფხვმა, ეცა მგელივით შენ პანჩუხას, შეაბანჯლალა,  
შემოაპროწიალა და გააჩერა; თურმე ნუ იტყვით, ლონე არ გა-  
უშინჯა ამ ჩვენს პანჩუხასა; პანჩუხამაც მაგრა დაუჭირა საყელო-  
ები, დაუტრიალდა, დაიჩოქა წამოსაკიდებლად, მაგრამ როგორც  
ე სახლს საძრაობას ვერ უზამს კაცი, ისე იმასა. კიდევ მოიკი-  
და, შენ არ მომიკვდე, ვერ შეანძრია. მერე ამოუსვა კამეჩივით  
თავი ხელებში, ააშვებინა საყელოდან, ბატონო, და როგორც  
ქარმა ბუმბული აიტანოს ჰაერში, ისე მოგლიჯა შენი პანჩუხა  
ადგილიდან, შემოიგდო ბეჭზე და რომ უნდა გაისროლოს,  
ვეკით ფეხებში მე, სოსანა და შარი, აქეთ ჩვენ და იქით  
ხიზაბარელი. „გამიშვით, კაცო,— შემოგვძახა, ცხონებულმა პან-  
ჩუხამ,— კისერი მომგლიჯა ამ ოჯახ დაქცეულზა“; — ჩვენ მაინც  
ჩვენსას ვშერებოდით. მაშინ დაიყვირა ხიზაბარელმა: „„გამაგრ-  
დითო“, დაიჩოქა ცალ მუხლზე და ოთხთავენი კი პანტა-  
პუნტით გადაგრევა. მე და სოსანა ნისახლარში გადაცეივა-  
დით, თავი არ მამიკვდება, და პანჩუხა ხომ ძლიერ მოაბ-  
რუნეს, სულ შუბლი და პირი ქვიშით აევსო, შუბლში კენჭები  
შერჭობოდა.

— მერე რა ჩლარტიანია და, მოჭიდავე რომ ნახავს, კი  
არ მოერიდება, რო გაიხდის, მაშინ კი ძან სანახავია: იმის ტანს,  
კაცო, სილბო არა აქვს, თითქო პიტალო ფოლადისავან არის  
ჩამოსხმულიო, როგორ ფრინველივით გვეარდა წრეში; ქორი  
რომ ქათამს აიყვანს და გააქანებს, სწორედ ისე გააქანა ის  
იმოდენა კაცი და რამ სიშორეზე გასტყორცნა..... არ ვიცი,  
ჩიტო თუჭაუწევს მაგას ტოლობას, — სთქვა მამა ბართლომემ... —  
ისიხი, სწორედ საშენოა, ლონეს რომ კვეხელობ, ერთი მოდი  
და ჩუმად დაეჭიდე ე ხიზაბარელსა.

— დაეჭიდოს და! — სთქვა ივანემ.

— რა იქნება მერე? რას მიზამს?

— რას გიზამს და, როგორც კოლოტი, ისე დაგახლის და  
მაგ მუცელს ნაკრული ტიკჭორასავით დაგიჭანჭყარებს...

— არ იქნა, წავაჭუიოთ, წავაჭუიოთ,—შემოისმა ხმა მე-სამე კლასიდან და ზედ ტირილი და გოლება მოჰყვა შეგირ-დისა.

— ჩუმაღ, ჩუმაღ!... ერთი ბეჭვა ხანი კაცი თავს ვერ მი-აფარებს თქვენგან... რომელი ტირის ე მანდა, --შეუტია ბურნუ-თის კოლოფმა....

— ე ადუანთ ბიჭმა წამაჭუია და მუხლი გადამაღვლისა; ყველას გვერევა და გვცემს.

— ჰო-ო-ო-ო! შენ გაქებენ? სტაცია ბურნუთის კოლოფ-მა ხელი კისერში თხის-ტეინას, მაზიდა და სკამი შეგირდებიანად გამოათრევინა... თხის-ტეინა შეშინდა; თავი ჩაღუნა და აბა რას იქმოდა უწინდელი წვენ ნაწვნევი.—ჰო, აბა, გაკვეთილი გან-ვაგრძელოთ.

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა, ყველას გულმა ფანცქალი და-უწყო; არავინ არა იცოდა-რა. გაიტყიპა ერთი, გაიტყიპა შეო-რე.... თხუნელაზე რომ მიღვა ჯერი, ამ დროს ვიღასაც შიშით ფათერაკი დაემართა; თხუნელამ ისეთი სახე მიიღო, თითქო უნდა წამოვარდეს და გაიჭესო. მთელმა კლასმა ფრუტუნი შეჰქმნა; ყველამ ყურადღება და თვალი თხუნელას მიაჭირა.

— ააა, შენ იყავ? — აუქნია თავი ბურნუთის კოლოფმა თხუ-ნელას და ლრმად მოსწია ორჯერ-სამჯერ ბურნუთი, კარგად გამოიტენა ცხვირი, თვალები გადიშმინდა და შეუტია. — გამო-დი გარედ, წაჭკირეთ ეს წუწკი, ესა, წაჭკირეთ! არა, როგორ გაბედე ამისთანა საჭკირელი.

— მე არ ვიყავი, ზიარების მაღლმა!

— ჩაიხადე!!

— მე არ.... ო, ლმერთმანი!.... — თან ტიროდა, მკლავით ცრემლს იწმენდავდა, თან ცალი ხელით შარვალს იხდიდა.

— გაშ ვინ იყო?

— აი ის იყო... აისა...

— ვინა? თქვი, თორემ მაგ ენას ძირიანად ამოგდლენდ.

— აი, ვასილა კასრაძეი.

ვასილა ჩუმი და ერთობ საწყალი ბავშვი იყო; რომ იტყვიან, მჭადიდან ნახშირს ვერ გამოარჩევსო, სწორედ იმისთანა გულ-უბრყვილო იყო, მაგრამ ბრაზიანი, რომელსაც გულში იკლავდა, რაღანაც ერთობ ენა-ჩლუნგი იყო და ხანდისხან თითო სიტყვის გამოთქმას ორი-სამი წამი უნდებოდა, ზოგს ხომ სულ ვერ გამოსთქვამდა. აი ამისთანა საცოდაეს ბავშვეს მიატეხა ჩხირი ეშმაქმა თხუნელამ, იცოდა-რა, რომ საბრალო-ვასილა თავს ვერ გაიმართლებდა.

— ადე ზეზე, შე ბლუ, შენა!... შენ იყავი? — ჰკითხა ბურნუთის კოლოფმა, — მოვიდა მასთან, მოულერა ბურნუთის კოლოფი, ბავშვმა თავი აარიდა და კოლოფი ისე მძლავრად დაიქნია, რომ თავი აეხადა და შეგირდებს ბურნუთი სულ თავსა და პირზე გადაეყარათ.

— ზი....ზი....არრჩებაა არ გამმიწყრება! არრრ...მმმ..... და აუცახცახდა ნიკაპი საწყალს ვასილსა.

— სთქვი სწორედ! გაზი მაინც მქონდეს, ამოგაგლიჯო ეგ სიტყვები. — ვასილამ, როგორც იყო, ჯლოყინით მიახვედრა მასწავლებელი, რომ იგი უდანაშაულო იყო. ჩხირი ისევ თხუნელაზე გატყდა; წამოაქციეს საკლავ ცხვარსავით, მაგრამ თხუნელას როზგი ერჩივნა ბურნუთის კოლოფსა და „შაქროს ქამარსა“. ისე შეჩვეული იყო როზგს, რომ აღარას ჰერძნობდა; მაგრამ მაინც მორთო ერთი უცნაური ჰყვირილი გოჭივით, ცურავდა იატაკზე და როდესაც შეგირდებისაკენ იზამდა პირს, ენას ჰყოფდა და აცინებდა.

— უჩიტელო, უჩიტელო, შეხე, შეხე! ენას გვიყოფს, ენასა!

— ჰააა! ენასაც ჰყოფ?... ჩოუცხუნე, მოუცხუნე ე როზგი, დეე, გამოჰყოს!...

— არა, დედა არ მომიკვდება, რომ ენა არ გამომიყვია... შემტერებიან; ბატონო, მემტერებიან!

გატყეპილი თხუნელა დაჯდა თავის ალაგას და თვალეპი-ფურთხით მოისველა, ვითომ-და იტირა, და წმენდა დაიწყო,

თან კი მაინც ენას უყოფდა ამხანაგებს და გულში მუშტის ცემით ემუქრებოდა დამბეზღებელს.

— აბა, შენ, დააბრუნე ჯერ ცალკე სიტყვა თხა და მერე ქეციანი თხა, — უთხრა შემდეგს შევირდს, ყვავად წოდებულს.

— რიცხვი მხოლობითი, მრავლობითი, სახელობითი — თხა.

— რომელი რიცხვია თხა? — უთხრა მასწავლებელმა.

— მხოლობითი — მრავლობითი.

— ბიჭო, ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე. რომელი რიცხვია-მეთქი თხა? ... შენ, — მიუშვირა თითი მეორეს.

— სახელობითი ბრუნვაა.

— არა. შენ?

— ნათესაობითი მრავლობითი.

— აი, გადაგრიოთ ჩემმა სასო-მღვთის მშობელმა... ბიჭო, მხოლობითი არ იცით რასა ჰქვიან? ... ერთი რომ იქმნება, ერთი, მარტო ერთი საგანი, იმასა ჰქვიან. — ჰო, აბა!

— ერთი რომ იქმნება, მარტო ერთი, — უთხრა ყვავმა.

— მერე რა ჰქვიან?

— ერთი ჰქვიან.

— აი მარტო ერთი ღმერთი გაგიწყრეს და სამას-სამოცდა სამმა წმიდა გიორგიმ დაგრუნჩხოს და დაგკლაკნოს ...

— შენ! — მიუთითა მეორეს.

— მხოლობითი.

— მაშ. დააბრუნე.

— რიცხვი მხოლობითი, სახელობითი ბრუნვა თხა, ნათესაობითი თხები....

— თხები ხომ ბეერია...

— ღიაღ, ბეერია.

— მაშ რად აშბობ?

— ბეერი რომ გახლავს, იმიტომა.

— აი დაგლახვროს ღმერთმა, ჰო და ასრე! შენ? — მიუთითა შემდეგს.

— ნათესაობითი თხისა.

— მერე, მიცემითი? — გაჩერდნენ ყველანი. — მიცემითი ოხა-  
მა. — შემდეგ ჩამოუთვალა მასწავლებელმა ყველა ბრუნვები...  
აბა ახლა მითხარ შენ წოდებითი როგორ იქნება.

თხუნელა მიუჯდა ყვავს, ტუჩებთან აიფარა ხელი და  
წასძახა.

— წოდებითი, თხის-ტვინავ.

— წოდებითი თხის — თხის...

— გაბედე, გაბედე!

— წოდებითი თხის-ტვინავ!

ამ სიტყვის თქმა იყო და მთელი კლასი სიცილად გადიჭუა;  
რამდენიც შეუტია მასწავლებელმა, იმდენი უარესად აუტყდათ  
სიცილი.

— აბა, ბიჭო, შე მამა-ოხერო, საიდან მოაკერე თხის-  
ტვინა, შე, მარტლა უტვინო, შენა! — და ისეთი ჩაუთავაზა კო-  
ლოფი, რომ ყვავი სწორედ ათი წამი მეტი იქექავდა ნატკენს,  
რომ დაეამებინა.

— თხის-ტვინას აი ადუაშვილს ეძახიან და აი იმან წა-  
მომძახა...

— ვინა?

— აი იმანა, — და თითი ისე გაიშვირა, რომ თითქოს არც  
თუ თხუნელას ხვდებოდა და არც სხვასა.

— სწორე მიჩვენე, სწორე! — დაუჭირა ყბა და მიახედა  
თხუნელასაკენ, თხუნელამ ქვემოდან მუშტი დაანახვა. ყვავი  
შედგა და როგორც დააღო პირი და უნდა დაესახელებინა  
თხუნელა, ამ დროს გაისმა ზარის ხმა. შეგირდება უცბად წა-  
მოიშალნენ, ეცნენ აბგებს და წიგნებს ჩალაგება დაუწყეს.

— უკაცრავად, ნუ მიბრძანდებით!... ყველანი დლეს „ბეზ-  
აბედად“ (უსადილოდ) დარჩით.

ბავშვებს წიგნები ხელში შერჩათ, ზოგი აბგა აკიდებული  
შტერიერით გაჩერდა.

—

### შეთქმულობა

— ბიჭებო, ახლა რა ვქნათ? საღამომდე ხომ მშივრები არ ვიქმნებით... ღმერთი გაუწყრეს, ი გერისთობის ხატმა დაკრუნხს, ვისაც სახლში პური ეგულებოდეს და არ მოიტანოს,— დაიწყო თხუნელიამ.

— ვიღას უუბნები! შენისთანა ეშმაკი მაგისთანაობაში არავინ არის? სულ შენი ბრალია, რომ დღეს ბეზაბედათ დაგვაყენეს,— უთხრა დალონებულმა ყვავმა.

— ჩემი რაზეა?

— იმაზე რომ, შენ რომ ენა არ გაძოგეუო, ბურნუთის კოლოფი ისე არ გადირეოდა; კვლავ როდის დაუყენებივართ მერე ბეზაბედათ.

— არ იქნა, თხუნელ, რაც გინდა გადაგვახდევინე და ერთი შენი სახლის პატრონის კიდობანში ჩაძვერ და პური მოაცუხცუხე.

— მეც გავიქცევი, მეც! ახალი გამომცხვარი პური გვაქვს,— იყვირა ერთმა შეგირდთაგანმა.

— მეც მოვიტან რასმეს,— შესძახა მეორემ.

— წყნარად, თქვე მხეცებო! — უყვირა თხის-ტეინამ; — ყველანი ერთად ნუ გაიქცევით; სათითაოდ გაიპარენით; ფანჯარაში გადახტით და კედელ-კედელ დაზუკვით წადით, მანამ გასცდებოდეთ.

— მეც ატამსა და ყურძენს მოვიტან, — სთქვა ოროსპოლლიმ, — ისეთი ჯაგან-ჯაგანი ყურძენი მოიტანა წუხელ ჩემმა სახლის პატრონმა, რომა.... ჩაეძრები ფანჯრიდან მარანში და იქიდან კიბით ამოვალ უკანვე.

— წადით, ჰა! აბა სათითაოდ; ერთი კარგი არაფანა გავმართოთ. — დიდხანს აღარ გაუვლია, რომ მოცუნცულდნენ ბავ-

შეები; მოიტანეს, ვისაც კი რა მოეწრო; ყველაზე დატვირთული უფრო თხუნელია და ოროსპოლლი მოვიდნენ: თხუნელას ორი დიდი თონის პური, სწორედ თავის-თავის ღდენა, დაეთრია; ოროსპოლლის დაეტვირთნა ჯიბე-უბებები ყურძნით და ხეჭეჭურითა. მაგრამ აქაც ბედმა უმუხთლა: როგორც გაიმართნენ საჭმელად, ჯერ თითო ლუკმაც არ ჩაეყლაპნათ, რომ „სტარშოის“ დაეჭირა გარედ შეგირდი—ყვავი და ბატონ ისისისათვის წარედგინა; ყვავს პურის ყუებით გამოეტენა ორი ჯიბე და თურმე თავ-აღებული მოჩერჩეტებდა ქუჩა-ქუჩა; სტაცეს ხელი და ყურით მოათრიეს.

— შენ, როცა სასჯელი მოგცეს, კიდეც უნდა აასრულო, უნდა აასრულო, გესმის? — უცვიროდა ინსპექტორი ისიხი ყვავს და ყურის წევით მოჰყავდა სასწავლებლის დერეფანში თავის კლასისკენ; მოარითანენი შეკრთნენ, პირში ლუკმა გაუშეშდათ, ზოგმანახევრობით დალეჭილი პური გამოჰყარა პირიდან; ოროსპოლლიმ ატამი კურკიანად გადაუძახა და რომ კისერში ლონივრად არ წაერტყმიათ, იქნება კიდევაც დამხრჩვალიყო. საწყალი ყვავი ჩხავილით მოჰყავდათ; შემოაღო ისიხიმ კლასის კარები, აუწია საწყალს ყვავს მაგრა ყურები, მეორე თვისი ტლანჭი ხელი ჩააელო ქოჩორში, აიყვანა ჰაერში და შუა კლასში გადმოანარცა. როგორც ვთქვით, შეგირდებს ჯერ დერეფანში ხმაურობაზე დაებნათ თავ-გზა და ლუკმები პირში გაუმათ, ახლა ხომ თავ-ზარი დაეცათ; აღარც ერთს შეგირდს ადამიანის ფერი აღარ ედვათ, გაცივებულს და გაყინულს ხეებს წარმოადგენდა მათი სანახაობა. მივიდა ბატონი ინსპექტორი პარტებთან და ჩა ნახა, რომ გაშლილია სასხლომებზე სუფრა და ზედ ალაგია პურის ნამტვრევები, ატამი, ყურძენი, მსხალი, ჯერ თავისებურად იფშვინა, იფშვინა და მერე საზარლად ამოიღრუტუნა:

— ეს რა არის? ასე ასრულებთ თქვენ მთავრობის ბრძანებას?....

ხმა, ქრინტი არავინ დასძრა, ყველას თვალი მიეპყრო ერთს წერტილთან, ყველა მოელოდა საშინელს სასჯელს.

— რასა პქვიან „ბეზაბედობა“, გესმით?... — მითხარ შენ — შევარდა ერთს. შეგირდი ოდნავ შეიძრა, თვალი შეახამხამა; მხოლოდ მაშინ დაეტყო, რომ მას კიდევ სული ედგა ტანჯულსა და დაქენჯნილს. სხეულში. მაგრამ ისინიმ პასუხი ვერ მიიღო. მაშინ ერთი საზარლად შეჰქონიალა და ისე მძლავრიად შემოჰკრა თაეისი ტატყი - ფაცი საბრალო მსხეერპლს ყურმალში რომ, იგი მსწრაფლად დაეცა მოჭრილ ხესავით პარტებში და სიცოცხლის ნიშან-წყალი დაჰკარგა.

— წყალი!.. — შეჰქონია ისინიმ.

შეგირდები გაცვივლნენ წყლისთვის; ისინი არ შეაყენა ამ გარემოებამ, მეორეს დასტაცა ქოჩორში ხელი, იატაკზე გადმოისროლა, ფაცები კი სულ ერთიანად ქოჩის ნაგლეჯით აევსო; ამ მსხეერპლსაც ყოველი თმის ძირიდან სისხლი მოსდიოდა და დაზიანებული იდგილი მთლად დაუბურცდა. ისინი, გულ-მოცემელი და გამხნევებული, რომ მას მკლავში ძალა არ მოჰკლებია, სულ გამხეცდა და ერთიანად ამოქლიტა საბრალო „ბეზაბედეება“. გული რომ იჯერა, დაუძახა მოკლე თელოს და უთხრა: გაიყვანე და ზოგი სათონებში დაამწყვდიე, ზოგი სარაიში და მინამ მე არ გითხრა, არ გაუშვა.

— სათონებში პურს აცხობენ, როგორ იქნება, შენი ჭირიმე, იქ კიდევ ხბორები ამწყვდევია....

— არა უშავს-რა, სარაიაში შეჰქარე ყველანი, დანარჩენებს ამ კლასში დავამწყვდევ.

წივილკივილზე და ისინის ღრიალზე ზედამხედველშაც ინება შემოსვლა: იხილა თვალითა თვისითა ნაომარი ისინისა: თავ-დასივებული, ყურ-დალურჯებული, წყლის გუბე, აწითლებული სახეები, ბრძოლის ღროს მიყრილ-მოყრილი პარტები, უჯრებიდან გამოცვინული წიგნები, ქოჩორის ნაგლეჯები: შეწუხდა ორნაირად: შეგირდებისაგან ბრძანების აუსრულებლობითა და ისინის უდიერად მოპყრობითა.— გაიყვანა დერეფანში და უთხრა:

— შე ოჯახქორო, ჯერ სულ ყურადღებას არ აქცივ და თუ გადირევი, აღამიანის მზგავსებას ჰქარგავ. მე ხომ ცემის წი-

ნააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ცემაც არის და ცემაც.... შენ გა-  
დირევი თუ არა, აგერევა თვალები, აგევსება სისხლითა და  
აღარა ჰერძნობ, რომ შეიძლება კაცი შემოგაკვდეს და ხომ  
დაეიღობენით.... — აბა ერთი შეხედე შენს მოქმედებას, კაცური  
საქმეა ეს?! ჰაა? მითხარი ერთი და?.... ამას წინად თმა რომ  
ააგლიჯე ერთს შეგირდს, დაუმუშუკდა მთელი თავი, ქაჩალი  
გაუჩნდა და იმის მამა კარგი რომ ჩემი ნაამხანაგარი იყო, პა-  
ტივი მცა და გაჩუმდა, თორემ ვინ იცის, რას გვიზაშლნენ.

— მაშ რა ხან ასრეა და მე დღეის იქით ყურსაცა აღარას  
ვათხოვებ.

— კარგა ლამაზად ათხოვებ, გიბძანებ და ჯანიც გაგვარ-  
დება.

— არ ვათხოვებ.

— აბა ნახავ!

— ვნახავ!

— ჩუმად იყავ, შენ ბევრს ბედავ!

— გაბრუნდი, თორემ სისხლი ყელში მეტა და მახრჩობს  
სიბრაზე.

— თედო, თედო! — იყვირა შეშინებულშა ზედამხედველმა.

— შენც კი კაცს დაუძახე... გამეცა იქით, შე დო-ყლაპია  
ქართველო!

— ჰაი შე ფხიკიანო, შე მჭალი-ჭამია იმერელო შენა, ვის  
უბედავ მაგას, ჰა? — და ზედამხედველმა ფეხები დაუბრახუნა და  
კბილების კრაჭუნით ისე შეუბლვირა ისიხის, რომ მოლერებუ-  
ლი ხელი დასაკრავად უცებ ჩამოალებინა.

შეგირდებს მაღალი ხმაურობა რომ შემოესმათ, ჭლიკებზე  
მიიპარნენ დერეფანთან, გამოაღეს კარები და ჭყეტა დაიწყეს.

— ჰაი, ღმერთო, შენს მაღლსა! იქნება წაიკიდნენ და ჩენ  
გადავრჩეთ ხვალ დაროზგვასა, — წაიჩურჩულეს შეგირდებმა. —  
კაცო ა, რა მაგრა შეხვდა სმოტრიტელი და! სუ ენა მუცელ-  
ში ჩაუგდო ინსპექტორსა.

დერეფანში დაშოშმინდნენ; ისიხი გავარდა და გაიჯახუნა  
კარები, ზედამხედველი შემოვიდა, შეგირდები მეორე დღის-

თეისაც „ბეზაბედად“ დაუყენა და დაროზგვა აპატივა. ბავა-  
შეებმა პატარა ხანს ყურები ჩამოჰყარეს, მაგრამ მალე გამოი-  
დარა მათმა გულმა და ხუმრობა. სიცილი შეექნათ.

— ბიჭებო, ბიჭებო! ერთი რამე უნდა გითხრათ, — დაი-  
წყო თხუნელამ, მოღი ამ ჩვენ სტარშოვებს ერთი რამე მოვუ-  
გონოთ, რომ სულ თავბედი ვაწყევლინოთ.

— რა, ზიკო?

— მეც მაგას ვამზობ: რა?

— მოღი ერთი, მოღი! — შეჰყვირეს ყველაშ.

— ვცემოთ, — სთქვა თხის-ტვინამ, ერთი ისე რბილად და-  
ვაყუოთ, რომ მთელი ერთი თვე იკვნესონ და დალურჯებუ-  
ლი იარონ.

— ჩვენც ხომ ვცემოთ და ვცემოთ, მაგრამ მასწავლებე-  
ლი რო გალახვიდეს, მაშინ სულ კარგი იქნება.

— ჩემმა დეიდაშვილმა მითხრა, აი რო კრიკობს ხოლმე,  
იმანა, ერთი მიჩვენეთ ე თქვენი სტარშოი-მარშოებიო, აგრე  
რო გაროზეინებენო, ერთი ისეთი ალიყული დავაკერო ი სახე-  
შიო, რომ პირი უკან მოექცესო,

— იმან თუ არ დაკერა, მე კი ვერა ვცემ იმათა, — სთქვა  
ოროსპოლლიმ და გადიწია მაჯები, ისე შემოვკრავ, რომ ყბა  
გვერდზე მოელრიჯოს და ერთი კვირა პური ველარა ჭამოს.

— დაიცათ, დაიცათ! — დაიწყო ისევ თხუნელამ, — თუ გინ-  
დათ, რომ მასწავლებელმა გალახოს და ჩვენ ჩვენი ხელით  
როზგი დავკრათ იმათ, აი რას ვიზამ: მე ხვალ კაი ლამაზ ნა-  
ზუქს მოვიტან, ხილსა, ერთი ბისტი \*) მაქვს, მამა ჩემმა მაჩუ-  
ქა, იმ ბისტსაც მივცემ „სტარშოის“ და ხვალ დილით ფშის  
მაგიერ ზამეჩანიერ ზნას ჩავაწერინებ ჩემზედა!...

— აა, ყოჩალ, თხუნელ, ყოჩალ!... რას არ მოიგონებს ეს  
ამოსაგდები, ესა... — შეჰყვირეს აშხანაგებშა.

— მეც აგრე ვიზამ, მეც! — დაურთო თხის-ტვინამ, რომე-  
ლიც ცალკე გამჯდარიყო, ეჭირა ხელში პაწაწერინტელა სარ-  
კე და პოხროს პირზე ბუსუსებს აგლეჯინებდა.

\*) ბისტი ორკაპეიკიანია.

— დაიკარგე, შე ქალაჩუნა თხის-ტვინავ!... შე ოხერო, აგრე რო იგლეჯავ, ხო თავის დღეში არ ამოგივა წვერ-ულ-ვაში...

— დაიცათ.—მერე, ოხუნელ?... ბოლო რა იქნება!..

— ჰაი, თქვე დოყლაპეებო... ბოლო რა იქნება!... გამო-ჯავრებით უთხრა თხუნელამ... ბოლო ის იქნება, რომ ერთ-ერთმა უნდა სთქვათ, რომ თხუნელამ გაკვეთილი არ იცის-თქო...

— ეგ არ იქნება,—წამოიყვირა თხის-ტვინამ,—მერე ხომ გაგვროზგვენ.

— კაი ახალი ამბავი კი სთქვი, შენმა მზემ აი!.. შე ოხერო, მაინც ხომ ყოველ დღე გვროზგვენ და ერთიც ჩენი გულისათვის გაიროზგე რა!...

— ეძი! ეგ კი ვეღარ მომაგონდა.

— მარა, თხის-ტვინა მაშ რისთვისა ხარ, რომ მოგეგონებინა!..

— მე წამოვდგები,—დაიწყო თხუნელამ,—და რაც ვიცი, იმასაც ალარ ვიტყვი; ყველამ შესძახეთ, რომ თხუნელამ ნაზუქები მოუტანა-თქო, ჩვენ არც კი გვკითხეს-თქო და მაგას ზნაი დაუშერეს-თქო.

— მაშ ეგრე, ეგრე!—შეჭყვირეს ყველამ.

— მარტო ერთი მე არ ვკმარვარ.

— მე ხომ ვთქვი, მეც მოვუტან სტარშოის რამეებსა-მე-თქი,—გაიმეორა თხის-ტვინამ.

— მეც,—დაურთ ყვავმა.

— მეც,—მიემატა ოროსპოლლი.

— მაშ დედა შეერთოს ცოლად, ზიარების მადლი გაუშერეს, ე მზის თვალი რისხავდეს და შავად ჩაუვიდეს, ვინც ერთმანერთს ვულალატოთ,—სთქვა თხუნელამ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა; დაახეთქა იატაკზე თავისი ქუდი, რომელმაც დოლივით ხმა მოილო.

## —

— მოდის ბურნუთის კოლოფი, ბიჭებო, მოდის! — შეიქმნა კლასში ურიამული... და ეზოში გააჩერა ისიხმა; — პეპე! რა ნაირ იცინიან! დღეს კაი გუნებაზეა და ბევრს გვაცინებს.... დეფურნო, ლოცვის წაკითხვა ვისი რიგია? — სთქვა ერთმა სტარ-შოიმ და შეგირდებს წყნარება დაუწყო.

— ვასილისა.

— სხვას წაკითხეთ, თორეშ მინამ ეგ წაიკითხავს, ჩვენ ჩვენი დაგვემართება, ბურნუთის კოლოფს ე მანდ გუნება არ წაუხლინოს, — სთქვეს შეგირდებმა.

— ჩუმალ, აბა ერთი ანგელოზი ჩამოვატაროთ! — სთქვა თხუნელამ.

მართლა, შეგირდები გაჩუმდნენ; მტვერი ნელ-ნელა ძირს დავიდა; კედელზე „შაქროს ქამარი“ იყო ჩამოკონწიალებული და ლუმელზე როზგები იყო გადმოწყობილი; იმ დილით რუსული გაკვეთილი ჰქონდათ; მასწავლებელმა დაფაზე დაუწერა წინა დღით წინადადებანი წერილიდან — „დიდი ძალლი“ (ნილშაჟი იმანა), რამდენიმე ქალალდზე გადეწერათ და ზეპირად დაესწავლათ. მოისმა მასწავლებლის ფეხის ბაკუნი.

— „ოშებიანებო“, არ დაგავიწყდეთ, ფეხზე დადექით, — მოაგონა სტარშოიმ. ყველა „ოშიანები“ ფეხზე წამოღვნენ.

ბურნუთის კოლოფმა ლოცვის წაკითხვის შემდეგ აუარა ჩაუარა ბურნუთის წევით შეგირდების სასხლოშებსა, მიათვალიერ-მოათვალიერა, „შაქროს ქამარიც“ თავის ალაგის დაინახა, შეგირდებიც არა ჩვეულებრივად დაწყნარებულნი ნახა; იმან უფრო გააკვირვა, რომ დღეს ბლომად ისხდნენ პარტებზე; იამა, რასაკვირველია, სიკეთე შეგირდებისა, მაგრამ თვისი განცვითრება მაინც ვეღარ დამალა.

— ღმერთო, შენს მადლს! დღეს კაი დარი იმიტომ დადგა, რომ ამათ გაკვეთილი დაუსწავლიათ, — მიაშვირა ხელი თხუნე-

ლასა, თხის-ტვინასა, ოროსპოლლისა და ყვავისკენ... ოქვენ რაღა დაგემართათ... აბა, შენ ეი „დიკარს“ რომ მიგიგავს ე თმა, რა გქვიან... ნიკოლოზ ხორბალაძე, ამა ერთი გაკვეთილი სთქვი... არ იცი?...

— აცი ფქნებე იმიტომაც ვდგევარ, რომ არ ვიცი.

— რატომ არ იცი?

— დაწერილი ვიღამაც მამპარა, ბატონო უჩიტელო, ჰო, ზიარების მადლმა.

— მაინც რა გაქვთ? სათაური მაინც არ იცი?.... ვინც ოშიანებთაგანი იტყვის, დავსეამ.

— ბოლშოი საბაკ (დიდი ძალლი), —წამოიძახა პოხრომ.

— ეგრე, მაგრამ ცოტა შეგეშალა; —ძალლს რა ჰქვიან რუსულად.

— საბაკი... საბაკი ჰქვიან.

— საბაკი კი არა, საბაკა. ბოლოში საბაკას რა ასო აქვს?

— საბაკასა... ბოლოში აქვს...

— კუდი, ბიჭო, კუდი, —წასჩურჩულა თხუნელამ და მერე ისე დაჯდა, ვითომ აქ არაფერი ამბავი არ არისო.

პოხროს სრულიად გადავიწყდა, რომ მასწავლებელი ასო-ზე ჰკითხავდა და არა ძალლის სხეულის ნაწილზე; მისი კითხვა მხედველობიდან გამოეპარა და ხელი წააკლო თხუნელას ნასწავლებს.

— საბაკასა, ბატონო, ბოლოში აქვს კუდი.

— ხა, ხა, ხა! — გაისმა ერთბაშად მთელს კლასში სიცილ-ხარხარი; — ყველამ პარტებში კოტრიალი დაიწყო; თეთი მას-წავლებელს, — ბურნუთის კოლოფს, — კვალად ისეთი გულიანი სიცილი აუგარდა, რომ მთელი ტანი აუთახთახდა და ბურნუთი ველარ მიიტანა ცხვირამდე.

— ძალლს კუდი კი აქვს, მაგრამ მე მაგას როდის გეკითხებოდი, შე ოჯახდაქცეულის შვილო! — ისეთი გადიხარხარი ბურნუთის კოლოფმა, რომ კინაღამ კუჭი ამოუვარდა. — მე იმას გეკითხებოდი, — საბაკა, — ამ სიტყვას ბოლოზე რა ასო უზის-მეთქი.

— ბოლოზე უზის ა.

— ჰო, ვაცხონე მამა-შენი, — მაშ კუდი რაღადა სთქვი.

— აი, ე თხუნელამ შემაცდინა, წამომძახა-და!

— ჰა, თხუნელამაო?... შეხეთ, შეხეთ ერთი-და! როგორ ჭურდი ოსივითა ზის გატვრენილი.

მართლა, მთელი კლასი სიცილით პარტებში კოტრიალებდა, თხუნელა კი, რომელმაც ეს ალიაქოთი მოახდინა, ისე გატრუნული იჯდა, ისე ბაიბუში არ იყო, თითქოს აქ არაფერი სასაცილო არა მომხდარა-რაო. „სტარშოებსაც“ გულში ჩასწვდათ თხუნელას საჭირელი, შესწუხდნენ, — ვაი თუ ჩეენი ოინბაზობა გამოქვეყნდესო.

— აბა ერთი, ყმაწვილო; თქვენ აბძანდით და მითხარით გაკვეთილი, — უთხრა თხუნჯურ კილოზე ბურნუთის კოლოფმა.

თხუნელა აღგა, მასწავლებელმა რომ ამოუარა და ცხვირისაკენ ბურნუთი წაილო მოსაწვევად, თხუნელამ ხელი აიფარა მასწავლებლის მხრივ და ისეთი დაელრიჯა ამხანაგებს, რომ ყველამ ისევ სიცილი მორთო.

— რა იყო, აღარ უნდა გაათავოთ.

— თხუნელა გველრიჯება.

— რა? — ბიჭო, შენ გაკვეთილს გოხოვ და აქ შეგირდებს ელრიჯუბი და ართობ? — სოქვი, — აბა რა გვაქვს!....

— ნოლაშა იინა (დიდი ძალლი).

— აბა გადი და დაფაზე დასწერე.

თხუნელას სტარშოიმ ამ სიცილ-კოტრიალის დროს მოასწრო ესწავლებინა ეს ორი სიტყვა. თხუნელა დაფასთან წყილივით გახტა, წამოავლო ცარცუს ხელი და ისე თამამად დაწერა ეს ორი სიტყვა, რომ მისგან გაფიცებულს შეგირდებს ეგონათ, — უჟუოდ იცის დღეს თხუნელამ გაკვეთილი; ჩვენ ჩაგვითრიაო და ყველანი გულში კბილებს უკრეჭდნენ.

— აბა, ახლა წინადადება დასწერე... — ჰო, აბა, დაიწყე რაღა?... — Въ гостиши..... დაუწყო მასწავლებელმა; და შესდგა; ეგონა, თხუნელა დაათავებს სიტყვასაო; მიღებული იყო, რომ მასწავლებელი სიტყვას შუამდე დტყოდა, ან ბოლო მარცვალს დე-

აკლებდა, მიახველრებდა შეგირდს, თუ რითი და როგორ დაეთავებინა მასწავლებლისაგან შეა წელში გაწყვეტილი სიტყვა. ბიჭო, ძალიან რიხიანად გამოხვედი, ყურქები გამიჭედე, ისე და-იყვირე—„ნოლაშაჟ იინაკა“-ო და ახლა რა მუცელში ენა ჩა-გივარდა!

— არ ვიცი.

— არ იცი?

— მაშ, რად იჯექი?

— რა ვიცი.

ბურნუთის კოლოფმა სტარშოებს გადახედა; სტარშოებს ფერი წაუვიდათ, გულმა ძალზე პრაგა-ბრუგი დაუწყო მათ; გაებნენ თხუნელასაგან დაგებულს მახეში და ის იყო; ბურნუთის კოლოფი მოვიდა მაგიდასთან და „ზამეჩანიეს“ კირკიტი დაუწყო, თხუნელას გვართან, რომ მიერიდა, ხმა-მაღლა წაიკითხა: ვნაეთქ (იცისო).

— ააა! ეს კაი ახალი ამბავია დღესა? დღეს რა უკულმად არის ყველაფერი!... ააა! აბძანდი ერთი სტარშოი,—მიათითა მას-წავლებელმა ენან დუღლაძეზე.

— ჩემი არ არის ეგა, ბატონო, სოლომონა კვანჭახაძისაა.

— სოლიკო, შენა? აბძანდი, აბძანდი ერთი!

— ბატონო, ბატონო, ვანომაც ზნაები დასწერა, არც იმი-სმა მიბარებულმა შეგირდებმა იციან,—წასძახეს შეგირდებმა.

— მეც არ გამიკვირდა, კელავ არ სცოდნიათ და დღეს ისეთი რა დღე დადგა-მეთქი, რომ ამათ დაუსწავლიათ გაკვე-თილი... აბა ერთი მითხარით, რად ჰქენით ასეთი საქმეები: ოშე-ბაეტსა ზნაეტებად რად დაგიწერიათ?

ვანო და სოლიკო ახლა კი მიხვდნენ, რომ თხუნელამ თავიდან ბოლომდე მახეში გააბა ისინი; ჩამწარდათ თეთრი ნა-ზუქები, მშვენიერი ოსური ყველის ნაჭრები და მწიფე ხეჭე-ჭურები. გასამართლებელი საბუთი არა ჰქონდათ-რა და მასწა-ლებლის შეკითხვაზე ეს და წამოილულულებს:

— იციან, ბატონო, მაგრამ არ იმზობენ, ჩვენი ჯავრი სკირთ.

— არა, ბატონო, — დაიწყო თხუნელამ, მე ემაგ ჩემს სტარ-შოის ერთი თეთრი ნაზუქი მოვუტანე; აბა ჯიბე უნახეთ, თუ ერთი ხელის გულის ოდენაი კიდევ არ ედვას ჯიბეში; ყველიც შეინახა, დიდპერემენიაზე კიდევ დავნაყრდებიო, მსხლები კი შექამა.

ვანო ამას კი არ მოელოდა, თუ ასე უსეინიდისოდ გას-ცემდა მას თხუნელა; შიშისა და სირცხვილისაგან ფერი სულ დაჰკარგა, მთელი წელიწადი მას არც როზგი და არც „შაქროს ქამარი“ არ მიჰკარებია ტანზე; ახლა კი, ახლა?..! ახლა კი უნ-და სწვნიოს და იგემოს.

— მეც, ბატონო, ე სოლიკოს ატამი და ყურძენი მოვუ-ტანე, — დაურთო ოროსპოლლიმ.

— შენ? — ჰკითხა ბურნუთის კოლოფმა თხის-ტვინას.

თხის-ტვინა შეყოყმდა, არ უნდოდა თქმა. მთელმა კლას-მა მას მიაპყრო ყურადღება; ყველამ თვალებში დაუწყო ცქ-რა. — თხის-ტვინა მაინც მდუმარებდა.

— თუ მოსატანი იყო, მაგან მოუტანა ორთავე სტარ-შოებსა, თორემ ჩენ რა.... აბები სულ სავსე აქვთ ხილით მაგ სტარშოებს, — სულ ამ თხის-ტვინამ მოუტანა თავიანთ ვე-ნახიდან.

— შეხეთ, შეხეთ, როგორ უძახიან ეს ჩემი „სტარშოები“, „შაქ-როს ქამარსა“? ახლა ის ფიქრობს, — ძლიერ არ მოვესწარი ამათ გა-მათრახვასაო! ი როზგებს დახეთ, მერცხლის ბარტყივით რომ გად-მოუყვიათ თავები ფერიდან. — იმათაც უკვირთ თქვენი საქციელი და თან უხარიანტ; რომ ხელში ჩაუვარდით იმათ, — დაიწყო თხუნჯურ კილოზე მასწავლებელმა. — ჰაი, თქვე ჰატარა მოქრთამებოვო, — ამბობენ ეხლა. „შაქროს ქამარი“ და ი წითელი მანეულის როზ-გები.... — მობრძანდით ერთი, მობრძანდით, „შაქროს ქამარო“ და ლამაზო მანეულებო, ერთი ლამაზად შეუწითლეთ გვერდე-ბი ამ ჩვენს ვაუბატონებსა.... — როზგი დაჰკარით ამათ თქვენ თი-თონ, ვისაც ზნაეტება დაგიშერეს.

თხუნელა ეცა „შაქროს ქამარს“ და ჩამოილო კედლიდან, როზგებიც მომზადდა; ჯერ ვანო გამოაბძანეს.

— აღარ ვიზამ; ბატონო, ეს ერთი მაპატივეთ.... — შენი ჭირიმე!.... — ვაიმე დედავ! ვაი!... — გააბა ვანომ და თან შარ-ვალს იხდიდა.

— ერთმა ერთის. მხრივ ქამარი, მეორემ როზგი! — თხუნე-ლა ქამარს სცემდა და ოროსპოლლი როზგსა! — ოც-ოცი უც-ხუნეთ.

— აღარ ვიზამ, აღარ ვიზამ, — გაჰკიოდნენ როზგს ქვეშ აქეთ ვანო და იქით სოლიკო.

— ჰა, ხელს ნუ იფარებ, ხელს ნუ იფარებ!... — ხელზე მა-გას, რომ აიღოს. — ხელზე რომ გაუტკაცუნა თხუნელამ ქამა-რი, სიმწვავით ქვეშ ამოიფარეს და ზურგზე გადატრიალდნენ...

— მუხლზე მაგათ! — ახლა ისევ გადატრიალდნენ.... კარ-გი, ეყოფათ.... და კვლავ აღარა ჰქმნათ.

ზარი გაისმა. მასწავლებელი მსწრაფლად გავარდა.

— ჰიუჟ! ჰიუჟ! აჯავრებდნენ შეგირდები სტარშოებსა... — კიდევ დაგვაძეზლებთ? ჰა?.... ახლა სულ ცხვირებს ამოგანა-ყავთ. — ამასთან თითო ისეთი უცხუნეს მუშტები ცხვირში სტარ-შოებს, რომ სულ სისხლში მოისვარნენ.

— ჰიუჟ! ჰიუჟეჟ!!!... — დასძახეს ყველამ და პანლურის ცე-მით გამოდევნებ კლასიდან სტარშოები.

### ს. მგალიბლიშვილი

(შემდეგი იქნება)

\* \* \*

ცხოვრებასგან მწარედ დასჯილს,  
გულადაკოდილს, განგმირულსა,  
ძალ-მილეულს, ღონეუმისდილს,  
გვემილ-ცემულს, წამებულსა,

მძულდა, მძულდა, უველაფერი,  
რაც კი არის, რაც არსებობს,  
და ჭოჭოხეთს გადარებდი  
ჩვენს სამუთფელ-საგამგებოს,

მაგრამ უცებ სიუვარულის  
სხივი გულში ჩამიგარდა,  
დაცემული აფმაღგინა  
და რაც მძულდა, შემიუვარდა.

შემიუვარდა თვით ქვეუნაც,  
საჭხით სავსე, გაჭირილი,  
საღაც მარად ბრძოლა არის,  
არვინ არის კმაყოფილი.

და მეც მუისვე მოვემზადე  
და ბრძოლაში ჩავერიე;  
ვებრძვი ტალღებს ცხოვრებისას,  
თუ ვძლიე, თუ მოვერიე...

გ. ჰუხაძე



# გასიპებული ლოკა

ერთ მშვენიერ დილას სარკეში ჩავიხედე და მეტის-მეტი არა მშვენიერი სანახავი დავინახე: ცალი ლოკა მეტად დამსი-ვებოდა. რა თქმა უნდა, გასივებული ლოკა არაფერ დიდ სატ-კივარს წარმოადგენდა და იმის გამო საქმეს ვერ მოუაკლდე-ბოდი. სწორედ იმ დღეს საქმე ბევრი მქონდა. ერთი ამ საქმე-თაგანი, —ამასთან მეტად საინტერესოც იყო, რადგან მისი მო-გება დიდისა და ამიტომ სასიამოვნო სავეჭილო ჰონორარის მოგებას ნიშნავდა. სახლში დარჩენა გასივებულის ლოკის გა-მო ამიტომ ფიქრადაც მოსასვლელი არ იყო. არ შეიძლებოდა არც ექიმთან წასვლა, რადგან სასამართლოში წასვლის დრო იყო; ან კი რას მიშველიდა ექიმი?

დავემორჩილე ჩემს ბედს, ავიხივ ცხვირსახოცით ლოკა, ჩავჯექ ეტლში და გავსწივ სასამართლოსაკენ. გზაზე ერთი ჩე-მი ნაცნობი შემომხვდა. ის ერთ-ერთ დაწესებულებაში მსახუ-რებდა და ეხლა სამსახურში მიღიოდა ეტლითვე. გავუსწორ-დით ერთმანერთს თუ არა, სალაში მივეცით ერთმა მეორეს. მან დაიხურა ქუდი და კითხვის ნიშნად ხელი გაიქნია. მეც ხელის გაქნევითვე ვუპასუხე, ლოკა გამისივდა-მეთქი, რადგან მივხვდი მისს კითხვას. არ ვიცი, დაინახა თუ არა ჩემი ხელის ქნევა, ეს კი ვიცი, რომ რო დაენახა კიდეც, ვერას გაიგებდა-იმის მეტს, რომ მე დიდი სურვილი მქონდა პასუხი გამეცა. ისიც ვიცი, რომ კითხვას რომ მაძლევდა ნიშნებით, ადრევე დარწმუნებული იყო, პასუხს მომცემსო და მაინც ვერას გავი-გებო. ასე, თუ ისე, მე მაინც ძლიერ მიჰმა, რომ მან იმდენი გულ-მტკივნეულობა გამოიჩინა.

მივედი სასამართლოში. აქ, რასაკეირველია, მრავალი ნაცნობი დამხვდა:—მსაჯულები, ვექილები, ბრალმდებლები, მრავალი კლიენტი.

ზოგს საქმე დასწუყებოდა კიდევც და მიეჩქარებოდა, ზოგი კი თავისს ჯერს ელოდა და საზოგადო ზალაში ბოლთასა სცემდა. ერთ-ერთი ამ უკანასკნელთაგანი—ჩემი კოლლეგა—მომიახლოვდა და გულ-შემატკივარის ხმით მომესალმა:

— დილა მშვიდობისა! ეგ რა დაგმართნიათ?

— არ ვიცი, ღმერთმანი! ამ დილას ავდექი და რაღაც სიმსივნე ამყვა;—ეუპასუხე მეც ისეთის ხმით, რომელშიაც მადლობა ისმოდა გულ-შემატკივრობისათვის.

— კბილი ხომ არა გტკივათ?

— არა!...

ჩემი მოსაუბრე, სრულებით კმაყოფილი ჩემის ლოყის სიმსივნის შესახებ შეტყობილის ცნობებით, მომშორდა.

ამ დროს მომიახლოვდა ჩემი დაუძინებელი მტერი ერთ-ერთი ბრალმდებელის თანაშემწე. დაუძინებელი მტერი-მეთქი იმიტომ, რომ შეუძლებელი იყო მე და ის რომელსამე საქმეში ერთად მოვქცეულიყავით,—მე დამცველად, ის ბრალმდებლად,—რომ ჩეენ შორის კონფლიქტი არა მომხდარიყო-რა. ამიტომაც იყო, რომ ამის მოსალმებამ მეტად მასიამოვნა.

— რა დაგმართნიათ? ლოყა რამ გაგისივათ? — ტკბილის ხმით მკითხა მან.—არ ვიცი, დღეს დილით საჩკეში ჩავიხედე და დაეინახე, რომ ლოყა გამსივებია.

— კბილი ხომ არა გტკივათ?

— არა!...

— არც გუშინ გტკივოდათ?

— არა!

— ექიმისათვის. არ გიჩენებიათ ეჭ გასივებული ლოყა?

— ჯერ არა; დრო არა მქონია!

— ჰმმ.... გააგრძელა ჩემმ მუდმივმა მოპირდაპირემ და განშორდა.

ერთ-ორ წამს დავსეირნობდი ზალაში და ჩემს საქმეზე უფიქრობდი. უცბად ერთმა ჩემმა ნაცნობმა მხარზე ხელი დამკრა და გამაწყვეტინა ფიქრი.

— გამარჯვება შენი, კაცო! ეგ რა დაგმართნია?

— არ ვიცი, რა არის-მეთქი, როგორც ხედავთ, ლოცა მაქვეს. გასივებული, — ვუპასუხე მე ცოტათი უკმაყოფილო მითი, რომ საქმეზე ფიქრი გამაწყვეტინა და სრულებით ამირია, ძლივს-ძლივს, დიდის გაჭირვებით დალაგებული თავში არგუმენტა-ცია. მოვინდომე მისი მოშორება და განვაგრძე: — კბილი არც მტკიცა და არც გუშინ მტკივოდა. ეჭიმისათვისაც ჯერ არ მიჩვენებია.

მაგრამ, როგორც სჩანდა, მისი ცნობის-მოყვარეობა ისე აღვილი დასაქმაყოფილებელი როდი იყო.

— და წამალი არ დაგიდვია სიმსივნეზე არაფერი?

— არა!...

— წინა დღეებში ხომ არ გტკენია კბილი?

— არა!...

— არც დანტისტისთვის გიჩვენებია შენი კბილები?

— არა!...

— უსათუოდ უჩვენე: ეგ კბილის მიზეზი იქმნება!

სწორედ ამავე დროს შეწყდა სასამართლოს სხდომა და ხალხი საზოგადო ზალაში გამოვიდა; რასაკვირველია, უმეტე-სობა ჩემი ნაცნობი იყო. აგრეთვა გამოექანა ჩემსკენ ცნობილი რეპერტიორი. მეტად გამეხარდა მისი აქ ყოფნა. არიქა, გააჭრელებს ხვალ თავისს გაზეთში-მეთქი: გაირჩა დიდი და საყურადღებო საქმე; ამისა და ამის ინტერესებს იცავდა ვექილი (აქ დასახელებული იქმნებოდა ჩემი გვარი) და მართალიც უნდა ვთქვათ, მისი სიტყვა ამ შემთხვევაში დასაბუთებული და ლამაზად (რასაკვირველია, ლამაზი იქმნება!) წარმოთქმული იყო.

— გამარჯვებათ თქვენი! რა დაგმართნიათ? ლოცა რამ გაგისივათ?

ჩემი ლოყა ახლა იმდენად მაინტერესებდა, რამდენადაც  
მას ეს, ჩემს წინ მდგომარე რეპერტორი გამოიყენებდა ხვალ  
თავისს ანგარიში, და ამიტომ მეც საჩქაროდ მოეუყევი:

— არ ვიცი, ღმერთმანი, ამ დილით ამყენა ეს სიმსიენე; ძლიერ  
მაწუხებს, მაგრამ რას იზამ, ჯერ საქმე და მერე ამ გვარი წვრილ-  
შანები; კბილი კი არ მტკივა, არც გუშინ მტიოდა, არც წინა  
დღეებში; ექიმისათვის არ მიჩვენებია კბილი; არც დანტისტი-  
სათვის; წამალიც არ დამიდვია, რადგან არ ვიცი, რა წამალი  
უნდა დავადო.

— უნდა გეჩენებინათ კი დანტისტისათვის; ეს სულ კბი-  
ლების ბრალია. იქნება ფლიუსია?

— არ ვიცი!

— რამე თბილით უნდა აიხიოთ, დაზელაც მოგიხდებათ!  
პირში რომ ცივს წყალს დაიგუბებდეთ, კარგს იზამთ! უკაც-  
რავად, მეჩქარება, საინტერესო საქმე გაირჩა ეს-ეს არის და ან-  
გარიში უნდა წავილო რედაქტირაში; — საჩქაროდ ხელი ჩამო-  
მართეა და კიბისაკენ გაექანა.

მე კი მეგონა არა ახლა, არა ახლა ჩამომიგდებს ლაპარაკს  
ჩემს საქმეზე და მშრალზე კი დავრჩი. ეხლა უნდა წავიდეს და  
იმ მოქიშვე №-ზე დიდი უშველებელი ანგარიში გააშანულოს  
გაზეთში. რა გაეწყობოდა, დავემორჩილე ბედს და დარბაზში  
დავიწყე სიარული.

— რასა იქ, როგორა ხართ? — მომესალმა ერთი დიდი  
ვაჭარი, რომლის კლიენტობა დიდი ხანია მენატრებოდა და  
ლამ-ლამობით ძილს მიტრობობდა.

— ე ლოყა რამ გაგისივათ?

— არ ვიცი, ღმერთმანი, — ვუპასუხე მე უკმაყოფილოდ,  
რადგან იმ ინტერესმა, რომლითაც ყველანი მეკითხებოდნენ  
ჩემის ლოყის ამბავს, ცოტა არ იყოს, თავი მომაბეჭრა.

— ამ დილით ამყენა ეს სიმსიენე; კბილი არ მტკივა, არც გუ-  
შინ მტკენია და არც წინა დღეებში. ექიმისათვის არ მიჩვენე-  
ბია, არც დანტისტკისათვის, თუმცა სულ კბილის მიზეზი უნ-  
და იყოს. არც წამალი დამიდვია. იქნება ფლიუსია; მინდა

თბილი რამე ავიხვიო; პირში ციკის წყლის დაგუბებაც მინდა! უნდა დავიზილო კიდეც.

— სახლიდან არ უნდა გამოსულიყავ, უფრო გაწყენს! არც რამე ტკბილი ჭამო. იქნება გადაგედო რამე?

— არ ვიცი!...

— ეხლავე რამე სადენზიფექციო წამალი უნდა წაგესო! საუკეთესო, რასაკვირველია, კარბოლის სიმჟავეა.

— წავისვამ!..

— ხომ არ გაცივებულხარ? საოფლე ჩაი რომ დაგელიათ, კარგს იზამდით.

— უსათუოდ დავლევ!...

— ან შეიძლება შთამომავლობითი ავადმყოფობა იყოს რამ? მამა-თქვენი, ან დედა-თქვენი ხომ ავადმყოფნი ან სუსტ-ნი არ იყენენ?

ეტყობოდა, ჩემის ლოყის სიმსივნის მიზეზი მრავალ-გვარი შეიძლებოდა ყოფილიყო, როგორც მისი წამლობაც და წამა-ლიც.

ისიც ეტყობოდა, რომ ჩემი ლოყა მეტად საინტერესო ლოყა იყო, ნარჩევი ლოყა, რაღვან ჯერ კიდევ ამას არ გაეთავებინა თავისი საუბარი, რომ მომიახლოვდა ერთი დიდი ხნის უნახავი კლიენტი, რომელსაც აქნობამდე ჰონორარი არ მოეცა ჩემთვის. იმედი დამებადა,—იქნება ეხლა მომცეს-მეთქი და, რაღვანაც ისიც ვიცოდი, რომ ჩემს ლოყაზე დამიწყებდა კითხვას, დაევასწარ და ძლივს ვათქმევინე:—ეს რაა?...

— არ ვიცი, რაღაც სიმსივნე ამყვა ამ დილით; კბილი არ მტკიცა, არც გუშინ მტკენია, არც წინა დღეებში. ექიმი-სათვის არ მიჩვენებია,—არც დანტისტისათვის, თუმცა სულ კბილის მიზეზი უნდა იყოს. არც წამალი დამიდვია, მინდა თბილი რამე ავიხვიო; პირში ციკი წყალი უნდა დაეიგუბო; სიმსივნეც უნდა დავიზილო; სახლიდან აღარ გამოვალ; არც ტკბილს ვჭამ რამეს. იქნება გაღმომედო კიდეც. ეხლავე რამე სადეზინფექციო წამალი უნდა წავისო. საუკეთესო, რასაკვირველია, კარბოლის სიმჟავეა. ვგონებ არ გაცივებულვარ. სა-

ოფლე ჩაის მაინც დავლევ. შეიძლება შთამომავლობითი იყოს,— დედ-მამა მყოლოდეს ავადმყოფი, ან სუსტი.

— არა! ყველა ეგ მეტია, თვალ-ნაკრავი იქნება. უნდა შე-ალოცვინოთ. ექიმებს არ დაუჯეროთ, მატყუარები არიან.

აბანო კი მოგინდებათ მაინც, გოგირდის აბანო. თბილით ახვევა და სითბოში ყოფნა კი მეტია ვგონებ.

ამ დროს ისევ დაიწყო საქმეების გარჩევა და, რადგან ჩემი ჯერი იყო, დამიძახეს. დაეპირე წასვლა და სწორედ მაშინ შემომეფეთა ერთი ჩემი ნაცნობი ინჭინერი.

— გამარჯვებათ! ეგ რა დაგმართნიათ? — მეითხა ამანაც. ამდენმა გულშემატკივრობამ და იმ დიდმა ინტერესმა, რომელიც ჩემმა გასიებულმა ლოყამ გამოიწვია, გამათავეს კინალამ.

როგორც იქნა, ერთხელ კიდევ შევიკრიბე მთელი ჩემი ძალ-ლონე და ვუპასუხე.

— არ ვიცი, რალაც სიმსივნე ამყვა დილით; კბილი არ მტკივა, არც გუშინ მტკივნია და არც წინა დღეებში; ექიმისა-თვის არ მიჩვენებია, არც ლანტისტისათვის, თუმცა სულ კბი-ლის მიზეზი უნდა იყოს, არც წამალი დამიღვია; მინდა თბილი რამე ავიხვიო; პირში ცივი წყალი უნდა დავიგუბო; სიმსივნეც უნდა დაეიზილო; სახლიდან აღარ გამოვალ; არც ტკბილს ვჭამ რამეს, იქნება გადმომედო კიდეც. ეხლავე დეზინფექციის წამალი უნდა წავისო. საუკეთესო, რასაკვირველია, კარბოლის სიმუავეა, ვგონებ არ გავცივებულვარ. საოფლე ჩაის მაინც დავლევ. შე-იძლება შთამომავლობითი იყოს, დედ-მამა მყოლოდეს ავად-მყოფი ან სუსტი. თვალნაკრავი ვარ ალბად, უნდა შევალო-ცვინო... ექიმებს არ დავუჯერებ, მატყუარები არიან. აბანო მომიხდება, გოგირდის აბანო, თბილით ახვევა და სითბოში ყოფნა მეტია.

ჩემი ნაცნობი გულდასმით მიგდებდა ყურს, მაგრამ მე მისი აღარ მცალოდა — მეჩქარებოდა. ჩემი ვთქვი და გავექანე.

ის-ის იყო შევდიოდი სასამართლო ზალაში, ზედ კარებ-ში გაჭედილიყო ერთი ჩემი კარგა. ნაცნობი. ესეც სრულ თა-

ვისუფლებად სთვლიდა მასაც ეკითხნა ჩემის ლოყის ამბავი. მე მაშინალურად დავიწყე:

— არ ვიცი, რაღაც სიმსიენე... მაგრამ მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. შეველ ზალაში; მოვისმინე გონება-დაკარგულმა ჩემი საქმე და... წავაგე.

ლონე-მიხდილი გამოვდიოდი სასამართლოდან,— წაგებული საქმე მოსვენებას არ მაძლევდა; მაშინალურად წამოვიხურე მოსასხაჭი, დავიხურე ჭული და შინისაკენ გავწიე. ის იყო შემომხვდა ექიმი, რომელიც მთელს ჩემს ოჯახს ექიმობდა.

— ეგ რა დაგმართნიათო? — დაიწყო მან, მაგრამ უცბად სიტყვა გავაწყვეტინე....

რამდენისამე დღის შემდეგ მომრიგებელ მოსამართლის უწყება მომიერიდა, რომლითაც სასამართლოში მიბარებდა. უწყებაში ისიც იყო აღნიშნული, თუ რისთვის მიბარებდნენ: ამა და ამ დღეს ჭუჩაში ექიმისათვის გიცემნიათო!...

გარა

# დ ა მ ო ნ ე გ უ ლ ი ნ ი

თომანი ბოლგართა ცსოვრებიდან

ი გ . გ ხ ზ ღ გ ი ს ა

ნაზილი . მეორე

## I

### ქალ . ბეჭადას - ცერემონია

ანდრიობას მომხდარმა აშბავმა სრულიად შესცვალა უშფოთველი ცხოვრება ბელაია-ცერკოვისა . ხუმრობა საქმე ხომ არ იყო : აღმოაჩინეს მკვლელები ორის თურქისა, აღმოაჩინეს მკვდრებიცა და, ბოლოს, ფარდა აპხადეს ბოიჩის ვინაობასა! ყოველმავე ამან თავზარი დასცა მთელს ქალაქს . არამცთუ მთავრობამ, გარშემო მცხოვრებ თურქებმაც კი გადასწყვიტეს შური ეძიათ და მაგიერი მიეგოთ თავხედთათვის . თურქები სული-სულზე მოელოდნენ, როდის იქმნება, განუკითხველად ამოვუუჯოთ ბულგარელნი ყველანი ერთადო! მანამდე კი თითო-ოროლას ჰელუავდნენ და ამით იუხანდნენ გულსა . მინდვრებსა და გზებზე ხან აქ წააწყდებოდით მოკლულ ბულგარელთა გვამებსა და ხან იქ; სოფლებსა და ქალაქს შორის მისვლა-მოსვლა მეტად საშიშო შეიქმნა . ხმა დაჲყარეს, თურქები შობის უკან ბულგარელებს მთლად უპირებენ ამოხოცვასაო და ყოველ დღე აშბობდნენ, ეს ხმები მართალია, თურქები აღარ ხუმრობენო . განსაკუთრებით ქალებ შორის გაძლი-

\* ) იხ . „ მოამბე “ 1899 წ . № VIII .

ერდა შიში. პატრიოტულ აზრების ქადაგება მისწყდა, აღტა-  
ცება გაჰქირდა. სოკოლოვი ოგნიანოვის დაახლოვებულ ამხანა-  
გად ითვლებოდა და პოლიციამ ჯერ ისევ ანდრიობას დაიჭი-  
რა; დაიჭირეს აგრეთვე პაპა სტოიანიც, როგორც მომხმარე  
ოგნიანოვისა თურქების მოკვლის დროს; პოლიციას დიაკვან  
ბიკენტის შეპყრობაც სწადდა, მაგრამ ბიკენტი სადღაც გაჰქი-  
რდა. დედათა მონასტრიდან, თუმცა მზრუნველები სკოლისა ამის  
წინააღმდეგნი იყენენ, რადა თვითონ მონაზნებმა დაითხოვეს, ხო-  
ლო მიხალაკი ალათრან კმა მოახსენა მზრუნველებს, დროებით ვა-  
ჟების სასწავლებელიც დავკეტოთ, ცოტათი „ჰაერი გაიწმინდოს“  
შიგაო. მხოლოდ მერდვენჯიევი დასტოვეს სულ პატრარების მას-  
წავლებლად. მას აქეთ მთელის თვის განმავლობაში არ შეწყვეტი-  
ლა სახლების სინჯვა და შენიშნულების დატუსაღება. ცოტად თუ  
ბევრად, ეინც კი იცნობდა ბოიჩოს, შიშისგან ჰკანკალებდნენ, ხო-  
ლო თანამოძმენი მისნი აზრითა და მიმართულებითა იმასა ჰში-  
შობდნენ, რაიმე საბედისწერო შემთხვევამ, ან ვინმე მოღალატემ  
თურქების მთავრობის ხელში არ ჩაგვყაროსო. კომიტეტი თა-  
ვისთავად დაიშალა. ყველანი თავიანთს სახლებში მიიმაღნენ.  
ბატონი ფრატიუ ყველაზე უკეთესად მოიქცა: საზღვარ-გარედ,  
რუმინიაში, დამამა და თავის თავს პატიოსანი სიტყვა მისცა,  
დღეის ამას იქით პოლიტიკურს საქმეში არ შევეჩრდიო. მშვი-  
ლობით, ჩავიდა ბუქარესტში, სადაც, რომ დაინახა, ახლა კი  
არათერი მიჭირსო, ისევ თავ-განწირული პატრიოტი და რეს-  
პუბლიკის მომხრე გახდა, მივიდა სამშობლოდან გადმოხვეწილ  
ბულგარებთან და გამოუტადა, მსხვერპლი ვარ თურქების მტარ-  
ვალობისა და სახრჩობელას თავი დავაღწიეო. მერე უსახელო  
სტატიაც დასწერა და ჰქადაგებდა, ბულგარეთისათვის რესპუბ-  
ლიკა საჭიროეო. მაგრამ ყარაველოვეს, \*) ცხადად თუ სიზმრად,  
ბალკანეთის ფედერაციის პლანები ელანდებოდა და ამ ფედე-  
რაციის უფროსად თავადი მილანი უნდა აღეარებინა. ფრატი-

\*) ლუბენ ყარაველოვი ცნობილი ბულგარელი პატრიოტი და მწე-  
რალია, აწინდელის საპოლიტიკო მოღვაწის პეტკო ყარაველოვის უფრო-  
სი ძმაა.

უს შესანიშნავი სტატია მიწასთან გაასწორა. მაშინ ფრატიუმ თავისი სტატია ბოტევს წაულო „დროშა“-ში დასაბეჭდად, მაგრამ იმასთანაც ისეთივე ბელი ეწია, (მაშინ ბოტევი საერთაშორისო სოციალიზმით იყო გატაცებული და მის გარეშე არა სწამდა-რა). რაკი აქაც ვერას გახდა, ფრატიუ ფოტოგრაფიაში წავიდა, სარევოლუციო ტანისამოსში გამოწყობილმა, თოფ-იარაღი აისხა ზღარბსავით და ისე გადაიხატა თავი. მაგრამ მერე იფიქრა, ამ სახით რომ ვინშემ დამინახოს, საშიშოა, და თავისი სურათი რესპუბლიკანურ წერილთან ერთად დამალა.

მხოლოდ იაროსლავ ბრზობეგუნიოკა და ოქროს სირმა-შემოვლებულ ფორმის ქუდს არავინ ახლო ხელი. იაროსლავი ისევ ძველებურის სიერთობულით ხატავდა ბელო-ცერკველებს და, რაღაც ზოგიერთი საჭირო სიმუავე აკლდა ნეგატივების გასარეცხად, სურათები შავები გამოუდიოდა. მუშტარი გაოცებით უყურებდა ხოლმე მისს ოთახში ვილაც ზანგების სურათებს.... ბრზობეგუნიოკა ამავე დროს საზღვარ-გარედ მყოფ ბულგარებთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გაჩაღებული...

შიშმა ცოტ-ცოტად გადაუარა ბელოცერკველებს და ახალ-გაზღობამ ისევ მოიკრიბა სიმხნევე. რაც პირველადა ნახეს, თორემ მერე არავის რა აღმოუჩენია. ყველანი საცოდავის ოგნიანოვის ბელსა სტიროდნენ: ბევრნი ამბობდნენ, ჩვენის თვალითა უნახეთ, რომ სული განუტევაო. ბაზარში სავაჭროდ შემოსული თურქები ლაპარაკობდნენ, ოგნიანოვს საჭი ტყვია მოხვდა და აიევის ჭალაში მოჰკვდაო. ონბაშიმ თუმცა იცოდა, რომ არავის უნახაეს, სად მოჰკვდა ოგნიანოვი, მაგრამ სხვების ნათქვამს ისიც კვერს უკრავდა. ზოგიერთი ბულგარი არწმუნებდა ყველას, მკვდარი გრაფი ველზე უნახავს ნიკოლა-თერძს და თავის ხელით დაუსაფლავებიაო. ჰაჯი როვოამამ, ვინ იცის, რა არ დასძინა სხვების ნათქვამს: ბოიჩო, რომ დაუჭრიათ, გასისხლიანებულს ველამდე ჩაუტანია სული, იქ დამეს მოუსწვრია და, რაკი ველარსად წასულა, მგლებს შეუჭამიათო. ამ ნაირი ლაპარაკი მთელს ქალაქს უზომოდ აღონებდა. ოგნიანოვი მანამდე გმირად ითვლებოდა, ახლა კი წმინდანისა და წამებული

ლის გვირგინი დაადგეს თავზე. ვინ იცის, რა და რა ლევენ-დები არ გამოუგონეს! ქალები „მთავარ-მოწამედ ბოიჩოს“ სამთლებს უნთებდნენ; მღვდელმა სტავრიმ პანაშვილი გადაიხადა და „ჰაჯი ბოიჩო მოიხსენია“. პანაშვილს მთელი ახალგაზღვობა დაესწრო. პატიოსან მიცვალებულის ნათესავებს ხა-შინლად უკვირდათ, რომ პანაშვილზე გარეშე ყმაწვილკაცებმა გაპბედეს მოსვლა; ისიც არა ნაკლებ უკვირდათ, რომ მღვდელმა ლოცვის დროს ჰაჯი-ბოიჩოს „მონას“ მაგიერ „მოწამე“ უწოდა...

მაგრამ კმაყოფილნი სხვანიც იყვნენ. მათ შორის ერივნებნ ნები პირონკოვი და ოლაფრანკა. ესენი სხვებს ქედ-მალლურად უყურებდნენ, თითქო ამის თქმა სწადდათო,—ხომ ნახეთ, რომ ჩვენ იმავ თავითვე მართალნი ვიყავთო! ხოლო იურდანმა იმ ზომამდე იგულსმოდგინა, რომ ბეის დაქმუქრა, გიჩივლებ, თუ მცონარეობაზე ხელი არ აგილია და მეორეჯერ დაარღვეის მშვიდობიანობა ავაზაკებმა სულთანის ერთგულ ქალაქშიო!... სტეფანვს კი ჯერ კიდევ არ დაპირიშვნოდა თავისი თავ-გადასავალი მილკას სახლში და მაინცა-და-მაინც მედიდურისა და გამარჯვებულის კაცის სახე არა ჰქონდა. უკანასკნელ ხა-ნამდე შინ იყო დამალული და ხალხში მხოლოდ ახლა გამო-ჰყო თავი. ყველას ოგნიანოვი გაუხდა სალაპარაკოდ და სტე-ფანვის სირცხვილი, ცოტა არ იყოს, მიავიშუდათ. ჯერ ცხვი-რი გამოჰყო ჭიშკარში, მერქ, რაკი დაინახა, ჭასთან არავინ არისო, მივიდა და წყალი დალია. მეორე დღეს მოედანზე გა-მოსვლა გაბედა, ზოგიერთი მეგობარიც კი ინახულა და, ბო-ლოს, საყავეში შევიდა. სირცხვილმა უარესად გააკაღნიერა. მაგრამ ლალკის ნიშნობა ჩაეფუშა: იურდანმა უბოდიშოდ გა-რედ გაუძახა მიხალაკსა და ჰაჯი სმინს, რომელნიც ანდრი-ობას დილა-აღრიანად მოვიდნენ ნიშნობის შესახებ მოსალაპა-რაკებლად; არც ერთმა და არც მეორემ ჯერ არ იცოდნენ, სტეფანვს რა გადახდა თავს მილკას სახლში... მაგრამ თებერვ-ლის დამდეგს იურდანს გული მოუტბა და სტეფანვს თავისი ქალი ლალკა მიათხოვა..

აქ ისიც უნდა ეთქვათ, რომ სტეფანივის მოღალატობის ამბავი არაეინ იცოდა: ყველანი საცოდავს სულელს აბრა-ლებლენენ. იღუმენმა ძალათი ათქმევინა მუნჩის, მე ვიყავი ფრ-თად-ერთი მოწამე, როცა თურქებსა მარხაედნენო. მაშინ გაი-გეს, თუ რასა პნიშნავდა მუნჩის ბლავილი და ხელებით ნიშ-ნება; ალბად, ამ ნიშნებით გასცა მუნჩიმ ბოიჩოვო; ის კი არა-ვინ იცოდა, თუ რა ნაირად და ვის უთხრა მუნჩიმ ბოიჩის ამბავი. იღუმენმა სთქვა, შეშლილია და კაცს ერჩისო და ჯერ დაკერინა და მერე მონასტრის ჭიშკართან შდგარ კოშკში დაამწყვდევინა.

რადა ერთავად თავტანდაკარგული დადიოდა. გულკეთილ-მა ხალხმა თავისთან თავი შეაფარებინა საცოდავს ქალს და არაეინ იცოდა, ნუგეში რითი ეცა. „თავს მოიკლავს საცოდა-ვი ქალი“, ამბობლენენ გულ-დამწვარად.

ცოტა ხნის შემდეგ ხალხს კეთილშობილურ საქმის გა-კეთების სურვილიც დაუბრუნდა. მარკო და მიჩო ბეიზადეტი იმდენს ეცადნენ, რომ სოკოლოვი თავიანთის თავმდებობით გაანთავისუფლებინეს. თუმცა ისიც აღმოჩნდა, რომ სოკოლო-ვი თურქების მოკვლის საქმეში სრულებით არა რეულა. მო-თავდებეთა ის კი არ იცოდნენ, რომ დამხმარე ჰყავდათ, რო-მელმაც სოკოლოვი ისე ადვილად გაათავისუფლებინათ. ეს იდუმალი მოკავშირე, რომელმაც ბაი-მარკის პირველად გა-მოაშვებინა სოკოლოვი, — დრო არის, ვთქვათ, — სწორედ ის ადამიანი იყო, ლოცვის დროს ჰაჯი როვოამაშ რომ გამოიც-ნო; ეს გახლდათ მოხუც ბეის ცოლი. ერთხელ ისე მოხდა, რომ ბეის ცოლი და ექიმი მარტო დარჩნენ და სოკოლოვმა მშვენიერ იოსების ხასიათის სიმტკიცე ვერ გამოიჩინა და შეს-ცოდა... მათი ნაცნობობა დიდის ხნისა არა ყოფილა, მაგრამ ეს მოკლე ხნის მოყერობა ახლაც გამოადგა სოკოლოვს და გა-საჭირს თავი დააღწია.

სოკოლოვის განთავისუფლების შემდეგ რამდენიმე დღე გაეიდა, ისე ქალაქში „მოციქულად“ კაბლეშკოვი მოვიდა და ბრზობეგუნიკის ოთახში ჩამოხდა. ამასთან თავი მოუყარა-

დაშლილ კომიტეტის წევრებს, სიტყვა წარმოსოქვეა, ყველანი გაამხნევა, იმედი გაუცხოველა და პირდაპირ მონისტერში წაიყვანა, სადაც იღუმენმა ნათანაილმა ყველა სახარებაზე დააფიცა და ახლად აღდგენილს კომიტეტს საბრძოლველად გზა დაულოცა. იმის შემდეგ უფრო მეტის ძალითა და ხალისით დაიწყეს მუშაობა. აპრილის დამდეგს კობლეშკოვმა ისევ დახედა ბელაია-ცერკოვს.

## II

## ექიმ სოკოლოვის აგადმეოფები

სოკოლოვი აღელვებული დადიოდა თავის ოთახში, სარკმლიდან ხშირად იხედებოდა ხოლმე მთლად ბწევანით შემოსილს ეზოში. ალუბლები ჰყეაოდა და ასე იტყოდით, თოვლითა დაფარულიო. ვაშლების ხშირს ტოტებს თეთრისა და ვარდისფერ ყვავილებით ღალანი გაჰქონდა. ატმებსა და ჭერმებზე თითქო საუცხოვო მარჯანი გადაუბნევია ვისმეო და თითქო სარკმელში შემოსვლას ჰლამობენო. ეზოზე გაყვანილს ბილიკს ბალახი მორეოდა და ზევიდან კიდევ ჩრდილით იყო დაფარული; აქეთ-იქით ხეხილის ტოტები ერთმანერთს ჩახლართოდა და ზედ დაჭყურებდა ბილიკს.

როგორც ეტყობოდა, ექიმი ვიღასაც ელოდდა.

სოკოლოვი შესამჩნევად გამოიცვალა. ლამაზი და გულკეთილობის გამომეტყველი სახე გაჰყვითლებოდა და ისე ჰქონდა გამხდარი, როგორც ავადმყოფობისაგან ახლად მოკეთებულს კაცს. საპატიმროში კარგა ხნით ყოფნაშ და ზნეობრივმა ტანჯვამ მწუხარების დალი დაასვა. ექიმი ახლა ანჩხლი და ფიცხი გახდა.

სატუსალოში დამწყვდეული რომ იტანჯებოდა, ისე გაიგო, რომ სტეფანეს ლალკა დაუნიშნავს, ამან ტანჯვა გაუორკეცა. ეს უკლავდა გულს და უმატებდა სახმილს. თავის გულში დაიფიცა, სატუსალოს თავს დავაღწევ თუ არა, სტეფანეს,

ყველა ამ უბედურებათა მიზეზს, მზე უნდა დავუბნელო უეჭ-  
ველადაო, სოკოლოვი დარწმუნებული იყო, რომ სტეფანივა  
გაგვცა ყველა, თურქების ხელში ყველა იმან ჩაგვყარაო. ისიც  
მოიფიქრა, რა გზითა და რა საშუალებით უნდა მოეღო ბო-  
ლო სტეფანივისათვის: გადასწყვიტა, მტერი თავის დათვისათვის  
ჩაეგდო თათებში. ჯერ კი არა ჰქონდა მოფიქრებული, სად და  
როგორ მოეხერხებინა ესა. ქალაქში რომ დაბრუნდა, პირვე-  
ლად მარკო ივანოვთან და მიჩა ბეიზადეტოსთან შეიარა მაღ-  
ლობის გადასახდელად. მერე ინახულა თავისი კლეოპატრა,  
რომელიც, მის დაჭერის შემდეგ, ჩუმად ნები პავლიუს წაე-  
ყვანა თავის სახლში. საკოდავი პირუტყვი კარგა გაიზარდა,  
მაგრამ საშინლად გახდა. ძველი პატრიათი რომ დაინახა, ჯერ  
კარგა ხანს ყოყმობდა, ეს ვინ არისო, და მხოლოდ მერე  
იცნო. კლეოპატრას ექიმის სიყვარული, ცოტა არ იყოს,  
დაპირიშვნოდა კიდევ: მეტის-მეტად გაავზნებულიყო. ხშირად და  
სულ უბრალო რაზედმე მოსდიოდა გული, გაფარვებულ კბი-  
ლებს ყველას აჩვენებდა; — მიფრთხილდით, თორებ თუ გაგიყა-  
რეთ ხორცუში, ცუდს დღეს დაგაყენებთო. ექიმმა წარმოიდ-  
გინა, თუ საზიზლარი სტეფანი კარგად ჩაბლუჯა ჩემმა კლე-  
ოპატრამ თვისის ბანჯგვლიანის თათებით, მეტი სასჯელი არა  
უნდა-რაო, და გული-გულში წინდაწინვე უხაროდა. მაგრამ  
როცა გაიგო, რომ ყოველივე უბედურება მუნჩის ბრალიაო,  
და როცა სარევოლუციო კომიტეტმა თვისი მოქმედება გა-  
ნაახლა, სტეფანის ყველაფერი დაავიწყდა, მხოლოდ ის-ლა ახსოვ-  
და, როგორ შევუწყო ხელი ხალხის აჯანყების საქმესაო. შური კი  
უნდა ვიძიო, მაგრამ ეს შურის ძიება პირადად ჩემი საქმეა და  
არა ხამს სხვა საზოფადო საქმეზე წინ ჩემი პირადი საქმე დავა-  
ყენო და იმას ვუერთგულოვო.

რაც სატუსალოდან გამოვიდა, სოკოლოვმა ექიმობას სულ  
მიანება თავი, არავისთან დაღიოდა და ავაღმყოფებიც არ და-  
დიოდნენ მასთან, — ეშინოდათ, ჩვენც არ დაგვწამონ რამეო.  
ფილი, წამლებიანი შუშები, მტკრიან საექიმო წიგნებით სავ-  
სე ყუთები, ყველაფერი ერთს კუთხეში იყო შიყრილი საკუჭ-

ნაოს და სოკოლოვის შაგიერ; თაგვები ჰქითხულობდნენ მისს საექიმო წივნებს.

მხოლოდ ერთი ავადმყოფი ჰპედავდა კიდევ სოკოლოვთან სიარულს,—ეს იყო იაროსლავ ბრზობეგუნიოკი. სოკოლოვი ახალი დაბრუნებული იყო, ისე იაროსლავმა უცაბეზად დამბაჩით ხელი დაიშავა. ყველას ეწყინა მისი დაშავება, ყველა სამძიმარს უცხადებდა. მეტი რა გზა ჰქონდა, დროებით თავი უნდა დაენებებინა ფოტოგრაფობისათვის, თუმცა მისმა ფოტოგრაფია-მაც, დიდი ხანი იყო, თავი დაანება თავის პატრონს.

ჭიშკარმა დაიჭრიალა და შემოვიდა სწორედ ეს ბრზობე-გუნიოკი. ისევ ის დაფხრეწილი და გახუნებული ტანისამოსი ეცვა, რომელიც ოგნიანოვმა მისცა, ისევ ის ფორმის ქუდი ეხურა, სირმაშემოვლებული, უშველებელ წითელ ბაკენბარზებს ისევ ატარებდა, რა არის, ავსტრიელს უნდა ვგავლეო. მარჯვე-ნა ხელი მიტკალის ნაჭრებით შეეხვია და გულზე ჰქონდა და-კი ჟებული. ნელისა და ფრთხილის ნაბიჯით მიდიოდა, ალბად, ეშინოდა, ჩქარა რომ გავიარო, ხელი მეტკინებაო. ყოველ ნა-ბიჯის გადალგმაზე იმანჭებოდა და სახეზე ტკივილი და ტან-ჯვა ეხატებოდა. ექიმთან რომ შევიდა, გულ-დასმით მიიხედ-მო-იხედა და ხელის შესახევეო ტილო ტახტზე დააგდო.

— დილა მშვიდობისა, მეგობარო! — უთხრა იაროსლავმა და ხელი მისცა სოკოლოვს.

ექიმმა ძალზე მოუჭირა ხელი ხელზე, მაგრამ ავადმყოფს არც კი დაუკვნესია, ამიტომ რომ მოიგონა, ხელი დავიშავეო. ავადმყოფობა რომ არ მოეგონებინა, მაშ რით ემართლებინა თავი, როცა ვინმე ჰქითხავდა, — ექიმთან ასე ხშირად რად და-დიხარო?

— ახალი ამბავი გეცოდინება, რამე? — ჰქითხა. სოკო-ლოვმა.

— კაბლეშკოე მოვიდა.

— მართლა? როდის?

— შუალამის ხანს, ჩემთან ჩამოხდა.

— უნდა ვნახო! — სთქვა აჩქარებულის კილოთი ექიმმა.

— აცივებს. მთელი ლამე სიცხე ჰქონდა და ჰბორგავდა.  
— საწყალი ბიჭი!

— აეად არის და თავს მაინც არ უჯერებს, სამი უშველებელი წერილი მიკარნახა, დღესვე უნდა გაგზავნოვო, მითხრა. ნამდვილი ვერცხლის წყალია... ძლივას კი სუნთქავს... ხველა ახრჩობს...

— უნდა წავიდე, ვნახო ერთი... — სოქვა ექიმმა და ქუდი ხელში აიღო.

— არა, ეხლა სძინავს... მითხრა, კომიტეტის წევრებს საღამოსათვის თვი მოუყარეო, კრებას მეც დავესწრობიო.

— სჯობია დაიძინოს და მოისვენოს საცოდავმა! კრებაზე ნუ წამოვა!

— შენ წადი და ურჩიე, არ წამოვიდეს. ხომ იცი, რა ჯიუტი და თვისნება რამ არის!... წევრებსაც დაუბარე საღამოსათვის.

— კარგი, თავჯდომარეს მე ვეტყვი...

ბრზობეგუნიოკმა თავი დაიქნია და ჰკითხა:

— კარგი და ასი ოქრო იშოვე?

— იარაღისათვის? ვიშოვე.

იაროსლავმა განცვიფრებულის სახით შეხედა ექიმს.

— მართლა?

— გეუბნები, ვიშოვნე-მეოქი.

— ვინ მოგცა?

— ამას კი ვერ გეტყვი... საიდუმლოა...

— თანა გაქვს? — ჰკითხა ეჭვის კილოთი ბრზობეგუნიოკმა.

— არა, მაგრამ მაღვე მჩმიტანენ... თვითონ იმ კაცს შოველი, ვინც მაჩუქა.

— ბარაქალა, სოკოლოვ, ყოჩალი ხარ! — შესძახა ფოტოგრაფოსმა.

— ნუ ყვირი!

— ბიჭოს; ეს სატევარი ვიღამ მოგცა? — წამოიძახა ბრზობეგუნიოკმა და ექიმის ჟილეტის ქვეშიდან გალაპლაპებული იარაღი გაშოაცოცა.

— იეანე შაჯარმა გამიკეთა... ახლა არ ასევენებენ, იმდენს აკეთებინებენ... ხომ კარგია?

ბრზობეგუნიოკი სატევრის პირზე ამოჭრილს ასოებს და აცქერდა.

— „ს.“ ან „ს.“ ეს ასოები რას ნიშნავს? — აბა გამოიცან!

— სოკოლოვი, ან სტეფჩიოვი? — ჰკითხა ლიმილით ბრზობეგუნიოკია.

— სიცოცხლე (თავისუფლება), ან სიკვდილი! — უთხრა ტკეპნით სოკოლოვმა, რომელსაც სტეფჩიოვის გვარის მოგონებამ გულ-ლვიძლი აუმღვრია.

მერე დასძინა:

— ახლა სტეფჩიოვი-მეფებიოვისა და მისთა მსგავსთათვის არა მცალიან, ჩემო კარგო... უნდა იცოდე, რომ ყველაფერი დავივიწყე,... ვინც ხალხს ასაჯანყებლად ამზადებს, სხვა ყველაფერი უნდა დაივიწყოს.

ბრზობეგუნიოკმა ცბიერულის სახით შეხედა.

— ლალკასაც ივიწყებ? — უთხრა ეშმაკურის ლიმილით.

ექიმმა კოპები შეიკრა და მრისხანედ უპასუხა:

— ჰოდე, ლალკასაც!... ხომ გითხარი ყველაფერი დავივიწყე-მეთქი და დავივიწყებ კიდეცა... შენ კი მეტის-მეტი ლაქლაქა-რამა ხარ!

ბრაზიანს კილოზე აშკარად ეტყობოდა, რომ არაფერი დავიწყნია და ვერც ასე ადვილად დაივიწყებდა... მწარედ იყო შეურაცხყოფილი მისი გული და თავმოყვარეობა. აჯანყებისათვის ბევრსა მუშაობდა ექიმი, დღე-და-ღამ ამ საქმისათვის ჰუკერობდა და ისე გაერთო, რომ დაკოდილის გულის ტკივილი დროებით დავიწყდა, მაგრამ მხოლოდ დროებით, ამით ტომ რომ ჭრილობას პირი ისევ უჩანდა. ათასგვარმა საქმემ იმ ზომამდე გაიტაცა და გამოაყრუვა, რომ სულიერს ტკივილს ვერა. ჰგრძნობდა, — სწორედ ასეთი ზედ-გავლენა აქვს ლვინის ლოთ კაცზე.

ამ დროს ეზოში კანდოვი გამოჩენდა. მის დანახვაზე ბოლო მოუღეს ამ უსიამოვნო ლაპარაკს და ექიმმა ყურადღება ახალ შემოსულს მიაპყრო.

— ეს ვაუბატონი გინა ბრძანდება? — იკითხა ბრზობეგუნიოქმა.

— გვარად კანდოვია, რუსეთის უნივერსიტეტის სტუდენტია.

— ეს ვიცი. არა, შენ ის მითხარი, რა კაცია?

— ფილოსოფოსი, დიპლომატი, სოციალისტი, ნიგილისტი... და ეშმაკმა უწყის, კიდევ რა არის... ერთის სიტყვით, თი აქ აკლია...

და სოკოლოვმა თითო შუბლზე მიიღო...

— ხომ არა სურს, ამ საერო საქმეში მონაწილეობა მიიღოს?

— არა, ან რაში ეჭირვება? ხომ ხედავ, რუსეთში დადის იმისთვის, რომ სწავლის გათავების დიპლომი მიიღოს, — სთქვა გულმოსულად ექიმმა.

— ახ, ამ ნასწავლების სინსილა კი გასწყდეს! ჭირივით მეჯავრებიან ყველანი! — წამოიძახახა ბრზობეგუნიოქმა. — თუ დიპლომიანი ნახე ვინმე, ადამიანთ შორის არ უნდა ჩასთვალო... ერი, თავისუფლება — მათთვის არ არსებობს.... მათი საქმეა: კარგი სახლი, ცოლი, ყველაფერში უკლებობა. თან იმას გაიძახიან — კაცი კეთილგონიერად უნდა ცხოვრობდეს!

— ბრზობეგუნიოკ, ამაში კი სტყუი, შენ აკი გაქვს დიპლომი?

— მე? ღმერთმა დამიფაროს!

— მართლა, არც ბოიჩოსა აქვს მაგის მსგავსი რამ... — სთქვა ექიმმა.

— მე რომ დიპლომი მქონოდა, მეც ამგვარი მუტრუკი ვიქნებოდი... შენც, ექიმის ატესტატი რომელსამე უნივერსიტეტში რომ მიგელო და არა ალბანიის მთებში, შენც იმისთვის დაიწყებდი ფიქრსა და ზრუნვას, ფული როგორ გეშოვნა და გამდიდრებულიყავ... ამბოხებისათვის აბა სად გეცხელებოდა!

ამ დროს სტუდენტი აიგანზე ამოვიდა.

ბრზობეგუნიოკმა საჩქაროდ შეიხვია ხელი, რაღაც სტუდენტმა უკვე კარიც დააკაკუნა.

— Entréz (შემობრძანდით), — დაუძახა ექიმმა.

კანდოვი შევიდა.

იაროსლავ ბრზობეგუნიოკმა თავაზიანად სალამი მისცა და გავიდა.

კანდოვმა იაროსლავი ვერც კი შეამჩნია, რაღაც ფიქრებში იყო გართული.

კანდოვს კარგად შეკერილი, მაგრამ ნახმარი ტანისამოსი ეცვა. უფეროსა და გამხდარს სახეზე ტანჯეა და დარღი ეხატებოდა; მის ოცნების მოყვარე თვალებში ჩუმი სევდა გამოჰკროთოდა. ეტყობოდა, რომ გულს რაღაც მწუხარება უღრღნიადა. კარგა ხანი იყო, რაც კანდოვი არავის ეკარებოდა და დაუყუდებულსავით სცხოვრობდა.

ექიმმა სთხოვა დაბრძანდითო და ისიც ერთად-ერთს სკა-ზე დაჯდა. ხოლო სოკოლოვი ტახტზე ჩამოჯდა და თანაცუკუტრდა მოულოდნელ სტუმრის მოსვლა.

— როგორა ბრძანდებით, ბატონო კანდოვ? — ჰკიოთხა სოკოლოვმა; ეგონა, სტუდენტი, ალბად ავად, არისო და კარგად დაკვირდა მისს გამხდარსა და შავგვრემანს სახეს.

— მადლობა ლშერთს, კარგად გახლავართ, — უპასუხა კანდოვმა მოკლედ, თითქმის მაშინალურად.

— ძალიან მიხარიან, რომ სულ მორჩენილხართ.

— დიალ, მოვრჩი, ეხლა კარგადა ვარ.

— მაშ რუსეთში ისევ წახვალთ?

— არა, არ მივდივარ.

— სულ არ მიდიხართ?

— არა, სამუდამოდა ვრჩები აქა, — უპასუხა კანდოვმა ყრუდ.

ექიმმა გაოცებითა და დაცინებით შეხედა, თითქო ამის თქმა უნდოდათ: „აბა რისთვის არ გარბიხარ, ჩემო ძხაო, ფილოსოფოსებთან? აქ ყველაფერს გენია ეკიდება, საშენო საქმე არ გახლაეს“.

ორივე გაჩუმდა.

— იქმნება, მასწავლებლად გნებავთ შეხვიდეთ? — ჰკითხა ექიმმა, ვთომ თანაგრძნობით, მაგრამ ამ თანაგრძნობაში ზიზ-ლი ეზატებოდა.

კანდოვი ცოტათი გაწითლდა და, პასუხის მაგივრად, უკ-მექად ჰკითხა:

— ბატონო სოკოლოვო, კომიტეტის კრება როდისა გაქვთ? ამ უკმეხ კილოს გაგონებაზე ექიმი სახტად დარჩა.

— რომელ კომიტეტისა? — ჰკითხა სოკოლოვმა. და თავი ისე მოიკატუნა, თითქო არაფერი იცისო.

კანდოვი უარესად გაწითლდა, თავის თავს ძალა დაატანა და ისე უთხრა:

— ოქვენის კომიტეტისა... ნუ მიმალავთ, მე ყველაფერი ვიცი... ვიცი, ეინ ურევია და ან სადა გაქვთ კრება... ყველა-ფერი ვიცი; მე ნუ მიმალავთ....

— ძალიან მიკვირს, რომ ამდენი რამა გცოდნიათ იმ საქ-მისა, რომელის დარღი თქვენ სრულებით არა გაქვთ... მაგრამ, ვთქვათ, რომ ეს ასეა... თქვენ რა გნებავთ ამით მითხრაუ? — ჰკითხა ექიმმა და ჩაცივებით დააცეკერდა, აბა ვნახო, რას მეტ-ყვისო.

— მე თქვენა გყითხავთ, კომიტეტის კრება მალე ვექმ-ნებათ? — განიმეორა კანდოემა გადაწყვეტით.

— დიალ, მალე, ამ საღამოს! — უპასუხა ექიმმა იმავე კი-ლოთი.

— თქვენ თავმჯდომარის ამხანაგი ბრძანდებით, არა?

— დიალ, თავმჯდომარის ამხანაგი გახლავართ, თუ გნე-ბავთ!

— თქვენთან სათხოვნელად მოვედი.

— რა უნდა მთხოვოთ?

— გთხოვთ კომიტეტს მოახსენოთ, წევრად შიმილონ.

სტუდენტს მღელვარებისაგან ხმა უკანკალებდა.

ექიმი სახტად დარჩა: სრულებით არ მოელოდა, თუ კან-დოვი ასეთს რასმე სითხოვდა.

— როგორ თუ წევრად, ბატონი კანდოვ?

— როგორა-და, როგორც ბუ გარელი... მეც მინდა რა-  
მე გავაკეთო.

სოკოლოვი ზეზე წამოიჭრა.

— ხელი მოიტა, ძმაო! — და გადაეხვია და მხურვალედ  
აკოცა; მერე დაუმატა:

— დიდის სიხარულით, სულ დიდის სიხარულით, ბატო-  
ნი კანდოვ, ყველას გაგეიხარდება, შენ ჩვენს შორის დაგი-  
ნახოთ... ბრალია, შენისთანა მცოდნე და საქმის მოყვარული  
კაცი განზე იდგე... მეტად დიადი ბრძოლა გვექმნება... ჩვენ  
ყველანი ერთად უნდა ვიქმნეთ, ერთმანერთს მხარი-მხარს უნ-  
და მივსცეთ... განსაკუდელში ჩავარლნილი სამშობლო შეველა-  
სა გვთხოვს, ჩვენი თავი სჭირია... სახელი და დიდება შენ, ჩე-  
მო კანდოვ!... უნდა ნახო, როგორ გაუკვირდებათ ამხანაგებს,  
როცა ამ ამბავს ვეტყვი!.... ხელი მოიტა, ძმაო!...

— გმადლობ, ექიმო, — უთხრა გულ-აჩეილებულმა სტუ-  
დენტმა, — თქვენც დაინახავთ, რომ კანდოვსაც შეეძლება რა-  
შიმე გამოგადგესთ...

— გიცნობ, შენი თქმა არ მინდა!... მაგრამ შენ ეს მით-  
ხარი, რატომ მაშინ არ ჩაეწერე წევრად კომიტეტში, როცა  
ოგნიანოვა გთხოვა?... ახ, გული მეწურება სიბრალულით...  
ჩემი უანაწერო ბოიჩო! ნეტამც მე მომკვდარვიყავ და ის კი  
ცოცხალი დარჩენილიყო, რომ თავის სიტყვითა და საქმით  
ხალხი მოემზადებინა ასაჯანყებლად... კანდოვ, ბოიჩო ნამდვი-  
ლი გმირი იყო, დიდებულის სულის პატრონი იყო! დაგვაცა-  
დონ, მისს სიკვდილისათვის ჩეენის მტრების ჯავრს საშინლად  
ვიყრით! ასწილ უნდა მივაგოთ ამ წყეულ ბარბაროსებსა და  
იუდის კერძებს!...

— დიალ, შური უნდა ვიძიოთ! — უპასუხა კანდოვმა; — ახ-  
ლა ამ გრძნობით-და მაქვს გული სავსე... ისეთის კაცის სიკვდი-  
ლი, როგორიც ოგნიანოვი იყო, მტრისათვის შესარჩენი არ  
არის.

— საშინლად უნდა ვიძიოთ შური! — წამოიძახა სოკოჭლოება.

— კომიტეტი ამ საღამოს შეიკრიბება?

— ჰო, ბაი მიჩოსთან; ერთად წაეიდეთ.

— თუ მიმიღეს, ერთი რამ უნდა მოვახსენო კომიტეტს.

— რა?

— რომ ოგნიანოვის მკელელი მოვკლათ უეჭველად!

— კარგი დაგემართოს, მეგობარო, კარგი ეს იყოს... მაგრამ მისი მკელელი ერთი და ორი არ არის... აბა საღ უნდა ვეძებოთ? მისი მკელელი, თუ გნებავს, მთელი ლიმალეთის სახელმწიფოა...

— ჩემის აზრით, დამნაშავე ერთია!

ექიმმა გაოცებით შეხედა.

— ჰო, ერთია და ისიც ჩვენს შორის არის...

— ჩვენს შორის?

— დიალ, პირდაპირი დამნაშავე იმის სიკვდილისა.

— ეჭ, ბაი კანდოვ, განა ლირს კაცმა იდიოტის ჯავრი იყაროს... მუნჩის თავ-ტანისა არა გაეგება-რა. ამ უბედურს თვითონაც არ ესმოდა, რომ კაცს აუბედურებდა... ის კი არა, საშინლად უყვარდა ბოიჩო.... იმას თავი დაანებე, ნურას ეტყვი...

კანდოება თოფის წამალსავით იფეთქა, სოკოლოვის რჩევა ეწყინა.

— სცდები, ბატონო სოკოლოვ! სცდებით! ვინ მოგახსენათ, მუნჩის ბრალიაო?..

— მაშ, თქვენ ვინა გგონიათ?

— სტეფანივი!

— სტეფანივი! — წამოიძახა ექიმმა მეხ-დაცემულსავით.

— დიალ, სტეფანივი, იმან გვიღალატა! დანამდვილებით ვიცი...

— ახ, ის საზიზლარი, ისა!... იმის ეჭვი მეტა მქონდა წინად.

— დანამდვილებით ვიცი, რომ ჩვენი ამბავი ყველაფერი იმან უთხრა თურქებს... მუნჩის ბრალი სრულებით არა აქვს... თქვენ ყველანი მეტად აჩქარდით, მუნჩის ტყუილად დასწამეთ... სტეფჩოვმა იმავ ღამეს, რა ღამესაც შეარცხვინეს, თურქებს ურჩია, წისქვილთან გათხარეთ მიწა და მკვდრებს ნახავთო; ხოლო მკვლელი რომ ბოიჩო იყო, ეს მეტად გევისაგან გაიგო... სუსველაფერი უბედურება იმის წყალობით გადაგვხდა... იმისი საზიზლარი მოქმედება დაწვრილებით ვიცი... მეტად სანდო კაცისაგან გაეიგე...

— ახ, ის ეშმაკის ნათესავი, ისა!

— ჰო-და, იმას გეუბნებოდი, წინადადება უნდა შევიტანო-მეთქი.

— რა წინადადება?

— იმის მოკვლას მე ვკისრულობ... ხომ თანხმა ხარ? ყაბულსა ხარ? — ჰკითხა სწრაფად და აღელებით კანდოვმა.

უკანასკნელ წუთების განმავლობაში კანდოვს უფრო და უფრო ემატებოდა ღირსება სოკოლოვის თვალში. მაგრამ ყველაზე მეტად იმან ააღელვა, როცა დაინახა, რომ ახალი მეგობარი მზად იყო მოეკლა სტეფჩოვი — მტერი და მოწინააღმდეგე წმიდა საქმისა; ექიმს სიხარულით გული კინალამ ბულილან გამოუხტა, თუმცა დაინახა, რომ კანდოვი ამ სტეფჩოვის გაქრობას იმიტომა კისრულობს, რომ თავისი ერთგულება დაუმტკიცოს იმ საერო საქმესა და აზრს, რომლის მოსამსახურედ თავისი თავი აღიარაო. ასეთი სიფიცხე სხვას რომ დასტყობოდა, კაცი იტყოდა, თავს იყატუნებსო; მაგრამ კანდოვის სიფიცხე გულ-წრფელი იყო, — ეს ადვილად ეტყობოდა მოუსვენარს თვალებში და ათრთოლებულ და ალტაცებულ სახეზე.

სოკოლოვი ერთხანს თვალებში უყურებდა კანდოვს, მერე ზეზე წამოიჭრა და უთხრა:

— დამაცა, ამ საზიზლარს მზეს დავუბნელებთ... მხოლოდ წილი ვყაროთ, ჩვენთაგანს რომელს ხვდება მისი ჩაღრძობა....

— ეგ სადაურია? აკი მე ვთქვი პირველად, მე მოვკლოვა მეთქი?

— იმის ჯავრი მეტა მჭირს; შენზე მეტი უფლება მე მაქვს იმის მოკელისა... მაგრამ მაინც წილი ვყაროთ....

კანდოგმა სასოწარკვეთილი თვალები დაშტერა ექიმს და წამოიძახა:

— სტეფანვი—ჩემი მსხვერპლია, იმის თავს არავის დავა-ნებებ!

სოკოლოვი კოპებშეკრული დადიოდა ოთახში. მერე მკვა-ხედ უპასუხა:

— ბატონო კანდოვ, ყველაფერს კომიტეტი გადასწყვეტს ამ საღამოს...

ეს რომ გაიგონა, კანდოვი დამშვიდდა:

— კარგი,—უპასუხა ექიმს ყრულ.

— მაშ ასე, გასაყოფი და სადავო არა გვაქვს-რა....—უთ-ხრა სოკოლოვმა და პირზე ღიმი შეუთამაშდა. ექიმმა მერე დას-ძინა:

— მე მინდა წინადადება შევიტანო, მეორე ძალლსაც რა-შე მოუხერხონ; ახლა ისიც საშიშოა; აქ განგებ მოვიდა, რომ გვიხიმანოს რამე.

— ეს ვიღაა?

— შენ იცნობ... ჯაშუში სამანოება. ამ სამის დღის წი-ნად შემხვდა... ფილიპოპოლიდან ჩამოსულა... რომ დამინახა, პირდაპირ მოვიდა ჩემთან, თვალები გამიყარა და მკითხა: „თქვე-ნი საქმე როგორ შიდის“? და თან თვალი მიყო,—ხომ იცია რა საქმის შესახებ გელაპარაკებიო? გაზსაეით ჩამაცივდა!.. სა-ნამ თავს დავალწევდი. მწარე ოფლი დამასხა... დარწმუნებული ვარ, ამ წერულს ალბად სუნი ეცა და გაიგო, რომ ამაღამ კრება გვაქვს.....

— მერე რა უნდა ვუყოთ?

— კრებას მოვახსენებ იმის შესახებ და ვნახოთ, რა გზა-საც დაესდეგებით...

— აპა, მოდის!—წამოიძახა ექიმმა, როცა დაინახა ეზო-ში შემოსული ლამაზი, პირთეორი ყმაწვებლი, ევროპიულის ვე-მოვნებაზე წმინდად ჩატმულ-დახურული.

ეტყობოდა, ექიმი მოელოდდა მისს მოსვლას, ამიტომ რომ, დაინახა თუ არა, დაფაცურდა.

— თქვენი ავადმყოფი იქმნება ვინმე? — ჰკითხა სტუდენტი.

— ლიალ. უკაცრაოდ! — უთხრა ექიმმა და ეზოში გამოხტა.

რომ დაბრუნდა, სიამოვნებისაგან სახე უბრწყინავდა.

— ვინ არის? — ჰკითხა კანდოვმა და მიმავალს ყმაწვილს თვალი გააყოლა.

— პენჩო დიამანდიევია, გაბროვოს გიმნაზიაში სწავლობს, აქ ამ დღეებში მოვიდა.

— როგორ, საზიტლარ სტეფანის ცოლის ძმა და ოხერ იურდანის შვილია? — ჰკითხა კანდოვმა; — თქვენ იმისი მეგობარი ხართ?

— ჩვენ ეთმანერთის მეგობრები კი არა, მეგობრებსა და დაძმებზე მეტნი ვართ... ამხანაგები ვართ: პენჩო კომიტეტის წევრია...

### III

#### თრი პოლუსი

ჩორბაჯი იურდანს დლითი-დლე სიბერე ეპარებოდა და უძლურდებოდა, კუჭის ავადმყოფობას დიდ ხანს უწვა ლოგინში; ხასიათი მთლად გაუფუჭა ლოგინში წოლამ და უარესი ანჩხლი და ბრაზიანი შეიქმნა.

ჩვენ რომ ამბავსა ვწერთ, იმ დილას შშვენიერი დარი იდგა და იურდანშა ქვეითად გაისეირნა თავისს ბალში, ქალაქის განაპირად. მისი ბალი-დიდი იყო და მკვიდრი გალავანი ჰქონდა შემოვლებული ქვითკირისა. შიგ დიდალი ხეხილი და უვავილები იდგა, ქორფა მწვანე სამოსლით შემოსილი. ბალის ნახვამ ავადმყოფი მოხუცი კარგ გუნებაზე დააყენა.. წმინდა და გრილმა ჰაურმა, გაზაფხულის მხიარულმა მზემ გამოაცოცხლა. შინ რომ ბრუნდებოდა, ფეხს უფრო მხნედა სლგამდა. მაგრამ

თავის სიძის გენკა გინკინის სახლს რომ მიატანა, დაიღალა, ფეხები დაუსუსტდა. ცოტას შევისვენებო და სიძის სახლში შეუხვია.

გენკო გინკინი, წელში ოთხად მოხრილი და ბუსუსებაშვებული, ეზოში იჯდა და ჩერებში გახვეული და ატირებული ბავშვი ეჭირა ხელში; მამა შეილს არწევდა და ნანას ეუბნებოდა ძიძასავით.

— ეზოში ხალიჩაგადაფარებული ტახტი იღვა. იურდანი მივიღა და ზედ მძიმედ დაეშვა.

— ბავშვს შენ ულოლიავებ, ადამიანო? ის სადღაა.

იურდანმა თავის ქალის შესახებ ჰქითხა, სად არისო.

გენკოს შერცხვა,—ჩერებულებადა ჰქონდა ხოლმე—ყველა-ფერზე შერცხვენოდა და ენისმოკიდებით წაილულლულა:

— საქმე აქვს. ამიტომ ჩემი შეილი მე მიჭირავს... მითხრა, დაიჭირე და ყური უგდეო.... თვითონ კი, თვითონ მუშაობს...

— მიკვირს, რატომ თითის ტარიცა არ მოგაჩეჩა ხელში!— უთხრა დაცინვით იურდანმა.—გინო, ერთი ყავა მომიდულე!— დაუძახა თავის ქალს.

— ცომსა ზელავს, ზელავს, საქმე აქვს, ბატონი.... მეც იმიტომ მიჭირავს ბავშვი.... ყავას, ყავას.... ყავას მე მოგიდულებ, აი მივღივარ. მე ვიცი, რომელ კოლოფშია ყავა და შაქარი,—ლულლულებდა გენკო, ბავშვი პაპას დაუსვა მუხლებზე და თვითონ კი ოთახში შევარდა.

ბავშვმა უარესად მორთო ღრიალი.

იურდანს გული მოუვიდა. ბავშვი ტახტის ერთს კუთხეზე დასვა, თვითონ ადგა და დაიყვირა:

— ხალხნო, სად ჯანდაბას დაიკარგენით? აქ კაცები ხართ, თუ სახელრები? გინო, გინო!

— მამილო, მშეიდობა შენს ნახვას! რა იყო? ხომ კარგადა ხარ? რა მშვენიერი დარია, კარგი გიქნია, რომ სასეირნოდ გამოსულხარ!—გამოეხმაურა გინკა სახლის წილურბლიდან, მხიარული და პირ-მოცინარი.

წინ თეთრი წინსაფარი გაეკეთებინა იურდანის ქალს, იდაყ-  
ვამდე დამკლავებული იყო, მწვანე თავის ჩითი კისერზე ჩამოს-  
ჩაჩიდა, სახე ფქვილით ჰქონდა ამოგანგლული. მეტად საინ-  
ტერესო საყურებელი იყო მაშინ გინა და კაცს ფლამანდის  
სკოლის ნახატ შინაურ ცხოვრების სურათს მოაგონებდა.

— რას შვრები? შენმა ქმარმა რა მიჰქარა? მეწისქვილის  
ცოლსავით სად ამოთხუპნულხარ ფქვილით? ამდენი ხანია, ეი-  
ძახი და ერთი ფინჯანი ყავა ვერავის გაფაკეთებინე, — ბუზლუ-  
ნებდა მრისხანედ და ბრძანებითის კილოთი მოხუცი.

— მაპატივე, მამილო, საქმეს მეც მივყავ ხელი... ახლა კი  
მოგიღუდებ ყავას.... გენკო! სად დაიკარგე? აიყვანე ბალლი  
და დააძინე.

— რას აკეთებ? რაა, რომ ზელავ?

— ვზელავდი, ვზელავდი... უნდა მომეზელნა... ქვა ხომ  
არა ვართ... კეთილ-შობილი ბულგარელები ვართ.... — უთხრა  
გინკამ და გაიცინა.

— რა ბულგარები, რის ბულგარები? მე შენა გკითხავ,  
რასა ზელავ-მეთქი? — ჰკითხა წარბ-შეჭმუხვნით მამამ.

— ორცხობილის, მამილო!

— ორცხობილის?

— მაშ სხვა რა იქნებოდა?... განა საჭირო არ არის?

— ორცხობილა რაში გინდათ? აბანოში ხომ არ მიღი-  
ხართ? \*) ბევრს ნებას აძლევთ თქვენს თავს!

პასუხის მაგივრად, გინკამ გადიხარხარა.

იურდანმა უარესად შეიკრა კოპები და ისე შეხედა თა-  
ვისს ქალს. გენოს ჩვეულებადა ჰქონდა — ხშირად სულ უმიზე-  
ზოდ ეცინა და ხასიათით თავისს მამას, ამ გაუცინარს ხელმ-  
წიფეს, სრულებით არა ჰგავდა. როცა ქალი ასე უმიზეზოდ და-  
იწყებდა სიცილს, იურდანი ცეცხლს იკიდებდა.

ქალი მივიდა მამასთან და ჩუმად უთხრა:

\*) ბოლგარეთში ზოგვან მცხოვრებთ, როცა აბანოში მიდიან, თან  
მიაქვს სხვა-და-სხვა საჭმელები და აბანოში დროს ატარებენ.

— შენგან არ მიკეირს, მამა-ჩემო! აბა აბანო ახლა ვიღას ახსოვს? ორ-ცხობილას სხვებისათვის ვამზადებთ: იუნაკებსა სჭირიათ საგზლად.

იურდანმა გაოცებით შეხედა.

— ვინ იუნაკებსა?

— ბულგარელ იუნაკებსა, მამილო, აი ბალკანში რომ მიდიან, იმათ.

— რასა როტავ, გინო, რომელი იუნაკები? — ჰკითხა იურდანმა, უარესად აღელვებულმა.

გინკა უფრო მიუახლოვდა და უთხრა:

— ხალხის ასაჯანყებლად... კომიტეტმა ჩვენ მოგვანდო მათის საგზლის მომზადება...

და ამის თქმაზე ქალმა ისევ გადიკისკისა.

იურდანი ზეზე წამოიჭრა. გველნაკენსავით. თავისს ყურებს არ უჯერებდა.

— რომელ აჯანყებისათვის, რომელმა კომიტეტმა? თურქების წინააღმდეგ თუ?

— ჰო, მათს წინააღმდეგ გადავსწყვიტეთ, ამის შემდეგ სულთანს არ ვემორჩილოთ, — უპასუხა კადნიერად გინკამ, მაგრამ ერთბაშად განზე გახტა, ამიტომ რომ მამამ ჩიბუხის ტარი მოუქნია, უნდა დაერტყა:

გაფიორებულმა, სიბრაზისაგან აკანკალებულმა იურდანმა წამოიყვირა:

— გინო, შე ვ.... ს გავარდნილო, შე ჩურჩუტო, შენც გინდა ეურჩო ვისმე? ეს რა ესმის ჩემს ყურებსა: ნემსისა და თითის ტარისათვის თავი დაგინებებია და მაწანწალებისა და გაიდუკებისათვის ორცხობილას აცხობ?... სირცხვილ-ნამუსი რაღა უქენი, შე ხატის გიუო, შენა!... ვერ უყურებთ, სულთანი ბატონად არ მინდაო! შე გველის წიწილო, შენა! სულთანმა შენ რა დაგიშავა? ბალლი წაგართვა, თუ ნაცარში კოვზი ამოგიელო? არა, ცოფიანში გიკბინა, თუ რა ღმურთი გაგიწყრა, რომ შვილებისა და ოჯახისათვის თავი მიგინებებია და სულთანის დასამარცხებლად წასულხარ! შენ რაღას უყურებ,

შე თტროველა! ალბად შენც იმის კვალს გამოუდები, შენც დროშას ამოუდები...—მოუბრუნდა გამძეინვარებული იურდანი სიძეს, რომელიც შეშინებულის სახით ოთახიდან გამოიყურებოდა.

გენკო გინვინმა რაღაც წამოილულლუდა და ისევ ოთახში დაიმალა. გინკა სწორედ ამ ოთახში საჩქაროდ ტანისამოსს იცვლიდა, ამიტომ რომ დაინახა, მამის ყვირილზე ჭიშკართან ხალხი იყრის თავსაო და ყურებას დამიწყებსო. ჭმარი რომ დაინახა, აიღო ფლოსტი და ზურგზე ტყაპა-ტყუპი აუყენა.

— შე მუდრეებო, რად უთხარი, რომ ორცხობილასათვის ცომსა ვზელდი?

მაგრამ გენკომ, მამაკაცი ვარ და ქალს თავი როგორ გავუყადროვო, და პასუხი არ აღირსა. იმის მაგივრად მეორე ოთახში შევარდა და კარი მოჩხურა. რაკი გული დაიარხეინა, ცოლის ფლოსტები ჩემს ზურგს არ მოხვდებაო, ნიშნის მოგებით უჩურჩულა:

— აბა ახლა დამარტყი, თუ ქალი ხარ! იცოდე, მე ქმარი ვარ და შენ კიდევ ჩემი ცოლი ხარ!... აბა ვნახოთ, დამარტყამ, თუ არა!...

მაგრამ გინკა ყურს არ უგდებდა. გამოვიდა ეზოში, საიდანაც იურდანი გაალმასებული და სიბრაზისაგან კანკალ-ავარდნილი სახლში წავიდა.

იურდანი შთლად დატანჯული მივიდა სახლში.

ქშენით, როგორც იყო, ეზო გაიარა და ლონე-გამოლე-ული მეორე სართულზე ასასელელ კიბის პირველ საფეხურზე ჩამოჯდა.

ჩორბაჯი იურდანი საშინლად იყო აღელვებული. მართალია, დიდ ხანს იწვა ლოგინში და აღარსად გამოდიოდა, მაგრამ იმანაც გაიგო ცოტა რამ. ყველამ გაიგო, რომ ქვეყნის ერთგული ყმაწვილკაცები ხალხის აჯანყებას აპირობენო, თვით ყრუთაც გაიგეს ეგ ამბავი. მაგრამ იურდანს ისე ჰქონდა გაგებული, რომ აჯანყება სადღაც პანაგიურიშჩასთან უნდა

შოთდეს, ცხრა მთას იქითო და, მაშასადამე, ცეცხლი ჩემს სახლზე შორს იქმნებათ. ახლა კი, თავის ჭყუა-შხიარულ ქალის წყალობით, შეიტყო, რომ კვამლი ბელაია-ცერკოვსაც ავარდათ. „ნეტავ ვიცოდე, თურქები რასა შვრებიან? ეს ოჯახზაქცეულები, ბრმანი არიან თუ ყრუნი, რომ ვერა ხედავენ, როგორ უთხრიან ძირს მათს საშეფოს?“ — ჰუიქრობდა იურდანი.

მარჯვენა მხრიდან ბავშვების ხმაურობა მოესმა. იმის თავზემდან სარკმელი იყო, საიდანაც სინათლე ერთს პატარა ოთახში ჩადიოდა. იურდანი წამოდგა და კიბეზე ასვლას შეუდგა. მესამე საფეხურზე თვის-და უნებურად შეჩერდა და სარკმელში შეიხედა: დაინახა, რომ ორი მისი უნცროსი შეილი, რომელთაგან უფროსი თორმეტის წლისა ძლიერას იქმნებოდა, ბუხრის წინ იდგნენ და რაღასაც აკეთებდნენ. პატარეები იქამდე გართულიყვნენ საქმეში, რომ ვერც კი შეამჩნიეს მაშის ოვი, რომელიც არკმელში იჭვრიტებოდა.

ერთს რკინის ქვაბი ეჭირა ხელში და ფრიადის გულ-მო-გინებით თვალ-ყურს ადევნებდა, რაც იხარშეცმოდა, თუ იხრაკებოდა ქვაბში. მეორე ძმა კი დანითა სჭრიდა რაღაც შავს გუნდებს და ასორსოლებდა, წინ მთელი გროვა ეყარა ასეთის გუნდებისა. ეს გუნდები ჩამოსხმული ტყვია იყო; ხოლო ქვაბში კალას აღნობდნენ და მერე ყალიბში ასამდნენ.

— ავაზაკები! ვიჩები! დაიყვირა შლევსავით იურდანშა, როცა გაიგო, რასაც აკეთებდნენ მისი შვილები. მერე მოიმარჯვა ჩიბუხის ტარი და ოთახში შეიჭრა.

ბავშვებმა თავისს ლაბორატორიას თავი დაანებეს და შურდულსავით ქუჩისაკენ მოჰკურცხლეს. მალე სრულიად მიიმაღნენ.

— გაიდუკები! სისხლის მსმელები! ცეცხლის წაშკიდებლები! წყლელ-შეჩვენებულებო! ესენიც ასაჯანყებლად ემზადებიან! — ჰყვირდა იურდანი და მარდად აღიოდა კიბეზე, რადგან ბრაზისაგან ფეხების ტკივილშა გადაუარა.

მაღლა თავისს ცოლს შეეხეხა.

— ადამიანო! შენც ხომ შეთქმული არა ხარ? — ჰკითხა მრისხანედ. — მთელი ოჯახი ჰკუუღან შეშლილა! როგორცა ვხედავ, მთლად დამანელებთ, თქვე წყეულებო!... ამ სიბერის ეამს სულიან-ხორციანად წამწყმედავთ.

იურდანი ქშინავდა, სულს ძლივას იბრუნებდა.

— პენჩო! პენჩო! — დაიყვირა იურდანმა. — სად დაიკარგა? თუ ლლაპები ტყვიას ასხამენ, ის, ალბად, ზარბაზნებს ასხამდეს იქმნება... შეჩვენებულები!

— შინ არ არის, — უთხრა ცოლმა, — კარლოვოში წავიდა.

— კარლოვოში რა ჯანდაბა უნდოდა, რისთვის წახირებულა?

— იქმნება, მეტყავესთან წავიდა და მისი ასი ლირა წაუღო.

— თოსუნ-ბეისთან? იმასთან ხვალ უნდა წასულიყო!... ჩემ უნებურად როგორ გაჰედა წასელა?...

ეს რომ სთქვა, ჩორბაჯი იურდანი სამწერლო მაგიდასთან მივიდა. უჯრებში დავთრები და ანგარიშები გადააქოთა, მაგრამ იქ შენახული ფული ვეღარსად იპოვნა. ფულის მაგივრად ქალალდებს ქვეშიდინ საუცხოვო დამბახა გამოათრია.

— ეს დამბახა აქ საიდან გაინდა? ვისია? მე აქ ფულები შევინახე და იმის მაგივრად დამბახა კი დამხედა! ვინ არის, რომ ჩემის მაგიდის უჯრებში ხელს ურევს?...

— შენსა და პენჩოს შეტი აქ ვინ მოვა? — უთხრა ცოლმა.

— აა, ეს ვ . . . . ლი! ისიც მაწანწლა? არ უნდა კაცად გამოსვლა?... ისიც ხელმწიფის მოღალატეა?.... პენჩო-და — მეამბოხე!... არა, ქვეყანა როგორ არ დაიკცევა! რა თქმა უნდა, თავისს წვინტლიან ძმებს. ის ეტყოდა ტყვიის ჩამოსხმას!... ყველანი სამუშაოს ჩასჯდომიან! ყველანი თავიანთს ჩამოსახრიბს თოქსა ჰერხავენ!... შეხე, რა შეჩვენებული რამა ყოფილა! ჩემს სახლში, საცაა, კატის კნუტებიც მეამბოხეებად გადაიქცევიან, თუ ასე წავიდა საქმე!... კირიაკი მოვიდა?

— აქ არის, ცალებსა ჰკრავს...

იურდანი საჩქაროდ იმ ოთახისაკენ წავიდა, სადაც სტეფ-  
ჩოვი იყო.

## IV.

## სიმამჲი და სიძე

სტეფჩოვი თავს ადგა ორს მოჯამაგირეს, რომელნიც ჯუ-  
შაის ბაზრობაზე გასაგზავნ საქონელსა ჰქონდნენ. ბაზრობა 23  
აპრილს იწყებოდა. სერთუკი გაიხადა, ქუდი განზე გადასდო,  
რომ უფრო ადვილად ემუშავნა; მისს სახეს, მართალია, ახლა  
მუშაობისაგან სიწიოლე გადაჰქოდა, მაგრამ მაინც ეტყობო-  
და უფერულობა და სულიერი სიღატაკე და გულღვარძლია.  
ნობა.

სარკმელთან მისი ცოლი ლალკა იდგა, უბრალო ლურჯ  
კაბით მოსილი, და შეკრულ ცალებს ტილოს ნიშნებს აკერებ-  
და. გაფურჩქვნილს სახეზე გარეშე კაცი ვერც კი შეატყობდა;  
თუ ქმართან, რომელსაც თავის უნებურად მიათხოვეს, უბე-  
დური კვევრება ჰქონდა. გამოუცდელი, გულუბრყვილო ქალი  
იყო ლალკა, ისეთ მტარვალ მამის ხელში აღიზარდა, რომ  
მძლავრ სიყვარულის გრძნობას მისს გულში ფეხის მოსა-  
კიდებელი არა ჰქონდა და ამიტომ მალე შეეჩვია თავისს ახალს  
ბედს და შეურიგდა კიდეცა. სტეფჩოვი არ უყვარდა ლალკას  
და მისი შეყვარება არც შეიძლებოდა, მაგრამ ქალი ემორჩილე-  
ბოდა და ეშინოდა მისი. სტეფჩოვიც მორჩილებისა და შიშის  
მეტს არასა სთხოვდა ლალკას. მართალია, გული ვერ მოიგო ლა-  
ლკასი, მაგრამ გულის წილ დიდი ქრთამი აიღო და იურდანის  
პირდაპირ ტემკვიდრედ ხდებოდა და სტეფჩოვიც კმაყოფილი  
იყო.

სტეფჩოვმა თოკი, რომლითაც ცალსა ჰქონდა, ხელიდან  
გააგდო. ხოლო ლალკამ—ნემსი, როცა იურდანი დაინახეს.  
აკან კალებული და სახეგაფითრებული. შემოვარდა იურდანი  
ოთახში.

— კირიავ, რას იტყვიო? — შესძახა იურდანმა ჯერ ისევ. კარებილან, — როგორცა ვხედავ, მხოლოდ მე და შენ შევრჩით სულთანს ერთგულები! ჩემს სახლში კნუტებიც კი მეამბოხედ იქცნენ, დამბაჩებსა ჰყიდულობენ, ტყვიებს ასხამენ.... საცაა, უშველებელმა ცეცხლმა უნდა იფეთქოს, ჩვენ კი ვსხედეართ და ბაზარში გასაგზავნად ცალებსა ვკრავთ! მე კი, ვთქვათ, ავადა ვარ, მაგრამ შენ რაღას უყურებ, საქონელზე ამდენს ფულს რადა ხარჯავ, როცა ასეთი ავაზაკური დროება დაგვიღვა!....

ორივე მუშა ოთახილან ფეხ-აკრებით გავრდა.

სტეფანემა არ იცოდა, რა ეთქვა.

— რა ხმა ჩაგიწყდა, შე უბედურო? — დაუყვირა იურდანმა, — მე შენ გეუბნები, მაელი ოჯახი მეამბოხებით გამევსომეთქი, მერე რა კაცის ოჯახი? ჩორბაჯი იურდანისა! ჩემზე ერთგული კაცი მაინც ჰყავდეს ეინმე სულთანს, ან ჩემთან ფაშები და ღენერლები მაინც არა ჩერდებოლნენ!... საცა ჩემს ოჯახში ასეთი ღვთას რისხვა დატრიალდა, სხვა, უბრალო ხალხი, რაღას იზამს! რამოდენიმე სათოკე უმაწვილი კომიტეტს არდგენს აქ, ჩვენს თვალს წინ, და ჩვენ კი პირი დაგვილია ცხერებსავით და ყურებსაც არ ვაბარტყუნებთ!... არა, თუ კი იცოდი, რომ ჩვენს ქალაქში ასეთი შავი ჭირი იყო, რატომ აქამდე არა მითხარი-რა?

— შენი შეწუხება არ მინდოდა, ავად იყავი.

— ბეის ხომ შეატყობინე?

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა საიდუმლო ყველამ იცოდა, მაგრამ სტეფანეს ყველაზე ნაკლებად ჰქონდა გავებული, რაც ბელაია-ცერკოვში მზადდებოდა. ჯერ იმიტომ, რომ სტეფანეს ყველა გაურბოდა და ეშინოდა — მისთვის რამე ეთქვა აჯანყების შესახებ; მეორეც იმიტომ, რომ სტეფანე პატრიოტებს და მათს ქადაგებას ზიზლითა და ცხვირ აწევით ეკიდებოდა. — რაღასაც სულელობენ და ყურადღების ღირსი არც კი არის მათი მოქმედებაო.

სტეფანეს სახე ენთებოდა სიბრაზისაგან.

— ამ მაწანწალებს დღესვე ჩავუყრი ბეის ხელში! — სოქვა გაბოროტებულმა სტეფანემა.

— მერე რაღას უყურებ?

— ბეიზალეტოს ბაღში შეიყრებიან ამ სალამოს. დევ უველანი დაიჭირონ და წაიყვანონ ჩვენების ჩამოსართმევად. როცა ორას-ორას ჯოხს უთავაზებენ, მაშან კი იკადრებენ და ყველაფერს წამოჰყავენ... საჭიროა აღრევე მოულოს კაცმა ბოლო ამ მაწანწალების ქადაგებას... ოსმალეთის სახელმწიფო უნდა დაეამხოთო!... ვისაც სულთანი და მისი კანონები არ მოსწონს, რუსეთში წაბრძანდეს, ჩვენს სახლებს კი ნუ გვიწვავს და ნუ გვინელებს.

სტეფანევმა კარი გააღო და ვიღასაც ჩურჩული დაუწყო:

— იცი, ვინ და ვინ არიან ეს მაწანწალები? — ჰერი-ლანგა.

— მოთავე სოკოლოვია! — უთხრა სტეფანევმა, თანაც ქურდულად შეხედა ლალკას და სახე სიბოროტისაგან ტაემანჭა. სოკოლოვი სძულდა, როგორც მეამბოხე, მაგრამ უმეტესად სძულდა იმიტომ, რომ ერთს დროს მოქიშვე იყო იმისი და ლალკას შერთვა სწადდა. სტეფანევის ლვარძლიანს გულს ერთის შეყვარება შაშინ-ლა შეეძლო, როცა მეორეს საშარეს უთხრიდა წასაწყმენდავად.

— ეს ის წყეულია?

სტეფანევი განზე გავიდა და თავის სერთუკის ჯიბეში რაღასაც ძებნა დაუწყო.

იურდანი ელოდებოდა, აბა რას მეტყვისო.

— აი, ეს წერილი გუშინ ქუჩაზე ვიპოვნე, თქვენის სახლის ახლო.

— რა წერილია?

— სოკოლოვის გვარი აწერია ქვეშ... ქ. პანაგიურიშჩეშია გასაგზავნი... როგორც ეტყობა, ამ გვარსავე მაწანწალებთან.

— შიგ რის შესახებ სწერია? ტყვევნა-ულეტისა, დაწვა-შემუსცრის შესახებ, განა?

— არა, სულ სხვა რამე სწერია... ვინც არ იცის მათი ეშ-მაკობა, იტყვის, უბრალო წერილია, საეჭვო არა სწერია-რა შიგაო, მაგრამ მე მზადა ვარ, ხატსა და ჯვარზე დავიფიცო,

რომ აზრი ამ წერილისა სულ სხვაა,—უთხრა სტეფანეგა და წერილი გაშალა.—მაგრამ სამანოვი მიხედება და აგვიხსნის, რა სწერია; სამანოვი ისეთი მეძებარი რამ არის, რომ ორის დღის სავალზე ეცემა მეამბოხის სუნი.

ლალკა ქმარს ყურს უგდებდა და თან და თან ფითრდებოდა. ნელა ოთახიდან გავიდა და ძირს ჩავიდა დედასთან.

— ლალო, რა დაგემართა, შვილო, გენაცვალოს დედა? — ჰეთხა დედამ.

— არაფერი, — უპასუხა ქალმა მინაზებულის ხმით და ჩამოჯდა, თავი კი ხელზე დააყრდო.

დედა სადილის კეთებაში იყო გართული და ქალისათვის შეტი არა უკითხავს-რა. თვითონაც ძალიან გაბრაზებული იყო, კოვჭით. რაღასაც ურევდა ქოთანში და თანაც შვილებსა სწყევლიდა:

— არ გაახაროთ ჩემმა გამჩენმა! სასიკვდილენი! მამას, საკუაა, სულს ამოხდიან! საწყალი კაცი ძლივას წამოდგა ლოგინიდან და ეხლა, მათი გადამკიდე, უარესად შეიქმნება... აი, ღმერთმა დალახეროს მათი თავიცა და მათი მოგონილი აჯანყებაცა! არა, რა ღმერთი გაუწყრათ და რამ გადარია და შეზალა ყველანი? ჩემი ჰქუა მხიარული ქალი გინკაცა, ოჩონჰეცრე სიძე გენკოცა, ისინიც კი ორცხობილებს უმზადებენ ამ დამთხვეულებსა! არა, მიწა როგორ არ გაუსკდებათ და შიგ არ ჩიოტანთ!

ამ დროს გინკა შემოვიდა და იურდანის ცოლს რაც-რამ ჯავრი სჭირდა, სულ იმაზე იყარა.

— დედილო, რასა ბრაზობ? ის კი არა, უნდა გიხაროდეს..... ჩორბაჯის შვილებმა სხვებს უნდა აჩვენონ მაგალითი...

— გინო, ხმა ჩაიწყვიტე, — შეუტია დედამ; — შენი არა მწამს-რა, შენ გიურ ხარ!

— გიურ სრულებითაც არა ვარ, მე ბულგარელი ვარ და ჩემს. ერს მინდა ტლედ დავედო! — უპასუხა ცხარედ გინკამ.

— ბულგარელი ვარო? აი, გაჰქრი, გაჰქრი! მერე-და ქმარს იმიტომა სცემ ყოველ ცისმარე დღე? არა, ეს სახელ-გასაწყვეტილ რომ მარაქაში ერევა?!

— იმიტომა ვცემ, რომ ჩემი ბატონი და პატრონია, ეს სულ სხვა საქმეა: საშინაო საქმეა.

— არა, შე ხატის გიუო, შენ გინდა მამა-შენზე მეტი სამ-სახური გაუწიო ბულგარელს ერსა? თუ გაგიგო, რომ სოკო-ლოვის გამოგზავნილს გაზეთებს ჰკითხულობ, ცხრაპირს ტყავს აგაძრობს, იმას კი არ უყურებს, რომ ორმოცის წლის დედა-ბერი ხარ....

— ბოშის ქალსავითა სტყუი, დედა ჩემო!... შობას ოც-და-თხუთმეტი წელიწადი შემისრულდა... მე უკეთ ვიცი, რამ-დენის წლისაცა ვარ!

შემოვიდა მოსამსახურე გოგო და დედა-შეიღმა ლაპარაკი. შესწყვიტეს.

— ქალბატონო, პაპა იურდანი ცუდად არის, — უთხრა გო-გომ შეშინებულის სახით.

— რა დღეს მოვესწარი, ღმერთო ჩემო! — წამოიძახა იურ-დანის ცოლმა და სირბილით გაიქცა თავის ქმრისაკენ.

ჯერ კიბეზეჯვე გაიგონა იურდანის ყვირილი, — ტკივილები ისევ მოსვლოდა, სახე დაჭმანჭოდა და დაჭლურჯებოდა, მო-ხუცი გამწარებულად ჰკვნესოდა, მაგრამ კვნესა ტანჯვას ვე-რასა ჰშველოდა; შინაურებს თავზარსა სცემდა მისი გმინვა და ქუჩაზედაც ისმოდა.

მაშინათვე ექიმ იანელისთან აფრინეს ერთი მოჯამაგირე, მაგრამ ბიჭი მალე დაბრუნდა და სთქვა, იანელი სახლში არ იყო, — კარლოველში წასულაო. მაშინ შინაურს წამლებს მი-მართეს. დაადეს ტლე, დაზილეს, რაღაც ბალახ-ბულახები და-დეს, მაგრამ ავადმყოფს ვერა ეშველა-რა, იატაკზე გამწარებუ-ლად ჰგორავდა ან დარბოდა და იქით-აქეთ ეწყვეტებოდა.

ცოლმა არ იცოდა, რა ექნა.

— მოდი, ექიმს სიკოლოვს დავუძახებ, რას იტყვი? — ჰკითხა ტანჯვაში მყოფს ქმარს.

სტეფანემა რაღაც წაილულლუდა, ეტყობოდა, ეწყინა სოკოლოვის სახელის გაგონება.

— შარშან წინ ავად რომ ვიყავი, სოკოლოვი მოვიწვიე და იმისმა ჭამლობამ მარგო, — მერე ისევ მიუბრუნდა იურდანს ცოლი: — იურდანე, ექიმი მოვაყვანინოთ!

იურდანმა თითოთ უარი უთხრა და ისევ კვნესა დაიწყო.

— გესმის, — სოკოლოვთან კაცსა ვვჩავნი! — უთხრა გარდა წყვეტილის კილოთი ცოლმა.

— არ მინდა.... — წამიყრანტალა მოხუცმა.

— შენ არ გინდა, მაგრამ შენს ნათქვამს მე ყურს არ ვუგდებ, — უთხრა რიხით ცოლმა; — მერე მოჯამაგირეს მიუბრუნდა:

— ჩონო, წადი, ექიმს სოკოლოვს დაუძახე, ჩქარა!

ჩონო კარისაკენ გაემართა. ის იყო, ზღურბლზე ფეხი შესდგა, ისე იურდანის საშინელმა ყვირილმა გააჩერა. თითქო ჟღლ-გამოჭრილი ვინმე ხრიალებსო, ისეთის ხშით ყვიროდა ავალდებოდი.

— არ დაუძახოთ! არ მინდა ის მაწანწალა, გაიდუკი!..

ცოლმა იმედ-დაკარგულის სახით შეხედა ქმარს.

— მაშ სიკვდილი თუ გინდა? — უთხრა ქმარს.

— დეე, მოვკვდე! გამეცალენით, წყეულებო! — დაიღრიალა მოხუცმა.

ორის საათის უკან, ტკივილი ცოტ-ცოტათი დაუყუჩდა. როცა სტეფანემა დაინახა, რომ ჩემი სიმამრი უკედ არისო, საჩქაროდ ტანთ ჩაიცვა და კონაკში წავიდა.

კრბეზე ერთი პატარა კაცუნა შემოხვდა.

— რა ჰქენი? — ჰკითხა სტეფანემა, — ხომ კარგად დაათვალიერე?

— დავათვალიერე, ბეიზადეტთან არიან.

— ბაღში?

— არა, სწვიმს და სარდაფში ჩავიდნენ. კარგად ვადევნე თვალ-ყური... მეც მესმის რამ ჩემის ხელობისა...

ეს კაცუნა იყო ჩვენი ნაცნობი კარნარიელი მიკიტანი რაჩკო... ახლა იურდანს დაუდგა მოჯამაგირედ და ამავე დროს ჯაშუში იყო იურდანის სიძისა.

— ქოლგა მომიტანე.

ერთის წუთის უკან სტეფანე საჩქაროდ გავიდა ჭისკარში.

სტეფანე და რაჩკო რომ ლაპარაკობდნენ, ლალკა კართან იდგა და მათს ნათქვამს ყური მოჰკრა. ქმარს უცნაურის, გაოცებულის და შეშინებულის თვალით შეხედა, მერე სწრაფად ავიდა კიბეზე და ოთახებში შევიდა.

(შემდეგი იქნება)

# ე ც ი უ დ ი

— მოიწი ჩემკენ, მოიწი!.. შენ კი არა გცივა?!... მე კი, აი, სიცივისგან მთლად დავიბუხე, ლამის არის გავშეშდე; სიცოცხლე შემიღეს...—ეხვეწება ჰატარა, ფუნჩულა თეთრი პეპელა, რომელიც ყვითელ-ფოთლიან ჯაგს ამოპფარებია, იქავე მჯდომ ჭრელ პეპელას და იმოდენა არაქათი აღარა აქვს, რომ თითონ მიიწიოს იმისკენ...

წერილი, ფეტვის-მარცვალა წვიმა კი დაფინებით თავს დასდის, და თან სუსხიანი ქარი უსისინებს...

— ლამის არის მთლად ზედ შეგდგე!... სადღა მოვიწიო?!

— არ გებრალები?!. — კვნესით შესძახა ფუნჩულა პეპელამ და ოდნავ ჰატარა ფრთხები შეარხია...

— მებრალები, მაგრამ რა ვქმნა, როდესაც მეც შენი დღე მაღვას?!.. — გულ-მხურეალობით უპასუხა ჭრელმა პეპელამ და ცალი ფრთა ზედ გადააფარა.

— პოო, ეგრე, ეგრე!.. ოხ, რა მაღლობელი ვარ!..

— ეეხ, მართლა-და, რა სულელი გამოვდექი, იმათ რომ დავუჯერე?...—გულ-ამოსკვნით წამოიძახა ისევ ფუნჩულა პეპელამ რამოდენისამე წუთის სიჩუმის შემდეგ.

— რა იყო?.. როგორ?...—ეკითხება ჭრელი პეპელა და გადაფარებულ ფრთას უფრო უჭუჭევს.

— ეხლა რომ მაგონდება,—კანკალით ამბობს ფუნჩულა პეპელა:—სირცხვილით ვიწვი...

— არ მეტყვი, რა იყო?...

— ჯერ ახლად თვალი რომ გავახილე, — დაიწყო ფუნჩულამ:—და არე-მარეს გადავავლე, დავითვერ, სიამოვნების ურუ-

ანტელმა დამირბინა ტანში. ჩემ თვალშინ გადაშლილიყო... ბელ-შავს, ველარც კი გამომითქვამს იმის სიმშვენიერე!.. ათას-ფერად აუვავებული მდელო, რომელსაც შიგ შეაში მიუჩ-ხრიალებდა ან კარა, კამკამი წყალი და ნაპირებს აპკურებდა თა-ვის გამაცოცხლებელ წინწკლებით, გადაჭიმულიყო ჩემ თვალ-წინ. ყოველ საგანს სინაზე, სიახლე ეტყობოდა. უთუოდ ისი-ნიც ახლად იყვნენ გამოწვეულნი, გამოცოცხლებულნი, რომ პირველ მზის სხივზე მათ ცრემლვა დაიწყეს. მათი ცრემლი მზის სხივზე კრობდა, ელვარებდა, და ის ან კარა წყალიც უთუ-ოდ იმისთვის მოსთქვამდა ისე ნაზად და სასიამოენოდ... არე-მარე ჩემსავით დამთვრალი იყო სიცოცხლის პირველი სხივით და სტიროდა სიხარულით!..

„....ას, რა კარგია!...“ — გამოვერკვეი თუ არა, უნდაშურად ეს წამოვიძახე და არ ვიცი, როგორ და რად დავიწყე ნავარ-ღობა.... მართლადაც, რა კარგი იყო?!! ხან ერთს ყვავილს და-ვაკვდებოდი ზედ გულზე და ხან კიდევ მეორეს. მინდოდა ყვე-ლას მივეალერსებოდი, ყველას გულში ჩავკვროდი და ამისთვის არც ერთ ყვავილთან, არც ერთ მცენარესთან დიდხანს არ გავ-ჩერებულივარ.

„ასე ვნავარდობდი, ვიდრემდის ბინდმა არ შემაყენა. ვი-ძახდი, რად დაბნელდა, რომ კიდევ მენავარდნა...“

„გათენდა. ისევ ის ნავარდობა, ისევ ის სიამოვნება. ყო-ველ დღე ვსიამოვნებდი და სამწუხაროდ მხოლოდ ის მქონდა, რომ ღამეც არ შემეძლო სიამოვნება...“

„ერთ ღამე... ცოტა კიდევ ამომიჭუქვე ფრთა!... ეგრე, ეგრე!... რა ნაირი სუსხიანი ღამეა!... ჰო!... ერთ ღამეს-მეთქი, ის იყო ბალახებში ჩავძვერი და ძილს ვაპირობდი, რომ უეც-რივ რაღაც სინათლე თვალს მოჩადგა. ვავიხედე იქით, საიდა-ნაც შუქი მოდიოდა და აღარც კი მიფიქრნია, მაშინვე იქით-კენ გავეშურე. რას ვხედავ?!.. ირგვლივ ისხდნენ... უთუოდ გე-ნახვება სადმე; ისინი ხშირად დადიან მინდვრად და მათი მსგავ-სი პატარეები ჩეენს ძმებს კიდევაც დასაჭერად დასდევენ! რა ვქნა?!... რამ დამავიწყა მათი სახელი?...“

— ადამიანები?!!

— ჰო, ადამიანები!... არ გასაშვებმა მათმა პატარეებმა ერთხელ კინალამ დამიჭირეს... შემოსხდომოდნენ მაგიდას და ვახშმობდნენ... მაგიდას შუა იდგა რაღაც პატარა თეთრი, რომელსაც თავს დასობოდა მოელვარე, მოციმციმე ენა. მისი შავი ძარღვი ცოტათი წამოხრილიყო და გალვიებული წვერი გამოენაპირებინა... ახ, რა მშვენიერება რამ იყო?!.. ის, ის ჰყენდა არე-მარეს მკრთალ ნათელს... ის ატკბობდა იმ საზიზლრებს!.. ჰირველი შეკრთომის შემდეგ გავსრიალდი და თავს შემოვევლე... მისი სიახლოვე ვიგრძენ... ფრთა შევახე და... ოხ, რა ნეტარების ურუანტელმა დამიარა ტანში!.. სიმწვავე უჩერძენ, მაგრამ ნეტარი სიმწვავე!... ტანი მომეშალა და, დარეტიანებულმა, მსწრაფლ ძირს ფორთხიალი დავიწყე”....

„....რა სულელები არიან, ეს მწერები?!... სიცოცხლეს თითონვე ისპობენო“.— წამოიძახა ერთმა მაგიდის გარს მსხლომ ადამიანთაგანმა და იატაკზე დამანარცხა“...

„ძალიან მეწყინა... სატრფო მთლად დამავიწყდა... „სულელები... მწერები!...“ ეს სიტყვები-ლა მიტრიალებდნენ თავში... მოვიკრიუე ძალ-ლონე და მედიდურად ავუფრინდი იმათ ცხვირ-წინ... „მე დაგიმტკიცებთ, რომ მწერები სრულებითაც არ არიან სულელები-მეთქი“, თან ეს მივაძახე და ის იყო და ის, მას შემდეგ ყოველგვარ სიამოვნებას მოეშორდი; ვერიდებოდი... „იგინი ჭკვიანები არიან. სულდგმულთა მეფედ ითვლებიან. მაშასადამე, უთუოდ სიცოცხლე სიცოცხლისთვის რაიმეს წარმოადგენს-მეთქი“, ვფიქრობდი და ყოველთვის, როდესაც კი შევნიშნავდი რაიმე სიმშვენიერეს, რომელიც მაფრთოვანებდა, მიზიდავდა და გულს მიტოკავდა დღე იქმნებოდა ეს, თუ დამე, ვერიდებოდი, ვუფრთხოდი და, აი, სიცოცხლე დავიცევ ამ სუსხიანი ღამისთვის; სიცოცხლე შევინახე, რომ იგი ტანჯვით მომსპობოდა!... ოოჳ, თუ გადავრჩი ამ სუსხიან ღამეს... მაშინ... მცივა... მცივა... მაშინ...“ — შესწყვეიტა ფუნჩულამ ამბავი. ჭრელი სმენად იყო გარდაჭცეული. დიდხანს ელოდა, ფუნ-

ჩულა რას იზამდა, თუ ამ ლამეს გადარჩებოდა, მაგრამ იგი მხოლოდ გაუგებრად წრიპინებდა. ჩქარა წრიპინიც შესწყდა....

— მაშინ რას იზამდი?! — ჩაეკითხა მოთმინებიდან გამოსული ჭრელი პეპელა, მაგრამ ფუნჩულა სდუმდა.

ჭრელმა პეპელამ შეარხია ფუნჩულა. ფუნჩულა ძირს ჩავირდა.

— ველარ გადარჩა ამ ლამეს!.. — მწარედ წარმოსთქვა ჭრელმა პეპელამ და ლრმა ფიქრებს მისცა თავი.

ქ. არაგვისპირელი

# პ რ პ ზ ე ნ ა

თომანი იტალიის ცხოვრებიდან

ე. ჭოინიშვილ

თავისუ მოღვაწე

III \*)

კრიზანა დაესახლა რომის ქისკარს გარედ, იმ პანსიონის სიახლოებეს, სადაც სცხოვრობდა ზიტრა. იგი სიბარიტელს ჰგავდა და თუმცა სახლში არაფერი არ მოწმობდა მისს ბედოვლათობას, მაგრამ თვითეული ნივთი და ოთახის საერთო მოწყობილება მდგმურის გემოვნებას მოწმობდა, რაც ძლიერ აკვირვებდა გალლისა და რიკარდოს. ისინი მოელოდნენ უბრალო გემოვნებას. მართლაც, სად მდინარე ამაზონის უდაბნოებს შორის ნაცხოვრი კაცი და სად ასეთი გემოვნება, როგორც სახლის მოწყობილებაში, ისე ჩაცმა-დახურვაში. მისი ყელსახვევი ყოველთვის საკვირველის სისპეტაკისა იყო; რამოდენიმე ფეხსაცმელი იყო ჩამწკრივებული იმის ოთახში; ყვავილების თაიგულები ხომ არ გამოილოდა მის სამწერლო მაგილაზე. კრიზანა ყველასთან ალერსიანი იყო, უმეტესად შაცინის პარტიის ადგილობრივ წევრებთან. მხოლოდ გემმა აიგვალწუნა თავიდანვე, თითქო პირველ ნახევისათანავე არ მოეწონა მას იგი და გაურბოდა იმის საზოგადოებას ყოველ ლონისძიებით, რამ-

\*) იხ. „მოამბე“ № VII, 1899. წ.

დენჯერმე უზრდელადაც მოექცა იმას, რისთვისაც გადიკიდა მარტინი. არც მარტინს და კრაზანას მოეწონათ ერთმანერთი, იმათი ხასიათი იმდენად განსხვავდებოდა, რომ მათი მეგობრული განწყობილება შეუძლებელი იყო და მარტინი არც ჰყარავდა თავის გრძნობას კრაზანასადმი.

— მე არა ვჯავრობ იმაზე, რომ კრაზანას არ ვუყერვარ, — უთხრა ერთხელ მარტინმა გემმას აღელვებულის კილოთი. — არც მე მიყვარს ის; ასე, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ბარი ბარსა ვართ. მაგრამ მე ვერ ამიტანია იმისი თქვენდამი მოქცევა. მეთაკილება ჩხუბისა და დავიდარაბის ატეხა იმ კაცთან, რომელიც ჩვენვე მოვიწვიეთ, თორემ მე მას ანგარიშს მოვთხოვდი.

— თავი დაანებეთ, ჩეზარე, ეს არაფერი საყურადღებო საქმეა და ამასთან, უნდა გითხრათ, რომ თვით მე დანაშაული ვარ იმაში.

— რაში ხართ დანაშაული?

— იმაში, რომ არ ვუყვარვარ. მე ცუდად მოვეპყარი მას, პირველ გაცნობისათანავე.

— თქვენ მოეპყარით ცუდად? ეს ძნელი დასაჯერებელია, მაღონნავ.

— რასაკირვეელია, მე ეს განზრახ არ ჩამიდენია და თითონვე ვინანე ბოლოს, რომ ასე მოხდა. მე როგორლაც უუთხარი, რომ კოჭლის დანახვა ზოგიერთის დაცინებას გამოიწვევს-მეთქი და იმან ეს თავის თავზე მიიღო. მე კი ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ის კოჭლებთა შორის ჩამეთვალა. ის სრული-ადაც მახინჯი არ არის.

— დიალაც არა. იმას ერთი მხარი მაღალი აქეს მეორეზე და მარცხენა ხელი კარგა ძალზე დაშავებული, მაგრამ კუზიანი კი არ არის და ჯოხებზედაც არ დადის. კოჭლობა იმას ოდნავ თუ ემჩნევა.

— მაგრამ მაინც, — ჩამოართვა სიტყვა გემმამ, — იმ დროს, როცა ეს ვუთხარი, ის მთელი სხეულით აკანკალდა და სახეზე

სრულიად აირია. რასაკვირველია, მე უზრდელად მოვიქეცი, მაგრამ არ მოველოდი, თუ ასე ეწყინებოდა. მე მივხვდი, რომ მას ბევრი დაცინება აუტანია ამ კოჭლობის გამო.

— მეონი იმას უფრო ხშირად დაუცინია სხვებისათვის, ვიდრე სხეს ვისმე მაგისათვის. არის რაღაც შინაგანი გაუთლელობა იმ კაცში, მიუხედავად ყოველ იმის ზრდილობიანის ქცევისა და ამისათვის უფრო მძაგს მე იგი.

— ეგ უსამართლობაა თქვენის მხრივ. როგორც თქვენ, აგრეთვე მეც არ მიყვარს ის, მაგრამ რისათვის უნდა ჩავთვალოთ იმაზე უარესად, როგორიც თვითონ არის? მისი ქცევა თეატრალურია და კაცის გულზე მომყვანი, იგი უთუოდ მიჩვეულია, რომ ყველანი იმას თაყვანსა სცემდნენ. იმისი დაუშრეტელი სიმძაფრე და მახვილ-გონიერება საშინლად მომქანცველნი არიან, მაგრამ ცუდ კაცად კი არ მიმაჩნია.

— არ ვიცი ფიქრად რა აქვს, მაგრამ ძალიან კი ჰქიცხავს ყველას. მე დიდად აღშფოთებული ვიყავ, ფაბრიცის სახლში დაობის დროს; როგორ ჰქიცხავდა ის ახალ პაპის რეფორმებს! იგი თითქოს ცდილობდა ყველაფერში ანგარება გამოენახა. გემმამ ამოიხსრა.

— თუმცა მწყინს, მაგრამ უნდა კი გამოვტყდე, რომ მაგ მხრივ ვეთანხმები უფრო იმას, ვიდრე თქვენ. ყველა თქვენ, ერთობ კეთილნი ხართ და ადვილად მიეცემით ხოლმე ტკბილს იმედებს. თქვენ ყოველთვის მზად ხართ ირწმუნოთ, რომ თუ შემთხვევით ამოირჩევენ პაპად რომელსაც გულ-კეთილ ხნიერ კაცს, მაშინ ყოველივე თავისთავად გაკეთდება. საკმარისია, რომ მან საპყრობილის კარები გააღოს, მისცეს თავისი ლოცვა-კურთხევა ყველა გარშემო შეიფრთ და სამი თვის შემდეგ დედამიწაზე დამყარდება სამოზნე. თქვენ არაფრის გულისთვის არ გინდათ გაიგოთ, რომ პაპს არ შეუძლიან, კიდეც რომ სურდეს, გაასწოროს საქმის ცუდად მიმდინარეობა. აქ საქმე თვით პრინციპის სიცრუეშია და არა რომელიმე კაცის ყოფა-ქცევაში.

— როგორი პრინციპისა? პაპის საერო მეუფებისა?

— ეგ მხოლოდ ნაწილია საერთო ბოროტებისა, უმთავრესი ბოროტება კი ის არის, რომ ერთს კაცს აქვს უფლება შეორებზე და შეუძლიან იმისი დამონებაც და განთავისუფლებაც. ეს აჩენს უსამართლო განწყობილებას აღამიანთა შორის.

მარტინმა ხელი ხელს შემოჰკრა.

— კმარა, კმარა, მაჟონავ, — სთქვა იმან სიცილით, — მე არ შემიძლიან გედაოთ, როცა თქვენ ამ საგანზე მსჯელობთ. დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ინგლისელ-ლოველლერების შთამომავლი ხართ. მე ეხლა თქვენთან საქმეზე მოველ; აი ამ ხელთნაწერზე უნდა მოგელაპარაკოთ.

მარტინმა ამოილო ქაღალდი ჯიბიდან.

— ახალი ბროშურა იქნება?

— სულელური ხუმრობაა, რომელიც იმ შეჩერებულმა რივარესსმა გამოგზავნა გუშინ კუმიტეტში, მე ვიცოდი, რომ მალე მოგვიხდებოდა იმასთან შეტაკება.

— რაშია საქმე? სწორედ რომ თქვენ, ჩეზარე, უსამართლო ხართ. რიგარესი, შეიძლება, სასიამოვნო კაცი არ იყვეს, მაგრამ სულელი კი არ არის.

— მე უარს არა ვყოფ, რომ ის ძალიან გონიერია. მაგრამ სჯობს თითონ თქვენ წაიკითხოთ.

\* ბროშურაში დაცინვა იყო იმ უაზრო აღტაცებაზე, რომელსაც მიეცა მთელი იტალია, ახალი პაპის არჩევის გამო. როგორც ყოველივე, რასაც კრაზანა სწერდა, ესეც მეტად ბოროტი და მკვეთრი დაცინვა იყო; მაგრამ მიუხედად იმისა, რომ გემმას ეჯავრებოდა აეტორის სტილი, მაინც არ შეეძლო არ დახთანხმებოდა მეს სამართლიან გულის წყრომას.

— მე გეთანხმებით, რომ ეს დაწერილია მზაკვრულად და ბოროტად, — უთხრა გემმამ და დასდო ხელთნაწერი მაგიდაზე, — მაგრამ ყველაზე უფრო საშინელება ის არის, რომ ეს ყველაფერი მართალია.

— გემმა!

— დიალ, ეს ასეა. მე თანახმა ვარ, რომ რივარესსი ახდენს შთაბეჭდილებას, ცავ სხლტომიან ფოცხვერისას, მაგრამ სიმართლე კი იმის მხარეზეა. ტყუილი იქნება ვიფიქროთ, რომ მას შიშანში არ მოეხვედროს.

— მაშ, თქვენის აზრით, საჭიროა გამოვცეთ იმისი ბრო-შიურა?

— ეგ სულ სხვა კითხვაა. დიალაც მე იმას არ ვამბობ, რომ უნდა შეუცვლელად გამოიცეს, ამით ჩვენ დავკარგავდით მოკეთებს და ვერც. საქმეს მოვუტანდით სარგებლობას. მაგრამ ის რომ ცოტა რაიმეს შეცვლას ისურვებდეს და გამოაკლებდეს მას, რაც მხოლოდ პირადობას ეხება, მაშინ ვფიქრობ, რომ რალაც საუცხოვო და დაუფასებელი გამოვა. ეს ძვირფასი მაგალითია პოლიტიკური სატირისა. წინედ მე მოფიქრებაც არა მქონდა, თუ ასე კარგადა სწერდა. ის ლაპარაკობს ისეთს რამებს, რომელიც უნდა გამოითქვას და რომლის თქმასაც ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გაბედავდა. ის ადგილი, სადაც იტალიას ნაზად მტირალე ლოთს ადარებს, რომელსაც თავი ქურდისათვის მხარზე დაუდვია და ქურდი კი, იმას ჯიბიდან ხელსახოცს აცლის — საუცხოვოდ არის დაწერილი.

— გემმა! ევ ხომ ყველაზე უსაძაღლესი ადგილია ხელთ-ნაწერში. მე საზიზლრად მიმაჩნია ეს ბოროტი გამოხუმრება ყველასი და ყველაფრისა.

— მეც მეჯავრება ესა, მაგრამ საქმე ეგ კი არ არის. რივარესს ძალიან უსიამოვნო სტილი აქვს და თვითონაც მიუზიდებია, მაგრამ, როცა ის ლაპარაკობს, რომ ჩვენ დამთვრალნი ვართ პროცესიებით, მიტევებისა და მშვიდობიანობის ქადაგებით და რომ მხოლოდ იეზუიტები და სანფელისტები ისარგებლებენ ამით, ის ამაში ათასჯერ მართალია. ვწუხვარ, რომ არ ვიყავ გუშინ კომიტეტის სხდომაზე და არ ვიცი რა დასკვნამდის მიხეველით ბოლოს.

— იმ დასკვნამდის, რისთვისაც დღეს თქვენთან მოვედი, უნდა გთხოვოთ, რომ თქვენ მოელაპარაკოთ რივარესს და დაარწმუნოთ, რომ შეამსუბუქიას ხასიათი თავისი პამფლეტებისა.

— მე? და რომ კარგად არც კი ვიცნობ? გარდა ამისა, შე იმას ვეჯავრები. რალა მაინცა და მაინც მე მომანდეთ იმას-იან ლაპარაკი?

— იმისთვის, რომ თქვენს მეტი დღეს ამას ვერავინ ვერ შეასრულებს. გარდა ამისა, თქვენ უფრო ჭკუიანი ხართ სხვა-ზე, არ ილაპარაკებთ სრულებით მეტს და არ დაუწყებთ ლან-ძლეას, როგორც თვითოვლი ჩყენგანი მოიქცეოდა.

— რასაკვირველია, მე ეგრე არ მოვიქცევი. მაშ კარგი, წავალ, თუმცა მაინცა და მაინც იმედი არა მაქვს რაიმე გავა-რიგო.

— დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ მოახერხებთ იმის დაყოლიებას, თუ მოისურვებთ. გადაეცით იმას აგრეთვე, რომ მთელი კომიტეტი აღტაცებული იყო იმის ლიტერატურული წერილების ლირსებით. ეს იმას ესიამოვნება და ამასთანავე სრული მართალიც იქნება.

კრაზანა იჯდა მაგიდასთან, რომელიც მოფენილი იყო ვარ-დებით და მცენარეებით და ჩაფიქრებული გაიცემოდა სიერ-ცეში. მუხლებზე იმას გაშლილი წერილი ედო.

დიდმა ბანჯგვლიანშა ძალლშა, რომელიც იმის ფეხთით, ხალიჩაზვ იწვა, დაჰყეფა გემმას შემოსვლაზე. კრაზანა სწრაფად წამოდგა და დიდის ცერემონიით სალაში მისცა შემოსულს, იმისი სახე უეცრივ უწყალო და სასტიკი შეიქმნა.

— თქვენ მეტად კეთილი ბრძანდებით.—უთხრა კრაზანამ გულ-გრილად,—თუ შეგეტყობინებიათ, რომ ჩემთან მოლაპა-რაკება გსურდათ, მე თითონ გეახლებოდით.

გემმამ შეატყო, რომ რივარესს სურდა ის მიწასთან გა-ესწორებინა და საჩქაროდ აუხსნა მიზეზი მოსვლისა:

მან ხელახლავ თავი დაუკრა და სავარძელი მისთაება.

— კომიტეტმა დამავალა თქვენთან მოვსულიყავ,—უთხრა გემმამ,—რადგანაც თქვენი პამფლეტის ზოგიერთა აზრების თანახ-მა არ არის იგი.

— მე მოველოდი ამას. — სთქვა კრაზანამ ღიმილით და გემმას პირდაპირ დაჯდა.

— წევრთა უმრავლესობა იმ აზრისანი არიან — დაიწყო გემმამ, — რომ თუმცა თქვენი პამფლეტი ლიტერატურულის ღირსებით დიდად თვალ-საჩინოა, მაინც მისი შეუცვლელად დაბეჭდვა არ არის კარგი. წევრები შიშობენ, რომ თქვენი დაცინების სიმძაფრე ბევრს შეურაცხვოფს და დაგვაშორებს იმისთანა ხალხს, რომლის დახმარებაც ჩვენი პარტიისათვის ერთობ საჭიროა.

კრაზანამ ამოილო ვაზიდან ყვავილი და დაუწყო ნელა. თეთრ ფოთლებს გლეჯა.

როდესაც გემმამ ყურადღება მიაქცია კრაზანას მარჯვენა. ხელის მოძრაობას, საშინელმა გრძნობამ შეიპყრო იგი. მას ეჩვენებოდა, რომ ოდესმე სადღაც უნახავს ამნაირი მოძრაობა....

— როგორც ლიტერატურულს თხზულებას, — შენიშნა. რივარესსმა, — ჩემს წიგნაქ არაეთარი ფასი არა აქვს და ამ მხრით იგი მოეწონებათ მხოლოდ იმათ, ვისაც არა ესმით-რა ხელოვნებისა. და რაც შეეხება შეურაცხვოფელ შანაარსს, ეს სწორედ ის არის, რაც მე მინდოდა.

— ეს მე კარგად მესმის, მაგრამ საქმეც ის არის, რომ თქვენ შეურაცხვოფთ არა იმათ, ვინც ამრს ღირსი არის.

კრაზანამ მხრები აიჩეჩა და პირში ვარდის ფურცელი ჩაიდო.

— მე ვუიქრობ, რომ თქვენ სცდებით, — უთხრა იმან, — კითხვა აი რაშია: რა მიზნით მიმიწვიეთ მე თქვენს კომიტეტში? მეონი იმისთვის, რომ ვამხილო იეზუიტები და გავამასხარო ისინი და მე ვასრულებ ამ მოვალეობას, როგორც შემიძლიან და ვიცი.

— მეც შემიძლიან დაგარწმუნოთ, რომ არავის ეჭვი არა აქვს თქვენს ცოდნაში და ძალაში. კომიტეტს მხოლოდ ეშინან, რომ ლიბერალური პარტია შეურაცხვოფილად ჩასთვლის თავს თქვენის პამფლეტით; ქალაქის მუშებიც დაგვანებებენ თავს

და აღარ აღმოგვიჩენენ ზნეობრივ დახმარებას. თქვენ პფიქტობდით შეხებოდით მხოლოდ სანფედისტებს, მაგრამ მრავალნი მკითხველთაგანი დაინახვენ თქვენს სიტყვებში ეკულესისა და ახალ პაპის მტრობას და ეს კი, კომიტეტის აზრით, მავნებელი პოლიტიკური ტაკტიკაა.

— მე თან-და-თან მიგიხვდით, რის თქმაც გინდათ, იმ დრომდის, მანამ იმ პირებს ვეხები, რომლებთანაც კომიტეტი ეხლა ცუდ განწყობილებაშია, შემიძლიან ვილაპარაკო სიმართლე, მაგრამ საკმარისია შევეხო კომიტეტისათვის სასიამოვნო პირებს, სასულიერო წილების წარჩინებულთ და სიმართლე გარდიქცევა მყეფრად,— „ბუნაგში ჩაგდეთ ეგ, სცემეთ მაგას, თუ რომ. . . . .“ ხუმარა მართალი იყო, ეს რომ სთქვა და მე თანახმა ვარ ვიყო, რაღაც გნებავთ, ხოლო ხუმარად კი არა. რასაკვირველია, მე უნდა დავემორჩილო კომიტეტის გარდაწყვეტილებას, მაგრამ მაინც ამას ვფიქრობ, რომ ის ტყუილად გადად-გადმოდის ორივ მხარეზე და სტოვებს შუაზე მ—მონ სინიორ მონ-ტა-ნელლის.

— მონ ტანნელლი? — დაეკითხა გემმა — მე ვერ მიგიხვდით, თქვენ ბრიზიგელიის მღვდელმთავარზე ამბობთ?

— დიალ, ის ახალმა პაპმა დანიშნა კარდინალად. მე მივიღე მის შესახებ წერილი. გნებავთ მოისმინთ, რასაც სწერენ? წერილის ავტორი ჩემი მეგობარია. ის სამზღვაოს იქით ცხოვრობს.

— პაპის სამფლობელოს სამზღვაოს იქით?

— დიალ. აი რასა მწერს.

კრაზანამ აიღო ხელში წერილი, რომელიც გემმას შემოსვლამდის ეჭირა, დაიწყო ხმა-მაღლა კითხვა და ენა მოეჩილუნგა საშინლად.

— „თ-თქვენ მა-მალე ისიამოვნებთ ერთ უსაძაგლესს ჩვენ მ-მტერთაგანის, ბრიზიგელიის მღვდელმთავრის ლორენც უო მ-მონ ტანნელლის ნახვით.

კრაზანა შეჩერდა ცოტა ზანს, შემდეგ ისევ განაგრძო კითხვა ნელა და თითო სიტყვის გაჭიანურებით, მაგრამ ენა კი აღარ ეჩლუნგებოდა.

„იმას სურს ნახოს ტოსკანა შემდეგ ოვეში იმ მიზნით, რომ მშვიდობა მოპოვინოს (დაამყაროს) ყველგან. ჯერ ფლორენციაშია დაწყებს ქადაგებას, სადაც გაჩერდება სამი კვირით, შემდეგ ინახულებს სიენნს და პიზას. მერე დაბრუნდება რომანიაში და გაივლის პისტოს. ის აშკარად მიემსრო ეკულესიის ლიბერალურ პარტიას. კარგი მეგობარია პაპისა და კარდინალ ფერეტისა. პაპა გრიგორის დროს იმას არა სწყალობდნენ და შორსა ჰყვანდათ, სადღაც პატარა ბუდეში—აპენინის მთებში და ეხლა კი სწრაფად გამოსცურა იქედან. რასაკვირველია, ის იმ გვარივე სათამაშოა იეზუიტების ხელში, როგორც ყველა სან-ფედისტები იტალიაში. მთელი ეს მისსია იეზუიტების მოგონილია. ის ერთი საუკეთესო მქადაგებელთაგანია და თავისებურად ისევე საშიშარია, როგორიც ლამბურსკინი. იმის მიზანი ის არის, რომ არ იყლოს ერის გატაცებამ და არ გააჩეროს ხალხის აზრი, სანამ დიდი ჰერცოგი მოაწერდეს ხელს პროექტს, რომლის წარდგენასაც ამზადებენ იეზუიტაბი. რას შეიცავს პროექტი, ეს ვერ შევიძელ გამეგო“.

შემდეგ აი, რა არის მოხსენებული: „ესმის მონტანელლის, რა მიზნით გზავნიან მას ტოსკანაში, თუ იეზუიტები სარგებლობენ იმით, როგორც ბრმა იარაღით—ეს მე ვერ ამიხსნია, ის ან დიდად გონიერი გაიძევერაა, ან და უდიდესი ვირი. საოცარია მხოლოდ ეს, რომ რამდენადაც მე შევიტყე, ის არ იღებს ქრისტიანობას და არა ჰყვანან სატრაფონი. პირეელად შემხევედრია ამნაირი მაგალითი“.

კრაზანამ ჩაიდო ჯიბეში წერილი და ნახევრად მოხუჭულ-თვალებით მიაცემულია გემმას. ცხადი იყო, იგი გემმას გამოლა-პარაკებას ელოდდა.

— თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ ყველა ის ფაქტები, რომლებიც თქვენთვის გადმოუკიათ, ნამდვილი არიან?— ჰკი-თხა გემმამ.

— შესახებ მონტანელლის უძრახველ კერძო ცხოვრებისა? არა, მაგრამ თქვენ ხედავთ, რომ ჩემი კორრესპონდენტიც არ არის ამაში დარწმუნებული და წინადვე ამბობს „რამდენადც შემეძლო შემეტყოო“.

— მე მაგაზე არ ვამბობ,—ცივად მაუგო გემმამ,—არამედ რასაც ის სწერს მისსიის შესახებ.

— ამაში მე შემიძლიან ვერწმუნო იმის სიტყვებს. ის ჩემი მეგობარია და ამხანაგი 43-ე წლიდან და იმის მდგომარეობა იმნაირია, რომ აძლევს შეძლებას შეჰქრიბოს ამგვარი ნამდვილი ცნობები.

უთუოდ რომელიმე მოხელე იქმნება ვატიკანში,—გაიფიქრა გემმამ და უპასუხა:

— აჲა, მაშ აი, თქვენ როგორი დამოკიდებულებები გჭინიათ. მე ყოველთვის ისე მეგონა.

— რასაკვირველია, ეს წერილი კონფედენციალურია,—განაგრძო კრაზანამ,—და თქვენც გესმით, რომ ეს ცნობები უნდა იცოდნენ მხოლოდ თქვენის კომიტეტის წევრებმა.

— ეგ, რასაკვირველია, ეგრეა. მაგრამ დავუბრუნდეთ პამფლეტს: შემიძლიან გადავცე კომიტეტს, რომ თქვენ თანახმა ხართ გადაასხვაფეროთ, გადააკეთოთ რამდენიმედ, ანუ შეაშუბუქოთ ცოტად თუ. . . . .

— არ ფიქრობთ თქვენ, სინიორავ, რომ გადაასხვაფერებას შეუძლია, როგორც შესუბუქება კილოს სიმკაცრისა, აგრეთვე შნოს დაკარგვაც „ლიტერატურულ თხზულებისა“?

— თქვენა მკითხავთ ჩემს საკუთარს აზრს, მე კი მოველა აქ იმისთვის, რომ გარდმოგცეთ აზრი მოელის კომიტეტისა.

— ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ კერძოდ არა ხართ თანახმა კომიტეტისა.

კრაზანა წაიხარა რამდენიმედ წინ და დაუწყო ცქერა გემმას, მეტად ბეჯითად და ყურადღებით, რამაც სრულებით შესცვალა იმის სახის ხასიათი.

— თქვენ რას ფიქრობთ? — ეკითხებოდა კრაზანა.

— გინდათ კერძოდ ჩემი აზრი იცოდეთ? მე ბევრში არ ვეთანხმები კომიტეტის უმრავლესობას, მე სრულიად არა ვთვლი თქვენს პამფლეტს კარგ ლიტერატურულ თხზულებად, მაგრამ მიმართ დასაბუთებულად და ძალიან სასარგებლოდ პოლიტიკის მხრივ.

— თქვენ ამბობთ მაგას?

— მე გეთანხმებით თქვენ, რომ იტალიას გზები აუბნიეს და რომ მთელი ეს აღტაცებული სიხარული ჩაითრევს მას საჭინელ შამბნარში. მე ძალიან მოხარული ვიქები, თუ ვინმე ხალხს თვალს აუხელს, თუნდაც რომ შეურაცხჰყოს, ან მოაშოროს რამოდენიმე მომხრე. მაგრამ, როგორც წევრი კომიტეტისა, სადაც უმრავლესობა სხვა აზრისა არის, არ შემიძლიან ჩემ საკუთარ აზრს დაუინებით დავადგე. ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ ამგვარი რაიმე უნდა იყვეს გამოთქმული, შეკავებულის, დამშვიდებულის კილოთი და არა ეგრე მკაცრად, როგორც თქვენა სწერთ.

— შეგიძლიანთ. ერთს წუთს მომითმინოთ, მანამ მე ხელთნაწერს გადაეთვალიერებდე? — კრაზანამ დაიწყო თითო ფურცლებით გადაშლა ქალალდებისა. იმისი სახე თვისდამი უკმაყოფილებას გამოხატავდა.

— დიალ, რასაკვირველია. თქვენ მართალი ხართ. ეს ყოველივე დაწერილია დაბიურ კილოზე და არა პოლიტიკურ სატირისაზე, მაგრამ რა ვქნა? თუ ვწერე თავაზიანად, ხალხი ვერ იგებს და იტყვიან მოსაწყებიაო, თუ ბოროტი მასხარობანი არ არის ჩართული.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ბოროტება და ლანძლვა მოსაწყენი არ არიან?

კრაზანამ შეხედა გემმას სწრაფად, ცოცხალის სახით და გადიხარხარა.

— ცხადია, სინიორავ, რომ თქვენ ეკუთვნით იმ საშინელ პირთ, რომელნიც ყოველთვის მართალნი არიან. მაშ რა არის

მოსაწყენი? ასე, რომ თუ განვაგრძე ამგეარი მკაცრი ლაპარაა კი, მე შევიქმნებოდი ისეთივე მოსაწყენი, როგორიც სინიორა გრასინია... ახ ზეცაო, რანაირი ბედია და! არა, წარმს ნუ იკრავთ, ვიცი, რომ თქვენ მე არ მოგწონეართ, კარგი, ვილაპარაკოთ მხოლოდ საქმეზე. მაშ ასე, თუ მე განვდევნი მას, რაც საპირადოა და სხვატრივ დავტოვებ პამფლეტს შეუცვლელად, კომიტეტი ვერ გაბედავს მის დაბეჭდვას, და თუ რომ ამოვშალი პოლიტიკურ სიმართლეს ჩემი ბრიოშურიდან და მივმართავ ლანძღვა-გინებით კომიტეტის მტერთ, კომიტეტი ცამდის შეაქებს ჩემს თხზულებას და თქვენ და მე კი გვეცოდინება, რომ არ ღირდა იმისი დაბეჭდვა. აი საუცხოვო მეტაფიზიკური კითხეა: რა უფრო სასიამოვნოა, არ იყოს დაბეჭდის ღირსი და დაიბეჭდოს, თუ იყოს ღირსი და არ დაიბეჭდოს? რას იტყვით, სინიორავ?

— არა მგონია, რომ თქვენს წინაშე მაგნაირი არჩევანი იყოს. მე ვფიქრობ, რომ თუ საპირადო ხასიათს მოაცილებთ თქვენს ნაწერს, კომიტეტი დათანხმდება დაბეჭდოს პამფლეტი, თუმცა, რასაკვირველია, ბევრნი ამას არ დაინახვენ. საკეთილოდ; მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ის იქმნებოდა ძალიან სასარგებლო. მაგრამ უნდა კი ბოროტ კილოს თავი დანებოთ. თუ თქვენ აპირობთ ისეთი რამის თქმას, რომელიც შეიცავს თვისსავე ძალაში მწარე აბებს მკითხველთათვის, რაღას-თვის-ღა აშინებთ იმათ, გარეგანი თქვენის სიტყვის კილოთი? კრაზანაშ ამოიოხრა და მხრები ასწია მორჩილების სახით.

— მე გმორჩილებით; სინიორავ, მაგრამ მხოლოდ ერთის პირობით: თუ ეხლა არ მაძლევთ ნებას დაცინებისას, თქვენ უნდა ეს დამითმოთ სხვა ღროს, როცა მისი უწმიდესობა, უცოდველი კარიბინალი გაჩნდება ფლორენციაში. თქვენც და თქვენმა კომიტეტმაც არ უნდა დამიშალოთ, რამდენიც მომექურვება, იმდენი ვიცინა იმაზე,—ეს სრული ჩემი ნება იქმნება. ის ღაპარაკობდა დაუდევნელად გულ-გრილად. ღრო-გამა-შვებით ამოჰგლეჯდა ვაზადან ყვავილს და გახედავდა სინათლეზე მჭვირვალე ფურცლებს.

— ხელი რა რიგად უკანკალებს, თუმცა, ეს ხომ არა სვამს, — ფიქრობდა გემმა, როდესაც უცქეროდა ყვავილები როგორ თრთოდნენ კრაზანას თითებში.

— უმჯობესი იქმნებოდა თქვენთვის, ამის შესახებ ვინმე სხვა წევრთან მოგელაპარაკნათ, — უთხრა გემმამ და წამოდგა, — მე არ შემიძლიან წინდაწინვე გარდავწყვიტო, ისინი ამ საქმეს როგორ შეხედვენ.

— თქვენა? — კრაზანა წამოდგა და დაეყრდო მაგიდას.

გემმა არა ჩქარობდა; ეს კითხვა აღელვებდა მას, რადგან აგონძებოდა რალაც სამძიმო წარსული...

— მე სწორედ არ ვიცი, — უთხრა იმან ბოლოს: — მრავალმა წელიწადმა განვლო მას აქეთ, რაც მე ვიცოდი რაიმე, სინიორ მონტანელლზე; ის იყო მაშინ მხოლოდ კანონიკი და გამგე სასულიერო სემინარიისა, იმ ქალაქში, საღაც მე ვცხოვრობდი ბავშვობის დროს. იმაზე მე ბევრი რამ გამიგონა, იმ კაცისაგან, რომელიც მონტანელლის კარგად იცნობდა და რაც კი ვიცი იმის შესახებ, ისიც ყოველისფერი კარგი. მგონი იმ დროს, რომელზედაც გელაპარაკებით, ის ძალიან შესანიშნავი იყო. მაგრამ მას აქეთ დიდი ხანია და შესაძლოა მერე გამოცვლილიყოს. როცა კაცს დიდი ადგილი უჭირავს, და პასუხის მგებელი კი არ არის, იგი ეცემა ზნეობრივად.

კრაზანამ თავი მაღლა აიღო და შეხედა გემმას მტკიცე სახის გამომეტყველებით.

— ყოველ შემთხვევაში, — უთხრა იმან. — თუ რომ სინიორ მონტანელლი თვითონ არ არის ფლიდი, იგი იარაღია ფლიდ და უგვანო ხალხის ხელში. ასეა, თუ ისე, ჩემთვის სულ ერთია, აგრეთვე, როგორც ჩემ მეგობართათვის, რომლებიც სამზღვარ-გარედ იმყოფებიან... დედა-მიწაზე ქვასაც შეუძლიან იქონიოს საუკეთესო განზრახვანი, მაგრამ მაინც საჭიროა იგი გზიდან გადაგდებულ იქმნას.

— მოითმინდეთ, სინიორავ! — იმან დააწყარუნა ზარი და წავიდა კოჭლობით კარის გასაღებად.

— ყოველ შემთხვევაში, ძალიან გულკეთილობაა თქვენის მხრივ, სინიორავ, რომ თქვენ მინახულეთ. მიბრძანებთ ეტლი მოვაყვანინო? არა? მაში ნახვამდის. ბიანკა, — გასძახა მეკარეს, — გააღე შემოსავლის კარი.

გემმა გამოვიდა შარაზე ღრმად ჩაფიქრებული. „მეგობრები სამზღვარ-გარედ“, ვინ უნდა იყენენ ისინი? ან ქვა გზიდან როგორ უნდა გადიყაროს. თუ მარტო სატირის საშუალებით, მაში იმან რად წარმოსთვა ეს სიტყვები ისეთის შემაძრწუნებელის სახის გამომეტყველებით.

## IV

მ — რ მონტანელი მოვიდა ფლორენციაში ოქტომბრის დამდეგს. იმისმა მოსვლამ აღძრა ქალაქში დიდი მითქმა-მოთქმა. ის იყო შესანიშნავი მქადაგებელი და წარმომადგენელი ახალი პაპის იდეებისა. ხალხი ხარბად მოელოდა იმისაგან „ახალი სწავლის“ გარდმოცემას — სახარებას სიყვარულის და ძმობისას, რომელსაც უნდა განეკურნა ყოველ გვარი სნეულებანი იტალიისა. კარილინალ გაცის რომის მაზრაში განწესებამ, ყველასაგან მოძულებულ ლამბრუჩინის აღვილზე უმაღლეს წერტილამდე მიიყვანა ხალხის აღტაცება. შონტანელი სწავლული კაცი იყო, რომელსაც შეეძლო ხელი მოემართნა აღტაცებულ მდგომარეობის განგრძობისათვის. უძრახველი მისი ცხოვრება იყო ისეთი იშვიათი მოვლენა რომის ეკკლესიის უმაღლეს წარმომადგენელთა შორის, რომ მიიპყრო ყურადღება ხალხისა, რომელიც ჩვეული იყო ეკკლესიის მსახურთა დალატს, მოყიდვას და უმწეო ცხოვრებას. გარდა ამისა, ორატორული იმისი ნიჭი იყო დიადი. თავის მშეენიერის ხმითა და დიდებულის შეხედულობით მას შეეძლო ყოველგან და ყოველთვის გამოჩენილი როლი ეთამაშნა. როგორც ყოველთვის, გრასინიმ ყოველი ლონისძიება იხმარა, რომ ახალი წარჩინებული პირი დაეხლოვებია და ხშირად იწვევდა სახლში, მაგრამ მონტანელი ყო-

ველთვის ერთსა და იგივე ზრდილობიან მტკიცე უარს უთვლიდა, მიზეზს იმას ამბობდა, რომ სუსტი აგებულობისა ვარ და ამასთანავე ბევრი საქმეებისა გამო, არა მაქვს დრო სტუმრად ვიაროვო.

— რა ნაირი ყოვლის მჭამელნი არსებანი არიან ეს გრას-სინისანი,—ზიზღით უთხრა მარტინამ გემმას, როცა ისინი, კვი-რას, ბრწყინვალე დილით, სინიორის მოედანზე მოდიოდ-ნენ.—შენიშნეთ თქვენ, როგორ სალაში აძლევს ხოლმე გრას-სინი კარდინალს, როცა ის ეტლით ჩაივლის ხოლმე? იმათვის სულ ერთია, როგორიც უნდა იყვეს კაცი, ოლონდ კი ლპა-რაკობდნენ იმათხე. არაოდეს არ მინახავს მაგათთანა მიმდევარ-ნი წარჩინებული პირებისა. წარსულ მარიამობის თვეს ისინი დასდევდნენ კრაზანას, ეხლა—მონტანელლის. იმედია, იმის უწმიდესობა ამ ყურადღებით დიდად სიამოვნებს. ბევრი ავან-ტიურისტია ამ ყურადღების მონაწილე.

გემმა და მარტინი იყვნენ ეკულესიაში, მონტანელლის ქა-ლაგების მოსასმენად. დიდი შენობა გაფეხბული იყო ხალხით და მარტინი შიშობდა, რომ გემმას თავი ხელ-ახლა არ ასტკი-ვნოდა; იმან, როგორც იყო, დაჯერა გემმა, რომ წასულიყო წირვის გათავებამდის ეკულესიიდან. ერთი კვირის წვიმის შემ-დეგ, პირველი მზიანი დილა მოიმიზეზა და სთხოვა, სან-ნი-კოლოსაკენ ბალებით დაჩრდილულ ქედებ შუა ერთად გაესე-ირნათ.

— მე დიდის სიამოვნებით გავისეირნებ,—მიუგო გემმამ— მაგრამ ქედებისაკენ კი არა. წავიდეთ ლუნგორნოს გზით, მონ-ტანელლი გაივლის წირვიდან დაბრუნების დროს და მეც, აგ-რეთვე გრასსინის, მსურს დავინახო შესანიშნავი მქადაგებელი.

— თქვენ ხომ ნახეთ ის ეხლა.

— მხოლოდ შორიდან. ეკულესიაში მრავალი ხალხი იყო და როცა ეტლით მიდიოდა, ზურგი ჩვენსკენ ჰქონდა მოქცე-ული. ხიდს თუ დიდ მანძილზე არ გავშორდებით, უეჭველად

დავინახავთ იმას. ის ხომ ლუნგარნოს უბანში სცხოვრობს, არა?

— რამ მოგაფიქრათ თქვენ ასე უეცრად მონტანელლის ნახეა, წინად არ გეინტერესებოდნენ შესანიშნავი მქადაგებელნი.

— საქმე შესანიშნავ მქადაგებელზე არ არის, არამედ კაცზე. მე მინდა ვნახო, ძალიან გამოცვლილა თუ არა, მას აქეთ, რაც მე ის უკანასკნელად ვნახე?

— თქვენ როდის ნახეთ?

— არტურის სიკედლილის ორი დღის შემდეგ.

მარტინიმ შეწუხებით შეხედა გემმას. ისინი გამოვიდნენ ლუნგარნოზე, გემმა შეჩერდა და წყალს დააცქერდა. იმისი სახე უეცრივ შეიცვალა და სრულიად აღარაფერს გამოხატავდა. გემმასი ამ ნაირი სახის დანახვა მარტინს არ შეეძლო შეუძრწუნებლად.

— გემმა, ძვირფასო, — უთხრა იმან, — ნუ თუ მთელი თქვენი სიცოცხლე უნდა იტანჯოთ, იმ უბედურ შემთხვევის გამო? ყველას მოსვლია შეცდომა ჩვიდმეტის წლისას:

— მაგრამ ჩვიდმეტის წლისას. ყველას არ მოუკლავთ საუკეთესო მეგობარი. — უპასუხა გემმამ დალონებით და დაეყრდო იდაყვით ქვის მოაჯირს. ის კარგა ხანს მდუშარედ დასცქეროდა წყალს. მარტინიც გაჩუმებული იდგა, ის შიშობდა გამოლაპარაკებას იმასთან, როცა ის ამ ნაირ მდგომარეობაში იყო ხოლმე.

— მე არაოდეს არ შემიძლიან წყალს ისე ვუცქირო, რომ ის შემთხვევა არ გამახსენდეს, — უთხრა გემმამ წყნარად და შეხედა მარტინს. შერე საჩქაროდ დაუმატა აკანკალებულის ხმით:

— წაეიდეთ, გავიაროთ ცოტა, ჩეზარე, აქ დგომა არ შეიძლება, ცივა.

იმათ ხმა-ამოულებლივ გაიარეს ხიდი და წავიდნენ წყალის ნაპირს. ერთს წუთს შემდეგ ისევ დაიწყეს ლაპარაკი.

— რა მშვენიერი ხმა აქვს იმ კაცს, იმაში არის რაღაც ისეთი, რაც სხვა კაცის ხმაში არ გამიგონია. მე მგონი იმ ხმაშია საიდუმლოება იმისი გამარჯვებისა,—სოჭვა გემმამ.

— მართლაც იმას საუცხოვო ხმა აქვს,—დაეთანხმა მარტინი; იმას ვაეხარდა შეცვლა ლაპარაკის საკნისა და სწრაფად განაგრძო საუბარი, რომ გადაევიწყებია გემმასათვის საშინელი წარსულის მოგონება, წყალის დანახვით გამოწვეული.

— და გარდა საუცხოვო ხმისა ის ისეთი შესანიშნავი მქადაგებელიც არის, მაგრამ ვფიქრობ, რომ საიდუმლოება იმის მომხიბვლელობისა ბევრად უფრო ღრმად ძევს. ის ძალიან განირჩევა თავის ცხოვრებით სხვა სამღვდელოებისაგან. არ ვიცი თუ მოიძებნება იტალიის უმაღლეს სასულიერო პირთა შორის, გარდა პაპისა, ამგვარივე ლაქ-მოუცხებელ სახელის მქონე. წარსულ წელს მე ვიყავ რომანიში და გავიარე იმისი საეპისკოპოსო. იქ ვნახე სასტიკი მთიულები, როგორ უცდიდნენ თავს სხმა წვიმაში მონტანელლს, რომ დაენახათ იგი და შეხებოდნენ იმის სამოსელს. იქ იმას წმინდანად სთვლიან და ეს კი რაიმეს უნდა ნიშნავდეს რომანელებს შორის, რომელთაც უმეტესად სძულთ ის კაცი, რომელიც ანაფორას ატარებს. მე ვუთხარი ერთ მოხუც გლეხ-კაცს, ნამდვილ კონტრაბანდისტის შეხედულობის მქონეს, რომ ხალხი, ცხადია, ძალიან თავდადებული არის მღვდელ-მთავრისთვის-მეთქი და იმინ მიპასუხა: ჩვენ საზოგადოდ გვეჯავრებიან მღვდელ-მთავარნი, ისინი ყველანი მატყუარანი არიან, მაგრამ გვიყვარს მ—რ მონტანელლი, იმას თვის დღეში ტყუილი არ უთქვამს და არც არასოდეს უსამართლოდ უმოქმედნია.

— საოცარია,—სოჭვა გემმამ, თითქმის თავისთვის; —იცის ნეტავ იმან, რას ფიქრობს იმაზე ხალხი?

— რატომაც არა, განა ეს მართალი არ არის?

— არა.

— თქვენ საიდან იცით?

— თვით იმისაგან.

— იმან გითხრათ თქვენ, მონტანელლიშ? მე არ მესმის, საქ-  
მე რაშია.

გემმამ შუბლზე ჩამოყრილი თმები უკან გადიშალა და  
მობრუნდა მარტინისაკენ. ისინი შეჩერდნენ. გემმა მიეყრდო  
მთაჯირს და ქოლგის წვერით რაღასაც ხაზავდა მიწაზე.

— ჩეზარე, ჩვენ ასეთი კარგი მეგობრები ვართ და მე კი  
არასოდეს თქვენთვის არ მიამბნია დაწერილებით არტურის ის-  
ტორია.

— არც არის საჭირო, ძვირფასო,—საჩქაროდ უთხრა მარ-  
ტინმა,— მე ხომ ვიცი ყველაფერი.

— თქვენ გითხრათ ჯიოვანნიშ?

— ჰო, როცა კვდებოდა, იმან მიამბო უოველივე ერთ  
ლამეს, როცა მე იმის ახლოს ვიყავ და ვუელიდი. გემმა, ძვირ-  
ფასო, სჯობს მართალი იცოდე, რადგან დავიწყეთ ამაზე ლა-  
პარაკი. ის აშბობდა, რომ ეს საშტუხარო აშბავი თქვენ მუდამ  
გტანჯავთ და მთხოვა მე ვყოფილიყავ თქვენი კეთილი მეგო-  
ბარი და ამეცდინა როგორმე ფიქრები წარსულზე. შე ვცდი-  
ლობდი ეს ამესრულებინა, მაგრამ სჩანს, რომ ამაოდ.

— ვიცი, რომ თქვენ მოქმედობდით მეგობრულად,—უპა-  
სუხა წყნარად გემმამ,— და თუ არ თქვენი მეგობრობა, ჩემი  
საქმე ცუდად იქმნებოდა. მაგრამ, მაინც, თქვენთვის იმას მონ-  
ტანნ ელზე არა უთქვამს-რა?

— მე არ ვიცოდი, თუ ის ამ საქმეში ერია. ჯიოვანნიმ  
მიამბო, მხოლოდ იმ ჯაშუშზე და იმაზე.....

— იმაზე, როგორ შემოვკარ სილა არტურს და იმან თა-  
ვი წყალში დაირჩო, არა? მაშ ახლა მე მონტანელლზე გეტ-  
ყვით. მარტინი და გემმა დაბრუნდნენ ხიდისაკენ, სადაც უნდა  
კარდინალის ეტლს გაევლო. გემმა დაშტერებით უცქეროდა  
წყალს, მანამ ლაპარაკობდა.

— იმ დროს,—დაიწყო გემმამ,—მონტანელლი კანონიკად  
იმყოფებოდა, ის იყო გამგე სასულიერო სემინარიისა პიზაში.  
აძლევდა არტურს გაკვეთილებს ფილოსოფიისას და ამზადებდა

მისალებად საპირნ ცაში. ისინი იყვნენ ღრმად მოსიყვარულენა ერთმანეთისა, თავდადებულნი ერთი-მეორისათვის და მიავდნენ უფრო მეგობრებს, ვიღრე მასწავლებელს და მოსწავლეს. არტური თაყვანსა სცემდა მიწას, რომელსაც მონტანელლის ფეხის ნაკვალევი ემჩნეოდა. მახსოვს, როგორ მითხრა ერთხელ მე არტურმა, რომ თუ დაეკარგნა იმას თავისი მოძღვარი, — ასე ეძახდა მონტანელლს, — ის მდინარეში თავს დაიხრჩობდა. და ამის შემდეგ მალე მოხდა ეს აშბავი. მეორე დღეს მამა-ჩემმა და ბერტენმა არტურის ძმამ — საზიზლარი ხალხი არიან ბერტენნისანი, — მთელი დღე არტურის გვამის ძებნაში გაატარეს. მე კი ვიჯექ ჩემს ოთახში და ვფიქრობდი იმაზე, რაც მოხდა. გემმა ცოტა ხანს შეჩერდა და ისევ განაგრძო: — ამ ღამეს მამა შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა: — გემმა, შვილო, წადი ნახე, ვიღაც კაცი ქვევით გელოდება. სასტუმრო ოთახში ერთი სტუდენტი დამხვდა, წევრი ჩენის კრებისა, იმას შეტაც მკრთალი ფერი ედო სახეზე და კანკალებდა. იმან შემატყობინა მე, რომ ჯიოვანნის ჩეორეთ მოეწერა საპყრობილედან იმაზე, რომ შეეტყო სატუსალოს მეკარესაგან სრული სიმართლე, კარდის შესახებ, თუ როგორ მოეტყუებინა იმას არტური აღსარებაში: სტუდენტმა მიიჩნა: კიდევ კარგი, რომ გავიგეთ იმისი უდანაშაულობაო. მამა ძალიან ცდილობდა ჩემს დაშვიდებას, იმან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ მე არტურს სიღა შემოვკარ. მთელი ღამე მე მარტოდ-მარტო გავატარე. დილით მამა, ბერტენთან ერთად წაეიდნენ ბრძანების გასაცემად, რომ დაეჩხრიკათ მთელი ნავთსაღვური. ისინი იმედს არა ჰკარგავდნენ, რომ იმის გვამს იპოვნიდნენ.

— მაგრმმ ვერ იპოვნეს მგონი?

— ვერა. ის, ცხადია, ზღვამ შთანთქა. მე მარტო ვიყავ თახახში, როდესაც მსახურმა ქალმა შემატყობინა, ვიღაც ფრანგების მღვდელის მოსვლა; მსახურს ეთქვა, რომ მამა-ჩემი შინარისო და გაესტუარებინა. მე მივხვდი, რომ ის მონტანელლი იქმნებოდა, გავიქცე და დავეწიე. როცა ვუთხარ მე. იმას, „მამაო მონტანელლი, მე მსურს მოლაპარაკება თქვენთან-მე-

თქი“, ის გაჩერდა და ხმა-ამოულებლივ მოისმინა. ო, ჩეზარე, რომ გენახათ იმისი სახე, ის სახე მე შემდეგში რამოდენიმე თვეობით თვალ-წინ მეღვა.

მე ვუთხარ: „ქალი ვარ დოქტორ ვარჩენისა და მოველ გამოგიცხადოთ, რომ მე მოვკალ არტური“. ყოველივე დაწვრილებით ავუხსენ; ის გაქვაებულსავით იდგა და ისმენდა; როდესაც გავათავე ღიაპარაკი, იმან მიპასუხა: დამშვიდდი, ჩემო შვილო, არტურის მკვლელი შენ კი არა, მე ვარ! მე ვატყუებდი იმას და იმან გაიგო ეს. ამ სიტყვებით ის გატრიალდა და გავიდა ჭისკარში.

— მერე? — დაეკითხა მარტინი.

— იმის შემდეგ მონტანელლის აღარა ვიცი-რა. იმ დღესვე, სალამოს მიამბობდნენ, რომ მონტანელლის გული შესწუხებოდა. შარაზე და შეეყვანათ რომელიღაც სახლში. ეს არის სულ, რაც მე ვიცი. მამა-ჩემი მეტად კეთილი იყო ჩემთვის, როცა ყოველივე ეუამბე იმას, დაანება თავი პრაქტიკას და მაშინვე წამიყვანა ინგლისში, რომ აღარაფერს არ მოეეკნებინა ჩემთვის წარსული. ის შიშობდა, რომ მეც წყალში არ გადავვარდნილიყავ და მართლაც ერთს დროს მე მზად ვიყავი ეს აზრი სისრულეში მომეყვანა. მაგრამ ჩემს მერე მამა გამიხდა ავად, კუ გაუჩნდა და ძალა-უნებურად მოველ გონებაზე. ჩემს მეტი მომელელი იმას არავინ ჰყვანდა. მამის სიკვდილის შემდეგ დაერჩი მარტო ბავშვებით და მე ვუვლიდი მათ, ვიღრე უფროსი. ძმა შეიძლებდა იმათ პატრონობას. შემდეგ მე შემიყვარდა ჯიოვანნი, როცა ის ჩამოვიდა ინგლისში, ჩვენ პირველი შეხვედრისა გვეშინოდა. ჩვენ შორის სუფევდა. საჭიმო მოგონებანი. ის მწარედ ნანობდა თვის დანაშაულს, იმ უბედურ წერილს, რომელიც პირველად მოიწერა. საპყრობილედან. მაგრამ, მგონი, საერთო მწუხარებამ უფრო დაგვაახლოვა ჩვენ ნაშინ ერთმანერთს.

‘მარტინმა გაილიმა და თავი გაღააქნია.

— ეგ არ ვიცი, როგორ იყო, — უთხრა იმან, — მაგრამ ეს კია, რომ ჯიოვანნი ბოლლას თქვენ პირველ შეხვედრისათა-

ნავე შეჰყვარებოდით. მახსოვს, როცა ის დაბრუნდა მილანში; ლიგორნოში პირველ წასვლის შემდეგ, როგორ აღტაცებაში მოდიოდა ოქვენით. მე გული გადამელია ვიღაც ინგლისელ გემმას შესახებ ლაპარაკის ყურის გდებით. მე თქვენ მძულდით მაშინ. ამა, აი კარდინალიც.

ეტლმა გაიარა ხიდზე და მიუხლოვდა ლუგანოზე მდგომ დიდ სასახლეს. მონტანელლი უკან გადაწოლილიყო ეტლში ბალიშებზე, ის მეტად დაღალული იყო და ყურადღებას არ აქცევდა აღფრთვანებულ ხალხს, რომელიც შეკრებილიყო იმის დასანახად, შესვალ კარებთან. აღტაცებული სახის გამომეტყველება, რომელიც იმას ეკალესიაში ჰქონდა, სრულიად გაჭრობოდა და დანაოჭებულ სახის ნაკვთებს, ზრუნვისა და დაღალულობის ნიშნებს, მზის სხივები მკაფიოდ აჩენდა. როცა ეტლი გაჩერდა და მონტანელლი მოხუცებულის მძიმე ნაბიჯით სახლში შევიდა, გემმა გამობრუნდა ნელის ნაბიჯით, ისევ ხიდისაკენ გაემართა, იმისმა სახემაც ერთ წუთს იმნაირივე ჩამჭრალი შეხედულება მიიღო, როგორიც კარდინალსა ჰქონდა. მარტინი მისდევდა ვეერდით გაჩუმებული.

— მე ხშირად ვეკითხები ჩემს — დაიწყო გემმამ, — რა მოტყუებაზე ლაპარაკობდა მონტანელლი მაშინ. სხვა ღრუს არასოდეს ეს ფიქრი არ მომსვლია, მაგრამ, თუმცა ეს ძალიან საოცარია, და კაშინელი მგზავრება კი არის იმათ შორის.

— ვის შორის?

— არტურსა და მონტანელლისა. განა მარტო მე შევნიშნე ეს. გარდა ამისა, იმათ ოჯახში რაღაც საიდუმლოება სუფევდა. მისს ბერტენი, დედა არტურისა ძალიან საყვარელი ქალი იყო! იმას ისეთივე ღვთიური სახის გამომეტყველება ჰქონდა, როგორიც არტურს. მაგრამ ის ყოველთვის როგორიც შემკრთალი, შეშინებულს და თითქოს გამტყუნებულს დამნაშვენებლის მიაგვდა; იმისი გერის ცოლი, ესე იგი, იულია ბერტენი, იმას ისე ეპყრობოდა, როგორც პატიოსანი ხალხი მყეფარსაც არ ეპყრობიან, და თითონ არტური არაფრით არ მიაგავ-

და იმ გულქვა ბერტენისანებს. რასაკვირველია, სიბავშვეში ყოველიფერი გჯერა მინდობით, მაგრამ ეხლა, როცა წარსულზე ჩავთიქრდები ხოლმე, მე ეჭვში შევდივარ, რომ არტური ნამდვილი ბერტენი ყოფილიყოს.

— შეიძლება იმან შეიტყო რაიმე თავისი დედისა და ის იყო მიზეზი იმისი სიკვდილისა და არა კარდი.— უთხრა მარტინიმ,— იმან ეს-ლა მოითიქრა ეთქვა, იმის დასაშვიდებლად. გემმამ თავი გადააქნია.

— რომ გენახათ თქვენ არტურის სახის გამომეტყველება იმ წამს, როცა მე იმას შემოვკარ, ეგრე არ ილაპარაკებდით, ჩეზარე. მონტანელლის შესახებ ეგები ყოველივე მართალია, ეს ძალიან შესაძლებელია, მაგრამ ის, რაც მე მოვიქმედე, ამით არ შეიცვლება. გემმა გაჩუმდა და ორნივ კარგა ხანს ხმა-ამოულებლივ მიდიოდნენ.

— ძეირფასო შეგობარო, — უთხრა ბოლოს მარტინმა, — რომ შეიძლებოდეს აღმოხოცა იმისი, რაც მოხდა მაშინ, ლირდა წასულ შეცდომებზე ფიქრი, მაგრამ რადგან სულ ერთია, არაფერი. არ გარიგდება, და მიცვალებულთ მარხონ თავიანთი მიცვალებულნი. მართალია, ის საშინელი შემთხვევა იყო, მაგრამ ეხლა საწყალმა ჭაბუკმა დაასრულა ბოლო და იქნებ უბედნიერესია ბევრზე, საპყრობილები მყოფთ, ანუ განდევნილ ამხანაგებზე. ჩვენ უნდა ვფიქრობდეთ ამათზე და არა გვაქვს უფლება სულით ვიტანჯოდეთ მიცვალებულთათვის, გაიხსენ ეთ შელლის სიტყვები: „წარსული ექუთვნის წარსულს და მომავალი კი შენია“. თქვენც, გემმავ, მოჰკიდეთ ხელი მომავალს, ვიდრე ჯერ ისევ თქვენია და იმაზე ნუ კი ფიქრობთ, რაც წარსულში შეცდომა მოგხვლიათ, არამედ იმაზე, რით შეგიძლიანთ იყოთ სასარგებლო ეხლა.

აღმოოთებულმა მარტინმა ხელი მოჰკიდა გემმას, მაგრამ სწრაფად ისევ გაუშვა და უკან დაიწია. იმას მოესმა უკანიდან ხმა რბილი და ტკეპნია:

— მონსინიორ მონტანელლი, ეჭვი არ არის მაგნაირია როგორსაც ოქვენ აშბობთ, ძვირფასო ექიმო. ის მეტად მშვენიერია დედამიწისთვის და საჭიროა გავამგზავროთ იქ,—უმჯობესს ქვეყანაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ ის იქაც იმნაირავე მოძრაობას მოახდენს, როგორც აქ. უეჭველად მრავალს პატივცემულს სულებს არაოდეს არ ენახებათ ამ ნაირი საოცრება, როგორიც პატიოსანი კარდინალია და სულებს კი უმეტესად ახალ-ახალი უყვართ.

— საიდან იცით ოქვენ ეგ? — ჰეითხა. რიკარდომ და მლელვარებას ძლივს-ლა ჰფარავდა.

— საღმრთო წერილიდან, ძვირფასო ექიმო. თუ ერწმუნებით სახარებას, პატივცემულ სულებს მოსწონთ მოულოდნელი შეერთებანი და პატიოსნებისა და მონტანელლის შეერთება კი წარმოუდგენელია.

— აა, სინიორ მარტინი და სინიორა ბოლლა! მშვენიერი ამინდია არა? ოქვენც ბრძანდებოდით ახალ მქადაგებლის სანახავად და იმის ქადაგების მოსასმენად?

მარტინმა მოიხედა და დაინახა, რომ კრაზანა, სიგარათი პირში და ვულზე დამაგრებული ყვაეილით, სდგას და საუცხოვო ხელთათმანში გამოკვანწული ხელი ამათკენ გამოუწოდებია. კაშაში მზე ანათებდა იმის სარკესავით პრიალა ფეხსაც-მელებს და იმის მომლიმარ სახეს აბრწყინვებდა მდინარეში გადმონაშუქი სინათლე.

მარტინს ეჩვენა კრაზანა ნაკლებად მახინჯი და ჩვეულებრივზე უფრო ქარაფშუტულად ჩატარდა.

კრაზანამ სიყვარულით ხელი მოუჭირა მარტინის ხელს, რომელიც მარტინმა უკმაყოფილოდ გაუწოდა ჩამოსართმევად. ამ დროს რიკარდომ უეცრად შეჰყვირა: მეონი სინიორა ბოლლას გული შეულონდა. გემმას ფერი წასვლოდა და მამაკვდავს: დამსგავსებოდა. ლენტები, რომელიც გულთან ჰქონდა შეკრული, მომეტებულეს გულის ძერით ადიოდ-ჩამოდიოდნენ.

— სახლში წავალ; — წამოილაპარაკა იმან მისუსტებულის ჩმით. მოიყვანეს საჩქაროდ ეტლი, ჩასვეს შიგ გემმა, მარტინიც მოუჯდა გვერდით და სახლში გააცილა. როცა კრაზანა დაიხარა, რომ გემმასათვის ეტლში კაბის ბოლო გაესწორებინა, იმან პირდაპირ თვალებში შეხედა და მარტინმა დაინახა, ეტლში როვორ გადაიწია უკან შეშინებულმა გემმამ.

— გემმა რა მოგივიდათ? — ჰეითხა მარტინმა ინგლისურ ენაზე, როცა ეტლი დაიძრა, — რა გითხრათ იმ უმგზავსმა?

— არაფერი. მე, ეს შემეშინდა, მომეჩვენა.... იმან ერთი ხელი თვალებზე მიიფარა და მარტინიც უცდიდა, რომ ის გონის მოსულიყო. გემმას სახეს ჩვეულბრივი ფერი მოუვიდა.

— თქვენი მართალი ხართ, — უთხრა იმან ბოლოს და მობრძონდა მარტინისაკენ, — უვარგისობაზე მეტიც არის, რომ წარსულს კაცმა მიხედოს. ეს მხოლოდ ნერვებს ასუსტებს და შეუძლებელ რამებს წარმოადგენინებს. ნურასოდეს ნულარ ვილაპარაკებთ წარსულზე, ჩეზარე, თორემ მე ვისაც კი შევხვდები, ყოველ კაცში ვიპოვნი იდუმალ მიმზგავსებას. ეს რაღაც გალლიუპინაცია ნათელ დღეს შუა. აი, ეხლა, ის ქარაფშეტა რომ მომიახლოვდა და მემომნედა, მე მომეჩვენა, ვითომურის არტური იყო.

## v

კრაზანა მტრებს მალე გაიჩენდა, ხოლმე. ფლორენციაში ის მარიამბისითვეში მოეიდა და ოქტომბრის დამლევს კი კომიტეტის წევრების სამი მეოთხედი, მარტინის მხარეზე იყვნენ. გაშმაგებითი დაცინება მონტანელლისა არ მოსწონდათ კრაზანას თაყვანის მცემლებს და გალლიმაც კი, რომელსაც წილნედ ყოველივე საკეთილოდ მიაჩნდა, რასაც კი იტყოდა ხოლმე, ან მოიქმედებდა ახალგაზდა სატირიკოსი, სცნო დაღო-

ნებით, რომ უმჯობესი იქმნებოდა თავი დაენებებინა მონტანელლისთვის.

— რიგიანი კარდინალები ცოტანი მოიპოვებიან და საკიროა ზრდილობით ვექტურელეთ იმათ, როცა ისინი შეგვხვდებიან ხოლმე, — ამბობდა ის, — ერთად-ერთი კაცი, რომელიც სრულებით გულ-გრილად უცქეროდა უმრავლესს კარჩიკატურებს და მასხრობებს, იყო თეთ მონტანელლი. თითქო, მარტინის თქმის არ იყოს, არ ღირდა დახარჯვა იმდენი ენერგიისა იმ კაცის გამასხარავებისათვის, რომელიც ამას ასე გულ-გრილად და მშეიღლობიანად უხვდებოდა. ქალაქში ლაპარაკობდნენ თუ, მონტანელლიმ, ერთხელ ფლორენციის არქიეპისკოპოსთან სადილობის დროს, როგორ იპოვნა უცაბედად გაზეთებში ბოროტი დაცინვა კრაზანასი და, რა წაეკითხნა იგი, გადაეცა არქიეპისკოპოსისათვის ამ სიტყვებით: სულელურად არის დაწერილი, არა?

ერთხელ გამოვიდა ქალაქში ფურცელი ამ სამაურიო: „საიდუმლოება ხარებისა“. თუნდ რომ ამ შემთხვევაში ავტორს დაეფარა თავისი ჩვეულებრივი სახელი, — გამოხატულობა კრაზანასი, გაშლილ-დასწორებულის ფრთებით და ბოროტის სიტყვა-მოჭრითი ენა ფურცლებისა ისედაც არ ააღებინებდა ეჭვს, თუ ვინ იქმნებოდა იმისი დამწერი. სატირა წარმოადგენდა საუბარს ტოსკანასა და მონტანელლის შორის. ტოსკანას წარმოადგენდა ქალწული მარიამი და მონტანელლს — ანგელოზი, რომელსაც ეჭირა ხელში ზამპახის თაიგული — სიწმიდის ნიშანი, დაგვირგვინებული მშვიდობიანობის მაუწყებელ ზეთის-ხილის შტოთი, რომლითაც იეზუიტების მოსვლას ასარებდა.

მთელი პამფლეტი საესე იყო პირატი შეურაცხმყოფელის გადაკერითა და ცილის წამებით. ამიტომ მთელმა ფლორენციის სცნო სატირა ულირსად და ულაზათოდ, მაგრამ მაინც მთელი ფლორენცია ხარხარებდა, იყო რაღაც იქამდის დამამონებელი ახირებულ სიტყვებში, რომლებსაც კრაზანა ამბობდა, მეტის-მეტი სერიოზულის კილოთი, რომ თვით იმისი მოწინა-

აღმდეგენიც კი იცინოდნენ იმის მოსწრებულ სიტყვებზე, აგრეთვე, როგორც თვით მხურვალე იმისი მომხრენი. მიუხედავად ლანძლვიან სიტყვების კილოს მიუზიდველობისა, იმან მოახდინა შთაბეჭდილება ადგილობრივ მცხოვრებლებზე. სახელი მონტანელლისა იმდენად ჩტკიცე იყო, რომ თვით დიდი ნიჭიერი მძრახველიც ვერას დააკლებდა იმას. მაგრამ მაინც ერთს წუთს ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ მისი. კრაზანამ იცოდა, სად ეკინა, და თუმცა ჯერ კიდევ აღფრთოვანებული ხალხი იკრიბებოდა კარდინალის სახლის გარშემო, როცა ის იქიდან გამობრძანდებოდა ხოლმე ანუ სახლში ბრუნდებოდა, მაგრამ აღმნიშვნელობითი ძახილი: „იეზუიტო“ ან „სანთედისტის ჯაშუშო“-ს, ხშირად უერთდებოდნენ ლოცვა-კურთხევის მიღების დროს, მისალმებიან სიტყვებში. მაგრამ მონტანელლის არ აკლდნენ დამცველნი. საძრახელ ფურცლის გამოსვლის ორი დღის შემდეგ, ადგილობრივმა სასულიერო გაზეთმა დაბეჭდა მშვენიერი წერილი შემდეგის სათაურით: „პასუხი საიდუმლოების მახარობელის ავტორს“. წერილის ქვემოდ ეწერა: „შვილი ეკულესისა“. ეს იყო გაშმაგებული დაცვა მონტანელლისა, კრაზანას შეურაცხმყოფელ ცილის-წამების წინააღმდეგ. უსახელო ავტორი გარდმოსცემდა პირველად მეტის-მეტ მკევრ-მეტყველობით და გულმოდგინებით სწავლას ქვეყნად მშვიდობიანობის დამყარებაზე, ლაპარაკობდა ახალ პაპზე, როგორც ამ სახარების წინასწარმეტყველზედ და, დასასრულ, თხოულობდა, რომ კრაზანას დაემტკიცებინა ერთ-ერთი მაინც თავისი წარმოთქმული ცილის-წამება. ის აღშფოთებული აფიცებდა საზოგადოებას; არ დაეჯერათ საზიზღარი ცილის მწამებელისათვის. ძალა და ლიტერატურული ლირსებანი წერილისა. იდგნენ იმ-დენად მაღლა ჩვეულებრივ, რომ მიიპყრო საყოველთაო უურადღება ქალაქში. ცნობის-მოყვარეობა იმით: უფრო იქმნა განცხოველებული, რომ თვით გაზეთის რედაქტორიც ვერ მიმხვდარიყო, ვინც იყო იმის დამწერი. წერილი საჩქაროდ იქმნა დაბეჭდილი პამფლეტის მსგავსად და უსახელო დამცველზე ლაპარაკობდნენ ფლორენციის ყოველ ყავახანებში. კრაზანამ უპასუხა სიტყვა

მძაფრად დაჯახებით პაპზე და იმის თანა-მოღვაწეებზე,—უმეტესად მონტანელლზე; თანაც ამბობდა, რომ მონტანელლის ქება, ცხადია, იწერებოდა მისივე თანხმობით. ამაზე უცნობმა ავტორმა კიდევ უპასუხა აღელვებულის უარ-ყოფით. მოელი ეს დრო, რაც მონტანელლი აქ იყო, პოლემიკა, ორ მწერალ შორის განცხოველებული, იქცევდა საყოველთაო ყურადღებას, თითქმის უმეტესსაც; ვიდრე თვით წარჩინებული მქადაგებელი. ზოგიერთა წევრთ ლიბერალურ პარტიისამ, უსაყველურეს კრაზანას მისი მეტის-მეტი მტრობა მონტანელლის მიმართ, ის მაინც თავისას შერებოდა. კრაზანამ მხოლოდ ლიმილითა და ოდნავ ენა-მოჩლუნგებით უპასუხა იმათ:

— სწორედ რომ თქვენ, ბატონებო, სრული სვინიდი-სიერი არა ხართ. მე ვითხოვდი, როცა სინიორა ბოლლა-სთან პირობას ვდებდი, რომ თქვენ დაგეცლიათ ჩემთვის და ხელი არ შეგეშალათ, რამდენიც მსურდა, იმდენი მეცინა იმაზე და ამით ცოტა გავრთობილიყავ. ასე იყო მოხსენებული ჩვენს პირობაში.

ოქტომბრის დამლევს მონტანელლი წავიდა ისევ თავის სამწყსოში, რომანიაში და ფლორენციიდან წასვლის წინა დღით გამოსათხოვარი ქადაგება წარმოსთქვა, რომელ შიაც ლაპარაკობდა აღძრული პოლემიკაზე, სუმბუქად ჰყიცხავდა ორის მწერლების სიფიცხეს. ის სთხოვდა თავის უცნობ დამცველს, მიეცა მაგალითი მოთმინებისა და დაენებებია თავი გამოუსადეგარ და უშნო სიტყვიერ ომიანობისათვის. მეორე დღესვე ადგილობრივ სასულიერო გაზეთში გამოვიდა განცხადება იმაზე, რომ მონსინიორ მონტანელლის სურვილის საერთოდ გამოცხადების შემდეგ ანებებს თავს პოლემიკას „შეილი ეკკლესიისა“. ამგვარად უკანასკნელი სიტყვა კრაზანას დარჩა. იმან გამოსცა ფურცელი, რომელ შიაც აცხადებდა, რომ სთვლის თავს უიარალოდ და დამონებულად, მონტანელლის ქრისტიანობრივი თავმდაბლობით. რომ ის მზად არის შერიცებისა და შენანების ცრემლები დააფრქვითს და მოეხვიოს პირველსავე ახალ სანფედისტს, რომელ

საც კი შეხვდება. მე თანახმა ვარ, — ამბობდა ის დასასრულ, — მოეგხვიო თვით ჩემს უცნობ მოწინააღმდეგესაც კი, მაგრამ რომ იცოდნენ ჩემმა მკითხველებმა, როგორც მე და იმის უსა- მდვდელოესობამ ეიცით ეს, თუ რას შეიცავენ ჩემი სიტყვები და რისთვისაც არ აცხადებს სახელს. ჩემი მოწინააღმდეგე, მათ შინ იძწმუნებდნენ სიწრფელეს ჩემის მოქცევისას.

ნოემბრის შუა რიცხვებში კრაზანამ გამოუცხადა კომი- ტეტს, რომ მიღის ორი კვირით ზღვაზე დასასვენებლად: ცხადი იყო, რომ ის წაეიდა ლიგორნოში და მალე იმის შემდეგ ექიმი რიკარდოც იქით გაემგზავრა და უნდოდა ენახა კრაზანა, მაგ- რამ ამაռდ დაეძებდა მთელს ქალაქში, ხუთ დეკემბერს პო- ლიტიკურმა დემონსტრაციამ საშინელ მკაცრად იფეთქა პაპის სამფლობელოში და მთელი აპენინის ჯაჭვივით გაბმულ მთე- ბის გასწვრივ. მაშინ ყველა მიხედა მიზეზს კრაზანას ოინისას, რომელმაც გაიჩინა თავისთვის, შუა ზამთარში, თავისუფალი დრო დასასვენებლად. ის დაბრუნდა ფლორენციაში; როცა ამბოხება ჩაქრა და როდესაც რიკარდოს შეხვდა გზაში, მეტა-მეტ ალერ- სიანად უთხრა:

— მითხრეს, რომ თქვენ დამეძებდით ლიგორნოში, მე კი იმ დროს ვცხოვრობდი პიზაში. რა მშვენიერი ძეელი ქალაქია, იქ არის რაღაც ისეთი, რაიცა მოგაგონებს არკადიას. ერთხელ, საშობაოდ, ის მივიდა ლიტერატურულ კომიტეტის სხდომაზე, ექიმ რიკარდოს სახლში. სხდომას მრავალი საზოგადოება და- ესწრო და რაღაც კრაზანამ მოსვლა ცოტად დააგვიანა, მო- ლიმარის სახით ბოდიში მოითხოვა. იმისთვის არ აღმოჩნდა საჭ- ვარძელი, რაღაც ყველანი სხვებს დაეჭირათ. რიკარდო წამო- დგა, რომ მეორე ოთახიდან მოეტანა, მაგრამ კრაზანამ შეა- ჩერა.

— ნუ შესწუხდებით, — უთხრა იმან, — მე ისედაც კარგად მოვეწყობი.

ის მივიდა სარკმელთან, საღაც გემმას თავისი სავარძელი- დაედგა და დაუდევნელად მიეყრდო თავით სარკმლის ჩარჩოს.

იმან შეხედა გემმას ნახევრად მოხუკული თვალებით და სფინქსის მსგავს ლიმილით, რომელიც მოგაგონებდათ ჭაბუკის შეხედულობას ლეონარდო და ვინჩის ერთ-ერთ სურათზე. ამ წუთს ჩევეულებრივი ინსტიქტური უნდობლობა, რომელსაც გრძნობდა ვემმა კრაზანასადმი, ეხლა გამოურკვეველ ელდათ გარდაექცა. საგანი გარჩევისა იყო წიგნაკი, რომელშიაც მოხსენებული იყო კომიტეტის შეხედულობა შიმშილზე, რომელიც მოელოდა ერთ მხარეს და ან რა ზომები უნდა ეხმარათ იმის წინააღმდეგ. ძნელი იყო რაიმე გარდაწყვეტილებამდის მრსელია, იმიტომ რომ შეხედულობა კომიტეტისა ამ საგანზე ძალიან გაიყო. უფრო პროგრესიული პარტია, რომელსაც ეკუთვნია-დნენ გემმა, მარტინი და რიკარდო, იდგა ენერგიულ მოწოდებაზე საერთო მმართველობასთან და საზოგადოებასთან, იმაზე, რომ იმ საათშივე მიეღოთ საშუალებანი, სოფლის მცხოვრებ-თა საშველიად. და უმეტესი ზომიერი ნაწილი, რომელსაც ეკუ-თვნოდა გრასსინი, შიშობდა, რომ მეტად მკაცრი კილო მლელ-ვარებას უფრო გამოიწვევდა სამინისტროში და ვერ დაგრწმუ-ნებდა იმას.

— დიალაცი, ბატონებო, კარგი იქნება, რომ ხალხს საჩქაროდ რაიმე შემწეობას აღმოვუჩენდეთ, — ამბობდა გრასინი და თანაც აღშფოთებული რადიკალებს შშვილობიანისა და გულ-შემატკივარი სახით უკეროდა. — უმეტეს ჩვენგანს სურს სხეა-და-სხვა საუკეთესო რამ, რასაც ჩვენ ძლიერ თუ ველირსებით. მაგრამ თუ ამ კილოთი დავიწყებთ ლაპარაკს, როგორც თქვენ ჰავიკრობთ, მართებლობამ, საეჭვოა, რომ მიიღოს რაიმე ზომე-ბი, უბედურების შესამსუბუქებლად, ვიდრე არ ჩამოვარდება ნამდვილი შიმშილი. რომ შევიძლებდეთ დავარწმუნებდეთ სა-მინისტროს, მოახდინოს განკარგულება მოსავლის მოკრებისა-თეის, ეს იქნებოდა წასვლა ნაბიჯით წინ.

გალლი, რომელიც კუთხეში ბუხართან იდგა, აჩქარდა წი-ნააღმდეგობა გაეწია თავისი მტრისათვის!

— ნაბიჯით ჭინ! მაკრამ შიმშილი ჩვენ არ დაგვიწყებს ლოდინს, მანამ ჩვენ ნაბიჯით ვიჩოჩებთ, მთელი ხალხი ამოწყდება შიმშილით, ვიღრე რითიმე მივეშველებოდეთ.

— საინტერესო იქმნებოდა შეგვეტყო, — დაიწყო საკუთნიმ, — მაგრამ რამდენმამე ხმამ გააწყვეტინა ლაპარაკი:

— ხმა-მაღლა ილაპარაკეთ, არა გვესმის-რა.

— ან კი როგორ უნდა გავიგონოთ, როდესაც შარაზე ასეთი ჯოჯოხეთური ხმაურობაა, — სთქვა გალლიმ, შეშფოთებულმა. — დახურულია სარკმელი თქვენს სიახლოვეს, რიკარდო? აქ სრულებით არ ისმის ლაპარაკი. გემმამ მოიხედა, — დიალ, — უპასუხა იმან რიკარდოს მაგიერ, — სარკმელი დახურულია, მაგრამ მეონი შარაზე სახალხო ცირკი მიდის, თუ არ ვიცი, რაღაც ამგვარი. გარედან მოისმოდა ყვირილი და სიცილ-ხარხარი, ფეხების ტყაპა-ტყუპი, აღმაშტოთებელ დოლის რახუნში და სპილენძის საკრავის ხმებში არეული ზარის ჭუარუნი.

— რა გაეწყობა, — სთქვა რიკარდომ, — არ შეიძლება საშობაოდ სიჩუმე-იყოს შარაზე; განავრდეთ, რას ამბობდით თქვენ, საკუთნი?

— მე ვამბობდი იმას, რომ საინტერესოა გაგება, თუ რას ჰქიქრობენ ამ საქმის შესახებ პიზაში და ლიკორნოში. იქნებ სინიორ რივარესს შეეძლოს გვითხრას რაიმე, ის სწორედ ეხლა. მოვიდა იქიდან.

კრაზანა პასუხს არ იძლეოდა. ის გაიცემირებოდა სარკმლიდან და არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ.

— სინიორ რივარესს, — გაელაპარაკა გემმა, — რადგან ყველაზე ახლოს ის იჯდა კრაზანასთან, მაგრამ ის მაინც ხმას არ იღებდა. მაშინ დაიხარა გემმა და იმის ხელს შეეხო. კრაზანამ მოიბრუნა თავი იმისაკენ, გემმა შეძრწუნდა იმისი გაციებული, ელდით აღბეჭდილი სახე რომ დაინახა. ის ეხლა მკედარ-სა ჰგვანდა. უსიცოცხლო ტუჩები ძლივს შეანძრია და წაიჩურჩულა:

— დიალ, ცირკი..

გემმას პირველი ინსტიქტიური მოძრაობა იყო სურვილი, რათა ის დაეფარა საზოგადოების ცნობის-მოყვარეობისაგან. არა მცოდნემ, საქმე ნიშანდობლ რაში მღვმარეობდა, ის მიხვდა, რომ კრაზანას თვალ-წინ აღმოცენდა რაღაც შემაძრწუნებელი ჩვენება, ანუ გალლიუცინაცია და რომ ეხლა ის სულითა და ხორცით იმ მოჩვენებით იყო შეპყრობილი. ის სწრაფად წამოდგა, ჩადგა კრაზანასა და საზოგადოების შუა და ხმაურობით გააღო სარკმელი, ეითომ იმისთვის, რომ გადახედნა იქიდან. გემმას გარდა, არავის არ დაუნახავს სახე რივარეს-სისა.

შარაზე მიღიოდა მოხეტიალე ცირკი, პამპულებით, რომ-ლებიც ისხდნენ ჯორ-ცხენებზე, აჭრელებულის ტანისამოსით. უქმე დღეს მოსეირნე ხალხი ჯგუფად შეკრებილიყვნენ და სიცილ-ხარხარით ემასხარავებოდნენ პამპულებს. ესროდნენ ქადალდის ლენტებს და წვრილ-წვრილ კანფექტებიან ქაღალდის პარკებს, მარხილში მჯდომ კოლომბინას, რომელიც მოკაზმული იყო კილიტით ნაკერი ბრჭყვიალა ტანისამოსით, შუბლზე დაკულულებულ თმებით და ოსტატურის ღიმილით, რომელიც შელებილს ტუჩებზე უთროთოდა. მარხილს უკან მოსდევდნენ ზანგები, ყირამალა მხტომი პამპულები და ვაჭრები, რომელიც გაჰყვიროდნენ და აქებდნენ თავიანთ ხელობას. ისინი ერთხმად ჰყვიროდნენ, ტაში უკრავდნენ ვილსაც, რომელსაც გემმა წინედ ხალხთა ყრილობაში ვერ ამჩნევდა. შემდეგ კი დაინახა, ოინბაზი-კუდიანი ქონდრის კაცი, მორთული მასხრულის ტანისამოსით; თავზე ქაღალდის არახინით და ხელში პატარა დაფითა და ულარუნებით. ცხადია, ის ეკუთვნოდა ამ დასს და ართობდა ხალხს თავის მანკვეითა და პრანკვა-გრეხით.

— რა ხდება მანდ? — იყითხა რიკარდომ და მივიდა სარკმელთან, — რით ხართ ეგრე გატაცებული?

იმას უკვირდა, რომ გემმა და რივარესი, რაღაც მოტან-ტალე ცირკის გამო, საზოგადოებას ამდენხანს აკლევინებდნენ. გემმა მობრუნდა,

— შესანიშნავი არაფერია, — უთხრა იმან, — შარაზე მოსი-  
არულე ცირკია. მაგრამ იქ ისეთი ხმაურობა ასტეხს, რომ მე-  
გონა, რაიმე შესანიშნავი მოხდა-მეთქი.

გემმა იდგა და ცალი ხელი სარკმელზე ედო, იმან უეც-  
რად იგრძნო, როგორის მღელვარებით მოუჭირეს იმის ხელს  
კრაზანას გაყინულმა თითებმა.

— გმადლობთ, — წასჩურჩულა რივარესსმა, — შემოიხურა  
სარკმელი და ჩამოჯდა ზედ, გემმას გვერდით.

— მომიტევეთ ბატონებო, — სთქვა იმან თავისუფალის კი-  
ლოთი, — რომ მე ზქვენ გაცდევინეთ. პამჟულებს ვუცქეროდი,  
იმათი დანახვა ისეთი საინტერესოა.

— საკუონი გეკითხებოდათ რაღასაც, — უთხრა ბუტბუტით  
მარტინშა, — კრაზანას ქცევა ეჩვენა იმას სულელური და არ  
ესიამოენა, რომ გემმამაც იმას წაჰაծა, ეს იმან უწესოებად  
ჩასთვალა. ისეთი ქცევა გემმასას სრულებით არ მიაგავდა.

კრაზანამ აიცილა თავიდან ყოველივე გამოკითხვები და  
სთქვა, რომ ის პიზაში მხოლოდ დასასვენებლად იყო. შემ-  
დეგ აღძრა ფიცქელი დაევა მოსაელის შეხედულობაზე, მერე  
გადვიდა პამფლეტებზე, განაგრძო ლაპარაკი შეუსვენებლად და  
საშინელის ენა-დაბმით, ისე რომ მოღალა ყველა მსმენელნი.  
ამას თითქო თვითევ მოსწონდა კილო თავისი მუსაიფისა. რო-  
დესაც სხდომა დასრულდა და წევრნი კომიტეტისა წამოდგნენ  
წასასვლელად, რიკარდო მივიდა მარტინთან.

— ვერ დარჩებით ჩემთან სადილად? ფაბრიცი და საკუო-  
ნი დღეს ჩემთან არიან.

— გმადლობთ, მაგრამ მე სინიორა ბოლლას შევპირდი  
გავაცილო.

— ნუ თუ თქვენ მართლაც და ფიქრობთ, რომ მე არ შე-  
მიძლიან. მარტო სახლამდის მისვლა? — უთხრა გემმამ, იდგა და  
მოემზადა წასასვლელად.

— თუ ისურვებთ, მე გაგაცილებთ, — ჩაერია კრაზანა, — სულ  
ერთია, მეც გზა იქით მაქვს.

— კარგი იქმნება, თუ თქვენ მართლა იქით მოდიხართ.

— და თქვენ ხომ საღამომდის ისევ შემოხვალთ ჩემთან, რიგარესს? — ჰყითხა რიკარდომ როდესაც ისინი კარებამდის გა-აცილა.

კრაზანაშ მოხედა რიკარდოს და უთხრა სიცილით:

— მე, ჩემო კარგო? მე წავილ ცირკში.

— რა საოცარი არსებაა ეს რიგარესსი და ან რას ნიშ-ნაეს ასეთი სიყვარული პამპულებისადმი? — სთქვა რიკარდომ, როცა სტუმრებთან შემობრუნდა.

— ის ჰგრძნობს სულიერს ნათესაობას იმათთან, — სთქვა მარტინმა, — მგონი რომ თვითონაც ბალახვანის მასხარაა.

— ვისურვებდი, რომ ის მაგის მეტი არა იყვეს-რა, — სთქვა ფაბრიციმ სერიოზულის კილოთი, — და თუ მასხარაა, ძალიან საშიში და მოსარიდებელია.

— საშიში?

— არ მოშწონს მე ეს საიდუმლო წასვლა-წამოსვლანი, რაიცა იმას ძალიან უყვარს. ჯერ ხომ მესამედ არის, რაც ის აქედან წავიდა და მე კი დარწმუნებული ეარ, რომ ის პიზაში არა ყოფილა.

— მგონი ის არ მალავს, რომ მთებში წავიდა, — სთქვა საკუონიმ, — და არც კი გასჯილა უარის ტქმისათვის, რომ აქვს კავშირი კონტრაბანდისტებთან, რომლებიც გაუცვნია ამბოხების დროს სავინიოში და რომლითაც ის სარგებლობს, თავის თხზუ-ლებების გადატანისათვის.

— ვისურვებდი მოლაპარაკებას თქეენთან, ნიშანდობლაშ საქმეზე, — უთხრა რიკარდომ. — მე ვფიქრობ, რომ უმჯობესი იქმნებოდა მიგვენდო რიგარესსისთვის მოწყობა ჩვენის კონტრა-ბანდისა; ბეჭდვა, პისტოში, ჩემის აზრით, კარგად ვერ არის დად-გენილი და თვით საშუალება თხზულებების გადატანისა, შეხ-ვევა სიგარებში, ეს ყოველივე ხომ ადამის ქამისაა.

— მაგრამ აქამდის ყოველივე კარგად მიღიოდა, — მწყრა-ლად უთხრა მარტინიმ, — იმას მობეჭრდა, რომ გალლი და რი-

კარდო მუდამ იმას. ცდილობდნენ, წინ წაეყენებინათ კრაზანა, როგორც მაგალითი, რომლისთვისაც უნდა მიებაძნათ. მარტინი მზად იყო ეფიქრა, რომ ყოველისუერი კარგად შილილა წინედ, ვიდრე ეს კლაკვნია ავაზაკი გამოცხადდებოდა და გახდებოდა ყველას წინამძღვრად.

— წინანდელს განკარგულებებს ძალა-უნებურად ვურიგდებოდით, მანამ სახეში საუკეთესო არა გვქონდა-რა და თქვენ თითონვე იცით, თუ რამდენი ტრანსპორტები იყვნენ შეპყრობილნი. მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ რივარესსმა იტვირთა ეს საქმე, ამნაირი აღარა მოხდება-რა.

— რისთვის ფიქრობთ თქვენ ეგრე?

— ჯერ ერთი იმისთვის, რომ კონტრაბანდისტებისთვის უცხონი ვართ და ისინი ხედავენ ჩვენში ხალხის მაგიერ ცხვრებს, რომლებიც იმათვის გასაკრეჭად გაუგზავნიათ, რივარესსი კი იმათვის მეგობარია და შეიძლება წინამძღვლიც და ისინიც მინდობილნი არიან იმაზე. შეგიძლიანთ დარწმუნდეთ, რომ თვათეული კონდრაბანდისტი აპენინის მთებში შეასრულებს იმ კაცისათვის, რომელიც მონაწილეობას იღებდა საონიოს ამბოხუბაში, იმას, რასაც ჩვენთვის არ გააკეთებდნენ. გარდა ამისა, ჩვენ შორის არ მოიპოვება ერთი კაციც, რომ ისე კარგად იცოდეს მთები, როგორც რივარესსმა. გაიხსენეთ, რომ ის გაძლიერებული იყო, ცხოვრობდა იმათთან ერთად და იცის ზეპირად ყველა შთების ბილიკები კონტრაბანდისტებისა. არცერთი კონტრაბანტისტი არ გადასწყვეტს იმის მოტყუებას, კიდევ რომ განიზრახოს და ვერცერთი იმათგანი ვერც მოახერხებს ამას, კიდეც რომ გაპიროს.

— მაშ თქვენ გსურთ, რომ შევთავაზოთ რივარესს, იტვირთოს გაყიდვა ჩვენის თხზულებებისა სამზღვარ გარედ, განკარგულებანიც, აღრესებიც, საწყობი აღვილებიც, — ყველაფერი, ერთის სიტყვით, თუ მხოლოდ განახლება ჩვენის გამოცემისა?

— რაც შეეხება აღრესებს და საწყობ ადგილებს, იმან უეჭველად იცის ის, რაც ჩვენ ფიცით და არ ვიცით. არა მგონია, რომ შეგვეძლოს ჩვენ, რაიმე ახალის შეტყობინება იმის-თვის და რაიცა შეეხება გამოცემის გავრცელებას, ამაზე საერთო მოლაპარაკებაა საჭირო. ჩემის ფიქრით, ყველაზე უფრო თვალსაჩინო, კონტრაბანდული გზით გავლაა. თუ წიგნები ბოლონში კარგად მივიღნენ, იქ იმის გავრცელებას ბევრად უფრო ადგილად მოახერხებენ.

— რაიცა შემეხება მე,—სთქვა მარტინშა,—ამ გეგმის წინააღმდეგი ვარ. ჯერ ერთი ეს, რომ ზიმარჯვე რივარესისა ჯერ არ არის გამოცდილი, ამას შეიძლება მხოლოდ მოველოდეთ იმისაგან. ჩვენ ჯერ არ გვინახავს, როგორ აწარმოებს კონტრაბანდულ საქმეებს და არ ვიცით, როგორ უჭირავს თავი კრიტიკულ წუთებში.

— მაგაზე ფიქრი და წუხილი საჭირო არ არის,—სთქვა რიკარდომ,—ამბოხებამ სავინიოში დაგვანახვა, რომ იმან იცის, როგორც უნდა თავის დაჭერა.

— შემდეგ ამისა,—განაგრძობდა ხოლმე მარტინი,—მე სრულიადაც არა ვთვლი რივარესს კეთილ-გონიერად, იმით, რომ ვიცით ცოტა რამ იმაზე და არა მგონია, რომ შეიძლებოდეს იმისოფის ჩაბარება პარტიის ყოველივე საიდუმლოებისა. მე ის მიმაჩნია სუბუქი კუუისა და თავ-განწირულად ეფექტებისთვის. გადაცემა მარტო იმის ხელში მთელი კონტრაბანდის საქმეების ვითარებისა, მე მგონი, რომ ძალიან სერიოზული საქმეა. თქვენ როგორ ჰყიქრობთ, ფაბრიცი?

— მე რომ საწინააღმდეგო მაგის მეტი არა მქონდეს-რა, რომლებზედაც თქვენ ლაპარაკობთ, მარტინ,—მიუგო პროფესიორმა,—უეჭველად ყველა მაგ მიზეზებს უარსა ცყოფდი იმ კაცის მიმართ, რომელიც რიკარდოს სიტყვით, მრავალ-ლირსებით არის შემკული. რაიცა შემეხება მე, არა მაქვს არავითარი ეჭვი არც იმის მამაცობაზე და არც სულიერს ძალაზე. და რომ

ის იცნობს მთიულებს და მთებს, ამაზე ჩვენა გვაქვს მრავალი დასამტკიცებელი საბუთი. მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება: არ ვარ დარწმუნებული, რომ ის მთებში მარტო მომხრეების მოსაპოებლად დადიოდეს. მე ეჭვში შევდივარ, რომ იმას უნდა ჰქონდეს სხვა მიზეზები. ეს, რასაკვირველია, ჩვენ შორის დარჩება. მე გამოვთქვი მხოლოდ ჩემი იჭვნეულობა. მე შემიძლიან ვითიქრო, რომ ის შეიძლება დაკავშირებული იყოს რომელსამე სექტასთან და, შესაძლოა, ძალიან საშიშრთანაც.

— თქვენ ვისზე ლაპარაკობთ? „წითელ ქამრებზე?“.

— არა, „ceoltellatari“-ებზე.

— მედანეებზე? და ეს ხომ მცირე კავშირია უქმად მოსიარულებისა, უმეტესად გლეხეაცებისა, სრულიად გაუნათლებელ და პოლიტიკაში გამოუცდელებისა.

— მაგვარი იყვნენ მეამბოხენი სავინიოში? მაგრამ მხოლოდ რამოდენიმე განათლებული კაცი იყო იმათი წინამძღვარი და ის მცირე კავშირშიაც, იქმნება, საქმე ამგვარადვე იყო მოწყობილი და იქონიეთ მხელველობაში, რომ უმეტესნი ამჯანყებელთაგანნი რომანიაში არიან წინანდელნი მოთავენი სავინიოდან; ეს ისინი არიან, რომლებიც აღმოჩნდნენ მეტად სუსტნი, დაუფარავად ებრძოლათ ეკკლესის წინააღმდეგ და ამიტომ შეიქმნენ კაცის მკვლელები. იმათი ხელნი საქმაოდ ღონიერნი არ არიან ზარბაზნების ხმარებისათვის და დანას მოჰკიდეს ხელი.

— მერე თქვენ რადა გვთავათ, რომ როგორესს კავშირი აქვს იმათთან?

— მე არცა ვფიქრობ, მხოლოდ ვეჭობ. მე ვფიქრობ, რომ საჭიროა ეს შევიტყოთ წინედ, ეილრე კონტრაბანდულ საქმეებს ჩავაბარებდეთ. თუ ისურვა იმან და ორივ საქმეს ერთად მოჭიდა ხელი, ამით მოუტანს ჩვენს პარტიას, საშინელ ვნებას. ის სამუდამოდ გააქრობს იმის კეთილ სახელს, რომლითაც საქმეს არავითარ სარგებლობას. არ მოუტანს. ყოველ შემთხვევაში ამაზე მოღაპარაკება კიდევ საჭიროა. და ახლა კი, გადვიდეთ

ცნობებზე, რომელიც მოვიდა რომიდან. ამბობენ, რომ იქ აპი-  
რობენ კომისიის დადგინდებას, ქალაქის სამმართველოს პროექ-  
ტის შესამუშავებლად.

## VI

გემმა და კრაზანა მიღიოლნენ გაჩუმებულნი ლუგარნოსათ  
კენ. კრაზანას დაბნეულობა სრულიად გაიფანტა; ის არ იღებ-  
და ხმას, მას აქეთ, რაც რიკარდოს სახლიდან გამოვიდნენ, და  
გემმასათვის ეს სასიამოვნო იყო, გემმა ყოველთვის უხერხუ-  
ლადა ჰერძნობდა თავს კრაზანას საზოგადოებაში და მეტად-  
რე დღეს, რადგანაც იმისმა უცნაურმა საქციელმა კომი-  
ტეტის სხდომის დროს, მეტად გააოცა იგი. უფიცის (სახე-  
ლია) სასახლესთან კრაზანა უეცრად შეჩერდა და მოუბრუნ-  
და გემმას:

- თქვენ არ დაღალულხართ?
- არა, რისთვის მკითხავთ?
- გაქეთ თავისუფალი დრო დღეს?
- დიალ.

— მე თქვენთან სათხოვარი მაქს: მე მსურს, რომ მე და  
თქვენ ეხლა ერთად სასეირნოდ წავიდეთ.

- სადა?
- საითაც გენებებათ.
- რისთვის?

კრაზანა შეყოყმანდა.

— არ შემიძლიან გითხრათ. ესე იგი, მეტად მეძნელება..  
მაგრამ გთხოვთ წამოხვიდეთ, თუ შეგიძლიანთ.

იმან მიაპყრო თვალები გემმას და ქალმა შენიშნა რაღაც  
ახირებული გამოხედულობა თვალთაგან.

— თქვენ რალაც გემართებათ დღეს. — უთხრა გემმამ ნე-  
ლის ხმით.

კრაზანამ მოსწყვიტა გულზე გამაგრებულ ყვავილს ფურ-  
ცელი და დაუწყო სრესა.

— ნეტა ვას მიაგავს ასე საოცრად ეს ყმაწეილი, ამნაი-  
რის თითების მოძრაობით, ჩქარის მოუსვენარის მიმოხვრით? —  
უკითხებოდა თავის თავს გემმა.

— დღეს მე ცუდ გუნებაზედა ვარ, — უთხრა ოდნავ გასა-  
გონის ხმით კრაზანამ და ოვალები დაბლია დაუშვა. — არ მინ-  
და მარტო დავრჩე. გნებავთ გავისეირნოთ?

— კარგი, მაგრამ, იქნება, გასეირნებას ჩემ სახლში შემოს-  
ვლა არჩიოთ?

— არა, თქვენ წამოდით ჩემთან და ერთად ვისადილოთ  
სასტუმროში. აქავ, ახლოს არის, ბინიორიის მოიდანზე სასტუმ-  
რო. გთხოვთ, უარს ნუ მეტყვეთ.

ისინი შევიდნენ სასტუმროში. კრაზანამ მოატანინა სადი-  
ლი, მაგრამ თითონ კი ხელი არ უხლია საჭმლისთვის და გა-  
ნაგრძობდა სიჩუმეს. ასორსოლებდა პურის გულს და მოუსვენ-  
რად ათამაშებდა ხელით მაგიდაზე გადაფარებულ სუფრის ფო-  
ჩეფს. გემმა მოუსვენრობასა ჰერძნოადა და ნანობდა გულში,  
რომ უარი არ უთხრა წინადევ და წამოჰყეა ამას. აქ. სიჩუმე  
ძნელი ასატანი ჰედებოდა, მაგრამ გემმას არ უნდოდა უბრალო  
ლაპარაკის დაწყება იმ კაცთან, რომელსაც დაავიწყდა იმის აქ  
ყოფნა. კრაზანამ აიხედა ბოლოს და უთხრა:

— გსურთ ცირკის წარმოდგენას უცქიროთ?

გემმამ გაკვირვებით შეხედა, — „რას ჩააციუდა ამ ცირკს?“ —  
გაიფიქრა იმან.

— გინახავთ ამგეარი რამ წარმოდგენა? — დაეკითხა კრა-  
ზანა, მანამ გემმა წინანდელ კითხვაზე უპასუხებდა.

— არა, არაოდეს. და მგონი არც საინტერესო უნდა იყვეს  
იმისი ნახვა.

— პირიქით, ძალიან საინტერესოა. არა მგონია, რომ შე-იძლებოდეს ხალხთა ცხოვრების შესწავლა ამისთანა წარმო-დგენების უნაზავად. წაეიდეთ.

როდესაც ისინი მიეიღნენ ჩქ, მოხეტიალე ტრუპას კიდე-ვაც დაედგათ კარავი ქალაქის ჭისკართან და გამაყრულებელი ხმა საკრავისა და რახა-რუხი დოლისა აცნობებდნენ ხალხს. წარმოდგენის დასაწყისს. წარმოდგენა სულ უბრალო თვისები-სა იყო. მთელ დასს შეადგენდა რამოდენიმე მასხარა, არღე-კინები, აკრობატები, ცხენოსნები, რომლებიც ხტებოდნენ რგოლებში, ფერადი წამლებით შეღებილი კალომბინა და კუ-ზიანი კაცი. ესენი აჩვენებდნენ ხალხს მოსაწყენ და სულელურ თვალთმაქტობას. მასხრობა მათი არ იყო ძრიელ უზრდელური, მაგრამ ერთიან კი, მთელს წარმოდგენას ჰქონდა ხასიათი უგუ-ნურობისა და გონება-სიჩლუნგისა. მაყურებლები იცინოდნენ და ტაშს უკრავდნენ უფრო ტოსკანურ ზრდილობის გამო და ნამდვილ სიამოენებას კი ისინი ჰპოვებდნენ კუზიანი კაცის ოხუნ-ჯობაში, რომელშიაც გემმა ვერავითარ გასართობს ვერა ჰპო-ვებდა. ეს იყო მხოლოდ მახინჯური პრანჭვა-ბრეცა, რომელ-საც მცქერალი ხალხი მაშინვე დასკინებდა ხოლმე და მხრებ-ზე ისვამდნენ ბავშვებს, რომ იმათაც კარგად დაენახათ მახინ-ჯი კაცი.

— სინიორ რივარებს, ნუ თუ მოგწონთ თქვენ ეს სანა-ხაობა? — შეეკიახა გემმა კრაზანას, რომელიც იმის გვერდით იდგა და ბოძზე ხელი ეკიდა. — მე მგონი რომ... — გემმამ სიტყვა-ალარ დაათავა და გაჩუმებული დააცქერდა კრაზანას. იმის შემ-დეგ, რაც ის მონტანელლს უკანასკნელად ლიგორნოში ელა-პარაკა, ალარ ენახა ამ ნაირი უიმედო, აღშფოთებული გამო-მეტყველება ადამიანის სახეზე. ეხლა კრაზანას რომ უცქეროდა, გემმა დანტეს ჯოჯოხეთზე ჰავიქრობდა. ამდროს კუზიანმა კაც-მა მიიღო შოლტის ტკაცუნი, ერთ-ერთ მასხარასაგან, დატ-რიალდა ყირამალა და დაეცა ძირს ბურთიერით. გაიმართა ლან-

ძღვა ორ მასხარას შორის და კრაზანა თითქო ახლა გამოერკეა ძილიდან.

— აბა წავიდეთ, — უთხრა იმან გემმას: — თუ გნებავთ კი დევ დარჩეთ?

— არა, მე წასვლას ვარჩევდი,

ისინი გამოტიდნენ კარავიდან, გაიარეს ბნელი მინდორი და მივიდნენ მდინარესთან. რამდენსამე წუთს ისინი ხმას არ იღებდნენ.

— რას ფიქრობთ იმ წარმოდგენაზე? — ჰყითხა კრაზანამ.

— მე მეჩვენა იგი საცოდავი და ზოგიერთ ადგილის ნამდვილ საზიზლარი.

— რა მიგანიათ საზიზლრად?

— ყველა ქს ბრეცა და მანჭვა-გრეხა. ისინი მხოლოდ მახინჯური არიან და მახვილ გონიერებას სრულიად მოკლებულნი.

— თქვენ კუზიანის შესახებ ლაპარაკობთ? — გემმას ახსოეთ და კრაზანას განსაკუთრებითი გრძნობიერება ფიზიკურ ნაკლულოვანებაზე და ამიტომ ცდილობდა არ დაესახელებია იგი, მაგრამ, რაღვან იმან თითონ დაიწყო ამაზე ლაპარაკი, გემმამ უპატუხა:

— დიალ; მე ის არ მომეწონა.

— საზოგადოებას კი იმან უმეტესად ასიამოვნა და ქს არის კიდეც სამწუხარო.

— რაღვან ამტკიცებს ხალხის ცუდ გემოვნებას?

— არა, იქ ყოველივე ცუდ გემოვნებაზე იყო, მაგრამ იმას უმეტესად რაღაც სიმკაცრე ეტყობოდა.

— სიმკაცრე? კუზიანს?

— დიალ, ეგ მინდა ვთქვა. რასაკვირველია, იმისთვის ეს სულერთია. იმისთვის კუზი ფულის საშოვარი მასალაა, რო-

გორც ხტუნვა და ჭყანეა მასხარასათეის. მაგრამ თვით სანახაობა ისეთი საკოდავია, — გულ-დასაწყვეტი. ის ამცირებს ადამიანის არსებას.

— ის, უეჭველია, არა ჰერმობს თავს უწინდელზე მეტად დამცირებულად. ასეა, თუ ისე, ჩვენ ყველანი თავს ვიმცირებთ.

— ჰო, მაგრამ, — თქვენ იქმნებ ჩემი სიტყვები ჩასთეალოთ უსაფუძვლო მსჯელობად, — მაგრამ მე რომ მკითხოთ, კაცის სხეული წმინდაა და არა სასიამოენოა ცქერა, როცა იმას უპატივცემულოდ ეპყრობიან და იმის სიმახინჯეს საჯაროდ აჩვენებენ.

— და კაცის სული?

კრაზანა დაეყრდნო მდინარის ნაპირზე ამოშენებულ ქვის მოაჯირს და პირდაპირ თვალებში შეხედა გემმას.

— სული? — გაიმეორა გემმამ, შეჩერდა თვითონაც და განაციფრებით დაუწყო ცქერა.

კრაზანამ უეცარის გაშმაგებულის მოძრაობით განიერად გაშალა მკლავები.

— ნუ თუ თქვენ არასოდეს არ გიფიქრიათ, რომ საწყალ მასხარას შესაძლოა ჰქონდეს სული — ცოცხალი, ადამიანური მზრდოლავი სული, ჩაჭედილი იმის დამახინჯებულ სხეულში და მოვალე, რომ იმუშაოს სხეულისათვის: თქვენ ასეთი შემბრალე ყველაფრისა, შემზრალე სხეულისა, რომელიც შემოსილია მასხარულის ტანისამოსით, ნუ თუ თქვენ არასოდეს არ ჩაფიქრებულხართ საბრალო სულზე, რომელსაც ყალბი ოქრო-მკერდის ნაჭრებიც კი არა აქვს, რომ დაიფაროს თავისი საშინელი სიშიშვლე? დაფიქრდით, როგორა თრთის სიცივისაგან და შეშდება სირცხვილისაგან ყველა იმ ხალხის წინაშე, რომელთა გამოხუმრებაც იმაზე მოქმედობს, როგორც შოლტის გადაკვრა. როდესაც ისმენს იმათ სიცილ ხარხარს, რომელიც სწვაეს და სდაგაეს იმას, როგორც გახურებული ლითონი; დაფიქრდით,

როგორ იყურება გარშემო, უშემწეო ყველას ჭინაშე. ოხ, როგორ უნდა მაშინ იმას, რომ ციცაბო კლდენი დაეცნენ თავზე და დაპფარონ იგი. ეხარბება ვირთაგვების ცხოვრებაც კი, რომელთაც შეუძლიანთ ჩაძერნენ მიწაში და დაიმალნენ. გაიხსენეთ, რომ სული უტყვია, რომ იმას არა აქვს ხმა დაიყვიროს. იმან უნდა ითმინოს... ითმინოს... ითმინოს... ეს, რა სისულე-ლებს ვლაპარაკობ! თქვენ ნეტა რატომ არ იცინით? როგორც ვხედავ, თქვენ იუმორისა არა გაგეგებათ-რა. წყნარად და ხმა-ამოუღებლივ გემმა გაემართა მდინარის ნაპირისაკენ. მთელი სალამოს განმავლობაში იმას ფიქრადაც არ მოსვლია, რომ კრაზანას აღშფოთებას კავშირი ჰქონდა ცირკის წარმოდგენას-თან და ეხლა, როცა იმისმა უეცარმა აფეთქებამ აუხსნა გემ-მას, რაღაც ბურუსიანი სურათი იმის შინაგან ცხოვრებისა, ღრმა სიბრალულით შებყრობილს, იმას არ შეეძლო მოეძე? ნა-რაიმე სიტყვა კრაზანას დასამშვიდებლად. კრაზანა მიღიო-და იმის გვერდით, სახე გვერდზე მიეღო და წყალს დასცე-როდა.

— ჩემი სურვილია, გაიგოთ თქვენ,— უთხრა იმან უეცრივ და მობრუნდა გემმასაკენ იჭვნეულის სახით,— რომ ყოველივე, რასაც ვლაპარაკობდი, მხოლოდ ფანტაზია. მე მოყვარს გამო-გონება, რაიმეს შეთხვეა, მაგრამ ძალიან მეჯავრება, როცა ამას სერიოზულად იღებენ.

გემმამ არა უპასუხა-რა და მიღიოდნენ გაჩუმებულნი. როცა ფიცის სასახლეს მიუახლოვდნენ, კრაზანამ გადუხვია გზის მეორე მხარეს და დაიხარა რაღაც შავ საგნისაკენ, რომელიც ცხენის რკინის გზის ლიანდაგზე ეგდო.

— რა შოგსვლია, პატარავ? — იკითხა კრაზანამ და გემმა. გააოცა მოულოდნელშა სირბილემ იმის ხმისამ.

— რატომ არ წახეალ სახლში? — განავრძობდა კრაზანა. შავი საგანი შეინძრა და უპასუხა ჩუმის, მკვნესავის ხმით. გემ-მა მიუახლოვდა იმათ და დაინახა ყრმა ექვსის წლისა, დაფლე-

თილის ტანისამოსით, რომელიც უეშინებულ პატარა ნადირ-სავით იწვა ქვა-ფენილზე.

— მითხარ, რა დაგემართა? — ეკითხებოდა კრაზანა და უფრო დაბლა დაიხარა მისკენ, რომ გაეგონა ბავშვის ოდ-ნავ გასაგონი პასუხი, თანაც ხელს უსვამდა იმის წერტილ თმებს.

— უნდა სახლში წახვიდე და დაიძინო: პატარა ბავშვები როდი უნდა იყვნენ ღამე გარედ. სიცივით თითქმის გაყინულ-ხარ. მოშეცი ხელები, აბა, ჰე, მარდად. სადა ცხოვრობდ? — იმან ასწია ბავშვი, რომ აეყენებია, მაგრამ ბავშვი ისევ დაეშვა მი-წაზე ხმამაღლა ტირილით.

— რა იყო, რა? — ჰკითხა კრაზანამ და დაიჩოქა იმის წინ.

— ლმერთო ჩემო! სინიორავ, დახვდეთ. — მხარი ბავშვისა და სახელო სისხლში იყო გასვრილი.

— მითხარ, რა მოხდა? — მოფერების კილოთი ეკითხებოდა კრაზანა. — წაიქეცი? არა? გცემა ვინმებ? მე სწორედ ეგრე ვფიქ-რობდი. ვინ, ვინა გცემა?

— ბიძამ.

— ჰო, რასაკვირველია, როდის მოხდა ეგ?

— დღეს დილას. ის მთვრალი იყო და მე.... მე....

— და შენ ხელში ჩაუვარდი, ასე იყო, არა? არ უნდა ჩაუვარდე ხელში კაცს, როცა ის მთვრალია, ჩემო ბავშვო, მთვრალებს არ უყვართ ეს.

— რა მოვუხერხოთ ბავშვს, სინიორავ? მოდი, სინათლეზე მიგიყვანო, ჩემო პაწაწავ, და მაჩვენე მხარი. მომხვივ ხელი კრ-სერზე, მე შენ არას გატკენ. ჰოო, ეგრე.

იმან აიყვანა ბავშვი ხელში, გადიყვანა გზის მეორე. მხა-რეს და დააყენა განიერ ქვის კედელზე. ამოილო ჯიბიდან და-ნა და მოაჭრა დაფლეთილი სახელო. იმას ბავშვის თავი გულ-ზე ჰქონდა მიყრდნობილი, მანამ დაშავებული ცალი ხელი ბავ-

შეისა გემმას ეჭირა. მხარი საშინლად დაშავებული და ხელზე ღრმა ჭრილობა ჰქონდა.

— როგორ შეიძლება ასეთი პატაწა ბავშვის ამნაირად და-სახიჩრება? — ამბობდა კრაზანა გულ-მტკიცნეულიდ და ხელსა-ხოცით უხვევდა ბავშვს ხელს.

— რითო გცემა?

— ცეცხლის გამოსაჩხრეკი რკინით. მე ვთხოვე ფული, რომ ბაზარში ცოტა პური მეყიდნა და იმან რკინა დამკრა. კრაზა-ნას მთელის სხეულით გააერეოლა.

— და მას აქეთ სულ მშიერი დაეხეტები?

პასუხის მაგივრად ბავშვმა ტირილი მორთო..

— არაფერია, არაფერი. არა გიშავს-რა; ჩვენ ყველაფერს გავასწორებთ. სინიორავ, ნეტავ ეტლს ვიშოვნიდეთ როგორმე. უთუოდ ისინი ეხლა თეატრთან არიან შეკრებილნი. დღეს იქ წარმოდგენაა დანიშნული. მრცხვენიან, რომ ევრე გატარებთ შარაზე, სინიორავ, მაგრამ.....

— მე უსათუოდ წამოვალ თქვენთან ერთად. შეიძლება რამ დაგჭირდეთ. განა სად შეგიძლიანთ მაგ ბავშვის ხელით ტარება ამ სიშორეზე. ძალიან მძიმე არ არის?

— ამას კი პოვახერხებ, ნუ სწუხარო.

თეატრთან იღგა მხოლოდ რამოდენიმე ქტლი, მაგრამ ისი-ნიც უკვე დაქირავებულნი იყვნენ სხვებისაგან. წარმოდგენა გათავებული იყო და ხალხი კიდევაც წასულიყო. ზიტრას სა-ხელი დიდრონი ასოებით იყო დაბეჭდილილ კედელზე გაკრულ აფიშაზე. ის იღებდა მონაწილეობას ბალეტში. კრაზანამ სთხო-ვა გემმას ერთ წუთს მოეცადნა, თითონ მივიდა არტისტების შესავალ კარებთან და ჰქითხა იქაურს მოსამსახურეს:

— ქ-ნი რენნი წავიდა კიდეც?

— არა, ბატონო, — უპასუხა. იმან და გაოცებული სახით დაუწყო ცქერა კარგად ჩატონს, რომელსაც ხელში შარაზე მოტანტალე ბავშვი ეჭირა. — ქ-ნი რენნი მგონი ეხლა

აპირობს წასვლას, აგერ იმათი ეტლი, აი თითონაც მობრძანდება. ზიტტა ჩამოდიოდა კიბეზე ახალგაზდა კავალერიის აფიცერთან კლავი-კლავ გაყრილი. ის თავის სილამაზით მომხიბლველი იყო, საბალო კაბით, ალისფერ ხავერდის მოსახურავით და ხელში სირაჭლემის ბუმბულებიან მარაოთი, რომელიც გვერდზე ჰქონდა დაკიდებული.

კარებთან ის შეჩერდა, გამოილო ხელი აფიცრის კლავიდან და გაოცებულის სახით მივიღა კრაზანასთან.

— ფელიჩჩე, — შეჰყვირა იმან და სულს ძლივს ითქვამდა — რა გიჭირავთ ხელში?

— შარაზე უპატრონო ბავშვი ვიპოვნე. ეს ძალიან გალახულია და მშიერი. უნდა როგორმე საჩქაროდ მივიყვანო სახლში და რადგან ეტლი ვერსად ვიშოვნე, უნდა თქვენი გტლი დამითმოთ.

— ფელიჩჩე, ამ მათხოვარს თქვენ სახლში წაყვანას ხომ არ უპირობთ? გაგზავნეთ პოლიციის სამმართველოში, რომ წაიყვანონ ყმაწვილთა თავშესაფარში. ქალაქის ყველა მაწანწალას ხომ თქვენ სახლში არ შეჰყრებთ!

— ბავშვი დაჭრილია, — განაგრძო კრაზანამ: — ხვალ შეიძლება გავგზავნოთ, მაგრამ ჯერ უნდა წავიყვანო და ვაჭამო.

ზიტტას ზიზღით აღევსო სახე.

— შეხედეთ, თავი მოგაყრდნოთ. როგორ იტანთ მაგის მიკარებას, ეგ ხომ სულ ერთიან სისხლშია მოსვრილი.

კრაზანამ შეხედა ზიტტას ბრაზ-მორეულმა.

— ეს მშიერია, — უთხრა იმან მკვახედ: — თქვენ უთუოდ არ გესმით, ეს რას ნიშნავს.

— სინიორ რივარესს, — ჩაერია ლაპარაკში გემმა, — ჩემი სახლი აქვე ახლოა, წავიყვანოთ ეგ ბავშვი და თუ ეტლს ვერ ვიშოენით, ჩემთან დასტოვეთ ამაღამ.

კრაზანა სწრაფად მობრუნდა გემმასაკენ.

— თქვენ თანახმა ხართ ამისა?

— დიალუ. საღამო მშეიღობისა, ქალბატონო რენნი.

ბოშა ქალმა ცივად, ოდნავ დაუქნია თავი, მწყრალად ასწია მხრები, ისევ გაუყარა კლავი აფიცერს კლავში, აიწია გრძელ კუდიანი კაბა და მისრიალდა ეტლთან, რომელიც უნდოდათ იმისთვის წაერთმიათ.

— გამოვგზავნი ეტლს ოქვენთვის და ბავშვისთვის, სინიორ რივარესს, — უთხრა ზიტტამ.

— კარგი, მე გეტყვით, სადაც გამოგზავნოთ. — კრაზანამ მისცა ადრესი მეეტლეს და თვითონ ისევ დაბრუნდა გემმასთან, ბავშვით ხელში. კეტტის არ ეძინა, ქ-ნს ელოდებოდა. როცა გაიგო, რაც მომხდარიყო, გაიქცა, მოამზადა საჩქაროდ ცხელი წყალი და აგრეთვე ყოველისფერი, რაც კი საჭირო იყო. კრაზანამ ჩასვა ბავშვი სავარძელში და თითონაც მის წინ დაიჩოქა. საჩქაროდ მოხსნა ძველი ძრონძები, რომლითაც ხელი ჰქონდა შეცვეული, მობანა ნატკივარი ადგილი და ნაზად და ხელოვნურად ისევ შუხვია. როცა დაბანა ბავშვი და ზეწარში შეახვია, გემმაც შემოედა ოთახში, თეფშით ხელში.

— შეიძლება, ვაჭამოთ ეხლა თქვენს ავადმყოფს? — ჰერთხა იმან კრაზანას ღიმილით, როდესაც პაწაწა ბავშვს გადახედა. — ვახშამი თითონ მე მოვუმზადე. კრაზანა წამოდგა და აკრიფა ნაჭრები იატაკიდან.

— მეონი ძალიან ავრიეთ თქვენი ოთახი, — უთხრა იმან, აი, ესენი უნდა დაიწვეს და ახალ ტანისამოსს მე ხვალ ვუყიდი. გაქვთ კონიაკი, სინიორავ? ცოტა უნდა დავალევინოთ საბრალო ბავშვს. მე კი წავალ, თუ ნებას მომცემთ და ხელს დავიბან.

ბავშვმა ჭამა თუ არა საჭმელი, მიეყრდნო თავით კრაზანას გულზე და იმ წამსვე ჩაეძინა. გემმა მოეხმარა კეტტს ოთახის მილაგებაში და შემდეგ დაჯდა ისევ მაგიდასთან.

— სინიორ რივარესს, ინებეთ ცოტა რამ საჭმელი, მანამ სახლში წახვიდოდეთ. ეხლა გვიან არის და თქვენ ჯერ არც კი გისაღილნიათ.

— სიამოენებით დავლევ ერთ სტაქან ჩაის. მერიდება კი, რომ ამდენხანს აქა ვარ და გაწუხებთ.

— არაფრითაც არ შაწუხებთ. დააწვინეთ ბავშვი დივანზე, გლალავთ ეგ თქეენ. მომითმინეთ ცატა ხანს, ბალიშს ზეწარს. გადავაფარებ. რას უპირობთ ეხლა მაგ ბავშვს?

— ხეალ? უნდა მოეკითხო, თუ ლოთ ბიძას გარდა სხვა ნათესავი არა ჰყავს, უნდა რენნის რჩევა დავიჯერო და გავგზავნო ყმაწვილთა თავშესაფარში. იქმნება ამისთვის უმჯობესიც იყენე, რომ მოვაბა კისერზე ქვა და წყალში გადავაგდო, მაგრამ ეს მე ყოველ გვარ უსიამოვნებას მაგრძნობინებდა. დაიძინა საწყალმა. საბრალო პატარა ბავშვი, უკანასკნელ შაჩაზე მოწანწალე ჭატაზე უფრო უშემწეო და უნუგეშოა.

როდესაც კეტტი შემოვიდა, თეფუმით ხელში, ბავშვმა გამოილვიძა და გაოცებული თვალი მოავლო ოთახს. იცნო თუ არა კრაზანა, უეკრივ შეხედა იმას, როგორც ნამდვილ თავის შფარველს. ჩამოცაცდა ღივნიდან, ესვეოდა ზეწარში და თანაც ზედ ფეხს ადგამდა, მიეიდა კრაზანასთან და მოთავსდა იმის გვერდით.

ის ეხლა იმდენად გამოერკვა, რომ შეეძლო გამოკითხვა-დაეწყო. იმან ანიშნა კრაზანას დასახიჩრებულ მარცხენა ხელზე, რომლითაც შაქრის პური ეჭირა და ჰკითხა:

— რა არის ეგ?

— ეს შაქრის პურია. გინდა შენც?

— არა, ეს! — ბაეშვმა გამოიწვდინა თითი და შეეხო კრაზანას ხელს, სწორედ იმ ადგილს, სადაც ორი თითი აკლდა; კრაზანამ საჩქაროდ ხელი დაბლა დაუშვა.

— ეს სწორედ ის არის, რაც შენ მხარზე გაქვს.

მე დამკრა კაცმა, რომელიც ჩემზე ღონიერი იყო.

— უთუოდ ძალიან მწვავე იყო ტკივილი განა?

— არ მახსოვს. მწვავე ბევრი რამ სხვაც არი, აბა, ეხლა წალი და ტაიძინე, გვიანაა, ლაპარაკის დრო აღარ არის.

როდესაც რენნის გამოგზავნილი ეტლი მოვიდა, ბავშვს ღრმად ეძინა და კრაზანამ ისე მძინარე აიყვანა ხელში და იმია- ნად ჩავიდა კიბეზე, კარებთან შეჩერდა და უთხრა გემის:

— თქვენ იყავით დღეს ჩემთვის მფარველი ანგელოზი, მაგრამ, რასაკვირველია, ეს არ შეგვიშლის ხელს, ვიჩუბოთ, რამდენიც გვინდა, შემდეგში.

— მე სრულებიდაც არა მსურს, რომ ვეჩუბო ვისმე.

— დიალ, მაგრამ მე მსურს. ცხოვრება უჩუბრად აუტა- ნელი იქმნებოდა. კარგი ჩხუბი მარილია დედამიწისა. იგი თით- ქმის ცირკის წარმოდგენაზედაც უკეთესია. — ამ სიტყვების ის ჩავიდა კიბეზე და წაიყვანა მძინარე ბავშვი.

## VII

ერთხელ, იანვრის დამდეგს, როდესაც მარტინმა დაგზავნა. მოსაწევევი ბარათები, ლიტერატურულ კომიტეტის თვიურ შეკ- რებილებებზე დასასწრებად, მიიღო კრაზანასაგან ყარანტაშით დაწერილი მოკლე ბარათი: „დიდად მწყინს, მაგრამ არ შემი- ლიან მოსვლა“.

ეს მეტად ეწყინა მარტინს, მით უმეტეს, რომ ბარათში მოხსენებული იყო: სხდომა მეტად საგულისხმიერო საგნისთვის იყო დანიშნული. კრაზანას ამნაირი საჭკიელი მარტინს კად- ნიერებად ეჩვენი. იმ დღეს მოუვიდა კიდევ სამი წერილი არა სასიამოვნო შინაარსისა და ამასთანავე დასაელეოთიდან სუსტია- ნი ქარიცა პქროდა, ასე რომ მარტინი ძალიან ცუდ გუნება- ზე იყო. სხლომის დროს, როცა ერთმა იქ დამსწრეთაგანმა იკით- ხა: აქ არის თუ არა რივარესიო? — მარტინმა მიუგო ბუტბუ- ტით:

— არა, იმას ეტყობა უფრო დიდ-მნიშვნელოვანი საჭე- ბი აქვს და არ შეუძლიან, ან არ სურს. მობრძანდეს:

— სწორედ, მარტინი, — უთხრა გალლიმ შეშფოთებით, — თქვენ უსამართლო ხართ. თუ თქვენ არ მოგწონთ კაცი, იმას ყოველთვის დანაშაულად ხდით. როგორ შეეძლო რივარესს მოსვლა, როდესაც ის ავად არის?

— ვინ გითხრათ, რომ ავად არის?

— განა თქვენ არ იცოდით? ის ოთხი დღეა არ ამდგარა ლოგინიდან.

— რა დაემართა?

— რა ვიცი. ხუთშაბათს, უქეიფობის გამო ვერ მინახულა და გუშინ, როცა მე მივეღ იმასთან, მითხრეს, რომ ძალიან ავად არის და არავის ინახულებსო. მგონი რიკარდო უვლის იმას.

— მე ეს არ ვიცოდი. საღამოს უეჭველად წავალ და გავიგებ, ხომ არას საჭიროებს. მეორე დილით, რიკარდო შევიდა გემმას სამუშაო პატარა ოთახში, ფერ-მიხდილი და დალალული. გემმა იჯდა მაგიდასთან და ამოიკითხავდა ერთდაგვარ ციფირებს. მარტინი, ერთ ხელში გასაღიდებელ შუშით და მეორეში წერილ ყარანდაშით, ნიშნებს ასვამდა წიგნის ფურცლებს, რომელიც იმას ეღო. გემმამ ანიშნა ხელით, ლაპარაკი არ დაეწყო. რიკარდომ იცოდა, რომ არ შეიძლება შეწყვეტა შიფრი წერისა, ჩამოჯდა წყნარად დიეანზე და დაამთქნარა.

— 2, 4; 3, 7; 1; 3, 5; 4, 1; — გემმას ხმა ერთგვარად ისმოდა, როგორც მანქანა. — 8—4; 7—2; 5—1; — ეს დასასრულია ფრაზისა, ჩეზარე.

— იმან დაარჭო ქინძისთავი ქაღალდზე, რომ ადგილი დაენიშნა და მობრუნდა.

— დილა მშვიდობისა, ექიმო. როგორი შეწუხებული შეხედულობა გაქვთ, ავად ხომ არა ხართ?

— მე კარგადა ვარ, მხოლოდ დავიღალე. უსიამოვნო ღამე გავატარე რიკარესთან.

— რივარესთან?

— დიალ. არ მძინებია მთელი ღამე და ეხლა კიდევ ჩემს ავადმყოფებთან უნდა წავიდე. მე ეხლა იმისთვის მოველ, რომ შეგიძლიანთ თუ არა იშოვნოთ ვინმე, რომელსაც შეეძლება იმასთან იყვეს რამოდენიმე დღით? მე, რასაკვირველია, მზად ვარ, რაც კი ძალ-მიძს, ყოველისფერი გავაკეთო, მაგრამ დრო არა მაქვს და იმას კი გაგონებაც არ უნდა მომვლელ ქალზე.

— რა დაემართა განა კრაზანას?

— იმას რაღაც რთული ავადმყოფობა აქვს. უწინარესს ყოვლისა...

— უწინარესს ყოვლისა, იქნებ თქვენ საუზმე მიირთვათ,  
— ჩამოართვა სიტყვა გემმამ.

— გმადლობთ. კრაზანას ავადმყოფობა ნერვებშია. მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ იგი ძველი ავადმყოფობაა, რომლისათვისაც თავის დროზე ხელი ვერ მოუკიდნიათ. ეხლა ძალიან ცუდ მდგომარეობიშია. ცხადია, ის ავად გამხდარა ომიანობის დროს სამხრეთ ამერიკაში და მაშინ კარგად ვერ მოურჩენიათ. კიდევ ბედი მაგისი, რომ ცოცხალი გადარჩენილა. მაგრამ იმას დარჩენია უკურნებელი ზადი ფილტვებში, რომელიც ხელს უწყობს ანთებას და ყოველივე წვრილმან რაიმე აღშფოთებას შეუძლიან გამოიწვიოს ეს ავადმყოფობა.

— ეს საშიშარი ავადმყოფობაა?

— არა. უმთავრესი საშიშროება მხოლოდ ის არის, რომ ავადმყოფი შეიძლება იმ ზომამდის მივიდეს მეტის-მეტ აღელვებით, რომ დალიოს საწამლავი.

— ძალიან იტანჯება?

— საშინლად. მიკვირს კიდეც ის ამას როგორ იტანს. შევასვი იმას ოპიუმი, თუმცა ძნელია ამ წამლის ხმარება ნერვებით ავადმყოფისათვის, მაგრამ აუცილებლად საჭირო იყო, ის როგორმე დამემშვიდებინა.

— უთუოდ ძალიან ნერვებ-აშლილია.

— დიალ. მაგრაუ მოთმინება იმას გასაოცარი აქვს. მანამ სულ არ დაჰკარგა ტკივილებისაგან გონება წარსულ ღამეს, სიშვიდე იმისი სწორედ რომ განსაცვიფრებელი იყო. მაგრამ ზოლოს კი გაძნელდა საქმე. მერე როგორა გვონიათ, რამდენი ხანია ის ამგვარ მდგომარეობაში. მთელი ხუთი ღამე სულიერი ადამიანი არ იმყოფება იმის ახლოს, გარდა სახლის პატრონისა, რომელიც ვერ გაიღვიძებს თუნდ სახლი თავზე დაენგრეს და სრულიად უყარგისიც არის, თუნდ რომ გაიღვიძოს.

— მოთამაშე ქალი იმისი სად არის?

— საკვირველი არ არის? კრაზანა იმას ახლოსაც არ იკარებს. რაღაც ავადმყოფურ შიშა ჰერძნობს იმის წინაშე. საზოგადოდ, ის როგორილაც გაუგებარი არსებაა. ის სრულ წინააღმდეგობისაგან შესდგება.

რიკარდომ ამოილო საათი და დახედა, მზრუნველის სახით.

— დავაგვიანე საავადმყოფოში მისვლა, მაგრამ რა გაეწყობა, ჩემს თანაშემწეს უჩემოდ მოუხდება დღეს ავადმყოფების დათვალიერება.

— დიდად მწყინს, რომ წინად არა ვიცოდით-რა რიგარეს-სის აეადმყოფობაზე. არ შეიძლებოდა იმის მარტო დატოვება ამ ნაირს მდგომარეობაში.—უთხრა გემმამ.

— რატომ არ შეგვატყობინა, რომ ავად იყო?—იკითხა მარტინმა,—იმას უნდა სცოდნოდა, რომ ჩვენ იმას, ამნაირ მდგო-მარეობაში შეიფას, მარტო არ დავტოვებდით.

— ძალიან მწყინს, ექიმო,—უთხრა ისევ გემმამ,—რომ ერთ-ერთ ჩვენგანს არ შეგვატყობინეთ და ეგრე შეიწუხეთ თავი.

— მინდოდა გალლისათვის შემეტყობინებია, მაგრამ ამის გაგონებაზე რიგარეს-სი მოთმინებიდან გამოდიოდა და მეც ვე-ღარ გარდავწყვიტე ჩემი აზრი სისრულეში მომეუვანა. რო-დესაც ვკითხე:—იცნობ თუ არა ისეთს ვისმე, რომ გესიამოვ-ნებოდეს იმის შენთან ყოფნა, რათა მოგიაროს-მეთქი, იმან

ერთ წუთს დაბაშტერა თვალები შეშლილივით, მერე დაიფარა თვალებზე ხელი და სთქვა: „არა, ნუ ეტყვით იმათ, ისინი სიცილს დაიშეებენ!“ ის სრულებით არეულია იმ ფიქრით, რომ იმას დასკინის ვიღაც. არ შემეძლო გამეგო, თუ საქმე რაში მდგომარეობდა. ის სულ ერთავად ესპანურ ენაზე ლაპარაკობს. მაგრამ ავადმყოფები ხომ, საზოგადოდ, ათასგვარ წარმოუდგენ ელ რამეებს ლაპარაკობენ.

— ეხლა ვინ არის იმასთან? — ჰკითხა გემბამ.

— არავინ, გარდა სახლის პატრონისა და მისი ქალისა!

— მე ეხლავ წავალ იმასთან, — სთქვა მარტინმა.

— გმადლობთ, მეც მოვალ იქ სალამოს. თქვენ ნახავთ მაგიდის უჯრაში ქალალდს, რომელშიაც სწერია დარიგება, თუ როგორ უნდა მოუაროთ ავადმყოფს და მეორე ოთახში, თაროზე, ოპიუმს და თუ კიდევ მოუაროს ტკიეილებმა, ერთ-ხელ კიდევ ასვით, მხოლოდ ერთხელ, ძეტად კი არა. ოპიუმს ისეთს ადგილას ნუ დასდგამთ, რომ ავადმყოფმა შეიძლოს მის-წვდეს, თორემ შესაძლოა, აღშფოთების დროს ხშირ-ხშირად მიიღოს.

როცა მარტინი სარკმელზე ფარდებ-ჩამოფარებულ ოთახში შევიდა, კრაზანამ სწრაფად თავი იმისაკენ მოიბრუნა, გაუწოდა სიცხისაგან გახურებული ხელი და თუმცა მისუსტებულად, მაგრამ ცდილობდა კი, ჩვეულებრივ დაუდევნელის კილოთი ელაპარაკნა:

— აა, მარტინ, მოხვედით, რომ გამლანძლოთ კორრექტურის გამო? ნუ წყრებით, რომ ვერ დავესწარ გუშინ კომიტეტის სხდომაზე, სულ კარგად ვერ ვარ როგორლაც და....

— რის კომიტეტი, მე, ეს-ეს არის, ეხლა ვნახე რიკარდო და მოველ გკითხოთ, შემიძლიან თუ არა, რითიმე სასარგებლო ვიყო თქვენთვის?

კრაზანა ცდილობდა გულ - გრილი შეხედულობა მიე-  
ლო.

— მართლა? როგორი ალექსიანი ბრძანდებით, მაგრამ არ  
ლირს, რომ შესწუხდეთ. მე მხოლოდ ცოტად ვერა ვარ კარ  
გად.

— რიკარდომაც ეგრე მითხრა, ის მთელი ლამე თქვენთან  
ყოფილა, მკონი.

კრაზანამ სიბრაზით ტუჩე იკბინა.

— მე კარგადა ვგრძნობ ჩემს თავს. მაღლობელი გახლა-  
ვართ, მე არას ვსაჭიროებ.

— მაშ კარგი, მე გავალ მეორე ოთახში. თუ თქვენ მარ-  
ტო გსურთ დარჩეთ. კარებს გალებულს დავტოვებ, რომ თუ  
საჭირო ვიქმნები, დამიძახოთ.

— გთხოვთ ნუ შესწუხდებით, მე არა მინდა-რა, თქვენ  
ტყუილად დროს დაჰკარგავთ.

— გაანებეთ თავი მაგ სისულელეს, — უთხრა მკეთედ  
მარტინმა. — როგორ თვალ - და - თვალ მატყუებთ, მე თვალე-  
ბი არა მაქვს თუ? იწეკით თქვენთვის და დაიძინეთ თუ შეგიძ-  
ლიანთ.

მარტინი გავიდა მეორე ოთახში, დასტოვა კარები ლია და  
თითონაც დაჯდა წიგნით ხელში.

მალე მოესმა იმას, თუ როგორ შეშფოთებულად შეინძ-  
რა ლოგინზე კრაზანა, მარტინმა წიგნი გვერდზე გადასდო და  
ყური დაუგდო. ჩამოეარდა ცოტა ხნის სიჩუმე და შემდეგ მო-  
ესმა ისეთი მოუსვენარი ტრიალი, შმუშნვა ლოგინზე და აღშ-  
ფოთებული მძიმე სუნთქვა, თითქოს კბილებს უჭერს და ცდი-  
ლობს კვნესა არ აშოხდეს გულიდანაო. მარტინი შევიდა ისევ  
ავალმყოფთან.

— რით მოგეხმაროთ, რიკარესს?

კრიზანამ პასუხი არ გასცა და მარტინი მივიღა საწოლთან. კრიზანამ შეხედა შეშლილივით, მკვდარსავით ჩამქრალის თვალებით და თავი დაუქნია.

— გინდათ დალიოთ ოპიუმი? რიყარდომ მიოხრა დამელევინებია, თუ რომ ტკივილები მოგივლიდათ.

— არა, არ მინდა, გმადლობ, მინდა ცოტა კიდევ მოვითმინო, მერე იქნებ უფრო გაძელდეს.

მარტინმა მხრები შეიშმუშნა და ჩამოჯდა საწოლზე. მთელი ერთი საათი დასკეროდა გაჩუმებული ავადმეოფს, შემდეგ ადგა და მოიტანა ოპიუმი.

— რივარესს, ეგრე არ შეიძლება, თუ თქვენ შეგიძლიანთ მაგის ატანა, მე ვერ შეეიძლებ. მიიღეთ წამალი.

კრიზანამ დალია წამალი ხშა-ამოულებლივ, მერე გადაბრუნდა კედლისაკენ და დახუჭა თვალები. მარტინი ისევ დაჯდა და ყურს უგდებდა იმის სუნთქვას, რომელიც თან და თან ღრმა და ზომიერი შეიქმნა. კრიზანა ისე იყო მოქანული, რომ დიდ ხანს იძინა. რამოდენისამე საათის განმავლობაში ის გაუნძრეულად იწვა. მარტინი მალ-მალ მიდიოდა ხოლმე და დახედავდა. მთელი დღე იმასთან დაჰყო და დასკეროდა იმის გაშეშებულ სახეს, რომელსაც ნიშანი სიცოცხლისა აღარ ემჩნეოდა. იმისი სახე ისეთი უფერული და უსიცოცხლო იყო, რომ მარტინი უცირივ საშინელმა შიშმა შეიძყრო, ვაი თუ ოპიუმის დალევინება მეტი მომივიდაო. გამრუდებული მარცხენა მკლავი კრიზანას ქვეშაგებზე ედო და მარტინიმ ის ოდნავ ხელის შეხებით გაანძრია, რომ გაეღვიძებია იგი. ამტრის გახსნილი სახელოს სამაჯური გაღიწია და გამოჩნდა ხელიზან მოყოლებული იდაყვამდის, ღრმა ჭრილობის ხაზი.

— როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ეგ ჭრილობა, როცა ახალი და მოურჩენელი იქმნებოდა! — მოისმა რიკარდოს ოთახში ახლად შემოსულის ხმა.

— აა, თქვენც მოხვედით, დახელეთ, რიკარდო, განა შეიძლება, რომ ამას ამდენხანს ეძინოს? ათი საათის წინედ დავალევინე წამალი და მას აქეთ ასე გაუნძრნვლადა სძინავს. რიკარდო დაიხარა ავადმყოფისაკენ და ყური დაუგდო.

— ეს კარგად სუნთქავს: დიდხანს იმიტომ სძინავს, რომ მოღალულია და ეს არც გასაკვირეია წუხანდელი ღამის შეძეგ. მაგრამ შეიძლება კი, რომ დილამდის კიდევ მოუაროს. იმედია, აქ იქმნება ვინმე, რომ ყური უგდოს.

— დიალ, გალლი იქმნება. ის იწერება, რომ მოვა ათი საათისთვის.

— მალე შესრულდება ათიც. აგერ ეს ილვიძებს კიდეცუთხარით სახლის პატრონს, რომ სუფი მოუმზადოს. წყნარად, წყნარად, რიგარესს, ჩემთან რა საჭიროა ბრძოლა, მე ხომ ეპისკოპოსი არა ვარ.

კრაზანა წამოხტა ზეზე შეშინებულის სახით.

— ჩემი გამოსელაა? — სიჩქარით იკითხა იმან ესპანურ ენაზე, — გაართეთ ერთ წუთს კიდევ საზოგადოება, მე.... ახ, მე თქვენ ვერც კი შეგამჩნიეთ, რიკარდო. კრაზანამ თავის გარშემო მიიხედ-მოიხედა და შუბლზე ხელი გადისვა, სრულიად გაბანეულმა. — მარტინ, თქვენ აქა ხართ? მე მეგონა, კიდევაც წახვედით. მე უთუოდ მეძინა.

— თქვენ გეძინათ, საარაკო მზითუნახავ ქალის მსგავსად — სრული ათი საათი და ეხლა კი სუპს მოგართმევენ, მიირთვით და ისევ დაიძინეთ.

— ათი საათი? მარტინი, იმედია, თქვენ სულ მუდამ ჩემს ოთახში არა ყოფილხართ.

— აქედან არ გავსულდარ. მე შევშინდი, ოპიუმის დალევინება მეტი ხომ არ მომივიდა-მეთქი.

კრაზანამ მიაპყრო მზაკვრული ცვალები.

— აი, ეგ იქნებოდა თქვენთვის ბედნიერება! როგორ მშვიდობიანად ჩაივლიდნენ თქვენი კომიტეტის. სხდომები. ან რო

ეშმაკად გინდივართ თქვენ მე, რიყარდო? მომასვენეთ, თუ შეიძლებოდეს, მე მძაგს ექიმების თათებში ყოფნა.

— ჰო, კარგი, დალიეთ აი ეს და მოგასვენებთ. სრულიად თავს დაგანებებ, მხოლოდ ორი დღის შემდეგ შემოვალ და კარგად გაგსინჯავ. ეხლა, მგონი, საძნელო არა არის-რა, უკეთა ხართ. თქვენ ეხლა მომაკვდავის ფერი აღარა გაქვთ.

— დიალ, ეხლა ყოველისფერი კარგად იქნება, გმადლობთ. ეს ვიღა არის—გალლი? მგონი ყველა გრაციები შეკრებილან დღეს ჩემთან.

— მოველ, რომ ამაღმა თქვენთან დავრჩე.

— სისულელეა, თქვენ მე არ მჭირდებით, წაბძანდით ყველანი სახლში, კიდეც რომ მოშიაროს გულის ავადმყოფობამ, თქვენ ვერას მიშველით. ყოველთვის ხომ ოპიუმს ვერ დავლევ, ამის მიღება მხოლოდ ერთხელ შეიძლება.

— სამწუხაროდ, თქვენ მართალი ხართ.—უთხრა რიყარდომ.—მაგრამ ძნელია, რომ ეგ ბრძნული გარდაწყვეტილება შეასრულოს კაცია.

— ნუ სწუხართ. რომ მდომებოდა მაგ გზაზე გავლა, დიდი ხანია ამას სისრულეში მოვიყვანდი.

— ყოველ შემთხვევაში, თქვენი მარტო დატოვება ეხლა შეუძლებელია,—უთხრა რიყარდომ,— გავიდეთ იქით ოთახში ერთ წუთს, გალლი, მე მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს თქვენთან. ძილი ნებისა, რიგარესს, ხეალ კიდევ დაგხედავ. მარტინს უნდოდა გაპყოლოდა იმათ და ამ დროს მოესმა წყნარი ხმა კრაზანასი; იმას ხელი გაეწოდებინა მარტინისათვის.

— გმადლობთ.—უთხრა იმან.

— რაებს ლაპარაკობთ, დაიძინეთ, ისა სჯობიან.

რიყარდოს წასვლის შემდეგ, მარტინი კიდევ რამოდენსამე წუთს დარჩა ოთახში და გალლის ემუსაიფებოდა. შემდეგ, როცა გავიდა სახლიდან, მოესმა, როგორ გაჩერდა ეტლი, ბალის

კარებთან და დაინახა ქალი ეტლიდან ჩამომავალი. ეს იყო ზიტტა, რომელიც ცხადია, დაბრუნებულიყო რომელისამე ბალიდან. მარტინმა სალამი მისცა და გზიდან ჩამოეცალა, თითონ შეუხვია ბნელ ბილიკისაკენ, რომელსაც მიჰყავდა პოჯიო იმპერიალისაკენ. უეცრად გაიღო ბალის კარები და ჩქარის ნაბიჯით ზიტტა მიუახლოვდა მარტინს.

— მოითმინეთ ერთ წუთს,—უთხრა ზიტტამ..

მარტინი მობრუნდა, რომ შეპეტებებოდა მომავალს; ზიტტა შეჩერდა და შემდეგ ნელის ნაბიჯით წავიდა წინ. ერთ კუთხიდან იმათ ლიფლიფის შუქი დანათოდათ და მარტინმა გაარჩია, რომ ქალი იდგა თავ-დახრილი და თიოქოს რილათიც შეშფოთებული, ან-და დარცხვენილი.

— რა მდგომარეობაში იმყოფება ის? — იკითხა ქალმა და თავი მაღლა არ აულია.

— დღეს ბევრად უკედ არის. დიდხანს ეძინა და ძალიან აღარ არის მოქანცული.

ზიტტას ისევ მიწაზე ჰქონდა თვალები დაშტერებული.

— ძალიან ცუდად კი იყო?

— რამდენადაც კი შეიძლება ცუდად იყოს აღამიანი.

— მე სწორედ ეგრე ეფიქრობდი. როცა ის შე ახლოს არ მიკარებს, ეს იმის ნიშანია, რომ ძალიან ავად არის.

— ხშირად უვლის ეგ ავადმყოფობა?

— ხან ხშირად და ხან არა, ასე სულ სხვა-და-სხვა ღროს. წარსულ წელს, შევიცარიაში ის სრულებით კარგად იყო, მაგრამ ზამთარში, იმის წინად, მანამ ჩვენ ვენაში წავიდოდით, ძალიან ცუდად შეიქმნა და არ მიკარებდა მთელი დღეობით. ის ვერ იტანს ჩემს დასწრებას, როცა ავად არის.

ქალმა შეპეტედა მარტინს, საჩქაროდ ისევ დაბლა დაუშვა თვალები და განაგრძო:

— ის როდესაც ჰერძნობს, რომ უნდა ავალმყოფობამ მოუაროს, ყოველთვის საღმე მგზავნის, ან ბალში, ან კონცერტში და ან კიდევ რაიმე სხვა მომიზეზებით. ხანდახან ცალკე ოთახში ჩაიკეტება ხოლმე. მე ხშირად ებრუნდები სახლში, ვზიგარ ჩუმად კარების უკან. მაგრამ ის გააფთრდება ხოლმე, როცა ამას შეიტყობს. ის მყეფარსაც შეუშვებდა თავის ოთახში, წუწკუნი რომ გაეგონა, მხოლოდ მე კი არა. იმას მეონი მყეფარი უფრო უყვარს, ვიდრე მე. ქალის ხმაში შეუჩაცხყოფილი უნდობლობა ისმოდა.

— ეხლა კი, ვფიქრობ, რომ მალე კარგად გახდება.—მოფერების კილოთი უთხრა მარტინმა,—ექიმ რიკარდომ კარგად მოჰკიდა ხელი იმის ავალმყოფობას. იქნება, მოახერხოს, რომ სულაც ფეხზე წამოაყენოს. ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა, რომ ავალმყოფობის დროს წვალება შეუსუბუქოთ. სხვა დროს თუ საჭირო იქმნეს, საჩქაროდ შეგვატყობინეთ. ის ნაკლებად დაიტანჯებოდა, რომ იმის ავალმყოფობა ცოტა უფრო ადრე გაგვეგო. ძილი ნებისათ!

იმან გაუწოდა ხელი გამოსამშვიდებლად, მაგრამ ჭიტტამ თავისი ხელი უკან დასწია.

— იმის სატრუოს თქვენ ხელს რად ჩამოართმევთ.

— როგორც გენებოთ.—უთხრა მარტინმა დარცხვენით. ქალმა ფეხი დაჰკრა მიწას:

— მე თქვენ მძულხართ,—შეჰყვირა იმან და გახურებულ ლითონსავით ანთებულ თვალებით შეხედა.——თქვენ მე ყველანი მეზიზლებით, თქვენ მოღიხართ იმასთან პოლიტიკაზე სალაპარაკოდ, ისიც გაძლევთ ნებას იმის სიახლოვეს იყოთ, დამეებს უთევდეთ—ასმევდეთ წამლებს, და მე კი იმასაც ვერ ვძელავ, რომ კარებში შემოვიჰვრიტო. რა არის ის თქვენთვის? რა ნება გაქვთ, რომ მოღიხართ და მართმევთ მე იმას. მე თქვენ მეჯავრებით, მძულხართ!—იმან დაი-

წყო ხმა-მაღლა ტირილი, გაიქცა უკანვე, გავიდა ბალიდან და  
იქვე ცხეირ-წინ მიუხეოქა ბალის კარები.

— ლმერთო! — გაილაპარაკა მარტინიმ თავისთვის, როცა  
ბილიკზე მისეირნობდა, — ამ ქალს მართლა უყვარს ის. საოცა-  
რი არ არის!

**ნატალია ჰ. გიგაური**

(შემდგენ იქნება)

რა მნიშვნელობა აქეს ისფორიაში პიროვნებას,  
ანუ ადამიანის მოქმედებას?

### ა. კირსაბნაფისა

(ტუსულიდან)

#### 1

მესამოცდათე წლების მეორე ნახევარში კაბლიცმა დას-  
ტამბა წერილი: „ჰეგუა და გრძნობა, როგორც ფაქტორები  
ზრდობესია“; ამ წერილში კაბლიცი სპენსერის ავტორიტე-  
ტით ამტკიცებდა, რომ გრძნობა უმთავრეს როლს თამაშობს  
კაცობრიობის წინსვლაში, ხოლო ჰეგუა კი მეორე ხარისხოვანს  
და თანაც ეს უკანასკნელი სრულიად ემორჩილება პირველსაო.  
კაბლიცის წინააღმდეგ გაილაშქრა ერთმა პატივცემულმა სო-  
ციოლოგმა, რომელმაც გაჰკიცხა ჰეგუის ეგრე დამაქვეითებელი  
თეორია და, რასაკვირველია, სამართლიანადაც მოიქცა, რო-  
დესაც ჰეგუას გამოესარჩილა, მაგრამ ბევრად უმჯობესი იქმნე-  
ბოდა, რომ თეთი კაბლიცის-მიერ წამოყენებულ სავნის დედა-  
აზრს არ შექმნადა, და ეჩვენებინა, თუ რამდენად შეუძლე-  
ბელი და შეუფერებელი იყო თვით ამ სავნის ამგვარად გან-  
ხილვა. მართლაც „ფაქტორების“ თეორია თავის-თავადაც უსა-  
ფუძვლოა, რადგან ამ თეორიის მიმდევარნი გამოაცალკევებენ.  
ხოლმე საზოგადო ცხოვრების სხვა-და-სხვა მხარეს და ამ მხა-  
რეს იღებენ, როგორც დამოუკიდებელ ძალას, რომელიც სხვა-  
და-სხვა მხრივ, მაგრამ არა ერთგვარი ძლიერებით მიაქანებს  
საზოგადოებრივ ადამიანს წარმატების გზაზე. ბევრად უფრო

უსაფუძვლო ხდება ეს თეორია იმ სახით, როგორიც მას კაბ-ლიკება მისცა. ამ მწერალმა გადაქმნა განსხვავებულ სოცია-ლოგიურ იპოსტასად არა რომელიმე მხარე საზოგადოებრივი გაცნის მოქმედებისა, არამედ სხვა-და-სხვა მხარე ინდივიდუალუ-რი ცნობიერებისა. ეს, ჰეშმარიტად, აბსტრაქციის უკიდურესი საზღვარია და ამას იქით აღარ წაისვლება, რადგან, უეჭველად თავს ამოცყოფთ ნამდეილს უაზრობის სამეფოში. აი, სწორედ, პატივცემულს სოციოლოგს ამისთვის უნდა მიექცია, როგორც კაბლიცის, ისე მისის მკითხველების ყურადღება. ასე რომ მოქ-ცეულიყო და ეჩერნებინა, თუ როგორ აერია გზა-კვალი კაბ-ლიც ისტორიის უმთავრესი. „ფაქტორის“ ძებნაში, ცხალია, ფაქტორების კრიტიკაშიც ნაბიჯს წინ წასლეგამდა და სარგებ-ლობასაც მოგვიტანდა, მაგრამ პატივცემულმა სოციოლოგმა მოლოდინი ვერ გაგვიმართლა. ვერ გაგვიმართლა იმედი იმი-ტომ, რომ მიმდევარია „ფაქტორების“ თეორიისა, იმ განსხვა-ვებით, რომ კაბლიცზე მომეტებულადა სწამს ეკლეკტიზმი, რის გამო ყველა „ფაქტორს“ ერთგვარს მნიშვნელობას აძლევს. ეკლეკტიური თვისება მისი ნიჭისა ცხადად გამოიხატა შემდეგ-ში, როცა ვაილაშერა დიალექტიური მატერიალიზმის წინააღ-მდეგ. მისის ფიქრით დიალექტიურმა მატერიალიზმმა სრულიად გააქარწყლა პიროვნების მნიშვნელობა ისტორიაში და ეკონო-მიურს ფაქტორს უმსხვერპლა ყველა სხვა ფაქტორები. პატივ-ცემულს სოციოლოგს აზრადაც არ მოსვლია, რომ „ფაქტო-რების“ თეორია სხვაა და დიალექტიური მატერიალიზმი სხვა. ამ სწავლა-მოძღვრებაში კვიეტიზმის გამართლება შეუძლიან დაინახოს მხოლოდ მას, ვინც სრულიად მოკლებულია ლოლი-კურს აზროვნებას. უნდა კი შევნიშნოთ, რომ პატივცემულ სოციოლოგის ასეთს შეცდომაში არავითარი თავისებურობა არ არის. ასეთი შეცდომა წინადაც ბევრს მოსვლია და ახლაც არ არის იშვიათი.

მატერიალისტებს ჯერ კიდევ შემუშავებული არა ჰქონ-დათ დიალექტიური შეხედულობა ისტორიასა და ბუნებაზე, როდესაც მათ ბრალსა სდებლნენ, — კვიეტიზმს ეტანებითო.

შორს რომ არ წავიდეთ, მოვაგონებთ მკითხველებს, ინგლისის ცნობილ მეცნიერთა პრისტლეის და პრაისის შორის ატეხილ კამათსა. პრისტლეის მოძღვრება რომ გააჩია, პრაისი, სხვათა შორის ამტკიცებდა, რომ მატერიალიზმი, როგორც მოძღვრება, „თავისუფლების“ შემეცნებას არ ეთანხმებათ და უარ-ჰყოფს სრულიად კაცის თეითმოქმედებასთ. პასუხად პრისტლეიმ ცხოვრებასა და ცხოვრების გამოცდილებაზე მიუთითა: „ჩემზე როდი მოგახსნებო, ამბობს პრისტლეი, „თუმცა ცხოვრელთა შორის ვერავინ ჩამთვლის ყველაზე უმოძრაო და უსიცოცხლო არსებადაო. მე თქვენა გკითხავთ, ვისში მოიპოვება მეტი აზროვნების ენერგია, მეტი თეით-მოქმედება, ძალა და სიმტკიცე უდიდესი საგნის მისაღწევად, თუ არ მათ შორის, რომელთაც სწამთ აუცილებელობის სწავლა-მოძღვრება“. როცა ამ სიტყვებს ამბობდა, პრისტლეის სახეში პქონდა დემოკრატიულ სარწმუნოების სკეჭა. ნამდვილად არ ვიცით, მართლა აგეთი მომქმედი იყო ეს სექტა, როგორც მისი მიმდევარი პრისტლეი ჰყიქრობდა, თუ არა, მაგრამ ამას არცა აქტს ჩვენთვის მნიშვნელობა. ყოველს ეჭვს გარეშეა ის აზრი, რომ მატერიალისტური შეხედულობა ადამიანის ნებაზე მშვენივრად თასვედება ენერგიულ-პრაქტიკულ მოქმედებასთან. ლანსონი ამბობს; ყველა თეორია, რომელიც გადამეტებული მოთხოვნილებით მიმართავდა ადამიანის ნებას, პრინციპიალურად ნების უძლეურებას ამტკიცებდაო; უარ-ჰყოფუა თავისუფლებას და ქვეყანას ფატალიზმს უმონებდაო. ლანსონი სცდება, როცა ჰყიქრობს, რომ ნების თავისუფლების ყოველ უარყოფას ფატალიზმამდის მივყევართ; მაგრამ ამ შეცდომამ არ შეუშალა ხელი აღენიშნა ფრიად საინტერესო ისტორიული ფაქტი. მართლაც ისტორია პმოწმობს, რომ ფატალიზმი არა თუ ხელს არ უშლიდა ენერგიულ-პრაქტიკულს მოქმედებას, პირიქით ზოგიერთ ისტორიულ ხანაში ასეთი მოქმედების მიუწილებელი ფსიქოლოგიური საფუძველი იყოვა. დასამტკიცებლად დავასახელოთ პურიტანები, რომლებმაც მე-17-ტე საუკუნეში ყველა ინგლისის დასებს გადააჭარბეს თვისის ენერგიით. თუნდა ავიღოთ, მაგა-

ლითად, მაჰმალის მიმღევარნი, რომელთაც სულ მცირე ხანში დაიმორჩილეს ვეებერთელა მიწა-წყალი ინდოეთიდან დაწყებული ესპანიამდის. მეტად სცდება ვინცა ჰფიქრობს, ვითომ საკმარისია დავრწმუნდეთ — ამბავი აუცილებელიაო, რომ მაშინათვე პსიხოლოგიურად მოგვესპოს სურვილი ხელი შევუწყოთ, ან წინააღმდეგეთ ამ ამბავსა.

აქ ყველაფერი იმაზე არის დამოკიდებული, ჩემი საკუთარი მოქმედება არის თუ არა საჭირო რგოლი აუცილებელ ამბავთა ჯაჭვისა. თუ საჭიროა, მაშინ ნაკლებად ვყოყმანობ და უფრო გაძედვით ვმოქმედობ. ან რაა გასაკვირველი, როცა რომელიმე ადამიანი თავის მოქმედებას სოვლის აუცილებელ ამბავთა ჯაჭვის აუცილებელ რგოლად? ეს, სხვათა შორის, იმასა ჰნიშნავს, რომ თუ ჩემი ნება თავისუფალი არ არის, მაშ არც შემიძლიან უმოქმედოდ გაჩერება და ეს ნების უთავისუფლობა ჩემს ცნობიერებაში გამოიხატება ისე, რომ მე არ შემიძლიან გამოქმედა სხვანაირად, თუ არ ისე, როგორც გმოქმედობ. ეს სწორედ ის პსიხოლოგიური ვითარებაა, რომელიც გამოიხატება ლიუტერის შესანიშნავის სიტყვებით: „hiez stehe ich, ieh kann nicht anders“, და რომლის წყალობით ადამიანი დაუცხრომელ ენერგიას იჩენს და განსაცვითობებელ ღვაწლით იმოსება. ასეთი სულის ვითარება უცხოა ჰამლეტისათვის და ამიტომაც ჰამლეტს მარტო წუწუნი შეეძლო და ვერც ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა იმ ფილოსოფიას, რომელმაც აღიარა, რომ თავისუფლება შეგნებული აუცილებლობა არისო. ფიხტემ სამართლიანადა სთკვა: როგორც ადამიანიო, ისეთი ფილოსოფიაო.

## II

შტაშმლერმა გამოსთხვა აზრი, ვითომც ერთს დასავლეთ ევროპის. სოციალ-პოლიტიკურს სწავლა-მოძღვრებაში გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა მოიპოვებაო. ზოგვა ეს შენიშვნა სერიოზულად მიიღო. აქ ჩვენ სახეში გვაქვს ცნობილი გა-

ջալութիւն մտցարուս դաճնելլեցիսա. Եամգուլալ յու յէ մացալութիւն ըօդու և սուսուլլելու մեջ արա վարմուացցեն. զանա Շեսած-լլեցցելու ալամինու մոխմեցցա օշուլուսեմեծուցց ու նորուց-ծու հուսպանու, հռմլու Շեսամեցա մոյուլլեցցելու մտցարուս դա-ճնելլեցիսատցու? հասակարուացցելու, հռմ Շյումլլեցցելու! Ամուր-մաւ Շյցակալուն ցտէցատ, հռմ մտցարուս դաճնելլեցիս եղլու Շյմիպոնծո քանո Շյումլլեցու մարտու սացուցտի ալմուբեն-ծուլուու. Կուցու հռմ չյունցը ալամինու մոխմեցցաս համե մենունելու մտցարուս դաճնելլեցա՛ն, մանու մտցարուս դաճ-նելլեցիս զան առ մոյեհռմուացու առպերտո ոմատցան, ցո-սաւ, շումբա սյուրպուլո այց մտցարուս դաճնելլեցիս նաեւուս, մաց-րամ ամաց գրու դարմիմունցուլու, հռմ մտցարյ ոմու դաշեմանց-քաֆակց դաճնելլեցա. Եմ Շյմտէցցա՛ն մատո Կայուրունիմու ցամու-սաւութեցու մարտու ոմուտո, հռմ տացո մուամուրց շասացցեծու մոխմեցցաս; Ամենու Կայուրունիմու արացուարու սացրտո. Առ յինց-ծու նամգուու կայուրունիմու. մտցարուս դաճնելլեցիս մացալութիւն շա-չրունքաս հռմ առ վարմուացցենցը, սակարուա մուս և սրուլուալ Շյ-պուլա. Շնձա վարմուացցունու, հռմ մտցարց մոնուկեցնու այց Շյցնեցա-պոնծուցու լու ու մոցումարյունու լուս և սուրպանու, հռմ-լու մեռեցիտ ենցուցացա, մուսինու մտցարց տցուս նեծու ցա-մուսաւուս նապուտալ. ուսու Շնձա զոցուլուսեմուտ, հռմ ասցուս մոցումարյունուտ մտցարյ սումոցնեցս և արամու ու սումոցնեցս, սակարուա Խնյոնծուու և մուշուլուսատցու. Ամուրումաւ մտցարյ սյուլ-ոմու լուս ու Շնձա ու ասցուս, հռմ առ դաշկարցուս ասցու մոցումարյ-ունու. Շկուտու վարմուացցենտ Շյմու նատեցամ, հայեն տացաց Շն-ճա լուցուութեու: հաս ոցիմնածու մտցարյ, Շկուտու մուշուլեցու, հռմ նեծու լու մուսիրացցա յու առ ցամուսաւուս մուս մուսիրանքաս լուս և սուրպանու, Տուր-ույտ մուսիրանքա ցամուսաւուս մուս նեծու լու մուսիրացցա. Մումմուլլերուս աթուու, մտցարց յէ հռմ Շյցնո, մալ-լունց մոյուսկու մտցարյ, ու հռմուրմե տաց առ լուալ՛ցը լու հուսպանու վունալմեցցու մուսիրացցա. Մայրամ ասցուս մուսաթեցաս արացուարու լուցուուրու սագումցու առ այց. Տուր-ույտ, Շյսածլու ուս ասցուս ալմուինաս մտցարյ լու

გუნებაზე დაეყუნებინა, ზნეობრიეად უკმაყოფილო გაეხადა და გახდომოდა ფორმალურ საფუძვლად განხეთქილებისა „იდეა· ლებსა“ და მექანიურ სინამდვილეს შორის. მაგრამ რაღაც ნაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ მთელი ფსიხიკა მთვარისა გამოწვეულია მოძრაობით, ამისათვის ოვით მოძრაობაში უნდა ვეძებოთ ჰეშმარიტი მიზეზი მთავარის უკმაყოფილებისა. საქმეს თუ ყურადღებით მოვეკიდებით, შესაძლებელია შემდევი ამოჩენილიყოა როცა მთვარე იმყოფება აპოგეიაში, ნაღვლობს, რომ მისი ნება თავისუფალი არ არის. პერიგეიაში კი ესევე მდგომარეობა შეადგენს მისთვის ახალს წყაროს ზნეობრივი ნეტარებისა და ზნეობისა. შეიძლება წინააღმდეგიც მომხდარიყო. შეიძლება აღმოჩენილიყო, რომ პერიგეიაში კი არა, აპოგეიაში ახერხებს მთვარე შეუთანხმოს თავისუფლება აუცილებლობას. როგორც უნდა იყოს, ალვილი წარმოსადგენია, რომ აუცილებლობა და ენერგიული მოქმედება ცხოვრებაში ერთიერთმანეთს ხელს არ უშლის. სხვა არა იყოს-რა, ისტორიაა იმისი მოწამე. ის ადამიანი, ვინც უარსა ჰყოფლნენ და ამბობდნენ — ნება თავისუფალი არისო, ხშირადა სჭარბობდნენ თავიანთ თანამედროვეთ- საკუთარის ნების ძლიერებით და დიდათაც აფასებდნენ ამ თვი- სებას. ასეთი მაგალითები მრავლად მოიპოვება ისტორიაში და ყველასაგან ცნობილია. მათი დაეიწყება, როგორც ვითომ შტამ- ლერი ივიწყებს, მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა სურვილი გაქვს განძრას აარიდო თვალი ისტორიულ სინამდვილეს და არ გინდა დაინახო ისე, როგორიც არის. ესეთი განზრახვა მეტად ემჩნევა, მაგალითად, რუსეთის სუბიექტივისტებს და ზოგიერთ გერმანელ ფილისტერებს, მაგრამ ფილისტერები და სუბიექტი- ვისტები ხომ „ადამიანები“ არ არიან, ისინი უბრალო აჩრდილ- ნი არიან, როგორც იტყოდა მათ შესახებ ბელინსკი.

განვიხილოთ გულდასმით ის შემთხვევა, როდესაც ადა- მიანს თავისი საკუთარი აწყო, წარსული და მერმიისი მოქმე- დება ისე მიაჩნია, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო. ჩვენ ვიცით, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი იჩენს თითქმის სტიქი- ონურ ნების ძალას და მტვრად აქცევს ყოველ დაბრკოლებას,

რომელიც კი გზაზე გადაეღობება სხვა-და-სხვა ჰამლეტების წყალობით, უკეთუ თავისი თავი ლეთისაგან მოვლენილად მიაჩნია, როგორც მაჲმადს, ან აუცილებელ ბედისაგან რჩეულად, როგორც ნაპოლეონს, ან-და კიდევ უძლეველ ისტორიულ მოძრაობის ძალის გამომხატველად, როგორც ზოგიერთ მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთ. ეს მაგალითი სულ სხვა მხრივ გვაინტერესებს და ი რა მხრივ: როცა დავრწმუნდი, რომ ჩემი ნება თავისუფლებას მოკლებულია, როცა მიეწედი, რომ ჩემთვის აუცილებელია ისე ვიმოქმედო, როგორც ვმოქმედობ და სხვანაირად მოქმედება არ შემიძლაან, როდესაც აღნიშნული მოქმედება იმავე დროს ჩემთვის უფრო სასურველია, ვინემ სხვა შესაძლებელი მოქმედება, მაშინ აუცილებლობა და თავისუფლება ჩემს წარმოდგენაში ერთი და იგივეა. მაშინ შემიძლიან ვსაქვა,—არა ვარ თავისუფალი იმ აზრით, რომ არ შემიძლიან დავარღვით ერთიდაიგივეობა თავისუფლებისა და აუცილებლობისა. არ შემიძლიან ერთი მეორეს წინ დავუყენო, არ შემიძლიან შევიწროება ვიგრძნო აუცილებლობისაგან. ჩაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ასეთი უქონლობა თავისუფლებისა მოასწავებს სრულს თავისუფლებას.

ზიმმელი ამბობს, რომ თავისუფლება ყოველთვის არის თავისუფლება რაიმე შევიწროებისაგან. თუ თავისუფლება ისე არ ესმით, როგორც წინააღმდევობა შევიწროებისა, მაშინ თავისუფლებას აზრი არა აქვს. ეს, რასაკეირველია, ასეა, მაგრამ ამ საანბანო ჭეშმარიტებით შეუძლებელია დაირღვეს ის აზრი, რომ თავისუფლება შევნებული ანუ შემეცნებული აუცილებლობაა და რომელიც შეაღენს ფილოსოფიურ აზროვნების ერთ გენიოსურ აღმოჩენას. ზიმმელის განმარტება შეეხება თავისუფლებას მარტო გარეგან შევიწროებისაგან. ვიდრე საუბარი ასეთ შევიწროებაზე გვაქვს, თავისუფლების გათანასწორება. აუცილებლობასთან შეტაც სასაცილო გამოვა. ჩანს სთავისუფლებას მოკლებულია, ვისაცა ჰსურს ამოგაცალოს ჯიბიდან ცხვირსახოცი, და კი ვერ მოახერხა დაეძლია თქვენი წინააღმდეგობა. გარდა თავისუფლების ამ ელემენტარული განმარტებისა

არის მეორე, ბევრად უფრო ღრმა განმარტება. ეს განმარტება-შემცენება სრულიად არ არსებობს იმათთვის, ვინც მოკლებულია ფილოსოფიურს აზროვნებას. ისინი კი, ვისაც აქვს ნიჭი ასეთი აზროვნებისა, მიაღწევენ ამ შემცენებას მხოლოდ მაშინ, როცა დუალიზმს თავს დააღწევენ და შეიგნებენ, რომ სუბიექტისა და ობიექტის შორის არ არსებობს ის უფსკრული, როგორიც დუალისტებს ჰგონიათ.

რუსთის სუბიექტივისტი თავის უტოპიურ იდეალებს ჩვენს კაპიტალისტურ სისამდვილეს უპირდაპირებს და ამას იქით აღარ მიდის. სუბიექტივისტები ჩაიფლნენ დუალიზმის ჭაობში. ეგრედ წოდებული, რუსთის „მოწაფის“ იდეალები გაცილებით უფრო ნაკლებ მოგაგონებს კაპიტალისტურ სინამდვილეს, ვიდრე სუბიექტივისტის იდეალები. მიუხედავად ამისა, „მოწაფებ“ იპოვა შემაერთებელი ხიდი იდეალის სინამდვილესთან და იგი ამაღლდა მთნაზმაშდეს. მისის აზრით კაპიტალიზმი თავისის საკუთარის განვითარების მსვლელობით თავის თავსვე უარპყოფს და განახორციელებს არა მარტო რუსის „მოწაფის“ იდეალს, არამედ სხვისასაც. ეს ისტორიული აუცილებლობაა. ის, „მოწაფე“, ამ აუცილებლობის ერთი იარაღთაგანია და არც შეუძლიან არ იყოს ამ იარაღად, როგორც თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით, ისე თავისი ბუნებრივი და ზნეობრივი ხასიათით, რომელიც შექმნა. ამ მდგომარეობამ ეგეც ერთი მხარე აუცილებლობისა, მაგრამ, რადგან მისმა საზოგადოებრივმა მდგომარეობამ შეუმუშავა მას ასეთი და არა სხვანაირი ხასიათი, ის ხდება არა მარტო აუცილებლობის იარაღად, არა თუ არ შეუძლიან არ გახდეს ასეთი იარაღად, პირიქით, მეტად ჭიშუნს და არც შეუძლიან არ ინდიმას აუცილებლობის იარაღობა. ეს მხარე თავისუფლებისაა, თავისუფლებისა, რომელიც აღმოაცენა აუცილებლობამ, ანუ, უკედ რომ ვსთქვათ, ეს თავისუფლებაა გადაქმნილი აუცილებლობად. ეს აუცილებლობაა მხოლოდ თავისუფლების სახით. ასეთი თავისუფლებაც თავისუფლებაა რაიმე შევიწროებისაგან; ასეთი თავისუფლებაც წინააღმდეგია. რაიმე

შევიწროებისა: ლიტმა განმარტება კი არ უარჲყოფს სუბუქ განმარტებას, არამედ შეაცხებს და თავის შინაარსში ითავსებს. რა შევიწროებაზე შეიძლება იყოს ლაპარაკი ამ შემთხვევაში? ცხალია, იმ ზნეობრივ შევიწროების შესახებ, რომელიც ასუსტებს ენერგიას აღამიანისას, ვისაც ჯერ თავი არ დაუღწევია დუალიზმისაგან, იმ შევიწროების შესახებ, რომელიც სტანჯავს ადამიანს, უკეთუ ვერ მოუხერხებია ხიდი გადასდოს სინამდვილესა და იდეალებს შორის არსებულ უფსკრულზე. ვიდრე პიროვნებას ჯერ-ჯერობით არ მოუპოვებია ასეთი თავისუფლება ფილოსოფიურის აზროვნების წყალობით, ის კიდევ არ ეკუთვნის თავის და თავის ზნეობრივი ხარკით სამარცხვინო ხარკს აძლევს მის მოწინააღმდეგ გარეგან აუცილებლობას. მაგრამ, სამაგიეროდ იგივე პირი იბადება ახალის, მისგან უცნობის ცხოვრებისათვის; როგორც კი მოიშორებს შევიწროების ულელს, მაშინ თავისუფალი მოღვაწეობა გარდაიქცევა აუცილებლობის შეგნებულ და თავისუფალ გამომხატველად. მაშინ ასეთი მოღვაწე შეიქმნება დიდებულ საზოგადოებრივ ძალად და ვერა-რა შეუშლის ხელს, რომ „ცბიერ უსამართლობას დაცეს ვითა ღვთის რისხვა“.

## III

გაშ, აგრე, მხოლოდ ამბავის აუცილებლობის სრული შეგნება გააძლიერებს ენერგიას. იმ კაცისას, რომელსაც ჰსურს ხელი შეუწყოს ამ ამბავსა. თუ ასეთი ადამიანი, შეიგნებს რა ამბავის აუცილებლობას, მაინც გულზე ხელს დაიკრეფს, არ გაინძრევა, ამითი დაგვიმტკიცებს თავისს უვიცობას ანგარიშში. მართლაც, ვსთქვათ, რომ ამბავი A უთუოდ უნდა დადგეს, თუ იქნება S პირობები. თქვენ დამიმტკიცეთ, რომ ამ S პირობების ჯამის ნაწილი უკვე არის და ზოგიც იქნება t დროს. რა დავრწმუნდი ამაში, მე, ამ A ამბავის თანამგრძნობი, გავიძახი: „რა კარგია, რა კარგი“ და თან გავგორდები დასაძინებლად და ვიგორებ იმ თქვენგან ნაწინასწარმეტყველებ სა-

სიხარულო: ამბავის მოლოდინში. რა გამოვა აქედან! აი რა: თქვენის ანგარიშით S პირობებში, რომელიც საჭირო იყო ამ A ამბავის დადგომისათვის, შედიოდა ჩემი მოქმედება-ცა. ესთქვათ ჩემი მოქმედება უდრის a-ს; რადგან თავი ძილს მოვეცი, A ამბავის ხელის შემწყობი პირობები t წამში იქნება S-a და არა S, რაიცა სცვლის საქმის მღვიმარეობას. შეიძლება ჩემი ადგილი ვინმემ დაიჭიროს, შეიძლება არც მას უნდოდა მიეღო მონაწილეობა ამ საქმეში, მაგრამ ჩემი აპატიის მაგალითმა შეაძრწუნა; ამ შემთხვევაში a ძალის ადგალს დაიჭერს ძალა b და თუ a უდრის b-s (a=b), მაშინ A ამბავის შემქნელი პირობები S ხელთ გვექნება და ამბავი A დადგება. თუ ჩები აპატიის მაგალითი არავის ააღელვებს იმდენად, რომ ჩემი ადგილი დაიჭიროს, მაშინ A ამბავის შემადგენელი პირობები დარჩება S-a, რის გამო საქმის გარემოება ნაკლებ ხელის შემწყობი იქნება მისთვის. თუ ჩემი ძალა ისე მცირება, რომ ნოლს უდრის, მაშინ ცვლილება შეუმჩნეველი იქნება და A ამბავი მაინც დადგება თითქმის იმავე t წამში. თუ ჩემი ძალა ნოლს არ წარმოადგენს, თუ მე მოხერხებული და ნიჭიერი მუშაკი ვარ, მაშინ აღარ იქნება საესებით S-s პირობები და A ამბავი დადგება ან უფრო გვიან, ან ისე სრულიად არა, როგორც მოველოდით. ეს ცხადია და თუ მე ვერ ვამიგია და მაინც ვფიქრობ, S-s პირობები მანც S იქნება ჩემი ღალატის შემდეგაც, ეს მარტო მისთვის, რომ ანგარიში არ ვიცი. განა მარტო მე არ ვიცი ანგარიში? თქვენ, რომელმაც მიწინასწარმეტყველეთ, რომ S პირობები უსა-თუოდ იქნება t წამში, ვერ მიხედით წინ - და - წინ, რომ თქვენთან ბაასის შემდეგ მაშინათვე დავიძინებდი; თქვენ დარწმუნებული იყავით, რომ მე ბოლომდის. კარგ მუშად დავრჩებოდი; გამოდის, რომ სუსტი ძალა მეტად საიმედო ძალად მიგილიათ. მაშასადამე, თქვენც ცუდად გიანგარი-შნიათ. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ არაფერი შეცლომა არ მოგსვლიათ, ყველაფერი წინდაწინ მოისაზრეთ. მაშინ თქვენი ანგარიში ასეთ სახეს მიიღებს: თქვენ ამბობთ, რომ t წამში

ს პირობები უთუოდ იქმნება. ამ პირობების ჯამში შედის როგორც უარყოფითი რაოდენობა, ჩემი ღალატიც; აქვე შედის, როგორც დადებითი რაოდენობა, ის გამამხნევებელი მოქმედება, რომელსაც იწვევს სულით ძლიერ აღამიანში რწმენა, რომ მისი იდეალი და მისწრაფება სუბიექტივური გამოხატვაა ობიექტივური აუცილებლობისა. ამ შემთხვევაში, S—პირობები ნამდვილად იქმნება აღნიშნულ დროს და A ამბავიც დაჟგება. მეონი ეს ცხადია, მაშ რად შევკრთი იმ აზრის გამო, რომ ამაბევი A აუცილებელია? რად მომეჩვენა, რომ ეს აუცილებლობა უპედურებას მაყენებს? რად დამავიწყდა მსჯელობის დროს სულ უბრალო არითმეტიკული კანონები? აღნად იმიტომ, რომ ბავშვობიდანვე მქონდა შეხარცებული მისწრაფება უმოქმედობისადმი და თქენთან ბაასი შეიქმნა წვეთად, რომელმაც ყელთამუის გაალიკლიცა ამ სასიქადულო მისწრაფებით აღსავს ფიალა. ეს იყო და ეს. აუცილებლობის შეგნება გახდა მიზეზად ჩემის ყნელათვის სიძაბუნისა და უგარგასობის გამოჩენისა. ნება არა გვაქვს სიძაბუნის მიზეზად აუცილებლობის შეგნება მივიღით. მიზეზი შეგნებაში კი არ არის, თვით ჩემის აღზრდის პირობებშია. მაშ, არითმეტიკა მეტად პატივსაცემი და სასარგებლო მეცნიერება ყოფილა, რომლის კანონებიც არ უნდა დაივიწყონ ფილოსოფოსებმა და სწორედ რომ სთქვას კაცმა, ყველაზე მეტად ფილოსოფოსებმა.

როგორ იმოქმედებს აუცილებლობის შეგნება იმ დიდ-ბუნებოვან კაცზე, რომელიც არ თანაუგრძნობს ამბავსა და ეწინააღმდეგება მის დადგომას! ადეილად შესაძლებელია, რომ ასეთი შეგნება დაასუსტებს წინააღმდეგობის ენერგიას. მაგრამ მოწინააღმდევენი აღნიშნულ ამბავისა როდისა რწმუნდებიან აუცილებლობაში? როდესაც ამ ამბავის ხელის შემწყობი პირობები გამრავლდება და ძლიერდება. მოწინააღმდეგეთა შეგნება, რომ აღნიშნული ამბავი აუცილებელია და მათი ენერგიის დასუსტება ამ მოვლენის დადგომის ხელის შემწყობელ პირობად უნდა ჩაითვალოს. ეს გარემოებაც თავის მხრივ ხელის შემწყობ პირობად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ენერგია წინააღმდე-

გობისა ყეველა მოწინააღმდეგეს არ შეუსუსტდება. ზოგის ენერგია იზრდება და განწირულებად იქცევა, როცა რწმუნდება, რომ ამბავი აუცილებელია. საზოგადოდ ისტორია და კერძოდ რუსეთისა არა ერთ მაგალითს წარმოადგენს ამგვარი ენერგიისას. იმედი მაქვს ჩემს დაუხმარებლადაც გაიხსენებს მკითხველი საკმაო მაგალითებს.

ბ-ნი კარევი, რასაკვირველია, ჩვენი შეხედულობის მოზიარე არ არის შესახებ თავისუფლებისა და აუცილებლობისა, არც მოსწონს ჩვენი ტრფიალი დიდბუნებოვან ადამიანისადმი, მაგრამ მაინც სასიამოვნოდა რჩება ჩვენი აზრი, რომ ადამიანს შეუძლიან გახდეს დიდებულ საზოგადოებრივ ძალად. პატივცემული პროფესორი სიხარულით იტყვის; „მეც ყოველთვის ვამბობდი მაგასაო“. ესეც მართალია, ბ. კარევი და სუბიექტივისტები ყოველთვის აძლევდნენ ადამიანს, მისს ძალას და ენერგიას საკმაო მნიშვნელობას ისტორიაში, იყო დრო, როდესაც ასეთი მოძლვრება დიდ თანაგრძნობას იწვევდა მოწინავე ახალგაზღობაში. გასაკვირველიც არ არის. ახალგაზღობა ისწრაფოდა ქვეყნისათვის გაეწია კეთილშობილური შრომა და ამიტომაც ბუნებრივ მოელენად უნდა ჩავთვალოთ, რომ მაღლა აყენებდა პირადი ინიციატივის მნიშვნელობას. ეს თუმცა ასეა, მაგრამ სუბიექტივისტებმა ვერ მოახერხეს ამ საგნის არა თუ გარდაწყვეტა, არამედ რიგიანად გამორკვევაც. საზოგადო ისტორიულ მოძრაობის კანონებს წინ დაუყენეს „კრიტიკულად მოაზრე კაცის“ მოღვაწეობა და ამგვარად თითქო ახალის ფაქტორების თეორია შევქმნეს: კრიტიკულად მოაზრე კაცი აღნიშნული მოძრაობის ერთ ფაქტორად გარდაიქცა, ხოლო მეორე ფაქტორად თვით ამ მოძრაობის კანონები. ამგვარად, ასეთმა სწავლა-მოძლვრებამ დიდი სისულელე დაპირის დაკბადა. დაკმაყოფილება ამ სწავლა-მოძლვრებით შეიძლებოდა მხოლოდ იმ დრომდის, ვიდრე მომქმედი კაცი ყურადღებას აჭიუვდა მხოლოდ ყოველ-დღიურ პრაქტიკულ საგანსა, რის გამოც მოცალეობა არა ჰქონდა და ფილოსოფიური სჯა-ბაასისათვის. ხოლო მეორემოცდაათეწლებში, მყუდროება ჩამოვარდა და თავისუფალი დროც მიეცათ

ფილოსოფიურ აზროვნებისათვის იმათ, ვისაც კი პქონდა უნარი ასეთი აზროვნებისა.

სწორედ ამ დროს სუბიექტივისტების მოძღვრებამ იწყო რღვევა და თითქმის სულ დაიფლითა, ასე რომ არაეითარი შეკვეთება არ შეელოდა. მოაზრე ადამიანებმა „ზედი-ზედ უარ-ჰყვეს სუბიექტივიზმი, როგორც სრულიად უვარგისი მოძღვრება.

როგორც ყოველთვის შობდება ხოლმე, ამ შემთხვევაშიაც სუბიექტივიზმის წინააღმდეგმა რეაქციამ ზოგი მოწინააღმდეგე მეორე უკიდურესობაში ჩაგდო. თუ ზოგიერთი სუბიექტივისტები, რაც შეიძლება, დიდ როლს უთმობდნენ კაცის „პიროვნებას“ ისტორიაში და არა სწამდათ, რომ ისტორიული მსვლელობა კაცობრიობისა ემორჩილება კანონებს, სამაგიეროდ მოწინააღმდეგენი სცდილობდნენ მკაფიოდ აღენიშნათ, რომ ისტორიული მოძრაობა ემორჩილება კანონებს და ამავე დროს ივიწყებდნენ, რომ ისტორიას ადამიანი ჭიშნის და ამიტომ არ შეიძლება რომ კაცის მოქმედებას არა ჭიონდეს მნიშვნელობა. თეორიული ასეთი უკიდურესობა იმდენადვე შეუწყნარებელია, რამდენადაც შეუწყნარებელია გატაცებულ სუბიექტივისტების უკიდურესობა. ტეზისი რომ ანტიტეზის უმსხვერპლო, ისევე უსაფუძვლო იქნება, როგორც ტეზისის გამო ანტიტეზის დავიწყება. სწორი თვალსედევითი ისარი მაშინ იქნება ნაპოვნი, როცა ჩვენ შევიძლებთ სინტეზში შევაერთოთ ტეზისში და ანტიტეზისში მოთავსებული ჭეშმარიტება.

#### IV

დიდი ხანია ეს საგანი გვაინტერესებს ჩვენა. დიდი ხანია გვსურდა მოგვეკიდა მისთვის ხელი და მიგვექცია მკითხველის ყურადღება, მაგრამ ვშიშობდით, ვაი თუ ჩვენმა მკითხველებმა უკვე გამოირკვიეს საგანი და ჩვენი შრომაც დაგვიანებული გამოდგესო, მაგრამ ახლა ამის შიში აღარა გვაქვს, რადგან გერმანელმა ისტორიკოსებმა გვიხსნეს ამ გაჭირვებისაგან. უკა-

ნასკნელი წლის განმავლობაში გერმანელ ისტორიკოსებს ცხა-  
რე კამათი ჰქონდათ დიდებული ადამიანების მნიშვნელობის  
შესახებ ისტორიაში. ზოგი ჰყოიკრობენ, რომ პოლიტიკური  
მოღვაწეობა დიდებუნებოვან კაცთა ისტორიულ განვითარების  
უმთავრესს, თითქმის ერთად-ერთ დერძს წარმოადგენსო. ზოგი ი  
კი ასეთს აზრს ცალმხრივ აზრად სთვლიდნენ და ამტკიცებდნენ,  
რომ ისტორიის შეცნიერებას მხედველობაში უნდა ჰქონდეს  
არა მარტო შესანიშნავ კაცთა მოღვაწეობა, არა მარტო სა-  
პოლიტიკო ისტორია, არამედ საერთოდ მთელი ისტორიული  
ცხოვრება. ამ უკანასკნელი მიმართულების წარმომაზდენლად  
გამოვიდა კარლოს ლამპარეხტი, ავტორი „გერმანიის ერის ის-  
ტორიიისა“. მოწინააღმდეგენი ბრალსა სდებდნენ ლამპარეხტსა—  
კოლლექტივისტი და მატერიალისტი ხარო, და სათქმელადაც  
კი საშინ ელია— „სოციალ-დემოკრატიულ ატტეისტებსაც“ კი  
შეადარეს. როცა ჩვენ ლამპარეხტის აზრი გავიცანით, დავრწმუნ-  
დით, რომ მეცნიერს მოწინააღმდეგებმა ტყუილ-უბრალო ბრა-  
ლი დასდეს. ამავე დროს ჩვენ დავრწმუნდით, რომ თანამედ-  
როვე გერმანელ ისტორიკოსებს არ შეუძლიანთ გამოარკ-  
ვიონ. და გადასწყვიტონ კაცის მნიშვნელობა ისტორიაში:  
დავრწმუნდით აგრეთვე იმაშიაც, რომ ეს საგანი დღემდის გამო-  
ურკვეველია ზოგიერთა რუსის მკითხველისათვის. ამ საგნის შე-  
სახებ კიდევ შეიძლება ითქვას ისეთი რამ, რაც არ იქნება მო-  
კლებული თეორიულ და პრაკტიკულ ინტერესსა.

ლამპარეხტმა შეკვრიბა ერთად წარჩინებულ სახელმწიფო  
შოღვაწეთა აზრები, სადაც გამოხატულია, თუ როგორ უცქე-  
როდნენ თავიანთ პირად მოღვაწეობას. ჯერ-ჯერობით კი და-  
კმაყოფილდა მარტო ბისმარკის ზოგიერთ საპოლიტიკო სიტ-  
ყვებით და აზრებით. სანიმუშოდ ლამპარეხტმა მოიყვანა რკინის  
კანცლერის მიერ წარმოთქმული სიტყვა 16 აპრილს, 1869  
წელს, ჩრდილო გერმანიის რეიხსტაგში; ჩვენ არ შეგვიძლიანო  
არც უარყოფა წარსულის ისტორიისა, არც მომავალის შექმ-  
ნას. მე მსურსო მხოლოდ დაგიფაროთ ისეთი შეცდომისაგან;  
როგორიც მოსდის იმ აღამიანს, რომელსაც ჰყონია დროს და-

აჩქარებს, თუ კი საათს წინ გადაყენებს. საზოგადოდ მეტად აზერადებენ ჩემს პირადს გავლენას საზოგადო და საპოლიტიკო საქმეებზე, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, არავის აზრად არ მოუვა მოითხოვოს ჩემგან, რომ მე ვემზიდე ისტორიას. ეს ჩემთვის მაშინაც კი შეუძლებელი იქნება, თქვენც რომ დამეხმაროთ, თუმცა ჩვენ შეერთებულის ძალით შეგვიძლიან მთელს ქვეყანას წინააღმდეგობა გავუწიოთ. ისტორიის შექმნა არ შეგვიძლიან, უნდა ვუცადოთ, ვადრე თვით დადგებოდეს. ნაყოფს, ქვეშ ლამპა თუ შევუდგით, ვერ ავაჩქარებთ მის დამწიფებას. და თუ უმწიფარს მოვწყვეტავთ, ამით მხოლოდ ზრდას შევუშლით და გავაფუჭებთო“.

ლამპრეხტმა ისარგებლა აგრეთვე უოლლის მოწმობით და აღნიშნა ბისმარკის სიტყვები არა ერთხელ წარმოთქმული ფრანგ-პრუსიელ ომის დროს. დედა აზრი ამ სიტყვებისა იგივეა; „ჩვენ არ შეგვიძლიან შევქმნათ დიდებული ისტორიული ამბავი, უნდა მივსდიოთ ამბავთა ბუნებრივ მსვლელობას და დავკმდებულდეთ, თუ შეეირჩინეთ ისა, რაც უკვე მოწიფეულია“. ლამპრეხტის აზრით — ეს სიტყვები სრული და ღრმა ჰქონდა. თანამედროვე ისტორიკოსიო, — ამბობს ლამპრეხტი, — თუ კი შესძლებს ლრმად ჩაუკეირდეს ამბავს და არ შეზღუდავს თავისს თვალთახედვით ისრის მოედანს მეტად მცირე დროთი, სხვა გვარად ვერ ითიქრებსო. განა შეეძლო ბისმარკს გერმანია ნატურალურ მეურნეობისათვის დაებრუნებინა! ბისმარკი ამას მაშინაც კი ვერ მოახერხებდა, როდესაც ძლევა-მოსილობის უმაღლეს მწვერვალზე იმყოფებოდათ. საზოგადო ისტორიული პირობანი თვით უუძლიერეს კაცზე უძლიერესია. თანამედროვე ეპოქის საზოგადო ხასიათი დიდებული კაცისათვის შეაღენს იმ პირობებს, რომლის გარეშე მისი მოღვაწეობა შეუძლებელია.

ასე მსჯელობს ლამპრეხტი და თავისს აზრს უნივერსალურს უწოდებს. ადვილად შენიშნავს კაცი — საღაა ამ აზრის სუსტი მხარე. ბისმარკის შევით მოყვანილი აზრი მეტად საინტერესოა, როგორც ფსიხოლოგიური დოკუმენტი. შეკვიძლიან არ თანა-

უგრძნოთ გერმანიის კანცლერად ნამყოფის მოღვაწეობას, მაგრამ არ შეიძლება ადამიანმა სთქვას, რომ ბისმარკის მოღვაწეობა არარაობა იყო და არც შეიძლება ბისმარკს „კვიეტიზმის“ მიმდევრობა დავწამოთ. განა ბისმარკზე არა სთქვა ლასალმა: — რეაქციის მსახურნი კარგი მოლაპარაკენი არ არიან, მაგრამ ღმერთმა ჰქონას, პროგრესსა ჰყოლოდეს მრავალი ამისთანა მსახურიო. — დიალ, ბისმარკსაც, რომელიც ხანდისხან ნამდვილ რკინის ენერგიას იჩენდა, თავისი თავი უღონოდ მიაჩინდა ამბავთა ბუნებრივ მსვლელობის წინაშე. ცხადია, ბისმარკი თავისს თავს უყურებდა, როგორც ისტორიული განვითარების უბრალო იარაღს. ეს გარემოება ერთხელ კიდევ იზას გვასწავლის, რომ შესაძლებელია ისტორიულ ამბავს უცქეროდეთ, როგორც აუცილებელს, მაგრამ ამავე ღროს ენერგიული მოქმედებაც შეგვეძლოს. მხოლოდ ამ მხრითაა საინტერესო ბისმარკის აზრი, ხოლო ბისმარკის სიტყვებში ის კი ვერ აგვიხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში პიროვნებას, კერძო აღაშიანს. ბისმარკის სიტყვით საჭმენი და ამბავი თავის-თავადა ხდება, ჩვენი შეცადინეობა იმაში უნდა გამოიხატოს, რომ შევირჩინოთ, უზრუნველ ვყოთ, რასაც ისინი გვიმზადებენ. მაგრამ „უზრუნველყოფობაც“, თავის თავად ისტორიულს ამბავს წარმოადგენს. მაშ რითი განსხვავდება ასეთი ამბავი იმ ამბავისაგან, რომელიც თავის თავადა ჰქიდება? ნამდვილად კი ყოველი ისტორიული ამბავი ერთსა და იმავე ღროს უზრუნველადაცა ჰყოფს წარსულისაგან შეძენილს ნაყოფს და კიდეც ამზადებს მომავლისათვის ახალს ნაყოფს. განა შეიძლება უზრუნველყოფობის აქცი ამბავთა ბუნებრივ მსვლელობას წინ დაუყენოთ? ბისმარკსა ჰსურდა ეთქვა, რომ ისტორიაში მოქმედი კაცი, ან აღაშიანთა ჯგუფი არასოდეს არ ყოფილა და არც იქნება ყოვლის შემძლებელიო. ეს, რა თქმა უნდა, ყოველს ეჭვს გარეშეა, მაგრამ ჩვენ ის გვინდა ვიცოდეთ, რამ გამოიწვია მათი არა მცირელი ძალა, რამ დაპირდა, რა გარემოებაში სუსტდება და რა გარემოებაში ძლიერდება? ამ საგნის შესახებ პასუხს არ გვაძლევს

არც ბისმარკი და არც ისტორიაზე „უნივერსალური“. შეხედულობის მოსარჩლე მეცნიერი ლამპრესტი.

ზემო მოყვანილ სიტყვებს გარდა ლამპრესტს სხვა უფრო საგულისხმიერო ციტატებიც მოჰყავს; მაგალითად, სიტყვები საფრანგეთის ისტორიული მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენელის მონოსი: „ისტორიკოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ შესანიშნავ ისტორიულ მოღვაწეებს, ბრწყინვალე და საგმირო საქმეთა, იმის მაგივრად, რომ გამოხატონ დიდებული, დინჯი მსვლელობა ეკონომიური პირობებისა და სოციალური დაწესებულებისა, რაიცა შეადგენს ნამდვილს საინტერესო და არა მსწრაფლ გარდამავალს ნაწილს კაცობრიობის განვითარებისას. ეს ის ნაწილია, რომელიც რამდენადმე მაინც შეგვიძლიან ანალიზის ქარ-ცეცხლში გავატაროთ და დავუქვემდებაროთ კანონებს. მართლაც, შესანიშნავი ამბავნი და შესანიშნავი კიცნი იმითი არიან შესანიშნავნი, რომ ნიშნობლივ გვიჩატავენ აღნიშნული განვითარების სხვა-და-სხვა შეამენტს“.

ლამპრესტი მზადაა მონოს ყოველი სიტყვა კეშმარიტებად აღიაროს. საზოგადოდ ცნობილია, რომ გერმანელსა და ფრანგის მეცნიერო არ უყვართ რაშიმე დაეთანხმონ ერთმანეთსა, ამიტომაც ბელგიელმა ისტორიკოსმა პირენემა დიდის სიამოვნებით აღნიშნა მონოსა და ლამპრესტის ისტორიულ შეხედულებათა შეთანხმება. „ეს შეთანხმება დიდ მნიშვნელოვანია, — ამბობს პირენი, — იგი ამტკიცებს, რომ მომავალი ახალ ისტორიულ შეხედულობას ეკუთვნისო“.

IV

ჩვენ არა გვწამს პირენის სასიამოვნო იმედები. შეუძლებელია მომავალი ეკუთვნოდეს გამოურკვეველ შეხედულობას, მონოსი და განსაკუთრებით, ლამპრესტის შეხედულობა ხომ სწორედ ასეთია. რაღა თქმა უნდა შეუძლებელია სიხარულით არ მივეგებოთ იმ მიმართულებას, რომელიც საზოგადო დაწე-

სებულების და ეკონომიკური პირობების შესწავლას აღვიარებს ისტორიული მეცნიერების უმთავრეს საგნად. ეს მეცნიერება დიდად განვითარდება, როდესაც საზოგადოდ შეითვისებს ასეთს მიშართულებას; მაგრამ, ჯერ ერთი, პირენი სცდება, თუ ეს მიმართულება ახალი რამა ჰგონია. ამ მიმართულებამ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის მეოც-და-ათე წლებში იჩინა თავი. გიზო, მინიე, ოგიუსტენ ტიერი და შემდეგში ტოკვილი და სხვანი ბრწყინვალე წარმომადგენლები იყვნენ ამ მიმართულებისა. მონოს და ლამპარეტის აზრები კი მხოლოდ სუსტი ასლია ძველის, მაგრამ შესანიშნავის ორივინალისა. გარდა ამისა, რაც უნდა ღრმა იყოს გიზოს, მინიეს და სხესთა საფრანგეთის ისტორიკოსთა შეხედულობა, მაინც მასში ბევრი რამ დარჩა გამოურკვეველი. ამ ისტორიკოსებმა ვერ გამოარკვიეს, რა მნიშვნელობა აქვს კაცს, პიროვნობას ისტორიაში. ისტორიულმა მეცნიერებამ კი უნდა გარდასწყვიტოს ეს საგანი, ხოლო ეს მოსახერხებელი იქნება მაშინ, უკეთუ ისტორიული მეცნიერების წარმომადგენლები თავიდან აიკილებენ ცალმხრივს შეხედულობას. მომავალი იმ ისტორიულს სკოლას ეკუთვნის, რომელიც საუკეთესოდ გამოარკვევს ამ საგანსა.

გიზოს, მინიესი და სხვათა ამ მიმართულების მიმდევართა შეხედულობა იყო რეაქცია იმ ისტორიული შეხედულობისა, რომელიც მეფობდა მეთვრამეტე საუკუნეში და ამის გამო ეს შეხედულობა უნდა ჩაითვალოს მის ანტიტეზად. მეთვრამეტე საუკუნის მკვლევარნი ისტორიის ფილოსოფიისა ყველაფერსა ხსნიდნენ კაცის შეგნებული მოღვაწეობით. მართალია, მაშინაც იყვნენ ისეთნი, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ ამ საერთო მიმართულებას. მაგალითად, საფილოსოფიო და საისტორიო თვალთახედვა ვიკოსი, მონტესკიესი და გერდერისა ბევრად უფრო ფართო იყო. მაგრამ ჩვენ თითო-ოროლაზე არა გვაქვს ლაპარაკი. უმეტესობა მე-18 საუკუნის მეცნიერთა ისე უყურებდა ისტორიას, როგორც ზევით აღვნიშნეთ. ამ მხრით მეტად საინტერესოა მაბლის საისტორიო თხზულებათა გადაკითხვა. მაბლისა ჰგონია, რომ მინოსმა შე-

ჰქმნა მთლად ზნე-ჩვეულება და პოლიტიკური ცხოვრება კრი-  
ტიკურგმაც ასეთივე სამსახური გაუწია სპარტასაო. თუ სპარტელებს სიმდიდრე „ეზიზლებოდათ“, ეს ლიკურგის,  
მეოხებით იყოვო, რომელიც ძლიერად ჩასწვდა თავის მოძმევების  
გულის სილრმესა. თუ შემდეგ სპარტელები ბრძენ ლიკურგის  
მიერ ნაანდერძევ გზას ასცდნენ, ეს ლიზანდრის ბრალიაო,  
რომელმაც დაარწმუნა სპარტელები, რომ „ახალი დრო, ახა-  
ლი ცხოვრების პირობები ითხოვს ახალ კანონებს და ახალ  
პოლიტიკასაო“. ამ გვარად დაწერილს გამოკვლევას თითქმის  
არაფერი საერთო არა ჰქონდა მეცნიერებასთან და უფრო  
წააგვდა ქადაგებას, საიდანაც ზნეობრივი მორალის გამოყვანა  
შეიძლებოდა. ასეთ შეხედულობას წინ აღუდგნენ რესტავრა-  
ციის ღროვის საფრანგეთის ისტორიკოსნი. წარსული საუკუნის  
შემაშფოთებელ-შემაძრწუნებელ ამბების შემდეგ ყოვლად შე-  
უძლებელი იყო კაცს ეფიქრნა, რომ ისტორია წარჩინებული,  
განათლებული და კეთილშობილი კაცების საქმეა, რომელთაც  
შეუძლიანთ თავისი სურვილით და ნებით ჩაგონონ სხვა-და-სხვა  
გრძნობა და მცნება გაუნათლებელსა, მაგრამ მორჩილს ბრძოს.  
ამასთანავე ასეთი ფილოსოფია ისტორიისა მეტად აშფოთებდა  
ბურჟუაზიის თეორეტიკების პლებეიურს სიამაყეს. აქ თავი იჩინა  
იმავე გრძნობამ, რომელიც წარსულ საუკუნეში აღმოჩნდა  
ბურჟუაზიულ ღრამის დაწყების დრო. ტიერი ხმარობდა ძველ  
ისტორიულ შეხედულობასთან ბრძოლაში, სხვათა შორის,  
იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომელიც ბომარშემა და სხვებმაც  
წამოაყენეს ძველი ესტეტიკის წინააღმდეგ. ისტორიულ ამბავთა  
მსვლელობა რომ მარტო აღამიანების შეენებული მოქმედებით  
არ გაიზომება, ეს იმ ქარიშხალმაც ცხადიდ დაგვანახვა, რომელ-  
მაც დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საფრანგეთს თავს გადა-  
უარა. მარტო ამ გარემოებას უნდა მივეყვანეთ იმ დასკვნამდის,  
რომ ისტორიული ამბავი ხდება რაღაც მალული აუცილე-  
ბლობის გავლენის წყალობით, რომელიც მოქმედობს, როგორც  
ბუნების სტიქიონური ძალა, ბრმად, მაგრამ გადაუვალი კანო-  
ნების ძალით. ღირს-შესანიშნავია ის სხვის მიერ ჯერ აღუნი-

შვერელი ფაქტი, რომ ახალი შეხედულობა ისტორიაზე, როგორც  
კანონს დაქვემდებარებულს პროცესზე, უფრო თან-და-თანობით  
გაატარეს საფრანგეთის რესტავრაციის დროის ისტორიკოსებ-  
მა, სახელდობრ იმ თხზულებებში, რომელიც საფრანგეთის რე-  
ვოლუციის შეეხება. ასეთია მინიეს თხზულებანი. შატობრიან-  
მა ახალს ისტორიულს სკოლას ფატჩლისტური სკოლა უწო-  
და. ამ სკოლის მამართულებას შატობრიანი ასე ახასიათებს:  
„ეს სისტემა მოითხოვსო, რომ ისტორიკოსი მოგვითხრობდეს  
უსაშინელესი ბარბაროსობის ამბავს აუშფოთებლად და უგულ-  
ოდ, უსიყვარულოდ ლაპარაკობდეს ჯეთილშობილურ და სათნოი-  
ან საქმეზე. საზოგადოებრივ ცხოვრებაში იგივე ისტორიკოსი თვი-  
სი მიუდგომელი თვალით უნდა ჰქედავდეს მხოლოდ ულმობელი-  
კანონების ზედომქმედებას და გავლენას, რომლის ძალით ყო-  
ველი ამბავი ჰქედება ისე, როგორც აუცილებლად უნდა მომ-  
ხდარიყო“. ეს შემცდარი აზრია. ახალი სკოლა სრულიადაც  
არა თხოულობდა, რომ ისტორიკოსს ვნება და აღელვება არ  
გამოეჩინა. ოგიუსტენ ტიერი პირდაპირ აცხადებს, რომ „პო-  
ლიტიკური გატაცება და ვნება, ავარჯიშებს რა მკვლეეარის  
კეყუას, კეშმარიტების აღმოჩენის დიად საშუალებად ჰქედვაო.  
საკმარისია ცოტაოდნად გავიცნოთ გიზოს, ტიერის, ან მინიეს  
თხზულებანი, რომ დავინახოთ, თუ როგორ თანაუგრძნობდნენ  
ისინი ბურუუაზიას, როგორც საერო და სასულიერო არისტოკ-  
რატიასთან ბრძოლაში, ისე ახლად აღორძინებულ პროლეტა-  
რიატის მოთხოვნილების დათრგუნებაში. მაგრამ, აი, რა არის  
ეჭვს გარეშე. ახალმა ისტორიულმა სკოლამ თვით იჩინა მე-19  
საუკუნის მეოცე წლებში, ესე იგი, იმ დროს, როდესაც არის-  
ტოკრატია დამარცხებული იყო ბურუუაზიისაგან, თუმცა კი-  
დევ სცდილობდა აღედგინა ზოგიერთი თვისი ძველი უპირა-  
ტესობა. ახალი სკოლის ყველა ისტორიკოსების მსჯელობაში  
გამოსჭვიოდა სიამაყე, გამოწვეველი მათი კლასის გამარჯვებით  
და, რაკი ბურუუაზია რაინდულ სიფაქიზესთან ყოველთვის  
მწყრალად გახლდა, ამიტომ ბურუუაზიის წარმომადგენერლი მეცნიერნი  
ხანდახან სასტიკად იხსენიებდნენ და ულმობელად

ეპურობოდნენ დამარცხებულთ. „ძლიერი სჩაგრავს სუსტსაო და ამის უფლებაცა მაქსო“, — ამბობს გიზო ერთ თავის საპოლე-მიკო ბროშურაში. ნაკლების სისასტიკით არ ეკიდებოდა გიზო მუშებსა. აი აშ სიმკაცრემ, ამ სისასტიკემ, რომელიც ხანდახან მიუდგომლობის მშვიდ სახეს იღებდა, თითქო ენების ნასახიც არ მოეპოვებაო, შეიყვანა შეცდომაში შატობრინი. გარდა ამი-სა, მაშინ ჯერ ნათლად არა ჰქონდათ გამორკვეული, თუ რა თვალით უნდა ეცქირნათ და როგორ გაეგოთ კანონის წესი-ერება ისტორიულის მოძრაობისა. ესეც რომ არ იყვეს, ახალი სკოლა შეიძლება მოსჩვენებოდათ ფატალისტურად, რადგან რა-კიდა სცდილობდა ისტორიული მსვლელობა დაემორჩილებინა გარდაუვალი ისტორიული კანონებისათვის, სრულიად ყურად-ლებას აღარ აქცევდა დიდებული ისტორიული გმირების მოქ-მედებას. რასაკვირველია ძნელი იყო ამ აზრს შერიგებოდა მე-18 საუკუნის ისტორიულ იდეებით აღზრდილი აღამიანი. ის-ტორიკოსნი საყედურით დაახრჩეს, და ამის გამო ისტყვდა კამა-თი, რომელიც, როგორც ზემოდ დავინახეთ, დღემდისაც არ და-სრულებულა.

1826 წელს, იანვარში, სენტ-ბევი სწერდა „globe“-ში მინიეს საფრანგეთის რევოლუციის ისტორიის მეხუთე და მე-ექვსე ტომის გამოსვლის შესახებ: „ადამიანს ყოველ წამში შე-უძლიან თავისი ნების უეცარი გარდაწყვეტილებით შეიტანოს ამბავთა მსვლელობაში ახალი, მოულოდნელი, ცვალებადი ძა-ლა, რომელსაც შეუძლიან ამ ამბავთ სხვა გვარი მიმართულე-ბა მისცეს. თვით ეს ძალა კი არ გაიზომება თავისივე ცვალე-ბადობის გამო“. ნუ კი ვიფიქრებთ, რომ სენტ-ბევს ეგონოს, ვითომც „ადამიანის ნების უეცარ გარდაწყვეტილებას“ მიზეზი არა ჰქონდეს. სრულიადაც არა, ეს მეტის-მეტი გულუბრყვი-ლობა იქნებოდა. სენტ-ბევი ამტკიცებს მხოლოდ, რომ აღა-მიანის გონებრივ და ზნეობრივ თვისებას, რომელიც ასე თუ ისე შესამჩნევ როლს თამაშობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისს ნიჭისა და ცოდნას, გამბედაობასა და გაუბედაობას, სიმა-

მაცესა და სიმუხტლეს და სხვ., არ შეიძლება არა ჰქო, დეს გავ-  
ლენა ამბავთა მსვლელობასა და შედეგზე.

ასეთი თვისებანი აღამიანისა მარტო ხალხის განვითარების სა-  
ერთო კანონებით არ აიხსნება. თვისებანი ჰმუშავდებიან უმეტეს  
შემთხვევაში მისი ზედმოქმედებით, რასაც ეძახიან კერძო ცხოვ-  
რების შემთხვევა-გარემოებას. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალი-  
თი ამ, ვგონებ, ისედაც ცხადის აზრის განსამარტავად.

ავსტრიის მემკვიდრეობისათვის ოშში საფრანგეთის მხედ-  
რობამ რამდენჯერმე ბრწყინვალედ გაიმარჯვა. საფრანგეთს  
შეეძლო ქარგებლა ამ გამარჯვებით და ჩამოერთეა ავსტრიი-  
სათვის დიდი აღგილები ეხლანდელს ბელგიაში. ლიუდოვიკ-  
მე-XV-მ ასე არ ინება, რადგან; მისის სიტყვით, ის იბრძოდა,  
როგორც მეფე და არა როგორც ვაჭარი. ამიტომაც აქენის ზავ-  
მა არაფერი არ არგუნა ფრანგებს. თუ რომ ლიუდოვიკმ მე-  
XV-ს სხვანაირი ხასიათი ჰქონოდა, შეიძლებოდა გაფართოვე-  
ბულიყო საფრანგეთის ტერიტორია (მიწა-წყალი), რის გამოც  
რაოდენადმე შეიცვლებოდა მისი პოლიტიკური და ეკონომიკუ-  
რი განვითარება.

როგორც ვიცით, შვიდის წლის ომის დროს საფრანგეთს  
კავშირი ჰქონდა ავსტრიასთან. აშბობენ, ეს კავშირი ქნის  
პამპადურის ძლიერის დამარტებით მოხდა, რომელსაც დიდად  
მოჰქონდა თავი, რომ ამაყმა მარია ტერეზამ წერილში ძვირ-  
ფასი მეგობარი უწოდათ. მაშასადამე, შეგვიძლიან ვსოდეთ:  
ლიუდოვიკმ მე-XV-ს მაგარი ხასიათი რომ ჰქონოდა, ან-და  
უფრო ნაკლებ ყოფილიყო ფავორიტების გაელენის ქვეშ, მაშინ  
აღარც პამპადურს ექნებოდა ასეთი გავლენა ამბავთა მსვლელობა-  
ზე, რის გამო ისტორიული ამბავიც სხვა მიმართულებას მიიღებ-  
და. შვიდი წლის ომი საფრანგეთისათვის ცუდად დასრულდა. ამ  
დროის სარდლები რამოდენჯერმე სამარცხვინოდ დამარცხდნენ.  
საზოგადოდ, გენერლები უცნაურად ჰმოქმედობდნენ: რიშელიე,  
ძარცვა-გლეჯის მეტს არას აკეთებდა, სუბიზი და ბროლი ერთ-  
მანეთს ხელს უშლიდნენ. მაგალითად, როცა ბროლი ფილინ-  
გუზენთან მტერს შეებრძოლა და იერიში მიიტანა, სუბიზს,

თუმცა კარგად ესმოდა ყუმბარების ხმა და წინდაწინ. ნავარა-  
ულევიც ისე ჰქონდათ, რომ უნდა მიშველებოდა ბროლის,  
არ მიეშველა და ბროლი იძულებული გახდა უკან დაეწია. ამ  
მეტად უნიჭო სარდალს სუბიზს იგივე ქალბატონი პამპალური  
მფარველობდა. აქ იმისივე თქმა შეგვიძლიან, რაც ზემოდა  
ვსთქვით; ლიუდოვიკო XV რომ ნაკლები მოარმიყე ყოფილიყო  
ქალებისა, ან მისი ფავორიტკა არ გარეულიყო პოლიტიკაში,  
მაშინ საფრანგეთის საქმე ასე ცუდად არ მოეწყობოდა.

საფრანგეთის ისტორიკოსების სიტყვით სრულიადაც არ  
იყო საჭირო საფრანგეთისათვის ევროპაში ომი. მთელი თვისი  
ძალ-ლონე ზღვაზე უნდა მოეკრიბა, რომ დაეფარა ინგლისი-  
საგან თვისი ახალშენები. თუ საფრანგეთი ასე არ მოიქცა, ამან  
ში ისევ ქ-ნ პამპალურს ადევს ბრალი, რომელსაც ჰსურდა ესი-  
ამოვნებინა „ძვირფასი მეგობრის“ მარია ტერეზისათვის. შვი-  
ლის წლის ომის წყალობით საფრანგეთმა დაჰკარგა თვისი სა-  
უკეთესო ახალშენები, რამაც, უეჭველია, დიდი გავლენა იქო-  
ნია მის ეკონომიურს ურთი-ერთობაზე. ამ სახით ქალის თავ-  
მომწონეობა ეკონომიური განვითარების ძლიერ ფაქტორადა  
ჰქდება.

ნუ თუ კიდევაა საჭირო მაგალითები? მოვიყვანოთ კიდევ ერთი;  
შეიძლება, უფრო განსაკვიფრებელი მაგალითი: ამავე შვილის  
წლის ომის დროს, აგვისტოში, 1761 წ., ავსტრიის ჯარი შეუერ-  
თდა რუსისას სილეზიაში და შემოერტყა ფრიდრიხს შტრიგაუს  
მახლობლად; ფრიდრიხის მდგომარეობა უიმედო იყო. მაგრამ მო-  
კავშირენი აგვიანებდნენ თავდასხმას. სარდალი ბუტურლინი 20.  
დღე იდგა მტრის წინ, ბოლოს მხოლოდ ნაწილი თავისს მხედრო-  
ბისა ავსტრიის სარდლის ლაუდონის მისაშველებლად დასტოვა დ  
თვითონ სულაც წაეიდა სილეზიდან. ლაუდონმა აილო შვეი-  
დინცი, რომლის მახლობლად ფრიდრიხი იდგა, მაგრამ ეს გა-  
მარჯვება მეტად მცირე-მნიშვნელოვანი იყო. რა იქმნებოდა  
მაშინ, ბუტურლინს რომ უფრო გამბედაერ ხასიათი ჰქონდა?  
რა მოხდებოდა—მოკავშირენი რომ დასხმოდნენ მტერს, ვიდრე  
ფრიდრიხი ჯებირს შემთარტყამდა ბანაკს? შესაძლებელია, რომ

მოკავშირეთ სასტიკად დაემარცხებინათ ფრიდრიხი. მაშინ უკანასკნელი უნდა დამორჩილებოდა გამარჯვებულთა ყოველ მოთხოვნილებას. ეს მოხდა სწორედ რამდენისამე თვის წინააღმდეგრატრიცა ელისაბედის სიკვდილისა. ეს კიდევ ახალი შემთხვევა, რომელმაც ძლივრ შესცვალა საქმის გარემოება ფრიდრიხის სასარგებლოდ. ახლა ვიკითხოთ, რა იქნებოდა, რომ პუტიურლინს უფრო გამბედავი ხასიათი ჰქონოდა, ან-და მის მაგიერ სუვოროვის მზგავსი კაცი ყოფილიყო რუსის ჯარის სარდლად?

სენტ-ბევმა, „ფატალიზმის“ მიმდევარ ისტორიკოსების შეხელულობას რომ არჩევდა, ერთი სხვა მოსაზრებაც წარმოადგინა, რომელსაც უყურადლებოდ ვერ დავტოვებთ. ზემოდ-აღნიშნულ წერილში მინიეს ისტორიის შესახებ სენტ-ბევი ამტკიცებს, რომ საფრანგეთის რევოლუციის ბედსა და თავგადასავალზე გავლენა ჰქონდა მარტო იმ საზოგადო მიზეზებს კი არა, რომელმაც რევოლუცია გამოიწვია, არა, სხვა მრავალი წვრილ-მარი, მკვლევარისაგან შეუმჩნეველი მოვლენანიც ჰმოქმედობდა მის მსვლელობაზე.

„იმ დროს, როცა საზოგადო მიზეზნი და მათგან გამოწვეულნი ვნებანი მოქმედებდაო, — სწერდა სენტ-ბევი, — ფიზიკური და ფიზიოლოგიური ბუნების ძალნიც მოქმედებაში იყოო. ქვა ისევ ემორჩილებოდა სიმძიმის ძალას, სისხლსაც არ შეუწყვეტია ძარღვებში ჩქეფა. ნუთუ არ შეიცვლებოდა ამბავთა მიმდინარეობა, ვთქვათ, მირაბო რომ არ მომკვდარიყო ცხელებით, ან-და უყცრად გადმოვარდნილს აგურს, ან წევთის დაცემას რომ მოეკლა რობესპიერი? ან ბონაპარტესთვის სიცოცხლე რომ მოესპო ტყვიას? ნუთუ გაჭერავზე და იტყვით, რომ შედეგი ამ ამბისა იგივე და არა სხვა იქნებოდა? თუ საკმაოდ ბევრს ისეთს შემთხვევას დავასახელებთ, როგორიც ზევით ჩამოვთვალეთ, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ შედეგი რევოლუციისა სრულიად წინააღმდეგი იქნებოდა იმ შედეგისა, რომელიც, თქვენის აზრით, აუცილებელი იყო და მე ხომ ნება მაქვს ასეთი შემთხვევა წარმოვიდგინო, რადგან ამ შემთხვევას

არა სპობს არც საზოგადო მიზეზი რეცოლიუციისა, არც ამ საზოგადო მიზეზით გამოწვეული ვწება-მღელვარება. ისტორია სულ სხვა გზას დაადგებოდა, კლეოპატრას რომ ცოტა უფრო მოკლე ცხვირი ჰქონდა,—მოგვაგონა სენტ-ბევმა ცნობილი ისტორიული გადმოცემა და დასასრულ, აღნიშნა რა რომ მინიეს აზრის დასაცველად ბევრი რამ ითქმისო, ერთხელ კიდევ გვიჩვენა, თუ რაში მდგომარეობს მინიეს შეცდომა: მინიე მარტო საზოგადო მიზეზების ვაკლენას აწერს იმ შედეგს, რომლის გამოჩენას ხელს უწყობს სხვა მრავალი წერილმანი, მაღალი და შეუმჩნეველი მიზეზნიო. მინიეს სისტემატიურსა და სასტიკს ჰკუტა-გონებას თითქოს არა ჰსურს აღიაროს იმის არსებობა, რაშიაც ეერა ჰხედავს წესიერებას და კანონიერობას..

## ლ. ჭ.

(დასასრული იქნება)

# ჩარლზ პარნელი

ებ. ტარლესი \*)

## II

პარნელის მამა ინგლისელი პროტესტანტი იყო; მისი წინაპრები გადასახლდნენ ირლანდიაში, — ავონდელის ოლქში. თავის დიდის ხნის აქ ცხოვრების დროს პარნელის გვარი ერთობ შეეთვისა ირლანდიელებს, შეაყვარა მათ თავი, თუმცა ტომითაც და სარწმუნოებითაც განსხვავდებოდა იგი მკვიდრთა-გან. პარნელის მამა, სერ ჯონი ამერიკაში მოგზაურობის დროს შეხვდა მისს სტიარტს, ამერიკელ ვიცე-აღმირალის ქალს, შეირთო იგი ცოლად 1846 წ. 27 ივნისს და ავონდელში დაიბა-და ჩარლზ პარნელი. ექვს წლამდე ბავშვი მშობლების ხელში სცხოვრობდა; ექვსი წლისა კი ინგლისში წაიყვანეს და ვიღაც ბარტონის სკოლაში მისცეს. აქ მან მიიღო საშუალო განათ-ლება და შევიდა უნივერსიტეტში. როგორი იყო ამ დროს მისი მიმართულება, ძნელია სოქეას კაუმა, რადგანაც იგი ერთობ გულ-ჩახვეული ადამიანი იყო და არავის უნაწილებდა თავის აზრებს. შემდეგში თვითონ პარნელს უთქვამს, რომ იგი ბავ-შვობიდანვე შეიქმნა მტერი თავის ერისა და მოყვარე მისთვის უცხო ირლანდიელებისა და ამ გარემოების მიზეზი შემდეგი შემთხვევა ყოფილა.

ავონდელში ცხოვრობდა მოხუცი მექარე, რომელსაც პარ-ნელი ძალიან დაუმევობრდა, და რომელიც ხშირად ართობდა

\*) „Mirkъ Божии“, 1899 წ. №№ 1, 2 და 3.

მას სხვა-და-სხვა ამბებით. მოხუცს კარგად ახსოვდა. 1798 წელი, როცა სარწმუნოებრივი დევნითა და შიმშილით მოთბინებიდან გამოსულნი ირლანდიელნი აუჯანყდნენ ინგლისს; ახსოვდა აგრეთვე საშინელი დაცხრობა ამ აჯანყებისა. ერთი ეპიზოდი ამ დაცხრობისა ეამბნა მოხუც მეკარეს პარნელისათვის: რომელილაც ინსურგენტი ტყვედ დაიჭირეს და გარდაუწყვიტეს როზგის ქვეშ სიკვდილი. ინგლისელმა პოლკოვნიკმა, რომელსაც სისრულეში უნდა მოეყვანა ეს გარდაწყვეტილება, ბრძანა მისი ურებზე მიკვრა და მუცელზე როზგის ცემა. ტყვილა ემულარებოდა საბრალო ტყვე მტარვალებს, რომ იგი ერთბაშად მოეკლათ: საშინელი წამების შემდეგ როზგს ქვეშ ამოხდა უბელურს სული.

ამ მოთხრობამ ჩარნერგა პარნელს გულში იწველისის ბატონობის სიმძულვარე. კემბრიჯის უნივერსიტეტში იგი 18 წლისა შევიდა და დაპყო იქ ოთხი წელი; აქაც არავის უნაწილებდა იგი თავის აზრებს და ამიტომაც არ ვიცით, როგორი იყო ამ აზრების მიმართულება.

1869-ში პარნელი უნივერსიტეტს თავს ანებებს, ისე კი, რომ არც ერთი სამეცნიერო ხარისხი არ მიუღია, და ამხანაგებიც ისე უყურებდნენ მას, როგორც ქარაფშუტა ახალგაზლას, რომელსაც კროკეტი და ყოველგვარი სპორტი უფრო აინტერესებს, ვიდრე მეცნიერება.

1867 წ.-ში მოხდა ერთი ამბავი, რომელმაც მეტად დიდი გაელენა იქონია მისს ცხოვრებაზე და, ახლობლების აზრით, საბოლოო მიმართულება მისცა მისს პოლიტიკურს რწმენებს. სამოციან წლებში ფენიების \*) მოძრაობა განცხოველდა; გამშირდა პოლიტიკური მკვლელობა. მართებლობა ფენიებთან ბრძოლაში ლოიალურად იქცეოდა; მას არ მიუმირთავს განსაკუთრებულ კანონებისათვის; ფენიების გამსამართლებელი ჩვე-

\*) პოლიტიკური პარტია ირლანდიაში, რომელიც ტერორით, პოლიტიკური მკვლელობით ცდილობდა დაებრუნებია ირლანდიისათვის თავისუფლება.

ულებრიეთ ნაფიცი მსაჯულები იყვნენ. მანჩესტერის სატუსა-ლოში რამდენიმე ფენია იჯდა; 1867 წ.-ში პატიმართა აშხანა-გებმა სკადეს მათი განთავისუფლება და ამ ცდის დროს მოჰკ-კლეს ერთი დარაჯი. დამნაშავენი დაიჭირეს, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ისინი ჩამოახრჩეს მანჩესტერში. პარნელი მეტად შეაძრწუნა ამ საქმემ და, მისი დის სიტყვით, ღრმა ცვლილება მოახდინა მასში: დაპკარგა ჩვეულებრივი აღუშ-ფოთველობა, სიბრაზირ ლაპარაკობდა ინგლისელებზე და დიდ-ხანს ეერ მოახერხა დამშვიდება, მაგრამ რამდენისამე ხნის შემ-დეგ ჩვეულებრივ ცხოვრებას შეუდგა.

1869-დან 1874-მდე პარნელი თავის საგვარეულო მამულ-ში ცხოვრობდა ავონდელის ახლო და ეს ცხოვრება ნამდვი-ლი სოფლელი მებატონის ცხოვრება იყო — ზარმაცი, უქმი და მოსაწყენი. ამ დროს ის, გარეგნად მაინც, ტიპიური ინგლისე-ლი არის ცოკრატი იყო. სპორტის მეტს ის არა მისდევდა. ცურ-ვა, თევზაობა, ნაჟირობა, ცხენით სეირნობა, — ამ მისი ამ დრო-ინდელი ცხოვრების პროგრამმა.

სამოც-და-ათიან წლებიდან პარნელი იწყებს ირლანდიელ-თა საქმეების ჩაკვირვებას და ეცნობა მაშინდელი მოძრაობის წარმომადგენლებს. პირველად ყოვლისა მას ესმის ისააკ ბიუტის სახელი, იმ ისააკ ბიუტის, რომელმაც 1870 წელში დააარსა „ჰომრულის საზოგადოება“, და რომელსაც დიდის იმედებით შესცემა დადგინდნენ. ისააკ ბიუტი სინიდისიერი პოლიტიკური მოღ-ვაწე იყო და რაც შეეხება მის რწმენებს, მას იმედი ჰქონდა, რომ ინგლისის პარლამენტი თავის დროზე მისცემს ირლანდის თვით-მმართველობას და შეასრულებს ირლანდიელ პატრიო-ტთა სურვილებს, თუ მას არ გააგულისებენ და არ დააფრთ-ხობენ. ამდროს ინგლისის პარლამენტში იჯდა საშოცამდე ირ-ლანდიელი ჰომრულერი. ამათგან ნახევარზე მეტი ინგლისელი ვიგები იყვნენ, რომელნიც განსაკუთრებული ზომების ირლან-დიაში შემოღების წინააღმდეგი იყვნენ. საფიქრებელი იყო აგ-რეთვე, რომ თუ ვინიცობა ირლანდის თვით-მმართველობის პროექტი იქმნებოდა წარმოდგენილი პალატაში, ეს ვიგები ამ

პროექტის მომხრეები იქმნებოდნ ენ. ნამდვილ ირლანდიელ დეპუტატთა, რიცხვი ესე იგი, იმისთანა დეპუტატთა, რომელიც თავის დეპუტატობის შიზნად ირლანდიისათვის ჰომილულის (თვით-მმართველობის) შემოღება მიაჩნდათ, არ აღმატებოდა ოც და ათს. ამ გარემოებათა შორის ისაკ ბიუტი ბევრს ვერას ახერხებდა: იგი აჩვენებდა პალატას ირლანდიის საქმეებს, ეხვეწებოდა და ემუდარებოდა მას სხვა-და-სხვა საჭიროების დაკმაყოფილაბას და ამისთვის ხან-და-ხან ურიკდებოდა პარლამენტის სხვა-და-სხვა ჯგუფებს; საზოგადოდ, იქცეოდა ისე, თოთქო დარწმუნებული იყო, რომ თუ ინგლისი არ აძლევს თვით-მმართველობას ირლანდიას, ამის მიზეზი რაღაც ბელითი გაუგებრობაა და არა სხვა რამე, საჭიროა ამ გაუგებრობის მოსპობა და ყველაფერი კარგად წავაო. ბიუტი გულ-კეთილი და რბილი კაცი იყო და როგორც პარლამენტში, ისე ირლანდიაშიც ვერ ახერხებდა ნამდვილ ბრძოლას. გარდა ამისა იგი მეტად ლარიბი კაცი იყო, მუდამ დღე სიღატაკეს ებრძოდა, ერთხელ სატუსაღოშიც იჯდა ვალებისათვის და სწორედ საარჩევანო აგიტაციის დროს, როცა მისი ირლანდიაში ყოფნა განსაკუთრებით საჭირო იყო.

თუ ირლანდიელ წარმომადგენელთა ჯგუფი მცირე, სუსტი და უფერული იყო, სამაგიეროდ მისი მიზანი, იდეალი ცხადად გამორკეული იყო, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც საპარლამენტო ცხოვრებაში, ისე პარლამენტის გარედაც. 1798 წ. ირლანდიაში აჯანყება მოხდა; აჯანყებულები დამარცხდნენ და ინგლისის მართებლობამ გამოსცა ბილლრ ეგრედ წოდებული „საბოლოო უნია“; ამ ბილლით ირლანდია გახდა ბრიტანიის სამეფოს განუყოფელი ნაწილი და ეძლეოდა უფლება ეგზავნა ინგლისის პარლამენტში 32 პერიოდოდების პალატაში. და ასი დეპუტატი სათემო პალატაში. ამ ასი წარმომადგენელიდან ნახევარზე მეტი ირლანდიაში მცხოვრები ინგლისელები ირჩეოდნენ ხოლმე და ამ გვარად ირლანდია მოკლებული იყო ნამდვილ წარმომადგენლობას. ამიტომაც მე-19 საუკუნის დაწყებიდანვე, ირლანდიელ პარტიის მიზანი იყო უნიის მოსპობა და ირლანდიისათვის საკუთარი პარ-

ლამენტის დაარსება; ეს პარლამენტი უნდა ყოფილიყო კუნძულის ყველა საქმეების გამგე; რჩებოდა მხოლოდ გარეშე პოლიტიკის ზოგიერთი კითხვები, საღაც ინგლისის პარლამენტსაც უნდა ჰქონოდა ხმა.

აი ეს მიზანი აქვს მე-XIX საუკუნის ირლანდიელთა მოძრაობას. ხანდა ხან ეს მოძრაობა იფეთქებდა ისე მოულოდნელად და ნათლად, რომ მთელი ქვეყნის ყურადღებას მიიპრობდა. ასე იყო, მაგალითად, ო'კონნელის დროს 30-იან და 40-იან წლებში, და ყოველთვის, როცა ირლანდიას პერიოდიულად შიმშილობა ეწვეოდა. სოციალური და პოლიტიკური კითხვები აქ მჭიდროდ არიან გადაბმულნი ერთი-ერთმანერთზე. თვით-მმართველობას, ჰომერულს უყურებდნენ, როგორც ეკონომიურ უბედურების უებარ წამალს; ან ტაგონიზმი, რომელიც მუდამ არსებობდა კელტებსა და ანგლო-საქსების შორის (რასებრივი ან ტაგონიზმი) ამწვავებდა და აშმაგებდა ორ მებრძოლ პარტიას; და სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ჰომერულისითვის ბრძოლა ხშირად ასე დიდი და დიალი იყო. თუ დიდი ბრიტანიის ისტორიის ფურცლებზე ეს ხანა სისხლით არის აღმეჭდილი, ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ აქ ამ ბრძოლაში სამი ელემენტია ერთი მეორეზე გადაბმული: ეროვნული ან ტაგონიზმი, კლასსური ელემენტი და განსაზღვრული და გამორკვეული უახლოესი იდეალი, ფენიები, რომელიც ძალას ხმარობდნენ ინგლისელ ლენდ-ლორდების (მებატონეების) და მოხელეების წინააღმდეგ წარმოადგენდნენ პარლამენტის გარე მოძრაობას; პარლამენტში როგორ იყო წარმოდგენილი ეს მოძრაობა, ჩვენ კიდევ ვნახეთ. ისააკ ბიუტი ეჯავრებოდა ფენიები. მისი შეხედულობით, ფენიები მხოლოდ აბრაზებენ ინგლისელებს და ხელს უშლიან კითხვის საკანონმ-დებლო გზით გადაწყვეტას.

## II

1874 წელში უნდა მომხდარიყო საპარლამენტო არჩევნები. ბიუტი სააგიტაციოდ დუბლინში იმყოფებოდა; ერთ მშვე-

ნიერ დღეს მასთან მოვიდა ახალგაზდა ჩარლზ პარნელი და გა-  
მოუცხადა, რომ მას სურს კენჭი იყაროს, როგორც ირლან-  
დის პარტიის წევრს და აზრად აქვს დაიდგას უფთი უკუკლოუს  
ოლქში. ბიუტი სახტად დარჩა, რადგანაც პირველად ხედავდა  
ამ ახალგაზდა კაცს. მართლაც, საკვირველი იყო პარნელის  
ქცევა: აქაშდე, ეს იგი 28 წლამდე, მას არავისთან არ ულა-  
პარაკნია თვის პოლიტიკურ ჩრდენებზე და სპორტის. მეტს  
არას მისდევდა. გარდა ამისა, პარნელი გარეგნობით წამდვილი  
ინგლისელი მებატონე იყო და ლაპარაკის კილოც (accent) ბუ-  
ნებით ბრიტანელის ჰქონდა, რასაც ირლანდიელი ამომრჩევე-  
ლი ეჭვის თვალით უყურებს. მაგრამ ამასთანავე ცნობილი იყო,  
რომ პარნელის პაპა და მამა ირლანდიელების მომხრენი იყვ-  
ნენ და საზოგადოდ ხალხი დიდ პატივს სცემდა ამ ოჯახს. პარ-  
ნელის შეძლებაც საყურადღებო იყო: პარტიას არ დასჭირდე-  
ბოდა მისთვის ჯამაგირის ძლევა და, მაშასადამე, პარნელის არა-  
ჩევა პარტიის კასსისათვის დიდი ეკონომია იქმნებოდა.

ამგვარად პარტიას არ ჰქონდა მიზეზი უარი ეთქვა პარ-  
ნელისათვის. ბიუტმა მოახსენა „პომრულის კომიტეტს“ პარ-  
ნელის თხოვნა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ კომიტეტმა  
გადასწყვიტა დახმარებოდა ახალგაზდა კანდიდატს. ერთ საარ-  
ჩევნო მიტინგზე პარნელი გაცემნეს საზოგადოებას, როგორც  
მომავალი პარლამენტის სასურველი წევრი, და კანდიდატს საარ-  
ჩევნო სიტყვის თქმის ნება მისცეს. პარნელი ავიდა ტრიბუ-  
ნაზე, მაგრამ აქ მეტად უსიამოვნო და მოულოდნელი რამ  
მოხდა: ლაპარაკი აქეარებულად დაიწყო, სიტყვები არ ისმო-  
და, რაღასაც თავისთვის ბუტბუტებდა და ბოლოს შეჩერდა  
შუა სიტყვაზე. მეტად ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენე-  
ლებზე ახალგაზდა კანდიდატმა; უკვირდათ კიდევც, კომიტეტ-  
მა როგორ წარმოგვიდგინა ამისთანა უნიჭო კაცი, როგორც  
სასურველი კანდიდატიო. რასაკვირველია, პარნელი გააშავეს დი-  
დის ხმის უმეტესობით.

ამ უსიამოვნო შემთხვევამ ვერა დაკლო-რა. პარნელის  
ენერგიას. ყველაფერი აღუშფოთველად გადიტანა და გამოა-

ცხადა, რომ როგორც კი რომელიმე დამატებითი არჩევანი მოხდება, ყუთს დაიდგამს. შემთხვევაც მაღლ გამოჩნდა. მისის (სახელია) ოლქის წარმომადგენელი მოკვდა 1875 წ. და მის მაგირ ახალი უნდა აერჩიათ. პარნელმა იყარა კენჭი და არჩეულ იქმნა 1875 წლის აპრილში. 1875 წელს აპრილის 22-ს საღამოს პარნელმა პირველად შესდგა ფეხი ინგლისის პარლამენტში.

1875 წლის გაზაფხულის სესსია შეტად საინტერესო იყო ირლანდიელთა პარტიისათვის, რადგანაც მართებულობას აზრად ჰქონდა წარმოედგინა რეპრესიული ბილლი ფენიების წინააღმდეგ. ამ ზომას მისი მომხრეები რეპრესიას როდი ეძახდნენ; მათი ტერმინოლოგით იგი იყო ბილლი ირლანდიაში მშვიდობიანობის დაცვისა. 1872 წ. აგრარულ დანაშაულობათა რიცხვი 255-მდე ავიდა. 73-ში — 254-მდე, 74-ში — 263-მდე. ამიტომაც მაშინდელი მართებლობის წევრი მიხეილ გიქს-ბიჩა ამტკიცებდა, რომ საჭიროა განსაკუთრებული კანონების მოქმედების განვითარება და ირლანდიის გამგებელის უფლებების გაძლიერებათ. ირლანდიის წარმომადგენლებმა პროტესტი განცხადეს, მაგრამ სუსტად, უსისტემოდ, ერთმანერთთან შეუთანხმებლად.

26 აპრილს პარნელმა წარმოსთქვა პარლამენტში თავისი პირველი სიტყვა. ამ საღამოს იგი შესანიშნავად ლაპარაკობდა, ისე, როგორც ყოველთვის შემდეგში. ირლანდიაში მიტინგზე მომხდარი არეულობა პირველი და უკანასკნელი იყო. მის ცხოვრებაში. ლაპარაკი მისი აღუშთოთებელი, გარკვეული და გაბედული იყო, ამასთანავე ფრაზიორობას სრულებით მოკლებული; ასე რომ აუდიტორია ძალა-უწებურად გულ-მოდგინედ უსმენდა მას.

„მე მაკვირვებსო, — სთქვა მან, — რომ რამდენისამე შემთხვევების გამო ირლანდიის ერთ-ერთ კუთხეში შართებლობამ უნდა შემოილოს განსაკუთრებული კანონები კუნძულის ყველა მცხოვრებლებისათვის. გვეუბნებიან, რომ ინგლისელ მებატონეთა საკუთრებას უფლება საშიშარ მდგომარეობაში არისო.

ჩვენ ყოველთვის გვესმის აქ საკუთრების უფლებაზე ლაპარაკი; მაგრამ არასოდეს არა უთქვამთ-რა საკუთრების მოვალეობა-ზე.... ბატონი დერრის წარმომადგენელი (გიქს-ბიჩი) გვეუბნება, რომ ავთონ ირლანდიელი არენდატორებიც კი (მოიჯარად-რე) მომხრენი არიან განსაკუთრებული კანონებისო. მე არა ვფიქრობ, რომ ირლანდიელი არენდატორი იცდენად გატაცებული იყოს თავისს კერძო კლასსური ინტერესებით, რომ მათ თავის ქვევნის ინტერესები ანაცვალოს. შეიძლება მოვიდეს ის დღეც, როდესაც ირლანდიელი არენდატორი დაინახავს, რომ მე ისეთივე უანგარო მეგობარი ვარ მისი, როგორც მაგ. ბ.ნი დერრის წარმომადგენელი. მე ამას პირდაპირ ვამბობ, რადგანაც ვიცი, რომ არენდატორისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს საარენდო მიწის უზრუნველ-ყოფას; მაგრამ ისიც ვიცი, რომ ფეხვი ირლანდიის არევ-დარევისა ირლანდიის პომრულის პრინცების მივიწყებაშია.... არ შეიძლება ვუყუროთ ირლან-დის, როგორც ინგლისის გეოგრაფიულ ნაწილს. ირლანდია გეოგრაფიული ნაწილი არ არის, —იგი ერია“.

პარნელის „შემდევ სხეა ირლანდიის წარმომადგენლებშიც ილაპარაკეს და განიმეორეს წინად თქმული სიტყვები... როგორც მოსალოდნელი იყო, ბილლი სამივეჯერ გავიდა. პარნელი უკ-ვირდებოდა თავის ამხანაგებს, რომელთაც ეხლა პირველად შეხვდა, და შემდევ დასკვნამდე მივიდა: ის, რასაც ისაკ ბიუ-ტი თავის პარტიას ეძახდა, არ იყო ღირსი ამ სახელისა. იმ პირთა რიცხვი, რომელნიც თავის თავს „ირლანდიელ პატრი-ოტებს“ ეძახდნენ, არ აღემატებოდა ორმოცს; ხანდახან ამათ მხარს აძლევდნენ ინგლისელი ვიგები, მაგრამ მათი ანგარიშში ჩათვლა მეტის გულ-უბრყვილობის ნიშანი იქმნებოდა. რიც-ხვის სიმუირესთან ერთობაც აკლდათ ირლანდიის წარმო-მადგენლებს: ესენი ერთმანერთს აშლოდნენ და მერე ისეთის ფფექტით, რომ პარლიმენტში უცხო პირები დარწმუნებით ღა-პარაკობდნენ, რომ ირლანდიელი დეპუტატები ერთმანერთს ხმას არ სცემენ და რამე საქმეზე სალაპარაკოდ ინგლისელებს; თავიანთ მტრებს, უგზავნიან მოციქულად ერთშანერთსო. გარ-

და ამისა, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ იდეალი-პომრული ყველასათვის ცხადი იყო, პარტიის თვითეულს წევრს მოქმედების გეგმა თავისი საკუთარი ჰქონდა, და ამ გვარად ერთი პროგრამის მაგიერ, ორმოცი იყო. თვითეული მათგანი თავის პროგრამას მისდევდა და, რასაკეირველია, ბრიტანიის პარლამენტისათვის ამ გვარი პარტიის წინააღმდეგობა მაინც და მაინც საყურადღებო არ ყოფილა.

ბევრი სხვა რამეც აშორებდა პარნელს ამხანაგებს: ჩსაკ ბიუტი და ბევრი ირლანდიელი დეპუტატი არა თუ უარ-ჰყოფ-დნენ ფენიებს, არამედ პირდაპირ მტრულად უყურებდნენ.

პარნელს ფენიებთან კავშირი არ ჰქონია; არც იმათ პოლიტიკის შესახებ გამოუთქვამს თავისი შეხედულება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მისი სტუდენტობის დროს რამდენიმე ფენია ჩამოაღრჩეს, იგი შეიქნა შეურიგებელი მტერი ყველა იმ ზომებისა, რომლებსაც ხმარობდა ინგლისის მართებლობა მათ წინააღმდეგ; პარნელის გაცნობისათანავე ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ იგი არ იყო ფენიების ოპონენტი. რა იყო ამ თანავარძნობის მიზეზი, პარნელის ფანატიური ტემპერიმენტი, შანჩქერერში მომხდარი ამბავის შთაბეჭდილება, თეორეტიული მოსაზრებანი, თუ ყველა ეს მიზეზები ერთად,— ეს ჩვენ არ ვიცით. საკმარისია ეთქვათ, რომ ბიუტმა და სხვა ირლანდიის წარმომადგენლებმა შეამჩნიეს ეს თანაგრძებობა და ამ გარემოებით მეტად უკმაყოფილობი დარჩენ. თითონ ფენიებმა, რომელნიც სრულებით უარს ჰყოფდნენ ბიუტისთანა პირების მოღვაწეობას, თავიდანვე ნდობა იგრძნეს პარნელისადმი. როცა 1876 წელს, ივნისში, გიქს-ბიჩმა ფენიებს მკვლელები უწოდა, პარნელმა ხმა-მაღლა განაცხადა პროტესტი და ამით პირველად დიდი სენსაცია გამოიწვია.

არც 1875-ში; არც 1876-ში პარნელს დიდი მონაწილეობა არ მიუღია საპარლამენტო ცხოვრებაში, იგი უფრო უკვირდება ყველაფერს და ბრძოლისათვის ემზადებოდა. საქმის ისე წაყვანა, როგორც აქამდე მიჰყავდათ ირლანდიელებს, მას უსა-

რეგბლოდ მიაჩნდა, ცხადი იყო, რომ თხავნითა და ვედრებით ინგლისის პარლამენტი ირლანდიას ჰომილულს არ მისცემდა. ამასთანავე რიცხვთა სიმკირის გამო, თუნდაც რომ ირლანდი-ელებს სრული ერთობა ჰქონოდათ, მართებლობის გადაყენებას ვერც კი ეცდებოდა. პარნელმა მოქმედების სხვა გეგმა შეიმუშავა და მოიყვანა კიდეც სისრულეში. მან გადასწყვიტა ინგ-ლისის კონსტიტუციის მოქმედების შეფერხება და შეჩერება უკელა იმ წეს-უფლებების მოხმარებით, რომლებსაც კანონი აძლევს ყოველ დეპუტატს. განზრახვა მეტაც გაბედული იყო და ამ განზრახეის სისრულეში მოყვანა ნიშნავდა იმ საზღვრამდე მისვლას, რომელიც კანონიერ, ლეგალურ ბრძოლასა და არა ლეგალურ, რევოლუციონიურ ბრძოლას შუა დევს. რაკი მიზანი საპარლამენტო ცხოვრების შეფერხება იყო, ირლან-დიულები ინგლისელ ლიბერალებსაც უნდა გადაჰქიდებოდნენ; ყოველი ლიბერალი ამ განზრახეის ისეთი წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, როგორც კონსერვატორების მეთაური ბიკონს-ფილდი.

ისააც ბიუტი პირველშივე წინააღმდეგა პარნელის გეგმას. მართალია, ირლანდიელების პარტიას წინედაც მიუმართავს ობსტრუქციისათვის, მაგრამ სპორადიულად, ისიც იმ მიზნით, რომ რომელიმე არა-სასიამოვნო პროექტის განხილვა დროებით გადადებული ყოფილიყო. პარნელის პლანი კი ნიშნავდა—მთელი პარლამენტის (განურჩევლად დასებისა) საომრად გამოწვევას, პალატის სახელის გატეხის ცდას, სახელმწიფო ცხოვრების შეფერხებას. ბიუტისა და პარნელის პოლიტიკის შერიგება შეუძლებელი იყო. ბიუტის შეხედულობით, ირ-ლანდია მხოლოდ მაშინ მიაღწევდა მიზანს, თუ მისი წარ-მომადგენლები პარლამენტს არ გააბრაზებდნენ. პარნელი კი სულ წინააღმდეგს ჰყიქრობდა. ბიუტს ისე არაფრის ეშინოდა, როგორც პარლამენტან კავშირის შეწყვეტისა; პარნელი კი განზრახ მიიწვევდა ამ მიზნისაკენ. ირლანდიელებმა არ იცოდ-ნენ, ვის გაჰყოლოდნენ. 1877 წ. უმრავლესობას ბიუტის მხა-

რე ეჭირა; დანარჩენებისაგან, ზოვი ნეიტრალი იყო, და ზოგიც პარნელის მომხრე; ამათ რიცხვში იყო ვინმე ბიგგარიც, რომელიც პარნელამდე იყო პარნელიტი: მას რამდენჯერმე უცდია ობსტრუქციის მოხმარება და ეხლა, რაც ობსტრუქცია სისტემად უნდა გამხდარიყო, სიხარულით მიემხრო პარნელს და რამდენიმე სხვაც დაარწმუნა ამ მეთოდის სისწორეში.

7 იქნის იხილებოდა ბილლი სატუსალოების შესახებ; იგრკერძო ხასიათის იყო და დიდად არავის არ აინტერესებდა, მაგრამ პარნელი კრიჭაში ჩაწერდგა მომხსენებელს და კითხვას. კითხვაზე აძლევდა; მთელი დღე წვრილმანებს მოუნდნენ და ბილლი გადადებულ იქმნა. ეს იყო ობსტრუქციანელების დებიუტი, სცენაზე პირველი გამოსული. პარლამენტის აზრია, ეს დებიუტი კერძო ხასიათის ობსტრუქცია იყო, თუმც ძალიან უკვირდათ, რად მიაქციეს ირლანდიელებმა ყურადღება მათთვის სრულებით უმნიშვნელო კანონს. მაგრამ პალატა მალე დარწმუნდა, რომ ეს კერძო ხასიათის, შემთხვევითი ობსტრუქცია კი არა, პრინციპიალურია. ერთი თვის შემდეგ პალატაში ირჩეოდა ბილლი სამხედრო სასამართლოებზე. პარნელი ისევ ჩაერია საქმეში და იმდენი ილაპარაკა და ალაპარაკა სხვები, რომ სხდომა გაგრძელდა ორი ივლისის ნაშუადღევის ოთხი საათიდან სამი ივლისის დილის შვიდ საათამდე და საქმე კი ისევ გადუწყვეტელი დარჩა. პარლამენტი შეტაც აღვლვებული იყო. პარნელის ქცევა ცხადად ამბობდა: „ან მისკემთ ირლანდიას პომრულს, ანა და მოელ სესსიაში საჭირო კანონების მეოთხედსაც ვერ გაიყვანთ“.

მაგრამ ამ მდგომარეობას არა ეშველებოდა - რა, რადგანაც პარნელი კანონიერ ნიადაგს არ გადასცილებია. სამი კვირის, შემდეგ კითხვა ეხებოდა სამხრეთ - აფრიკის კოლონიებს და დამოკიდებულებას ტრანსგეალთან, რომლის შემოერთებას მაშინ ინგლისი ჰუკიქრობდა. ტყველად ცდილობდა ლორდ-კანცილერი საქმის მალე გათავებას; პარლამენტის წევრების ხმა-მაღლა ლაპარაკმაც ვერ გააჩერეს დაუღალავი პარ-

წელი; წინააღმდეგ ეს ხელსაც უწყობდა მას, რადგანაც ამ ხმა-  
ურობის მომიზეზებით იგი რამდენჯერმე იმეორებდა ერთსა და  
იმავეს; სხვა ირლანდიელებიც მხარს აძლევდნენ, მას. დრო მი-  
დიოდა და მიდიოდა, პარლამენტს ჯავრი და სიფიცე ეხატე-  
ბოდა და სწორედ იმ მდგომარეობამდე მივიდა, როცა თავ-შე-  
კავებულ კაცსაც შეუძლია რამე უკიდურესობა ჩაიღინოს. მაგ-  
რამ ამდროს პალატის წევრები მეტის ყურადღებით დაუწევდნენ  
მოსმენას ორატორს; იგი ირლანდიაზე ლაპარაკობს, აღარებს  
მას სამხრეთ აფრიკას და მოულოდნელი დასკვნები გამოჰყავს.  
„ჩემის აზრითო, — ამბობდა იგი, — ბრიტანიის პარლამენტში ჯერ  
იმ ერებთან უნდა მოაწყოს საქმეები, რომელნიც მას ეხლა  
ექვემდეგბარებიან, რომელედ მოჰკიდოს ხელი სამხრეთ-აფრიკის კი-  
თხვას. მე მკონია, რომ სამხრეთ-აფრიკის მიწების განზრახული  
კონფედერაცია არის მხოლოდ ნაწილი ბრიტანიის ანგარებით  
აღსავს პოლიტიკისა. ინგლისის მართებლობამ არ უნდა, იკო-  
დეს სხვისი სურვილები და იგი სრულებით უყურადღებოდ სტო-  
კებს ფავის კოლონიების ინტერესებს. თქვენ, ბატონები, თხო-  
ულიაბთ ეხლა ჩვენგან, რომ დაგეხმაროთ შემდეგში, განახორ-  
ციელოთ ამგვარი ეფოსტიური პოლიტიკა? არა, მე მოვსულ-  
ვარ ირლანდიიდან, იმ ქვეყნიდან, რომელმაც საფსებით გამოს-  
ცადა ინგლისის საქმეებში ჩარევის შედეგი, მისი ტირანია და  
სიმკაცრე, და ამიტომაც მე განსაკუთრებულ სიამოვნებას  
ვგრძნობ, წინააღმუდგე მართებლობის განზრახებს სამხრეთ-  
აფრიკის „შესახებ“. ყველა ეს წარმოთქმული იყო დამშვიდებით,  
აღუშფოთებლად და, როგორც მაყურებლები გვარწმუნებენ, უსა-  
ზილვრო ზიზლით გაბრაზებული ხაზინის კანცლერი წამოვარდა თა-  
ვის ადგილიდან და მოითხოვა, რომ პარნელის სიტყვები ოქმში  
იქმნას შეტანილი. პარნელი მთელი სესსიის განმავლობაში გვი-  
შლიდა მშვიდობიანად შჩომას, აფერხებდა საქმეებს, პირში და-  
სკინოდა პალატის და ათავებს იმითი, რომ ბედავს ბრიტანიის  
ერის შეურაცხყოფას! კანცლერს თავი ხელთ არ ჰქონდა. მა-  
შინვე წინადაღება შეიტანა, რომ პარნელი სამი დღით განე-  
დევნათ პალატიდან;

პარნელი აღუშფოთებელი, როგორც თვით გაყინული მშვიდობიანობა, წამოდგება და იმის მაგიერ რომ არსებითად პასუხი გაეცა კანცლერისათვის, ამ ინცინდენტსაც საობსტრუქციოდ ხმარობს. „რომელის საფუძვლით შემოაქვს ბ. კანცლერს ახალი ბილლი (ჩემი პალატიდან განდევნა), როდესაც წინედ შემოტანილი ბილლი (სამხრეთ-აფრიკის საქმე) ჯერ არ გათავებულა? ეს კანონის წინააღმდეგია!“

კილო მისი სიტყვისა და ქცევისა იმდენად შეურაცხმყოფელი იყო, რომ პალატა, როგორც ერთი კაცი, აღშფოთდა. მის წინააღმდეგ, მაგრამ რა უნდა ექმნა? პარნელის ნათქვამი კონსტიტუციის წინააღმდეგი არ ყოფილა: აზრის გამოთქმის უფლება ყველას აქვს, და პარლამენტის წევრი ამისათვის პასუხის გებაში არ მიეცემა. თქმის კილოსათვის, მანერასათვის სასჯელი არ არსებობს. მთელ პალატაში მარტო პარნელს არ ეტყობოდა შეშფოთება; ყველა დატანჯული იყო ფიზიკურად, ყველა ღელავდა, ზოგნი კი უღონო მრისხანებამ მოიცვა და თრთოდა. პარნელმა კარგად იცოდა, რომ ინგლისში ვერც მართებლობა, ვერც პალატა ვერ გაბედავდა კანონის დარღვევას, როგორიც უნდა ყოფილიყო იგი; კანცლერის წინადადება უარ-ყოფილ იქმნა. ინცინდენტის გმირი ხელ-ახლავ წამოდგა გაიმეორა წინედ ნათქვამი ინგლისის ანგარებაზე, იძლეოდა ურიცხვ კითხვებს და ამგვარად აჭიანურებულ საქმის განხილვას. ბიგგარი და კიდევ ექვსიოდე ირლანდიის მას მხარს აძლევდნენ. რამდენიც დრო მიღიოდა, პარნელი უფრო მეტს მხნეობას და ძალას იჩენდა. დიდი ხანი იყო, რაც დაღამდა, და საქმეკი იოტის ოდენაც არ წაწეულა წინ. დილის ექვს საათზე პალატა დაიშალა, ბილლი: შესახებ სამხრეთ-აფრიკისა ერთი კვირით გადაიდო.—მაგრამ ერთი კვირის შემდეგაც, 31 ივლისს, სხდომის დაწყებისათანავე ბიგგარი და პარნელი ისევ შეუდგნენ საქმის განხილვის შეფერხებას; არცერთი ფრაზა მოხსენების დამცველებისა არ გაუშვიათ შეუმჩნევლად, უპასუხოდ. სწორედ წაკითხვის ლირსია ამ სხდომის ოქმი; წამკითხველი დაინახავს, თუ რამდენად დაუშრეტე-

ლია ადამიანის ენერგია და რამდენად ხერხიანია მისი გონება! 31 ივლისი ჰალამდა, გავიდა მთელი ლამეც და გათენებისას პარნელი ისეთივე ინტერესით და მხნეობით, როგორც ყოველ-თვის, უსმენდა მოლაპარაკეთ, სწერდა, კითხვებს აძლევდა და სიტყვებს ამბობდა. მაშინ პალატა ჩვილმეტ ჯგუფად დაიყო და დაადგინა, თვითვეული ჯგუფს რიგ-რიგად ეგდო ყური პარნე-ლისათვის, დანარჩენ ჯგუფებს კი ამდროს ეძინათ. ეს ზომა საპარლამენტო ისტორიაში უმაგალითოა, მაგრამ პარნელი ამა-ნაც ვერ შეაფერხა: აქვე გამოუცხადა ბიგგარს, რომ ისინიც იმორიგეობენ,—ერთის მოსვენების დროს, მეორეს უნდა ელა-პარაკნა და შეექცია პალატა. მართლაც ეგრე მოიქცნენ. მაგ-რამ პარნელი არ სარგებლობდა მოსვენების უფლებით,—მისი რეკინის აგებულობამ ყველაფერი აიტანა. როცა ბიგგარს მიე-ძინებოდა, პალატის წევრები მძიმე „ლურჯ წიგნებს“ გად-მოჰყრიდნენ იატაკზე, რომ გაეღვიძებინათ ოგი და მოსვ-ენება არ მოეცათ. ლონდონის მცხოვრებნი განცვიფრებით ჰკითხულობდნენ პირველ აგვისტოს გაზეთებში, რომ პალა-ტის სხდომა ჯერაც არ გათავებულიყო. ბოლოს, ოც და ექვსი საათის განუწყვეტელი სხდომის შემდეგ ბილლი მიღე-ბულ იქმნა.

## III

ისააკ ბიუტი და მისი მომხრე ირლანდიელები. ისევე ჯავ-რობდნენ პარნელზე, როგორც თვით ინგლისელები. ეს უკა-ნასკნელნი ერთობ შეეჩივნენ ბიუტის აუჩქარებელ ტაქტიკას და, რასაკვირველია, არაფრად ეჭაშნიკათ პარნელის შეური-გებელი გამწვავებული ბრძოლა. თავის მხრივ ბიუტი მიხვ-და, რომ მომხდარი ამბის შემდეგ, ინგლისის კეთილ-გან-წყობილება ირლანდისადმი. შეუძლებელი ხდებოდა. ლონ-დონში და მთელ ინგლისში მხოლოდ პარნელზე და ობს-ტრუქციაზე ლაპარაკობდნენ; საკანონმდებლო ჰერიოდმა სულ

უქმად ჩაიარა; პომერული დღიური ვარამი შეიმქნა. ბრძოლა, რომელიც პარნელმა პარლამენტს გამოუკხადა, უნდა გათავებულიყო: ან პარნელის გამარჯვებით, ან სახელმწიფო ცხოვრების შეჩერებით, ან საპარლამენტო წესის ძირითადი შეცვლით; მაგრამ ინგლისელი ძალიან უფრთხის ყოველ გვარ ძირითად ცვლილებას. ბევრს კიდევ ის იმედი აკულიანებდა, რომ პარნელის ბანაკი ცარიელი იყო. ისააკ ბიუტი უცბად საყვარელი პირი შეიქმნა. მას უცხადებდნენ სიმპატიას და თანაგრძნობას იმისთანა პირებიც კი, რომელთა შეხედულობით ირლანდია მარტო განსაკუთრებულ კანონებს საჭიროებდა.

პარლამენტს მალე გაუცრუვდა იმედები პარნელის მარტობის შესახებ. როგორც პარნელს, ისე ბიუტსაც და სხვა ირლანდიელ დეპუტატებსაც კარგად ესმოდათ, რომ ბიუტის და პარნელის ტაქტიკის შერიგება და საშუალო ვზის გამონახვა შეუძლებელი იყო; ისიც კარგად ესმოდათ, რომ არჩევანი ამ ორ ტაქტიკას შორის, რაც შეიძლება, აღრე უნდა მომხდარიყო. მაგრამ თუ ეს არჩევანი დეპუტატებისათვის ჯერ კიდევ საკითხები იყო, ინრლანდიაში ეს კითხვა გადაწყვდა კიდეც. ირლანდია წელში გაიშართა, შოიგონა წარსული, გაიღიძა ო'კონნელის დროის ტრადიციებმა. იმ ღრმა, შეურიგებელმა და შეგნებულმა ინგლისელების მძულვარებამ, რომელიც, არასოდეს არ ჰყარგავს ირლანდიაში თავის ძალას და ყოველთვის ცდილობს თავი იჩინოს, ობსტრუქციის ამბის მოსვლისათანავე ყველა პარნელიტებად გახადა. პარლამენტის სესიია ცამეტ აგვისტოს გათავსა და პარნელი მაშინვე ირლანდიაში წავიდა: 21 დუბლიინში გაიმართა მის პატივსაცემად დიადი მიტინგი. პარნელი აღტაცებით იქმნა მიღებული და მიტინგმა დაადგინა, გამოუკხადოს მხურვალე თანაგრძნობა ახალ პირებს და ახალ პოლიტიკას.. ო'კონნელის შემდეგ ეს პირველი იყო, რომ ირლანდიამ თავისთავი ძლიერად იგრძნოს; და ეს ძალა აამოქმედა პარნელმა ერთი წვეთი სისხლის. დაულვრელად. გარდა ამისა, ობსტრუქციამ ისევე შეხეთა და შებორკა პარლამენტი, როგორც ინგლისელებმა ირლან-

დღა,—ეს სამაგიეროს გადახდა, შურისძიება იყო. ამასთანავე ღუბლინელებს ახსოვდათ და იმეორებდნენ პარნელის. სიტყვას სამხრეთ აფრიკაზე და დიდად აფასებდნენ კილოს; რომლითაც იგი სათვმო პალატაში ღაპარაკობდა; და მერე ვინ იყო ეს ირლანდიის კეთილის მყოფელი? ლენდ-ლორდი (მებატონე), პროტესტანტი და სისხლით წმინდა ანგლო-საქსონელი; ირლანდიის ნაციონალისტებს შეეძლოთ ეთქვათ მთელი ქვეყნის-თვის, რომ მათი მდგომარეობა აღშფოთებს არა თუ იმათ, ვინც მით იტანჯება, არამედ იმათაც, ვინც გაბატონებულების წრეს ეყუთვნის. ისააკ ბიუტს და მის თანამგრძნობლებს კარგად ესმოდათ, რომ მათი დრო წასულია. როცა ექიმი, რომელიც სწამლობდა ავალმყოფ ბიუტს, გამხნევებას დაუწყებდა მას, საბრალო მოხუცი სულ ერთს და იმავეს იმეორებდა: „არა, ჩემი დრო წასულია, მალე ცეცხლი სრულებით ჩაქრება“. რამდენისამე თვის განმავლობაში მთელი ირლანდია ახალგაზრდა დეპუტატის მომხრე გახდა და ბიუტის სიკვდილს არაფერი ცვლილები არ გამოუწვევია საქმის მიმღინარეობაში. პარნელიტები ხმამაღლია აცხადებდნენ, რომ მათ სძულთ ინგლისის მიმართულება, პატივს არა სცემენ მას, იბრძოლებენ მასთან უკიდურესობაშე და არაფერს დასთმობენ თავის პროვორამმიდან.

ამასობაში ობსტრუქცია არ შეწყვეტილა პარლამენტში. 1878 წელში ბიკონსფილდი იძულებული შეიქმნა პირველი ბიჯი მას გადაედგა: გამოიცა ახალი კანონი ირლანდიაში, განათლების შესახებ; მერე ისეთი, როგორიც პარნელს უწლოდა. აქამდ, ე. ი., სანამ ბიუტის „უწყინარი პოლიტიკა“ მეფობდა, ინგლისის პარლამენტი და მართებლობა ყრუ იყო ირლანდიელთა ყოველი სურვილისათვის; ეხლა ცხადად დაინახა ქეყყანაშ პარნელიზმის სარგებლობა, და ხალხი აღტაცებით შეჰყურებდა თავის გმირს.

ამავე დროს, ესე იგი 1877 წ. და 1879 წ., ირლანდიაში დაიწყო ახალი მოძრაობა; აქაც პარლამენტს შეხვდა პირველი როლის შესრულება; ირლანდიას შიმშილობა ეწვია:

კარტოფილის მოუსავლობაში ისეთი საშინელი უბედურება გა-  
შოიწვია, იმდენი ხალხი დახოცა, რომ ირლანდია სასოწარკვე-  
თილებას მიეცა. ირლანდიის გამგედ ამ დროს სერი ჯემს ლოუ-  
ტერი იყო. სერი ლოუტერი დარწმუნებული იყო, რომ არა-  
სოდეს შიმშილობა არ იქნებოდა, რომ აგიტატორები არ აღელ-  
ვებდნენ ხალხს და შიმშილობაზე არ ლაპარაკობდნენ.

ყოველ შემთხვევაში ის იმ აზრის იყო, რომ ბიკონსფილ-  
დის შეწუხება ირლანდიის ამბებით უსარგებლო და მოუხერ-  
ხებელია; ამიტომაც, რამდენსაც არ დაეკითხებოდნენ, იგი ყო-  
ველთვის შეურყეველად უპასუხებდა, რომ ირლანდიაში შიმში-  
ლობა არ არის, არის მხოლოდ ცოტა მოუსავლობა. პარნელ-  
მა და მისმა მეგობრებმა თვალი აუხილეს ინგლისის საზოგა-  
დოებას, გააცნეს ირლანდიის მდგომარეობა და გამოიწვიეს  
თანაგრძნობის დიდი მოძრაობა. შიმშილობამ ერთხელ კიდევ  
დაანახვა საზოგადოებას, რომ თუ ჰომრული აუცილებელი იყო,  
როგორც ჰოლიტიკურ, ისე სოციალურ ცხოვრების გასაუმჯო-  
ბესებლად, სანამ ეს ჰომრული განხორციელდებოდა, საჭირო  
იყო ეკონომიკური ხასიათის ზომები.

მიხეილ დევიტტი, ახალგაზდა ირლანდიელი, რომელიც  
მონაწილეობას იღებდა ფენიების მოძრაობაში და კატორლაში  
იქმნა გაგზავნილი შვიდის წლით, დაბრუნდა კატორგიდან სას-  
ჯელის მოხდის შემდეგ და საშინელი შიმშილობის შთაბეჭდი  
ლების ქვეშ, გადასწყვიტა „სამიწო ლიგის“ დაარსება; მიზანი  
ლიგისა — საკანონმდებლო გზით ირლანდიელი მოიჯარადრე  
ფერმერების მესაკუთრეებად გადაქცევა იყო; ეს საქმე თან და-  
თან უნდა განხორციელებულიყო. ჯერ იჯარა უკადო, ესე იგი  
მოიჯარადრის სიკედილამდე, მერმე იჯარა მემკვიდრეობითი და  
სხვ. საქმის სისრულეში მიყვანისოვის დევიტმა დახმარება სთხო-  
ვა პარნელს. რატომ მიმართა დევიტმა პარნელს? რატომ იყო,  
რომ ყოველი მოძრაობა მაშინ ითვლებოდა საიმედოდ, როცა  
მას პარნელი მიემხრობოდა? რად იყო, რომ ქლიერი, ენერ-  
გიული და პატივმოყვარე პირები ქედს იხრიდნენ მის წინაშე

და მისი ჯარის უბრალო შეომრები ხდებოდნენ? ყველა ამაების მიზეზი, მის მცნობთა მოწმობით, პარნელის მიმზიდველი და მომხიბელელი პიროვნება იყო. ჩეენ ვიცით, რომ ხშირად მოდიოდნენ პარნელის მიტინგზე მისი მოწინააღმდეგენი და მისი სიტყვის მოსმენის „შემდეგ უკიდურესი პარნელიტები ხდებოდნენ; ოც და თოთხმეტი წლის პარნელი ირლანდიის „უგვირგვინო მეფე“ შეიქმნა; იმ ასაკში, როცა პოლიტიკურ მოღვაწეთა უმრავლესობა იწყებს თავის კარიერას, პარნელს უსაზღვრო გავლენა ჰქონდა შეძენილი. იგი შესანიშნავი მოღაპარაკე იყო; ის გრძნობის სრული ბატონი და მეუფე იყო: რაც უნდა ძლიერად და ლრმად ეგრძნო რამე მის გულს, ეს სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩებოდა. ხასიათი მტკიცე, შეუდრეველი და უშიშარი ჰქონდა, ამასთან იგი იყო შესანიშნავი ორგანიზატორი და ისეთი გულ-გრილი და ცივ-სისხლიანი; რომ თეთვი ინგლისელები მოჰყავდა განცვიფრებაში. რა საკვირველია, რომ ასეთი პირი გამხდარიყო ირლინდიელთა დასის მეთაური.

დევიტტი მოგვითხრობს, რომ სანამ იგი ლაპარაკობდა თავის ლიგაზე, პარნელს ტყვილა ხმა არ ამოუღია, თითქმ თავის სიგარის მეტი არა ეინტერესებოდა-რაო. როცა დევიტტმა გაათავა ლაპარაკი, პარნელი წამოდგა, ჩამოჰყარა სიგარის ფერფლი და სთქვა: „შე ამ საქმეს გავაკეთებ, არ ვიცი, მოვეშები თუ არა ყველა თქვენს ამხანაგებს, მაგრამ სულერთია, მე ამას გავაკეთებ“.

„მიწის ლიგის“ (უსახელო ლივა) იდეების პროპაგანდისათვის საჭირო იყო ფულებივე იყო საჭირო დამშეულ ირლანდიელებისათვისაც; მათ საშოვნელიდ პარნელმა გადასწყვიტა შეერთებულ-შტატებში წასვლა და იქ მიტინგებისა და საჯარო ლექციების გამართება. ცოტა ამაზე ადრე სექტემბერში 1879 წ. მან მიმართა ირლანდიას პროკლამაციით, რომელშიაც ითხოვდა ყოველ-გვარი დახმარება აღმოეჩინათ ლიგისათვის და გაემაგრებინათ იგი. ირლანდიელები დიდის ენერგიით შეუდგნენ საქმეს და პროვინციაში ბევრი ფილიალური განყოფილე-

ბები გაიხსნა; გამგე ყველა ამ განყოფილებებისა დუბლინის კომიტეტი იყო. 29 სექტემბერს პარნელმა სიტყვა წარმოსთქვა; ამ სიტყვაში იგი შეეხო ფენიებს, დიდის თანაგრძნობით ლაპარაკობდა საზოგადოდ იმ ირლანდიელებზე, რომელიც ამა თუ იმ მიზეზის გამო იძულებულნი არიან სამშობლოს თავი დანებონ და უცხოეთში იცხოვრონ, წარმოსთქვა რამდენიმე აზრი ყველა ირლანდიელების ფედერაციაზე და კავშირზე საზოგადო მტერთან — ინგლისთან საბრძოლველად. ამავე 1879 წლის ოქტომბერში პარნელი აირჩიეს ახალი ლიგის თავმჯდომარედ. მან, ცრტა არ იყოს, შესცვალა დევიტის პროგრამმა პოლიტიკური ელემენტის შიგ შეტანით. მაგ., გამოაცხადა, რომ ლიგის ბრძოლის მიზანი მარტო მიწის საკუთრებად შეძენა როდი არის; მისივე მიზანია — პომრულიც. აქაც არ უღალატნია პარნელს თავისის ტაქტიკისათვის, აქაც უნიდაბის ჩამოფარების წინააღმდეგია: იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ ახალი ლიგის დანიშნულება ინგლისის მტრობა და მასთან ბრძოლაა. ფენიები, რომელნიც იმ თავითვე სიმპატიით უყურებდნენ პარნელს, ხარგებლობდნენ ყოველის შემთხვევით, თავიანთი სიყვარული და სიმპატია გამოეცხადებინათ მისთვის. „ვისაც როგორ შეუძლია, ისე ებრძოლოს ინგლისის, ინგლისის მტრები ჩვენი მოკავშირენი არიან“, ბევრჯელ უთქეამს პარნელს 1879 წ.-ში და ეს სიტყვები ესმოდათ, როგორც ატლანტიკის ოკეანეს იქეთ, ისე საპატიმროებშიაც. რაც შეეხება ლიგის პროგრამმის ეკონომიკურ მხარეს, აქაც უფრო შორს მიღიოდა იკი: „საშუალო ქირის ფასში უნდა შედიოდეს მიწის ლირებულობაც; ასე რომ ოც და ათის წლის განმავლობაში მიწა არენდატორების საკუთრება უნდა გახდეს. მებატონებს არ უნდა ჰქონდეს არენდატორის გაგდების უფლება“.

როცა მართებლობამ გაიგო, რომ პარნელი ასე ცხარე მონაწილეობას იღებს ახალი ლიგის საქმეებში, იგი ერთობ ლაფთხა და გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს ლიგის წევრებს. დეკემბრის პირველ რიცხვებში დაპატიმრებს დევიტტი და კიდევ ორი სხვა წევრი რევოლუციონურ სიტყვების გამო, რომელ-

ნიც მათ წარმოეთქვათ ერთ მიტინგზე. ეს დიდი უბელურება იყო ჯერ კიდევ ფეხ-მოუმაგრებელ საზოგადოებისათვის; მაგრამ რამდენად უფრო ძნელდებოდა ბრძოლის პირობები, იმდენად იზრდებოდა პარნელის ენერგია. რადგანაც იგი იმ აზრს აღიარებდა, რომ ფული ომის ძარღვია, ამიტომ იგი საჩქაროდ შეუდგა ამერიკაში წასვლის სამზადისს და 21 დეკემბერს კვინსტიონიდან გავიდა; 1 იანვარს 1880 წ. იგი უკვე ამერიკაში იყო.

(შემდეგი იქნება)

# შინაური მიმოწილვა

სოფლის გაჭირებული მდგომარეობა.—ხშირი მოუსავლობა.—დუ-  
ხობორებისა და ვერმანელ ახალშენელთა მაგალითი.—სახელმწიფოს  
მოვალეობანი.—მინისტრის ა. ს. ერმოლოვის მობრძანება.—უმამუ-  
ლობა.—მამული გამოიფიტა.— მკვიდრის გამრავლება.—წვრილი  
მრეწველობა.—ტყეების გაჩერა-განადგურება.—ხარჯის სიდიდე და  
მის შემცირების საჭიროება.—დავალიანება სოფლისა.—სწავლა-გა-  
ნათლების ნაკლებულობა სოფლად.—რა უშველის სოფელსა?

ადგილობრივი ქურნალ-გაზეთობა დღეს სულ იმას ლაპა-  
რაკობს, რომ სოფელი დაძაბუნდა, ღონე გამოელია და ისე  
მოუქლურდაო, რომ საკუთარის ძალ-ღონით ფეხზე ეეღარ წა-  
მოდგება და წელში ეეღარ გაიმართებაო, თუ თვით სახელმწი-  
ფო და განათლებული და შეძლებული ნაწილი ჩეენის საზო-  
გადოებისა არ დაეხმარაო. ზოგიერთი კიდეც უჩვენებენ, — თუ  
როგორ და რანაირად უნდა დაეხმაროს მთავრობა მოუსავლო-  
ბით დაზარალებულსა. შაგალითად, მთავრობას ურჩევენ, რომ  
გაჭირებულს ოჯახის პატრონს ფული ასესხონ ღონიერ მო-  
სავლამდის უსარგებლოდ, რომ მთავრობა ეხლა შეუდგეს სა-  
ზოგადო სამუშაოს დაწყობას, გაიყვანოს ქვით-ფენილი გზები,  
შეაკეთოს გაფუჭებული გზები, გასჭრას არხები ურწყავი მამუ-  
ლების მოსარწყავად, გასწმინდოს სახაზინო ტყეები ნაყარისა-  
გან, რომლის წყალობით ტყეს უჩნდება ათასი ჭია-ღუა და  
იღუპება და სხვა მრავალი ამგვარი. რა თქმა-უნდა, ყველა აქ  
ჩამოთვლილი ღონისძიება დიდს სარგებლობას მოუტანს დაბე-

ჩავებულს კაცს, შიმშილს გადაარჩენს, მაგრამ, ჩეენის აზრით, ასეთი ლონისძიებანი მაღლამოდ უერ დაედება გალარიბებულს მხვნელ-მთესეელს; წელში ვერ გამართავს და რაც დღეს დიდის გაჭირებით თავიდან ავაცილეთ, ხეალ ისევ თავს დაუკრავს. გლეხ-კაცობა და კერძოდ სოფლის მეურნე, მხვნელ-მთეს-ველი ცხოვრების ისეთ პირობებში უნდა ჩავაყენოთ, რომ გლეხ-კაცს შეეძლოს სხვის დაუხმარებლივ ცხოვრება და თვისი მოვალეობის ასრულება, რომ არა სჭირდებოდეს მათხოვარა გლახაკსავით ხელის გამოშვერა და ლუკმა-პურის თხოვნა. თორებმ აბა რასა ჰგავს, იმის მაგიერ, რომ მხვნელ-მთესეელმა ასაზრდოოს სახელმწიფო, უკანასკნელი იძულებული ჰქონდა პური აჭამოს, ტანთ ჩააცვას და გაათბოს თვისი მარჩენალი? როლების ასეთი გაცვლა-გამოცვლა და არევ-დარევა სწორედ რომ სასაცილოა და თან შეუწყნარებელი რიგინანად მოწყობილს და ნორმალურის წესით მიმდინარე საზოგადოებაში.

წრევანდელი მოუსავლობა ჩვენს სამშობლოში, რასაკვირველია, დიდი უბედურობაა. საქართველოს მრავალი კუთხე დიდად დაზარალდა სეტყვისაგან, რომელმაც ზოგან ისე ჩარეგვა წლის მოსავალი, რომ მარცვალიც არ აულიათ. სეტყვას ზედ დაერთო გვალვა, საზოგადოდ უამინდობა და ამის გამო, საერთოდ, სოფლის მკეიდრს საკმარისი სარჩო არ მოუვიდა. იმას ხომ რაღა თქმა უნდა, რომ წელს ჩვენებურს სოფლელს სალსარი არა აქვს გაისტუმროს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნილებანი. ამასთანავე ნუ დავივიწყებთ, რომ წრევანდელი მოუსავლობა უჩვეულებრივო რამ არ არის. ბოლოს დროს ეს დაუპატიჟებელი სტუმარი ხშირად გვეწვევა ხოლმე და სასტიკად გვაგრძნობინებს თვის სიმწვავეს. მოსავლის ნაკლებობა, შორს რომ არ გამოვუდგეთ, იყო 1892 წელს, 1893, 1894 და 1897 წ.; როგორც ეხლა, მაშინაც მოუსავლობა გამოწვეული იყო ხან სეტყვისაგან, ხან უამინდობისაგან და ხან კიდევ ათასგვარი ატმოსფერული მიზეზისა გამო.

ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქვეყნის მარჩენალის მზა-მზარეულად გამოკვება, როგორც გლახაკისა, უაზრობად და

გარემოების ვითარების შეუფერდებელ საქმედ მიგვაჩნია. მაშ რა ვქნათ, თაერ როგორ დავაღწიოთ კარზე მომდგარ უბედურებას, სად და როგორ ეპოვნოთ სალსარი შველისა? სოფლის მკვიდრს იმდენი გამოვართვით, ისე ხარბად და უზომოდ ვსარგებლობდით მისი ძალ-ლონით, ისე დავუბერტყეთ ჯიბე-კალთანი, რომ ბოლოს შიშველ-ტიტველი შეგვრჩა ხელში. შესცვალეთ ასეთი ვითარება საქმისა, შეუმსუბუქეთ და გაუადვილეთ. ცხოვრების გზა-კვალი და მაშინ დაინახავთ, რა ნაირად გაღონიერდება დღეს წელში ოთხად მოღუნული ტეტია, რა ვაუკაცურად მიეგებება არამც თუ ერთის წლის მოუსავლობას, არამედ—ათისასაც. გლეხ-კაცი მხნეა, ვამრჯელი, მოჭირნახულე, დამზოგავი და თუ სულის მოსაბრუნებელ პირობებში მოუხდება ცხოვრება, თავის დღეში ფეხს არ წაიბორ-ძიკებს და ძირს არ დაეცემა. ზურგ მაგარს ადამიანს ვერც სეტყვა და ვერც გვალვა გულს ვერ გაუტეხს; ნიათს ვერ გამოულევს და სამათხოვროდ არ გაუხდის საქმესა. აბა შეხედეთ გერმანელ ახალშნელთა, ან დუქობორებს—როგორა სცხოვრობენ? განა სეტყვა იმათ სოფლებს კი არა ხვდება, განა გვალვა, როეილი, უამინდობა იქ კი არ იცის, განა ფილოქსერა იმათ ვენახებს კი ჰეთოგავს, განა ნიაღვარი იმათ სახნავ მიწებს კი არ ანადგურებს?—როგორ არა, არც ისინი არიან დაზღვეულნი ამ უბედურობისაგან, მაგრამ ცხოვრების პირობები ისეთი აქვთ, რომ სეტყვა და გვალვა ვერას აკლებს, ოჯახობას ვერ ურ-ლვევს და მათხოვრებად არა ჰედის, როგორც ქართლელსა, კა-ხელსა, იმერელსა და სხეათა.

მაშ, რა დაგვრჩენია უბედურობის თავიდან ასაცილებლად? გზა ხსნისა ერთად-ერთია! უნდა გავითვალისწინოთ, ცხადად წარმოვიდგინოთ ეხლანდელი მღვომარეობა გლეხი-კაცისა, მიე-ხვდეთ და შევიტყოთ, რა სტკივა, რა ლონისა და ძლიერები-საა მისა ტკივილი, ერთის სიტყვით, უნდა შევიგნოთ მისი გა-ჭირვება-მოთხოვნილება და როცა ყველა ეს გვეცილინება, წა-მალსაც მალე და ადვილად გამოვძებნით. სწორე მოგახსენოთ,

ძებნა არც კი დაგვჭირდება, ისე ცხადი იქმნება თვით ბრძის-თვისაც კი ის ღონისძიება, რაც უნდა იღონოს მთავრობამ და განათლებულმა საზოგადოებამ დაქცეული ოჯახის ფეხზე წა-მოსაყენებლად.

რუსის ერთი დიდად ცნობილი და სახელგანთქმული მწე-რალი და საზოგადო მოღვაწე ასე ახასიათებს გლეხთა დღევან-დელს მდგომარეობას:

„გლეხ-კაცის ოჯახობა-მეურნეობა სამუდამოდ დაირღვა, დაიღუპა და დაიფუტკნაო. თვით გლეხი აბუჩად და მასხარა-და აგდებული, გამორეტიანდა და თავ-გზისა აღარა გაეგება-რაო; გამწარებული, ღონე-მიხდილი რეტიანსა ჰგავს და უილა-ჯობისაგან ღობე-ყორეს ედება, მუხლო ეკეცება და არ იცის, რა ჰქნას, რა გააკეთოსო. გულზე ხელი დაუკრეფია და ვერა-ფერი მოუსაზრნიაო. გაბეჩავებულმა აღარ იცის,— რა ქვას ახა-ლოს თავი, რომ როგორმე ფეხზე წამოდგესო“.

ეს უნუგეშო და არა-სანატრელი სურათი შიდა-გუბერნი-ის გლეხისა შეეფერება აგრეთვე ჩვენებურ მიწის-შენელსა. აქაც ის სიბეჩავე და გულ-გატეხილობაა, როგორც იქ, ცხოვრების საღსარმა ერთგეარად იკლო იქაცა და აქაც. აქაური მკვიდრის გაბეჩავება უფრო იმიტომაა მეტად მწარე და გულ-მოსაკლავი, რომ ჩვენებური ბუნება უფრო ტურფაა, ვიდრე რუსეთის ში-და-გუბერნიებისა, უფრო მდიდარია და ღონიერი, ვიდრე იქა-ური და მოდი და ნუ შესწუხდები, როცა ჰხედავ, რომ ბატო-ნი ასეთის ადგილ-მამულისა მშეირ-მწყურვალია, დაგლეჯილ-დაფლეთილი და ცხეირ-ჩამოშვებული?

მაშ როგორ უნდა ეშველოს საქმესა? ნუ თუ სატკი-ვარს წამალი არა აქვს? ნუ თუ დღევანდელი უნუგეშობა სა-მუდამოდ უნდა გაგრძელდეს და ბოლო აღარ უნდა ჰქონდეს? რა ღონისძიება უნდა ვიღონოთ, რომ დაღვრემილობა სიხარუ-ლად შეიცვალოს, სიძაბუნე სიეაჭკაცედ და გულ-გატეხილობის აღაგი მხნეობამ დაიჭიროს? უკეთუ მოკლედაც არის გავითვა-ლისწინებთ — რა ესაჭიროება სოფლელსა, რა აკლია ცხოვრე-ლისწინებთ —

ბის ნორმალურად მსვლელობისათვის, მაშინ თვით დონისძიებანიც თავის-თავად თვალ-საჩინო გახდება. მხოლოდ ისიც უნდა პირდაპირა ვთქვათ, რომ დაცემულის გლეხის ოჯახის ფეხზე წამოსაყენებლად კერძო კაცის მხელობა საკმარისი არ არის, თუმცა მეტი, რასაკირველია, არც ეს იქნება. დიღს საქმეს ბუმბერაზმა უნდა მოჰკიდოს ხელი და არა ქონლრის კაცმა. ასეთ ბუმბერაზად ამ საქმეში ჩვენ მიგვაჩნია სახელმწიფო თვისის უდიდესის სიძლიერით, თვისის მილიარდზე აღმატებულის ხარჯთ-აღრიცხვით. პირად ინტერესს რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო ზნეობრივადაცა მოვალე მაგრად ჩაჰკიდოს ხელი ამ საქმეს, რაღაც „ჩვენი მარჩენალი“ თუ ჩვენს რჩენას ველარ შესძლებს, მაშინ თვით სახელმწიფო ვისგან-ლა ირჩენს თავს? იმასაც ვერ ვიტყვით, ღვთის წინაშე, რომ სახელმწიფოს არ ეყურებოდეს თვისი მოვალეობა, ეყურება, კიდეც ჰმოქმედობს და მუშაობს გლეხ-კაცის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაგრამ სამწუხაროდ ამ მოქმედებას არა აქვთ სისტემატიური ხასიათი და ეს საშინლად აფერხებს საჭირო წარმატებას.

ჩვენს უურნალ-გაზეთობას, ქართულსა და რუსულს, ბევრ-ჯერ უჩვენებია—რა აკლია სოფელსა. რის თქმაც გვინდა ამ ეამაღა, არ ახალია—ძველია. ჩვენი განზრახვა დღეს ისაა, რომ თავი მოვუყაროთ წინად ნათქვამსა, რომ ერთად აღნუს-ხული უფრო თვალ-საჩინო გახდეს მკითხველთათვის. დროც ასეთის საუბრისათვის მეტის-მეტად შესაფერია. ერთის მხრივ წლევანდელი მოუსავლობა, გამოწვეული სეტყვა-გვალვასაგან, მეორეს მხრივ მობრძანება საქართველოში. მეურნეობის მინისტრის ა. ს. ერმოლოვისა, რომელსაც უმთავრესად ექვემდებარება ზრუნვა-ფიქრი სოფლის ნივთიერად გალონიერებისა და წესისა და რიგის ჩამოვლებისა.

უპირველეს ყოვლისა ჩვენებურ მხვნელ-მხედველს მამული ეჭირვება, არა აქვს. ქართველი კაცის უმამულობა შემოწებულია მფიციალურის ციფირებით. ამ ცნობებით უკვე ისა-

რეგბლია ჩვენმა უურნალმა და საჯაროდ გამოაცხადა — რა დიდ ნაკლულეებანობასა პერძნობს აქაური გლეხი უმამულობით. ამი- სათვის აღარ გამოვუდებით იმის დამტკიცებას, რაც დამტკი- ცებულად უნდა ჩაითვალოს. ზოგიერთნი, იმის მაგიერ, რომ დახმარების ხელი გაუწვდინონ გაჭირვებულს კაცს, დაუინებით გაიძახიან, რომ ამიერ-კავკასია საესეა თავისუფალი, უხმარი აღილებით, უპატრონოდა ჰყურია და მოდით და იხმარეთო. ამ უცნაურსა ზოგიერთთაგანა ჯგუფს ეკუთვნის „ლრმად პა- ტივცემული რედაქტორი გაზეთის „კავკასია“ ვ. ლ. ველი- ჩკო. ბევრს კელევა-ძიებას და ჩხრეკას თავი დავანებოთ, დავა- ნებოთ თავი თვით ვნება-მღელვარებას და ქვეწარმავალ გრძნო- ბათა მოკლებულს ციფირებს და მიემართოთ ფილოსოფიასების მიერ ხშირად ნახმარს აპისტერიორულს მეთოდს. ოც და თხუთ- მეტის წლის წინად თითო კომლს მიუზომეს ათი დღის მიწა, ზოგს გაცილებით ამაზე ნაკლები. ამ დროს განმავლობაში მა- შინდელი დიდი ოჯახი (არც ეს უნდა დავივიწყოთ) დღეს სამად, ათხად იქცა. მაშასადამე, კომლს ორს-სამს, დღიურზე მეტი სახმარი მიწა არ უნდა ჰქონდეს და ჭრიარიტად არცა აქვს.

ჯერ-ჯერობით ჩვენს ქვეყანაში არაა დამკვიდრებული მა- მულის შემუშავება ინტესიურის წესით. საქართველო კუნძული ჯერსეი არ არის, სადაც ორ-სამ დღიურ მიწაზე მეურნეობას ახერხებენ. იმ წესით, რა წესითაც ჩვენში მეურნეობა მიმდი- ნარეობს, ესე იგი ექსტენსიურად, საჭიროა თითო კომლისა- თვის არა ნაკლებ ოცი, ოც და ათი დღიურისა. უამისოდ მკეიღრი სულს ვერ მოიბრუნებს და აკი ვერც იბრუნებს. მა- შასადამე, უპირველეს ყოვლისა მთავრობამ უნდა იზრუნოს — მოსპოს მცირე მამულიანობა. ამისათვის საჭიროა მოქარბებუ- ლი მკვიდრი გადაასახლოს ჩვენის ქვეყნის იმ კუთხეში, სადაც დროთა ვითარების წყალობით თავისუფალი მამული მოიპოვება, მაგალითებრ, შავი ზღვის ნაპირებში.

მამული ხომ ცოტაა და ცოტა; რაც არის, ისიც აღარ ვარგა გახშირებულის ხენის წყალობით, მიწა გამოიფიტა, ღო-

ნე გამოელია. უსწავლელობისა და უილაჯობის გამო გლეხი ვერ აპატივებს და ვერ აპოხიერებს მამულსა. მიწა უსასყიდლოდ და მუქთად არ ემსახურება აღაშიანსა მზე და მთვარესა-ვით, უხვად მაშინ იძლევა ნაყოფსა, როცა უხვადვე ვანოყივ-რებთ. ეს კი შეუძლებელია ღონე მიხდილი გლეხისათვის. მა-მულის მოღალვა მიზეზი, რომ გლეხ-კაცობა ხარბად მიესია უტეხსა და ყამირიან ადგილებსა; კორდი აღარ დარჩათ გადუხ-ნავი. ასე გასინჯეთ, სანახიროები, ძეძნარი და ბუჩქნარები, საცა საქონელი სულს ითქვამდა, ისინიც კი არ დაინდეს.— კლდეების მოხვნა რომ შეიძლებოდეს, ამათაც გადახნავდნენ.

სავლეხო რეფორმის შემდეგ გლეხ-კაცობამ ერთი-ორად და სამად იმატა. მოჭარბებული მკვიდრი ნამდვილ მეტ-ხორ-ცად გაუხდა სოფელსა, რომელმაც აღარ იცის, საით უყოს პი-რი და რა გააკეთებინოს ამოდენა უსაქმოდ დარჩენილს მუშა-სა. ფამრიკების წყალობით ოდესმე გამეფებული ჩვენში წვრი-ლი მრეწველობა სრულიად მოისპო და გაპქრა, მარტო პური-სა და ლვინის ამარა დარჩენილი სოფლელი გაჭირვებაში ჩა-გარდა, რადგან, როცა მოსავალი ან ერთისა, ან მეორისა ხელს არ აძლევს, ვეღარ ასრულებს თვისს მოვალეობას სახელმწი-ფოსა და საზოგადოების წინაშე და სიღარიბის მორევში ძირ-ძირ ეშვება. ამის გამო მეურნეობის და მიწად-მოქმედების სა-მინისტროს ქრთ უმთავრესს მოვალეობად უნდა ჩაითვალოს განახლება სოფლად გამჭრალი წვრილი მრეწველობისა, და ავ-რეთვე ფუტკრის გაჩენა, აბრეშუმის კეთება და სხვა. ამ გვარი შესაშველებელი საქმე ხელს გაუმართავს სოფლელს და მისცემს საშუალებას პირნათლად გამოვიდეს ქვეყნი სწინაშე.

რა მნიშვნელობა აქვს ტყეს ხალხის ცხოვრებაში, ვგონებთ, ყველამ იცის და მის შესახებ ლაპარაკი სრულიად მეტად მი-გვაჩნია. მერე და რა მოუვიდა ჩვენს დიდებულს და ქვეყნის დამაშვენებელ ტყეებს? უწყალოდ გასჩეხს და დღეს ბევრს ადგილას მისი ნასახიც აღარსად მოიპოვება. საქმე იქამდისინ მიეიდა, რომ სოფლელს საწვავი შეშა აღარა აქვს. ფიჩი ვე-ღარ უშოვნია, რომ თონე გაახუროს და პური გამოაცხოს.

წელს, ზამთარს უცნაური ამბის მოწამე გავხდით ქართლში. სოფლით-სოფლად ხიზანი-ოსები დაღიოდნენ მარხილებით და ჰყიდვენ ღორბლით და მიწით სავსე კუნძებსა და ჯირკვებსა საწვავად. ამ საუცხოვო მასალით დატვირთულს მარხილში სოფლელნი აძლევდნენ 1 მან. 20 კ.—1 მან. 50 კ. და ხშირად რვა აბაზსაც.

სამეურნეო და მიწად-მოქმედების სამინისტროს მოვალეობა ტყის დაცვა-დაფარვაში ცხადია. სამინისტრომ რამე უნდა იღონოს, თორემ როცა ტყეებს სამუდამოდ გაანადგურებენ, როცა ქვეყანა უდაბნოდ გარდაიქცევა, მაშინ ჩივილი და წუწუნი საქმეს ვეღარ უშველის; ტყის გაჩენა დიდს ხარჯსა და შრომისა თხოულობს და როცა საჭიროება მოითხოვს ამ საქმეს ხელი მოპყიდონ, გვიან-და იქნება, თუ ეხლავე არ შეაჩერეს ტყეების ძირიანად აღმოგდება. კარგა ხანია, რაც ტყეების დამცველი კანონები ჰმოქმედობენ რუსეთის შიდა გუბერნიებში, თითო-ოროლა ალაგის ჩვენშიაც შემოიღეს, მაგრამ თითო-ოროლა მაგალითი საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ერთობლივი, გამოუკლებლივ, განკარგულება ტყის შესანახად და დასაფარავად.

მხნეობით, გარჯა-მუშაობით ვერავინ შეედრება გლეხკაცსა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ამ მშვენიერს თვისებას გლეხკაცის ხელში დღეს თითქოს ბარაქა აღარა აქვს. ძველებურად მუშაობს, ძველებურად წელებზე ფეხს იღვამს, თითქმის წელში გასწყდა, მაგრამ გლეხ-კაცის ნამუშავარს მაინც ხვავი არა აქვს. სწორედ ამ ნივთიერად დაქვეითების დროს ხარჯი და ბორჯი ემატება ყოველ წლივ. ჩამოსათვლელადაც კი ძნელია ყველა ის გადასახადი, რასაც სოფლელი იხდის. ფოსტის ფულიდან დაწყებული, უბრალო იასაულის ხარჯამდე, გადასახადი მატულობს და მატულობს. ხარჯის უზომო მომატებამ იქამდინინ მიიყვანა სოფლელი, რომ თავმოყვარეობა სრულიად შეულახა და აქლემის ყელის ჩოხა-შარელის მაგიერ ჯარის-კაცის გამონაცვალი გახეხილი ყისინა ჩააცვა. ხარჯის უზომო მომატებამ გამოიწვია მეორე უფრო სამწუხარო და დამლუპველი

მოვლენა. გლეხ-კაცი ყმად გაუხდა სოფლისავე ჩარჩა და მოვაბშესა. სოფლის ობობამ ისეთი მაგარი აბლაბუდა გააბა სოფლად, რომ ვინც კი მოხვდება ერთხელ ამ ბადეს, ცოცხალი ვეღარ დააღწევს თავს. განსხვავება ობობას აბლაბუდასა და ჩარჩ-მოვაბშეთა აბლაბუდას შორის ისაა, რომ აბლაბუდაში გაბმული ბუზი მალე ესალმება წუთი-სოფელს, მოვაბშის კლან-ჭებს კი ვინც ერთხელ მოჰქვდა, სიცოცხლით ცოცხალი რჩება, მაგრამ თვისი დღენი წვითა და დაგვით მონაგარი, თვისის სულთა-მხუთავ ობობას უნდა უზიდოს, მთავრობის ღონიერი და მაღლიანი ხელი აქაც უნდა მიეშველოს გაჭირვებულს, დავალიანებულს კაცსა. მარტო კანონი, რომ მოვაბშე დაისჯებათ, აქ ვერას გახდება. საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ კაცი ხელის მოსანაცვლად მოვაბშესთან არ გარბოდეს, თორებ თუ კარზე მიადეჭი ვისმეს,—ფული მასესხეო,—ფულის გამლებიც ყოველთვის იპოვნის ხერხსა და საშუალებას, კანონს გზა აუქციოს. ამ სახით-იაფ-ფასიანი კრედიტი სოფლისათვის სწორედ რომ მისწრება იქმნებოდა.

მრავლისაგან მრავალ ნაკლულოვანებასთან, ერთი ისეთი ნაკლულოვანება აქვს ეხლანდელს სოფელსა, რომ თუ მალე არ მოიშორა, სოფელი ვეღარ ისოფლებს და გავერანდება. ჩვენ მოვაბსენებთ სწავლა-განათლების შესახებ. ეს სიკეთე, ეს მაღლი თანამედროვე ცივილიზაციისა, ჯერ არა ღირსებია სოფელსა: განათლების შუქს ჯერ სავსებით არ შეუშუქებია ბნელითა და წყვდიადით მოფენილს სოფელში. რაც არის დღესა, იმაზე არც კი ჰლირს ლაპარაკი. ანაბანის ცოდნა ისიც იშწესით, რა წესითაც იგი სწარმოებს, საოვალავში არ არის ჩასაგდები. სრულებითაც რომ არ იყვეს ეს უცნაური და აზრს-მოკლებული, ვითომ-და სწავლა, დიდად არ ვინაღვლებდით.

ეკონომიური ვითარება ეხლანდელის სოფლისა ისეთია, რომ ცხოვრებასთან საბრძოლველად საჭიროა განათლება საზოგადო, სატექნიკო-საპროფესიონალო და სამეურნეო. თუ ეს დარგნი სწავლა-განათლებისა რიგიანად, მკვიდრად და საფუძვლიანად არ მოვაწყეთ სოფელში, ყოველი მეცადინეობა სოფ-

ლის წინ წასაწევად უქმი იქმნება. მეურნეობის წესია და რიგს რა შესცვლის, უკეთუ სოფლელი მომზადებული არ იქმნება შესაფერის უწაელით? მისი განუვითარებული ჭკუა-გონება რა ნაირად შეითვისებს ახალს რასმეს, თუ წინდაწინვე ნიადაგი არ არის მომზადებული? ჯერ არავის უნახავს, რომ პურის მარცვალს ეხეიროს კლდიან ალაგას და ნაყოფი მოეტანოს.

კიდევ ბევრი რამ აკლია ეხლანდელს სოფელსა, მაგრამ ყველა ნაკლულოვანების დასახელება შორს წაგვიყვანს. ვცდილობდით დაგვესახელებინა უმთავრესი მათხოვნილება და საკიროებანი, რომელთა დაუკმაყოფილებლობის წყალობით ასე დაქვეითდა და დაძაბუნდა სოფელი.

ჩემოდ ნათქვამიდან ცხადადა სჩანს, თუ რა ესაჭიროება სოფელსა. გლეხკაცობას არა აქვს საკმარისი მამული; მთაერობა უნდა ეცადოს, თუ საღმე ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება თავისუფალი ადგილ-მამული, მიუზომოს გაჭირვებულთ და უმამულო ხალხს ბინა უშოვოს. შეძლებისადა გვარად გაუფრთხოლდეს შეთხელებულს და ნახევრად გაჩქილს ტყეებსა. უტყეობა ქვეყანას გააუზედურებს, ჰაერსა და ბუნებას შესცვლის; ნიაღვრები მთლად წაპლეკავს ნახნავ-ნათესს და გააოხრებს იმ საცოდავ გზებს, რომლითაც ასე თუ ისე იოლად შივდივართ. ტყის გაკაფვა და ნიაღვრების აონავრება ერთი და იგივე იქნება. მთავრობა დიდად უნდა ცდილობდეს დაიხსნას სოფელი ჩარჩ-მოვანშეთა ბასრი კლან ჭებილან, ამისათვის საჭიროა შემოილოს და გაავრცელოს იაფ-ფასიანი კრედიტის დაწესებულებანი ისე, როგორც ეს საქმეა მოწყობილი დასავლეთ ევროპაში. ჩვენს ქვეყანას განსაკუთრებით ესაჭიროება სატეხნიკო და საპროფესიონალო სამეცნიერო სკოლები არამც თუ დაბალი და საშუალო ტიპისა, არამედ უმაღლესისაც, რადგან პირველნი უმეოროდ დიდს სარგებლობას ექრ მოიტანენ. რიგიანად მოწყობილს მეურნეობას უნდა რიგიანად მომზადებულ მუშაკთა გარდა, მეცნიერნიც, რომელთაც შეეძლოთ მეცნიერულად თვალ-ყურის გდება და მზრუნველობა მეურნეობა-მრეწველობისა. თუ ადგილობრივს კურდლელს მარდად მხოლოდ

ადგილობრივი მწევარი იქერს, მით უმეტეს ადგილობრივს  
მეურნეობას ესაჭიროება ადგილობრივი მეცნიერი.

ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ უკეთუ აქ დასახე-  
ლებული ღონისძიებანი იქმნება მიღებული, ჩვენი ღონე-მიხდი-  
ლი სოფელი წელში გასწორდება, მოლონიერდება, ფერს იცე-  
ლის და გმირულად შეუდგება თეისის მაღალ-მნიშვნელოვანი  
მოვალეობის შესრულებას,— ქვეყნის რჩენა-საზრდოობას.— მა-  
შინ ერთი-ორის წლის მოუსავლობა შებლს ვერ დაუნაოჭებს,  
რაღან ნივთიერად და ზნეობრივ მოლონიერებული ადვილად  
აიტანს განსაცდელს და დღევანდელივით შარა-გზაზე არ გა-  
მოვა აფლეთილ-დაფლეთილი ლუკმა-პურის სათხოვნელად.

